ისეთი გენიალური და ყოველთა აღმატებული შედევრის შექმნა, როგორიც „ვეფხის-ტყაოსანია“, არცერთ მოკვდავს არ ძალუძს. პოემის ტექსტი ღმერთთან პირდაპირი კონტაქტით – „სახელითა ღმრთისადთაა“ დაწერილი ყველა დროის ქართველი გენიოსის, შოთა რუსთაველის მიერ, სადაც გადმოცემულია კაბალას ბიბლიური კოდის მითოლოგიური კოსმიური პროცესი. მასში „ჩატვირთული“ კოსმიურ კანონზომიერებათა სიბრძნის გადმოცემა, მხოლოდ ქართულ ენაზე – ღმერთების და სამყაროს ქვეცნობიერი აზროვნების ენაზეა შესაძლებელი. ქართული გენის კოსმოგონიური ცნობიერების ეს შედევრი ამ წიგნში ახალი მეტაფიზიკური გააზრებითაა წარმოჩენილი. ადამიანებმა მხოლოდ ქართულ ენაზე დაწერილი „ვეფხის-ტყაოსანი“ უნდა წაიკითხონ, ვინაიდან თარგმანში ეს კოსმოგონიური ცოდნა უკვე დაკარგულია.

„ვეფხის-ტყაოსანი“ ჩვენი მრავალგანზომილებიანი სამყაროს მეტაფიზიკური ცოდნის უშრეტი წყარო და ულევი განძია.

ნაზი ხანიაშვილი

ISBN 978-9941-0-8704-2
9 789941 087042

ნაზი ხანიაშვილი
„ვეფხის-ტყაოსანი“ და მეტაფიზიკა

ნაზი ხანიაშვილი

„ვეფხის-ტყაოსანი“ და მეტაფიზიკა

„ რუსთაველი „

850

ნაზი ხანიაშვილი

„ვეფხის-ტყაოსანი“ და მეტაფიზიკა

ზეესთეტიკა

850

თბილისი 2016

„მით ვისწავლებით, მოგვეცეს
შერთვა ზესთ მწყობრთა წყობისა“.

შოთა რუსთაველი

ეოთა რუსთაველის გენიალური პოემის — „ვეფხის-ტყაოსნის“ თითოეული სტროფი მრავალგანზომილებიანი სამყაროს მეტაფიზიკური ცოდნითაა გაჯერებული. ეს სულ სხვა ბიბლიაა, ნამდვილი, ხვთაებრივი სიღრმეებით დახუნძლული.

სწორედ საქართველოში — პირველსაწყისი თეთრი რასის ხალხში უნდა დაწერილიყო ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობის ისეთი შედევრი, როგორიცაა პოემა „ვეფხის-ტყაოსანი“.

ჩვენს ირგვლივ ყველა და ყველაფერი, მათ შორის ადამიანიც, გამატერიალიზებული ინფორმაციაა. აქედან გამომდინარე, ამ წიგნში წარმოდგენილი საკითხები მოიცავს „ვეფხის-ტყაოსანში“ ასახული მრავალგანზომილებიანი სამყაროს მეტაფიზიკური სიღრმეების განხილვას.

ნაზი ხანიაშვილი

UDC (უაკ) 821.353.1.09-13+130.3
ხ-227

ISBN 978-9941-0-8704-2

წიგნი არ იყიდება — ავტორის საჩუქარია.

•• რუსთაველი ••

ოუსთაველი — **რუსთველი შოთა** XII-XIII სს. ქართველი პოეტი. ავტორი პოემისა „ვეფხის-ტყაოსანი“. მის ავტორობას გვიმოწმებს თვით პოემიდან ნაწყვეტი: **„დავჯე, რუსთველმან გავლექსე, მისთვის გულ-ლახვარ სობილი“**, **„მე, რუსთველი, ხელობითა ვიქმ საქმესა ამა დარი“**. სიტყვა რუსთაველი უკავშირდება გეოგრაფიულ პუნქტს რუსთავს და ნიშნავს რუსთავის მკვიდრს. რუსთაველის ფრესკული პორტრეტი XIII ს-ის პირველი ნახევრის წარწერით შემონახულია იერუსალიმის ჯვრის მონასტრის სვეტზე. ამ წარწერის მიხედვით იგი ყოფილა მეჭურჭლეთუხუცესი. მას შეუკეთებია და განუახლებია ჯვრის მონასტერი. სავარაუდოდ პოეტი ყოფილა სამეფო კარის დიდი მოხელე ვაზირი, თამარ მეფესთან დაახლოებული პირი.

გამოთქმულია აზრი, რომ პოეტი სიცოცხლის ბოლო წლებში გაემგზავრა იერუსალიმში, აღიკვეცა ბერად და იქვეა დასაფლავებული. არ მართლდება გადმოცემა, რომ ის ბერად აღიკვეცა, ვინაიდან ფრესკაზე ის ქართველი ერისკაცის სამოსშია გამოწყობილი.

სავარაუდოდ, რუსთაველი დაიბადა XII ს-ის **60-70**-იან წლებში. ვეფხის-ტყაოსნის ბოლო სტროფები — „ვწერ ვინმე მესხი მელექსე მე რუსთავისა დაბისა“, მიგვანიშნებენ შოთას მესხურ წარმომავლობას. შესაძლებელია სახელწოდება „რუსთავი“ უკავშირდებოდეს მესხეთის რუსთავს, რომელიც მდებარეობს ახალციხე-ასპინძის შარაგზის მახლობლად.

თვით თამარ მეფე იყო რუსთაველის შთაგონების წყარო. **1178** წელს გიორგი III თავისი ქალიშვილი თამარი თავისივე სიცოცხ-

ლეში, **12** წლის ასაკში, აკურთხა მეფედ. თამარის მამა გიორგი III გარდაიცვალა **1184** წელს და **18** წლის თამარი ხელმეორედ აკურთხეს მეფედ. იმეფა **25** წელი და **43** წლის ასაკში **1210** წელს აღესრულა.

ქართველმა ერმა ვეფხის-ტყაოსნით საკუთარი შთამბეჭდავი პოეტური სიტყვა თქვა მსოფლიოს კულტურის სარბიელზე, რომლის საერთაშორისო აღიარებას დიდად შეუწყო ხელი პოემის თარგმანებმა. ვეფხის-ტყაოსნის თარგმნის ისტორია ფორმალურად იწყება **1802** წლიდან, როცა ე. პოლხოვიტინოვმა გამოაქვეყნა პროლოგის პირველი სტროფის თარგმანი. ვეფხის-ტყაოსანი თარგმნილია მსოფლიოს **50**-ზე მეტ ენაზე.

უნგრელი ფერმწერი **მიხაი ზიჩი 1881-82** წლებში ცხოვრობდა კავკასიაში. მოწინავე ქართველი ინტელიგენციის თხოვნით დაიწყო „ვეფხის-ტყაოსნის“ ილუსტრაციებზე მუშაობა. სულ შეუკვეთეს **14** სურათი. მან შეასრულა **34** ილუსტრაცია. ვეფხის-ტყაოსნის საგამომცემლო კომისიამ შეარჩია **27** სურათი. აღნიშნული ნამუშევრები მხატვარმა ქართველ ხალხს უსასყიდლოდ გადასცა. ამჟამად ისინი ინახება თბილისის ხელოვნების მუზეუმში (ქ. ს. ე. 1979 წ., ტ. 4. გვ. 52 – „ზიჩი“).

პოემასა და მასთან დაკავშირებულ პრობლემატიკას სწავლობს მეცნიერების დარგი „რუსთველოლოგია“. ჩვენამდე მოღწეულია ვეფხის-ტყაოსნის **150**-ზე მეტი ხელნაწერი. პოემის უძველესი ხელნაწერები XIV საუკუნისაა.

„ვეფხის-ტყაოსანი“ ქართულ ენაზე **1984** წლამდე გამოიცა **64**-ჯერ. პირველი გამოცემა დაიბეჭდა თბილისში **1712** წელს. ვახტანგ VI-ის რედაქციით.

1965 წლიდან დაარსებულია რუსთაველის პრემია, რომელსაც ანიჭებენ ლიტერატურისა და ხელოვნების საუკეთესო ნაწარმოებს.

გამოცხადება შოთა რუსთაველისა

თითქმის 25 წელია პერიოდულად გამოცხადებითი კონტაქტები მაქვს გარდაცვლილებთან. ისინი თვითონ მოდიან ჩემთან, როცა დგება ჟამი ამის აუცილებლობისა. ასეთი კონტაქტები ძირითადად ენერგეტიკულ-ინფორმაციულია, ზოგიერთ შემთხვევაში ვიზუალურიც. მე მათ ენერგეტიკულად ვგრძნობ და ჩრდილის სახით ვხედავ, ხოლო საუბარი მიდის აზროვნების ინფორმაციული გაცვლის სახით. ამ საკითხზე არაერთი სტატია-ნაშრომი გამოვაქვეყნე.

ერთ-ერთი ასეთი გამოცხადება მქონდა 2016 წლის 1 მარტს ღამის 12 საათზე. დაახლოებით ნახევარი საათით ადრე გამაფრთხილეს, რომ შოთა რუსთაველს დართეს ჩემთან მოსვლის და საუბრის ნება, რომ მას ჩემთან მოიყვანდნენ. მაგრამ ვის უნდა მოეყვანა, ჩემთვის ეს ცნობილი არ არის. ეს ყველაფერი ძალიან მოულოდნელი და ამაღელვებელი იყო. შეხვედრამდე ძალიან ცოტა დრო რჩებოდა. დრო არ რჩებოდა მომეფიქრებია, თუ რა საკითხებზე უნდა მესაუბრა მასთან. მაგრამ, როგორც ყოველთვის, ამ შემთხვევაშიც ძირითადი მოსაუბრე თვით გარდაცვლი უნდა ყოფილიყო.

ზუსტად ღამის 12 საათზე ჩემს სახლში (ბახტრიონის ქ. №24) მობრძანდა დიდი შოთა რუსთაველი. ჩვენი საუბრის მანძილზე მის გამოსახულებას სილუეტის სახით ვხედავდი. მივესალმეთ ერთმანეთს: მე მას „ბატონო შოთა“-თი მივმართავდი, ის მე „ქალბატონო ნაზი“-თ მომმართავდა. მივიწვიე კაბინეტში, შევთავაზე დაჯდომა. ადგილი თვითონ ამოირჩია, მე მის მოპირდაპირე მხარეს დავჯექი. პირველი, რაც მითხრა იყო ის, რომ მთხოვა სანთელი ამენთო (ამავე ოთახში მაქვს ხატებისთვის განკუთვნილი კუთხე). შევასრულე მისი თხოვნა.

ვისაუბრეთ ვეფხის-ტყაოსანზე – მე ამ დროს ვმუშაობდი ჩემს წიგნზე „ვეფხის-ტყაოსანი და მეტაფიზიკა“. ამ წიგნს რუსთავე-

ლის და ვეფხისტყაოსნის 850 წლისთავს ვუძღვნი, 2016 წელი რუსთაველის წლადაა გამოცხადებული. ვმუშაობ ბათუმში 1899 წელს დაბეჭდილ ვეფხის-ტყაოსანზე, რომელიც ჩემი მამის დედის – ნინა ბაბოს და მისი დის სოფოს მზითევიდანაა.

სწორედ ამიტომ ისურვა ჩემთან შეხვედრა შოთა რუსთაველმა. მომიწონა ნაშრომი. ვეუბნები, ახლა ამ წიგნის ბოლო თავზე ვმუშაობ, ნაწილი ტექსტისა უკვე კომპიუტერზე ასაკრეფად მივიტანე, რთული არის ვეფხის-ტყაოსანზე მუშაობა. ვიცი, ამ საკითხზე ღმერთის ნებითა და დავალებით მუშაობ, თქვენი ყველა მიგნება ტექსტის მიმართ სწორად მიმაჩნიაო. ვუთხარი, ამ წიგნს დასაბეჭდად რომ მივიტან, შემდეგ ვარძიის თემაზე მუშაობა უნდა განვაგრძო. მიპასუხა, ეს დიდი და კარგი საქმეა. განვაგრძე, ხედავთ ამქვეყანაზე რა პერიოდში აღმოვჩნდი, იოვანე-ზოსიმეს წინასწარმეტყველება აღსრულდა და გაიშიფრა ქართული ენისა და ანბანის საიდუმლო. ვაჩვენე ჩემი გამოქვეყნებული წიგნები. მითხრა, მე ყველაფერი ვიცი, თქვენს მუშაობას თვალყურს ვადევნებო. რითი აპირებთ თქვენი ახალი წიგნის გამოცემას, რა თანხით? ვპასუხობ, დიდი ტირაჟით არ გამოვა, რეპრესირებული მამის კომპენსაცია მივიღე და ამ თანხით ვაპირებ წიგნის დაბეჭდვას, თუმცა ამ თანხით ჩემთვის სასაფლაოს მიწის შეძენა მინდოდა, მე ხომ უკვე 72 წლისა ვარ. ვკითხე: თქვენ რამდენი წლისამ დატოვეთ ეს ქვეყანა? გარდავიცვალე 76 წლის, იყალთოს აკადემიაში მივიღე განათლება, მეფის კარზე დიდი თანამდებობის პირი ვიყავი, თამარზე შეყვარებული არ ვყოფილვარ, როგორც მეფე მიყვარდა და პატივს ვცემდიო (ჩემს ფიქრებში წარმოქმნილ კითხვებზე პასუხობდა).

ვკითხე, გელათის აკადემია უფრო ადრეულია თუ იყალთოსი? იყალთოს აკადემია, როგორც საგანმანათლებლო კერა, შორეული წარმართობიდან მოდის, არსენ იყალთოელსაც ამიტომ ჰქვია ეს სახელიო.

ვკითხე, თამარ მეფეზე ამბობენ ვარძიაშია დაკრძალული,

რომელ ვარძიაზეა ლაპარაკი – ასპინძის თუ ხარაგაულის? გაუკვირდა – რატომ დაარქვეს ასპინძის ანანაურს ვარძია! რა თქმა უნდა, ნამდვილი ვარძია ხარაგაულის ვარძიაა და თამარ მეფეც იქ არის დაკრძალულიო.

მითხრა წიგნს რომ დაბეჭდავ, რუსთაველის საზოგადოებაში კონკურსზე წარადგინეო და წარმატებები მისურვა.

ამის შემდეგ რაღაც წამებით ინფორმაციული კავშირი გაწყდა. დიდმა შოთა რუსთაველმა ჩემთან საუბარი დაასრულა და წავიდა. სანთელს შევხედე, ოდნავღა ბჟუტავდა და ჩაქრა. ახლაღა მივხვდი რას ნიშნავდა რუსთაველმა შემოსვლისთანავე სანთელი რომ ამანთებინა. საუბარი ერთი ანთებული სანთლის ხანგრძლივობით - 23 წუთით გაგვისაზღვრეს. ეს იმის მიმანიშნებელია, რომ ჩვენი შეხვედრა და საუბარი თვით უფლისგან იყო დაშვებული.

ნაზი ხანიაშვილი
2016 წ. 1 მარტი
ღამის 12 სთ. 30 წთ.

საქართველოში ქართველი ქალისთვის მზითვის სახით ყველაზე დიდი განძი ყოველთვის იყო „ვეფხის-ტყაოსანი“. მათ რიცხვს მიეკუთვნება ჩემი ბაბო – მამის დედა ნინა გოგოლაშვილი და მისი და – სოფო გოგოლაშვილი. ორივე დას მშობლებმა მზითევში შოთა რუსთაველის „ვეფხის-ტყაოსანი“ გაატანეს. ეს წიგნი ჩემი ბაბოსთვის სამაგიდო წიგნი იყო. შვილიშვილებს ხშირად გვიკითხავდა ნაწყვეტებს ამ წიგნიდან და „ვეფხის-ტყაოსნის“ ენით გვესაუბრებოდა, აფორიზმების სახით რჩევებს გვაძლევდა. დღეს ჩემს ხელთაა მათი დანატოვარი „ვეფხის-ტყაოსანი“: გამოცემა ძმ. თავართქილაძეებისა №75, ვეფხის-ტყაოსანი (სურათებით) შოთა რუსთაველისა, ბათომი, სტამბა კ. თავართქილაძისა, 1899 წელი. შედგება 48 თავისგან, 16-მარცვლიანი სტრიქონით დაწერილი 1576 სტროფისგან, მიხაი ზიჩის 22 ილუსტრაციით (შოთა რუსთაველის სურათის ჩათვლით), 555 სიტყვისგან შედგენილი სიტყვათა განმარტებითი ლექსიკონით.

„წინასიტყვაობისებური“

ვეფხის-ტყაოსანი დაწერილია XII საუკუნეში შოთა რუსთაველის მიერ. გადაურჩა ბევრ ქარტეხილებს. ხელით ხდებოდა გადაწერა. ასე მოვიდა XIX საუკუნემდე. ვეფხის-ტყაოსანი დროთა წყვდიადში იმოგზაურებს მანამდე, სანამ ქართველი და მათი ენა იარსებებს. იგი არის და იქნება ქართველების გონებრივი კულტურის საწყავ-საზომი ემბლემა. ამ დროისათვის ბოლო 20 წლის განმავლობაში ეს წიგნი მეოცედ გამოიცა. ასეთი ბედი არ სწვევია არცერთი ქართველი პოეტის ნაწარმოებს, არც ძველს და არც ახალს. ამის მიზეზია ის დიდებული პოეტური სურათები და მეცნიერულ-ფილოსოფიური აზრები, რომლებიც მაგნიტივით იზიდავს მის მკითხველს, მისი კითხვის დროს.

აი, სანიმუშო ზოგიერთი საგულისხმო აზრები, რომლებიც ყველას აქვს გაზეპირებული. მაგალითად:

„მიეც გლახაკსთა საჭურჭლე, ათავისუფლე მონები“-ო, ამბობს პოეტი შვიდი საუკუნის წინად, რაც აღსრულდა ამ საუკუნეში.

„ქმნა მართლისა სამართლისა ხესა შეიქმს ხმელსა ნედლად“-ო, მოაგონებს ქვეყნის მოსამართლეებს.

„ნეტა მამაცი რა არის, არ გასძლოს რაცა ჭირია“-ო, – ამხნევებს გაჭირვებაში ჩავარდნილ კაცს.

„მარგალიტი არვის მიხვდეს, უსასყიდლოდ, უვაჭრელად“-ო, – ეჩიჩინება გაზარმაცებულ მცონარე კაცს.

„ლეკვი ლომისა სწორია, ძუ იყოს, თუნდა ხვადია“-ო, – ჰქადაგებს ორივე სქესის თანასწორობას მეთორმეტე საუკუნეში, რაც დღესაც არ არის დაკანონებული.

„ჰხამს მოყვარე მოყვრისათვის, თავი ჭირსა არ დამრიდად,

გული მისცეს გულისათვის, სიყვარული გზად და ხიდად“-ო, – წესად უდებს მას, ვისაც სურს ჭეშმარიტი მეგობრობა იქონიოს ვინმესთან.

„ოდეს კაცსა დაეჭირვოს, მაშინ უნდა ძმა და თვისი“-ო – ეუბნება ისეთ ნათესავებს, რომლებიც ლხინში გმოყვრობენ და ჭირში გაგირბიან.

„სიკვდილამდის ვის მოუკლავს თავი კაცსა მეცნიერსა,

რა მისჭირდეს მაშინ უნდა გონებანი გონიერსა“-ო, ამბობს თავის მოკვლის წინააღმდეგ, რომ უკიდურეს წუთებში გულისთქმას არ აჰყვე.

„ზოგჯერ თქმა სჯობს არა თქმასა, ზოგჯერ თქმითაც დაშავდების“-ო, აფრთხილებს წინდაუხედავ კაცს ვინც ბევრს ლაპარაკობს და ცოტას სჯის.

„სიტყვა სხვაა საქმე სხვაა შუა უზის დიდი ზღვარი“-ო, ეუბნება ისეთ ვაჟბატონებს, ვინც სიტყვით ანგელოზობენ და საქმით კი ქაჯობენ, ცარიელი სიტყვებით ქვეყანას აშენებენ და საქმით კი ქარაფშუტობენ და სხვა. რომელი ერთი უნდა ამოწეროს კაცმა, რომ ყოველი სტრიქონი საგულისხმო აზრებით არ იყოს გაჟღენთილი. უმჯობესია ჩემო მკითხველო თავიდან ბოლომდე წაიკითხო გულდასმით და შენ თვითონ დასდო ფასი მას.

...ვეფხის–ტყაოსანი...

შოთა რუსთაველისა

(მოკლე შინაარსი)

არაბეთს მეფობდა მხცოვანი მეფე როსტევანი. მას არ ჰყავდა ვაჟი. ჰყავდა მხოლოდ ასული. ერთ დღეს დაიბარა ვეზირები და უთხრა, რომ იგი უკვე დაბერდა და მოვიდა დრო მის ტახტზე თავისი ასული თინათინი ავიდეს. მეფე წუხს, რომ სამეფო ტახტზე მისი სათუთად გაზრდილი ქალიშვილი უნდა ავიდეს, ამით ის მეტად მძიმე სამეფო საქმეში უნდა ჩაერთოსო.

ვეზირები იწონებდნენ მეფის განზრახვას და ანუგეშებდნენ მას:

„ლეკვი ლომისა სწორია, ძუ იყოს, თუნდა ხვადია“-ო.

ნადიმზე ბევრი არაბი მოვიდა. მათ შორის იყო **„ავთანდილ პირ-მზე, სპასპეტი ლაშქრისა ბევრ-ათასისა“**, **„ვითა ვეფხვი და ლომია“**. თინათინი თავისი სიტურფით მზესაც კი სწუნობდა. ავთანდილს თინათინი უყვარდა – **„გულსა მისსა მიჯნურობა მისი ჰქონდა დამალული“**.

მეფის გასამხნევებლად ნადირობა გადაწყვიტეს. ავთანდილი თეთრ ცხენზე იჯდა. ნადირობაში მეფეს ავთანდილმა აჯობა. მეფემ ამით გაიხარა, ვინაიდან ავთანდილი მისი გამოზრდილი იყო და მეფეს იგი ძალიან უყვარდა – **„ავთანდილ უჩანს ვითა შვილი“**.

ნადირობის დროს მათ უცხო მოყმე ნახეს, რომელსაც გულს დიდი დარდი შემოსწოლოდა და ცრემლად იღვრებოდა.

„ნახეს უცხო მოყმე ვინმე ჯდა მტირალი წყლისა პირსა,

„შავი ცხენი სადავითა ჰყვა ლომსა და ვითა გმირსა,

„მას ტანსა კაბა ემოსა, გარე თმა ვეფხის ტყავისა,

„ვეფხის ტყავისა ქუდივე იყო სარქმელი თავისა“.

მეფემ უცხო მოყმე თავისთან იხმო. მან მეფის გამოგზავნილი ყველა მონა ამოხოცა და გაუჩინარდა. მისი კვალი ვერ აღმოაჩინეს. როსტევანი თინათინს უყვება: უცხო მოყმე **„ვითა ეშმა**

დამეკარგა“-ო. თინათინმა მეფეს ურჩია ხალხი გაეგზავნა უცხო მოყმის მოსაძებნად, რათა ნახონ **„არის იგი ყმა შობილი თუ უშობელი“**. მეფემ მის მოსაძებნად მონები გაგზავნა. ერთი წლის შემდეგ ისინი დაბრუნდნენ და მეფეს მოახსენეს, არავინ არის მისი მნახველი და ვერ ვიპოვეთო. მეფემ თქვა: „**მართალ იყო ასული და ჩემი ძე“**-ო. ეს რომ გაიგო, დარდი გადაიყარა – მიწიერი არ ყოფილაო.

ერთ დღეს დაიბარა თინათინმა ავთანდილი და დაავალა უცხო მოყმის მოძებნა:

„ასე გითხრა სამსახური ჩემი გმართებს ასე ორად:
„პირველ ყმა ხარ, ხორციელი არვინა მყავს შენად სწორად,
„მერმე ჩემი მიჯნური ხარ, დასტურია არ ნაჭორად;
„წადი, იგი მოყმე სძებნე, ახლოს იყოს, თუნდა შორად“-ო.

დრო სამი წელი მისცა. თუ ვერ იპოვი, ჩავთვლი, რომ **„იყო თურმე უჩინარი“**-ო. თინათინმა ავთანილს პირობა მისცა, როცა დაბრუნდები შენი ცოლი გავხდებიო. ავთანდილმა თავისი თანაშეზრდილი, ერთგული და თავდადებული შერმადინი შეარჩია და სამეფოში თავის შემცვლელად დატოვა. თვითონ კი უცხო მოყმის მოსაძებნად წავიდა. ყველას მის ამბავს ეკითხებოდა. დარდობდა თავის სატრფო თინათინზე – **„შენთვის სიკვდილი მეყოფის ლხინად ჩემისა თავისად“**-ო. მალე სამი წელი გადიოდა, ორი თვე დარჩა. ბოლოს ერთ მთას მიადგა. დაინახა ექვსი ცხენოსანი. ორ მათგანს დაჭრილი მოჰყავდა. ისინი ხატაეთის ციხე-ქალაქის მფლობელები იყვნენ. სანადიროდ წასულებს შავ ცხენზე მჯდომი უცხო მოყმე შეხვედრიათ, რომელსაც –

„თავსა და ტანსა ემოსა გარე თმა ვეფხის ტყავია
„ჯერ მისი მზგავსი შვენება კაცთაგან უნახავია“-ო.

ხატაელები და უცხო მოყმე შეებრძოლნენ ერთმანეთს. უცხო მოყმემ ერთ-ერთს მათრახი გადაჰკრა და თავი გაუპოო – უთხრეს ავთანდილს და შორს მიმავალი უცხო მოყმე დაანახვეს. ავთანდილმა ისინი დალოცა და შავ ცხენზე მჯდომს დაედევნა.

ორი დღე და ღამე სდია. ბოლოს ნახა, რომ უცხო მოყმე ერთ კლდეს მიადგა, რომელსაც გამოქვაბული ჰქონდა. იქედან ქალი გამოვიდა, მიეგება მას და გამოქვაბულში შეიყვანა. დილით ქალმა ისევ გააცილა უცხო მოყმე.

ავთანდილმა გადაწყვიტა გამოქვაბულში მყოფი ქალისთვის გამოეკითხა მისი ამბავი. ქალი ჯერ უარზე იყო, შემდეგ დათანხმდა და მოუყვა, რომ იმ კაცს ტარიელი ჰქვია, მე კი ასმათი. დაელოდე მას აქ. როცა მოვა თავის ამბავს თვითონ გიამბობსო. ავთანდილი დაეთანხმა. ერთ დღესაც ტარიელი მოვიდა ასმათთან. იგი მას „დაო“-ს ეძახდა. ტარიელმა უთხრა, ვინმე მონადირე მეფე გადამეკიდა და მეძებსო, მის დარდს ეს პრობლემაც შეემატა. ასმათს ეუბნება: **„ჩემი ლხინია სიკვდილი, გაყრა ხორცთა და სულისა“**-ო. ასმათმა ტარიელი და ავთანდილი ერთმანეთს შეახვედრა. მოეწონათ ერთმანეთი.

ტარიელი უყვება ავთანდილს თავის ამბავს. ინდოეთს **7** მეფე ჰყავდა. აქედან **6** სამეფო ფარსადანს ჰქონდა. მეშვიდე სამეფო ტარიელის მამას ეკუთვნოდა, სახელად სარიდან. მათ შორის სულ ომი იყო. ერთხელაც მამამისმა გადაწყვიტა ფარსადანს შერიგებოდა. ფარსადანი ამ ამბავმა გაახარა და ტარიელის მამა, როგორც ძმა თავისთან მიიწვია და თავის სამშობლოში ღირსეული ადგილი დაუმკვიდრა. ფარსადან მეფეს და დედოფალს შვილი არ ჰყავდათ და ტარიელი იშვილეს. მათ იგი ღირსეულად აღზარდეს – **„დაეზგავსა მზესა თვალად, ლომსა ნაკვთად“**. **5** წლის იყო ტარიელი, როცა დედოფალი დაორსულდა და ნესტან-დარეჯანი გაუჩნდა. ტარიელი ჰყვება: **„მაშინვე მზესა ჰგვანდა, აწ მედების ვისგან ალი“**-ო. ნესტან-დარეჯანი მოიზარდა, მამამ ცალკე სახლი აუშენა და მსახურები მიუჩინა. მეფეს ჰყავდა და დავარი, რომელიც იყო ქვრივი ქაჯეთს გათხოვილი. **„მას სიბრძნისა სასწავლებლად თვით მეფემან მისცა შვილი“**. მეფის ასულს ორი მონა და ასმათი ემსახურებოდა. ისე იზრდებოდნენ ტარიელი და ნესტან-დარეჯანი, რომ ერთმანეთს ვერ ხედავდნენ.

15 წლის შეიქნა ტარიელი. მას მეფე ზრდიდა. ტარიელი თავის თავს ასე ახასიათებს:

„ძალად ლომსა, თვალად მზესა ტანად ვგვანდი ედემს ზრდილსა,
„სროლასა და ასპარეზსა აქებდიან ჩემგან ქმნილსა“-ო.

ერთხელ მეფემ უთხრა ტარიელს, წავიდეთ ჩემი ქალი ვნახოთო და წავიდნენ ნესტან-დარეჯანის სანახავად. ტარიელმა როგორც დაინახა შეუყვარდა იგი. ერთხელ მასთან ერთი მონა მივიდა და ნესტან-დარეჯანის წერილი გადასცა, სადაც ეწერა:

„მე შენი ვარ ნუ მოჰკვდები...“
„სჯობს საყვარელსა უჩვენო საქმენი საგმირონია“.
„წა შეები ხატაველთა, თავი კარგად გამაჩვენე“-ო.

ტარიელმა ხატაელთა მეფეს ინდოეთის ძლიერი მეფის სახელით მუქარის წერილი გაუგზავნა. მისი გაგზავნილი ყმები დაბრუნდნენ ხატავეთიდან და მოიტანეს უკადრისი შემონათვალი ხატაელთა მეფე რამაზისგან:

„არცა რა ჩვენ ვართ ჯაბანნი, არც ციხე უმაგრონია,
„ვინ არის თქვენი ხელმწიფე, ჩემზედა რა პატრონია“-ო.

ხატაელთა მეფე რამაზმა ინდოეთის მეფეს ასევე მისწერა, რომ ის ბევრ ერს ეპატრონებოდა და რატომ უნდა ხლებოდა ტარიელს. შეუთვალა არასოდეს წერილი აღარ მომწეროო.

ინდოელებსა და ხატაელებს შორის დიდი ბრძოლა გაიმართა. ტარიელი წითელ-შავი დროშის ქვეშ იბრძოდა. ბოლოს ტარიელმა გაიმარჯვა, მეფე რამაზი დაატყვევა და ინდოეთის მეფეს მიუყვანა.

ინდოელთა მეფემ ხატაელთა მეფეს აპატია დანაშაული და შეადგინეს საბუთი, რომ ამიერიდან ინდოეთის წინაშე მტრობას აღარ ჩაიდენდა. გაიმართა ნადიმი. ნესტან-დარეჯანი ტარიელის წინ იჯდა. ნადიმი დილამდე გაგრძელდა. ტარიელი თავის საწოლ ოთახში დაბრუნდა. მას ასმათი ესტუმრა და ნესტან-დარეჯანისგან მადლიერების წერილი გადასცა.

ამ დროისთვის მეფემ ნესტან-დარეჯანს სხვა საქმრო შეურ-

ჩია. ხვარაზმს კაცი გაუგზავნა, შენი ვაჟი ხვარაზმშა სიძედ მოგვეციო.

ტარიელმა ეს ამბავი რომ გაიგო ნესტან-დარეჯანს შეხვდა. ის მწარედ ტიროდა და ტარიელს საყვედურობდა, ფიცი რად გატეხე, შენ იქ ვეზირად ზიხარ, მე კი ხვარაზმშაზე მიპირებენ გათხოვებასო. ტარიელმა დაიფიცა, რომ მე შენ ძალიან მიყვარხარ და არ მიმიტოვებიხარო. ტარიელს მეფისთვის სიძედ თავის შეთავაზება უღირს საქციელად მიაჩნდა.

ნესტან-დარეჯანმა დაიჯერა ტარიელის ნათქვამი და შესთავაზა, **„მე და შენ დავსხდეთ ხელმწიფედ, სჯობს ყველა სიძესძლობასა“**-ო. მოითათბირეს, რომ ტარიელს სასიძო სასახლეში მისვლამდე უნდა მოეკლა.

ტარიელმა სასიძო ღამით ქალაქგარეთ კარავში მოკლა და ისევ ქალაქში დაბრუნდა.

დილით მეფემ ტარიელს სამი დიდებული გაუგზავნა და შეუთვალა:

„ჩემი ასრე რად შესცვალე სიხარული სიმძიმილად?“-ო.

ტარიელმა უპასუხა:

„სხვა მეფე დასჯდეს ინდოეთს მერტყას მე ჩემი ხმალია?!
„შენი ქალი არად მინდა, გაათხოვე, გამარიდე.
„ინდოეთი ჩემი არის, არვის მივცემ ჩემგან კიდე“-ო.

ერთიღა მე ვარ ინდოეთის მემკვიდრე და სხვას არავის დავუთმობო. ტარიელმა ნესტანის შესახებ რომ ვეღარაფერი შეიტყო სახლი დატოვა და მინდორში გაიჭრა. ერთხელ ერთ მონას ქალი მოჰყავდა, ასმათი იცნო, თავგატეხილი იყო. მან აცნობა, რომ როცა მეფემ გაიგო ყველაფერი, ეს ამბავი უამბო მის დას დავარ ქაჯსა. ის კი წაეჩხუბა ნესტან-დარეჯანს: **„როსკიპო, ბოზო, საქმრო რად მოაკვლევინე?“**-ო. იფიქრა ჩემს ძმას ვერც მე გადავურჩებიო. მან ნესტან-დარეჯანს სცემა, დაალურჯა, თმები აწიწკნა. ორმა მონამ – **„პირითა ვით ქაჯებითა“**, ნესტან-დარეჯანი კიდობანში ჩასვა და ზღვით წაიყვანა. დავარმა კი თავი მოიკლა.

ერთხელ, ზღვის პირას ღამით ტარიელმა დაჭრილი მხედარი იპოვა. მან უთხრა, რომ ის მულღაზანზარის მეფე ფრიდონია **„მამის ძმა და მამა ჩემი პაპა – ჩემმან“** გაყარა და ორივეს მიწები გაუყო. ამაზე ფრიდონს ბიძებთან და ბიძაშვილებთან დავა აქვს და ახლაც მათ დამჭრესო. ტარიელმა ანუგეშა, მეგობრობა და ძმობა აღუთქვა და მასთან ერთად მის ქალაქში წავიდა.

ერთ დღეს ფრიდონმა უთხრა ტარიელს, ერთი საკვირველი ამბავი უნდა გიამბოო და მოუყვა, რომ ერთხელ ის სანადიროდ იყო წასული, ზღვაზე დაუნახია ნავი, რომელშიც კიდობანი იდო და შიგნით ულამაზესი ქალი იჯდა. კიდობანს ორი შავი მონა იცავდა. ტარიელი მიხვდა, რომ კიდობანში გატაცებული ნესტან-დარეჯანი იჯდა. მან ფრიდონს მათი მიჯნურობის ამბავი მოუყვა. ტარიელი ფრიდონს ეუბნება, რომ მას ვერ ივიწყებს, ვერ პოულობს, სიკვდილს ნატრობს და უყვება, თუ რატომ აცვია ვეფხის ტყავის სამოსი:

„რომე ვეფხი მშვენიერი სახედ მისად დამისახავს,
„ამად მიყვარს ტყავი მისი, კაბად ჩემად მომინახავს“-ო.

ავთანდილს, რომელიც ტარიელის მონაყოლ ამბავს ისმენდა თვალიდან ცრემლი წასკდა. ტარიელმა უთხრა: ახლა, როცა ჩემი ამბავი სრულად მოისმინე, წადი, ნახე შენი მზე თინათინიო. ავთანდილმა შეჰფიცა, რომ წავა, თინათინს მის ამბავს მოუყვება, უკან დაბრუნდება და ტარიელს სატრფოს მოძებნაში დაეხმარება.

ავთანდილი მართლაც ასე მოიქცა – დაბრუნდა არაბეთში, თინათინს უცხო მოყმის ამბავი შეატყობინა და უკან დაბრუნდა, ჯერ ასმათს შეხვდა, შემდეგ ტარიელის მოსაძებნად წავიდა. შამბნარში შავი ცხენი შენიშნა, იცნო, რომ ტარიელისა იყო, მიუახლოვდა და ნახა ტარიელი უგონოდ მიწაზე იწვა. იქვე ახლოს მოკლული ლომი და ვეფხვი ეგდო. ტარიელი მალე გონზე მოვიდა და ავთანდილს უთხრა:

„არ-თუ იცი, უგანგებოდ არა კაცი არ მოკვდების“

„ვაჲ, შენი ბრალი და თვარე სიკვდილი ჩემი ლხინია“-ო.

ღამე იქ გაათენეს. ტარიელმა უსაყვედურა, შენი ძმადნაფიცი ფრიდონი რატომ მიატოვე, მოვძებნოთ და ისიც დაგვეხმარება ნესტანის პოვნაშიო. ისინი ერთმანეთს დაცილდნენ. ავთანდილი წავიდა ფრიდონის მოსაძებნად. **70** დღის ძებნის შემდეგ ფრიდონი იპოვა – სანადიროდ გამოსულიყო. ავთანდილი ფრიდონს უყვება ტარიელის შესახებ, სამი წელი ეძება ავთანდილმა ტარიელი; ბევრი ხატაელი ნახა მისგან მოკლული; ტარიელი შეიყვარა **„ვითა ძმა და ვითა შვილი“; „ქვაბნი წაუხან დევთათვის“** და ახლა იქ ცხოვრობს; თან ასმათი ჰყავს, მას ნანადირევი ხორცით ამარაგებს, ერთგან ვერ ჩერდება – **„ვითა მთვარე დაუდგომლად იარების, არ ჩერდების“** და ადამიანებს თავს არიდებსო. თვითონ თავის მეფეს გამოეპარა, ლაშქარი დატოვა, რომ ტარიელს დახმარებოდა ნესტან-დარეჯანის პოვნაში.

ფრიდონი ავთანდილს უყვება ზღვაზე ნავში ნესტან-დარეჯანი რომ ნახა, გაედევნა ნავს, მაგრამ ვერ მიუსწრო – ნავი ზღვაში ჩიტისტოლაღა მოჩანდა. შემდეგ ორივე ერთმანეთს გამოემშვიდობა.

ავთანდილი **4** მონის თანხლებით განაგრძობს ნესტან-დარეჯანის ძებნას. ვინც შეხვდება, ყველას მის ამბავს ეკითხება. ერთ დღეს ზღვისპირას მდგომ ვაჭართა ქარავანს მიადგა. ქარავნის უხუცესი იყო უსამ-ბრძენკაცი. ისინი ბაღდადელი მაჰმადიანი ვაჭრები იყვნენ. ბრძენმა უთხრა, თუ ჩვენ ახლა ზღვაში შევალთ, მეკობრეები თავს დაგვესხმებიან და ყველას ამოგვხოცავენო.

ავთანდილმა ანუგეშა ისინი, აღუთქვა, რომ მეკობრეებისგან დაიცავდა. დაიმედებული ვაჭრები ხომალდებში ჩასხდნენ და ზღვაში შეცურეს. მართლაც მეკობრეები თავს დაესხნენ მათ ხომალდებს. ავთანდილმა ისინი მამაცურად დაიცვა მეკობრეებისგან. ვაჭრებმა შეუთვალეს, რაც გინდა გვთხოვეო. ავთანდილმა სთხოვა, რომ ვაჭრის სამოსს ჩაიცვამდა და რაღაც დროით მათთან დარჩებოდა, მხოლოდ მისი ვინაობა საიდუმლოდ უნდა დარ-

ჩენილიყო. ვაჭრები დათანხმდნენ და გზა განაგრძეს.

ზღვა გაიარეს და ერთ სავაჭრო ქალაქს მიადგენენ, რომელიც ზღვათა სამეფოს ეკუთვნოდა. აქედან **10** დღის სავალზე მათი მეფის მელიქ-სურხავის ქალაქი იყო. სადაც ვაჭრები გაჩერდნენ, ეს ტერიტორია ვიღაც უსენს ეკუთვნოდა, რომელიც იმჟამად სახლში არ იყო და სტუმრები მისმა ცოლმა ფატმანმა მიიღო. გაუხარდა მათი მისვლა და სავაჭრო ადგილიც მიუჩინა.

ფატმანი და ავთანდილი დამეგობრდნენ. ორივე ერთად ატარებდნენ დღეებს. ფატმანი მის გარეშე ვეღარ ძლებდა. ერთ დღესაც მან ავთანდილს წერილი მისწერა, უშენოდ ვეღარ ვძლებ და პასუხს ველიო. ამ წერილის მიღებისას ავთანდილი გაოცდა და არ გაეხარდა. მაგრამ მისი ნახვა მაინც მოისურვა, იქნებ ისეთი რამ მითხრას, რა მიზეზითაც ვმოგზაურობ, მათთან ხომ მრავალი გემი ჩერდება და შეიძლება რაიმე გავიგო ნესტან-დარეჯანზეო. ავთანდილმა პასუხად მისწერა, რომ მეც შემიყვარდი და შენ დამასწარი წერილის მოწერა, რადგან ჩვენი შეყრა ორივეს ნებაა. აქედან დაიწყო მათი ახლო ურთიერთობა.

ერთხელაც მათ ფატმანის ჩაჩნაგირმა შეუსწრო. ფატმანს შეეშინდა, ეს კაცი ამბავს ჩემს შვილებს ეტყვისო და ავთანდილს ჩაჩნაგირი მოაკვლევინა, რის შემდეგაც მათ ურთიერთობა ისევ გააგრძელეს.

ფატმანმა გადაწყვიტა ავთანდილისთვის რაღაც ამბავი მოეყოლა. ერთ დღეს იგი იდგა სარკმელთან და ზღვას გასცქეროდა. დაინახა ზღვაში ნავი, რომელიც მათ ნაპირს უახლოვდებოდა. იქიდან ორი შავი კაცი გადმოვიდა და ნავი ნაპირზე გამოიტანეს. აქეთ-იქით გაიხედეს და როცა ვერავინ შენიშნეს, კიდობანი ნავიდან გადმოიტანეს. კიდობნიდან ულამაზესი ახალგაზრდა ქალი გადმოვიდა, აშკარად უცხო მხრის ქალი იყო, ულამაზესი მწვანე სამოსელი ეცვა. ვერ მიხვდნენ, რომ ისინი ფატმანმა დაინახა. მან იხმო **4** მონა და უთხრა, ესენი ინდოეთიდან მოვიდნენ და თან ტყვე ქალი ჰყავთ, წადით და რასაც დაგიფასებენ ის ტყვე იყიდეთო. შავმა კაცებმა მათ ქალი არ მიჰყიდეს. ბოლოს ფატმანის მონებმა ის კაცები დახოცეს და ნესტან-დარეჯანი ფატმანს მიუყვანეს. ფატმანი მას მიეფერა, ანუგეშა და ერთი სახლი დაუთმო, დამალა და მოსამსახურედ ერთი ზანგი მიუჩინა. ნესტან-დარეჯანი გამუდმებით ტიროდა, არაფერს ჭამდა, დარდობდა და განიცდიდა. დიდხანს დაჰყო მან იქ. მის ამბავს ფატმანი ქმარსაც კი უმალავდა. ბოლოს მაინც გადაწყვიტა ქმრისთვის ეთქვა მისი არსებობის შესახებ. ფატმანის ქმარი გააოცა ნესტან-დარეჯანის სილამაზემ –

„რას შეუქმნიხარ ზაფრანად, შენ ფერად მზგავსო ალისა“,

„თუ ხორციელი არის მცა, თვალნიცა მრისხვენ ღვთისანი“-ო.

ფატმანმა უპასუხა: **„ვთქვი თუ: არცარა მე ვიცი ამისი ხორციელობა“**-ო. ეკითხებოდნენ ნესტან-დარეჯანს, ვინ ხარ და საიდან მოსულხარო, მაგრამ ის არაფერს პასუხობდა.

ერთ დღეს ქმარმა უთხრა ფატმანს, დიდი ხანია მეფე არ მოგვინახულებია, წავალ და ძღვენს მივართმევო. ნადიმზე ფატმანის ქმარმა თავი ვერ შეიკავა და მეფეს უთხრა, თქვენთვის საჩუქარი გვაქვს – სარძლო თქვენი შვილისთვისო. მეფემ მაშინვე ბრძანა მისი სასახლეში მოყვანა. სარძლო მოეწონათ და გაიხარეს. ეკითხებოდნენ საიდან ხარ და ვისი ხარო. მაგრამ ნესტან-დარეჯანი კვლავ ხმას არ იღებდა. ამ დროისათვის მეფის ვაჟი შინ არ იყო. ნესტან-დარეჯანმა მოისყიდა მსახურები, ერთმა მათგანმა თავისი ტანსაცმელი მისცა და სასახლიდან გააპარეს. ბოლოს ფატმანიც მოინახულა, ცხენზე შეჯდა და დაემშვიდობა. როცა მეფის სასახლეში საპატარძლოს გაპარვა შეიტყვეს, მთელი სამეფო გლოვამ მოიცვა.

ერთ დღეს ფატმანის ქალაქში სავაჭროდ ჩამოსულები პურის საჭმელად შევიდნენ. ერთმა მონამ მეტად საინტერესო ამბავი მოყვა. ამას ფატმანიც ესწრებოდა და ყველაფერი გაიგონა. ეს კაცი ქაჯთა სამეფოს მფლობელის მონა იყო. ერთხელ ქაჯები წასუ-

ლან ხალხის დასაყაჩაღებლად – მეკობრეებად. თავისი საქმე რომ მოათავეს, მინდორში შუქი შენიშნეს. რომ მიუახლოვდნენ, ნახეს, მხედარი ქალი აღმოჩნდა, შეიპყრეს და მეფეს მიუყვანეს. ფატმანი მიხვდა, რომ ის ქალი ნესტან-დარეჯანი იყო.

ორი შავი გრძნეული მონა ჰყავდა ფატმანს. გააგზავნა ისინი ქაჯეთის სამეფოში ნესტან-დარეჯანის ამბის გასაგებად. წასულები სამი დღე გზაში იყვნენ. რომ დაბრუნდნენ, ფატმანს მოახსენეს, ქაჯეთის მეფის შვილს დაუნიშნიაო ნესტან-დარეჯანი. ასევე მოახსენეს ქაჯთა ქალაქის მტერთაგან უძლეველობის შესახებ. ქალაქი მაღალ კლდეზეა გაშენებული და მის სამივე კარებს სამ-სამი ათასი მებრძოლი იცავს. იმ ქალაქში ჰყავთ ნესტან-დარეჯანიცო. ქაჯები ერთად შეკრებილი გრძნეულების მცოდნე ხალხია, ამაში არიან დახელოვნებული, ყველა ადამიანს ავნებენ, მათ კი ვერავინ ავნებს. მათთან მებრძოლები წამოვლენ დაბრმავებულები და გაწბილებულები. საშინელ საქმეებს აკეთებენ: ქარიშხლებს იწვევენ, ზღვაზე მტრის ნავებს დაამხობენ; წყალზე, როგორც ხმელეთზე ისე გაირბენენ; წყალს დააშრობენ, დღეს დააბნელებენ, ბნელს გაანათებენ. ყველაფერ ამისთვის მათ ქაჯებს ეძახიან, თორემ ისე ჩვენსავით ხორციელნი არიანო.

ავთანდილმა ნესტან-დარეჯანის ამბის გაგებით გაიხარა, ვაჭრის სამოსი გაიხადა და თავისი სამოსი ჩაიცვა – **„დაეშზგავსა ლომი მზესა“**.

ავთანდილმა ფატმანს ყველაფერი უამბო და სთხოვა იმ მონას დამაკავშირეო. ავთანდილის თხოვნით ფატმანმა წერილი დაწერა და მონას ქაჯთა ქალაქში ნესტან-დარეჯანთან გაატანა. მისწერა, მართალია შენს შესახებ არაფერი გამიმხილე, მაგრამ მე მაინც ყველაფერი შევიტყვე. დაწერე წერილი და შენს სატრფოს, ტარიელს შენი ამბავი შეატყობინე, რომელიც სასოწარკვეთილი გეძებს. მანდაური ამბები დაწვრილებით დაგვიწერე – რამდენი მცველი გიცავს, მათი ხელმძღვანელი ვინ არის. რაც კი რამ მანდაური ამბები იცი, დაწერე და ამ მონის ხელით შეგვატყობინეო.

ნესტან-დარეჯანმა პასუხად მოსწერა, ქაჯების მეფე ჯერ არ მოსულა, მაგრამ უთვალავი მცველი მყავს; თქვენი განზრახვა, რომ დამიხსნათ, ყოვლად უიმედოა; ძალიან მიმძიმს ჩემი სატრფოს გარეშე სიცოცხლე, მაგრამ ნუ წამოვა, თავს საფრთხეში ნუ ჩაიგდებს – **„მას მკვდარსა ვნახავ, მოვკვდები მე სიკვდილითა ორითა“**-ო. ნესტან-დარეჯანმა ტარიელსაც დაუწერა წერილი და იგივე მონის ხელით გამოაგზავნა. მისწერა ტარიელს მისდამი უზომო სიყვარულის შესახებ, აქამდე ცოცხალი არ მეგონე, მადლობას ვწირავ ღმერთს ამისთვის; ჩემი გულის იმედად შენი სიცოცხლეც მეყოფა; მაღალ კოშკში ვზივარ, თვალი ძლივს სწვდება, გზა გვირაბით შემოდის, რომელსაც უამრავი მცველი იცავს; ესენი სხვა მებრძოლების წესებით არ იბრძვიან; ვინც მათ შეებმება, ერთიანად ამოხოცავენ და ცეცხლად მოედებიან; შენს სიკვდილს ვერ გადავიტან **„დამთმე გულითა“**-ო. სწერს, **„თუ სიცოცხლე მწარე მქონდა, სიკვდილიცა მქონდეს ტკბილი“** და არც იფიქრო ქაჯებთან შებრძოლებაო. ტარიელს სთხოვს დაბრუნდეს ინდოეთში და შეატყობინოს მისი ამბავი.

ავთანდილმა ფრიდონს წერილი გაუგზავნა – ქაჯებთან ბრძოლაში დახმარება სთხოვა, თვითონ კი გამოეთხოვა ფატმანს და ტარიელთან შესახვედრად გაემგზავრა. ტარიელი გამოქვაბულთან ახლოს შამბნარში იპოვა და ნესტან-დარეჯანის წერილი გადასცა. ასმათი არ იჯერებდა, რომ მათ ნესტან-დარეჯანს მიაგნეს. ტარიელმა ავთანდილს გამოქვაბულში დევების განძი აჩვენა. იქ ერთი კიდობანი აღმოაჩინეს, რომელშიც სამი ტანზე შესამოსელი აბჯარი და ხმლები ეწყო. ორივემ ეს საბრძოლო სამოსი ჩაიცვეს, მესამე კი ფრიდონისთვის შეკრეს და ცხენზე გადაჰკიდეს.

ტარიელი, ავთანდილი და ასმათი წავიდნენ ფრიდონის ქვეყანაში. შეხვდნენ მას, გაიხარეს და სასწრაფოდ წასასვლელად მზადება დაიწყეს. ფრიდონმაც დევების გამოქვაბულიდან მოტანილი საბრძოლო ტანსაცმელი ჩაიცვა. ასმათი იქ დატოვეს, თვითონ კი **300** რჩეულ მებრძოლთა თანხლებით ქაჯეთის ციხის

ასაღებად წავიდნენ. დღე ისვენებდნენ, იმალებოდნენ, გზას ღამით აგრძელებდნენ. ბოლოს ქაჯთა ქალაქში მივიდნენ. გარშემო სულ კლდე იყო. უთვალავი მცველი ჰყავდა. გვირაბის კარს **10000** მეომარი იცავდა.

სამივემ ითათბირეს როგორ მოქცეულიყვნენ. სამი კარები სამად გაიყვეს. თითოეულს **100** რჩეული მეომარი ჰყავდა. ქაჯები ამოხოცეს. ნესტან-დარეჯანი კიდობანში ჩასვეს და წავიდნენ ფატმანის მოსანახულებლად. ქაჯების განძი **3000**-მდე ჯორს და აქლემს აჰკიდეს და თან წაიღეს.

მივიდნენ ზღვათა სამეფოში. ვინაიდან ფატმანი დაეხმარა მათ ნესტან-დარეჯანის ქაჯეთის ციხიდან განთავისუფლებაში, ძმადნაფიცებმა ქაჯთა ქვეყანა ზღვათა მეფეს აჩუქეს. ზღვათა მეფემ ტარიელს და ნესტან-დარეჯანს დიდი ქორწილი გადაუხადა. აქედან ისინი ფრიდონის სამშობლო ქვეყანაში წავიდნენ, სადაც მათ ასმათი ელოდათ. იქაც დიდი ქორწილი გადაუხადეს ტარიელს და ნესტან-დარეჯანს. წამოვიდნენ ფრიდონისგან. მიადგნენ იმ დევთა გამოქვაბულს, რომელიც ტარიელმა დევებს წაართვა, მოინახულეს გამოქვაბულში შენახული განძი. შემდეგ კი, ავთანდილის სამშობლოში – არაბეთში წავიდნენ.

ქალაქის შორიახლოს ავთანდილმა კარავი დადგა, ხოლო როსტევან მეფესთან ტარიელი და ფრიდონი წავიდნენ. როსტევანი მათ დიდი პატივით მიეგება. ტარიელმა მეფეს ავთანდილისთვის თინათინი სთხოვა. მეფეს გაუხარდა და თანხმობა განუცხადა. ფრიდონი უკან კარავში დაბრუნდა და ავთანდილი სასახლეში წამოიყვანა. მეფე მოეხვია ავთანდილს და ჯარს მისი თაყვანისცემა უბრძანა. მალე თინათინიც მოიყვანეს და მეფე-პატარძალი სამეფო ტახტზე დასვეს. ავთანდილს გვერდით ეჯდა ტარიელი, ხოლო თინათინს – ნესტან-დარეჯანი. ფრიდონიც ავთანდილის ახლოს იჯდა. სამი დღე და ღამე გრძელდებოდა ქორწილი, რის შემდეგაც სამივე ძმადნაფიცმა გადაწყვიტა ინდოეთში გამგზავრება.

ფრიდონი, ავთანდილი და ტარიელი **40000** მხედრით ინდოეთისკენ გაემგზავრნენ. იქ მისულებს დიდებით შეეგებნენ. ტარიელი და ნესტან-დარეჯანი ერთმანეთის გვერდით დასვეს სამეფო ტახტზე. იქვე იყო ბედნიერი ასმათიც. ქორწილის შემდეგ ავთანდილი და ტარიელი გამოეთხოვნენ მასპინძლებს და დაბრუნდნენ თავიანთ ქვეყნებში.

ამირანის მითი ვეფხის-ტყაოსანში

ქართველი პოეტის და მწიგნობრის შოთა რუსთაველის გენიალურ პოემას „ვეფხის-ტყაოსანი“, მრავალი ქართველი და არაქართველი მკვლევარი საუკუნეების მანძილზე მრავალმხრივ იკვლევდა. ამის დასტურია „ვეფხის-ტყაოსანთან“ დაკავშირებულ ნაშრომთა უამრავი პუბლიკაცია.

ვეფხის-ტყაოსანი ძირითადად ქართულ მითებზე აგებული პოემაა, რომლის ძირითადი შინაარსი გადმოგვცემს, რომ რუსთაველმა ამირანის მითი დაიყვანა XII საუკუნის პერიოდის რეალურ ყოფით ცხოვრებაზე. პოეტმა ამ პოემაში სწორედ ტარიელი წარმოაჩინა ამირანის პროტოტიპად. ამას გვიდასტურებს პოემის ბოლო სტროფი:

„ამირან დარეჯანის ძე მოსეს უქია ხონელსა.
„აბდულ მესია შავთელსა, ლექსი მას უქეს რომელსა,
„დილარგეთ სარგის თმოგველსა, მას ენა დაუშრობელსა,
„ტარიელ მისსა რუსთველსა, მისთვის ცრემლ შეუშრობელსა“.

ვეფხის-ტყაოსნის თანამედროვე გამოცემაში ბოლო ხუთი სტროფი „დასასრული“-ს სახით ცალკე სათაურადაა გამოყოფილი ტექსტიდან. მეცნიერებს ტექსტის ეს ნაწილი მოგვიანებით სხვათა მიერ ჩართულად მიაჩნიათ.

ვეფხის-ტყაოსნის **1899** წლის გამოცემაში, რომელსაც ამ წიგნის დაწერის დროს ვიყენებ, ბოლო ხუთი სტროფი პირდაპირ მიბმულია ტექსტზე. მიმაჩნია, რომ პოემის ბოლო ხუთი სტროფიც შოთა რუსთაველის კალამს ეკუთვნის, ვინაიდან პოემის ბოლო სტროფში მოხსენიებული მოსე ხონელი, შავთელი და სარგის თმოგველი, რუსთაველამდე ან მისი თანამედროვე მწერლები და პოეტები იყვნენ, მათ შემოქმედებით ნაწარმოებებშიც მითოლოგიური გმირის – ამირანის თემა მეტად აქტუალური ყოფილა.

პოემის ბოლო ხუთი სტროფი რომ ნამდვილად შოთა რუსთაველის დაწერილია, ამას ადასტურებს თვით პოეტის სიტყვები:

„ვწერ ვინმე მესხი მელექსე მე რუსთავისა დაბისა“-ო.

რა არის მითები და რა კოსმიური პროცესია მათში ასახული, ამისი რეალური ახსნა დღემდე ვერავინ მოახერხა. ვეცდები ამ კითხვას ჩემი, როგორც მეტაფიზიკაში მომუშავე ადამიანის თვალსაწიერიდან გავცე პასუხი.

მითები არის დღემდე მოტანილი პირველ ადამიანთა კოსმოგონიური ცოდნა ღმერთის წინასწარდასახული გეგმის მიხედვით შექმნილი მეტაფიზიკური მრავალგანზომილებიანი სამყაროს მოწყობის და მასში მიმდინარე კოსმიური პროცესების შესახებ. მითები აღწერენ ჩვენში და ჩვენს ირგვლივ დნმ-ის დონეზე მიმდინარე კომსიურ პროცესებს.

სამყაროს ცვალებადობის არსთა წრებრუნვის კოსმიურ სურათში, რომელიც ახ. წ. 2000 წლამდე მოქმედებდა, მამა ღმერთის გული კლდეზე მიჯაჭვული ამირანის თავია, რომელიც არის საიქიოს მოსამართლე და ბუდას პოზაში გოგირდის და ცეცხლის ტბის ნაპირას ზის.

ამირანმა მოიყვანა სამყარო ცეცხლის სტიქიის კოსმიურ პერიოდამდე – ახ. წ. **2000** წლამდე, ეს არის ამირანის მიერ ხალხთან ცეცხლის მიტანა. სწორედ ამ საკითხს ეძღვნება ჩემი კვლევა – „ვინ არის მიჯაჭვული ამირანი?!“ (ნახეთ: ნ. ხ. – ქართული გენი იბერიის ცივილიზაციათა სათავეებთან, 2012 წ., გვ. 210, – „ვინ არის მიჯაჭვული ამირანი?!“).

ამირანის მითი საქართველოს ყველა კუთხეშია გავრცელებული, როგორც ხალხის ქომაგი და ბოროტ სულებთან მებრძოლი გმირი. ქართველები უშიშარ და მამაც ადამიანებზე იტყვიან ხოლმე „ამირანის გული აქვს“-ო.

ქართველ წინაპართა კოსმოგონიური აზროვნებით, „გული“ დამოუკიდებელი ცოცხალი არსებაა – ღმერთის სასუფეველი, რომელიც ადამიანის ორგანიზმში ცხოვრობს და ყველაფერი, რასაც ადამიანი განიცდის, გულს მიეწერება. გულს ადამიანის ბატონად თვლიდნენ. მიაჩნდათ, რომ ადამიანის ორგანიზმში ყველაზე მნიშვნელოვანი გულია, ადამიანის პიროვნება კი არაფერია – ადამიანის პიროვნებად მისი გული მიაჩნდათ. ეგვიპტელები

მიცვალებულებს დაბალზამებისას გულის გარდა ორგანიზმიდან ყველა ორგანოს უღებდნენ, ვინაიდან მათი წარმოდგენით ადამიანისთვის საიქიოშიც კი გული მისი მთავარი და განუყოფელი ნაწილი უნდა ყოფილიყო. უძველეს ხალხთა რწმენა-წარმოდგენებით, ადამიანის მიერ საიქიოს საზვერეების გავლისას, მისი გული სასწორზე იწონებოდა.

მიჯაჭვული ამირანი ადამიანის სამყაროს გულია, ინფორმაციული ცენტრია და მართავს მთელ სამყაროს. გული და გულისგული აქვს ნებისმიერ მიკრო და მაკრო სამყაროს. თვით დედამიწასაც აქვს გული და გულისგული. (ნახეთ: ნ. ხ. – ქართული გენი იბერიის ცივილიზაციათა სათავეებთან, 2012 წ., გვ. 218, – „სამოთხე – სამყაროს დედის უძველესი გამოსახულებები. „გული“ და „გულისგული“).

ქართველები გენეტიკურად სამყაროს შემქმნელ ხვთისშვილთა შთამომავლები ვართ, რომლებიც მუდმივად ებრძოდნენ ბოროტებას – დევებსა და ქაჯებს. ამიტომ ქართველები არიან პირველ ადამიანთა მეტაფიზიკური ცოდნის მატარებელი ხალხი, რომელთა მითებში, ეთნოგრაფიულ საკულტო რიტუალებში და არქეოლოგიურ სიმბოლიკაში ასახულია ცოდნა ვაკუუმში განსხეულებული მეტაფიზიკური მრავალგანზომილებიანი სამყაროს მოწყობის შესახებ. ბაბელონის გოდოლის დანგრევის შემდეგ ერთ ერად და ენად შეკრული ხალხი კავკასიიდან დედამიწაზე ყველა მიმართულებით განსახლდა, თან წაიღეს ეს საკრალური ცოდნა, რაც საუკუნეთა მანძილზე თაობებს ზეპირსიტყვიერად გადაეცემოდა და ამავდროულად განიცდიდა სათანადო ცვლილებას. მაგრამ მიუხედავად ამისა, ქართული მითოლოგია, ეთნოგრაფია, არქეოლოგიური სიმბოლიკის შედარებით მსოფლიოს სხვა ხალხებთან აშკარაა, რომ ქართული საკრალური ცოდნა პირველსაწყისია. ქართველი ერი ცივილიზაციათა საწყისთა საწყისი წარმომავლობისაა და ეს საკითხი მომავალში უფრო მეტად მოიპოვებს ზოგადსაკაცობრიო აღიარებას.

„ბოროტსა სძლია კეთილმან, არსება მისი გრძელია“

ეხსოვარი დროიდან მითები ძველი ცივილიზაციის ხალხებში თაობიდან თაობას ზეპირსიტყვიერად გადაეცემოდა. ერთი და იგივე თემაზე გადმოცემული მითები თითქმის ყველა ერთმანეთს ჰგავს და მათ შორის ოდნავი სხვაობაა, შეცვლილია მოქმედ პირთა სახელები. საუკუნეების მანძილზე ბევრი ადამიანი იკვლევდა და აინტერესებდათ, თუ რას ეხებოდა და სად ხდებოდა მითოლოგიაში ასახული ამბები. ზოგს მიაჩნდა, რომ ეს ყველაფერი ზღაპარია და არარეალურია. ზოგმა ხალხმა მითები ისტორიულ ფაქტად აღიარა. მაგრამ მითების ნამდვილ რაობას დღემდე ვერავინ ჩასწვდა.

თითქმის 30 წელია ვმუშაობ ქართულ და მსოფლიოს სხვადასხვა ხალხთა მითოლოგია, ეთნოგრაფია, არქეოლოგიურ მასალებში სიმბოლიკის ენით გადმოცემულ კოსმოგონიური ცოდნის შესწავლა-შემეცნების საკითხებზე. სწორედ ამ საგანძურში დავინახე და წარმოვაჩინე პირველ ადამიანთა ცოდნა მრავალგანზომილებიანი სამყაროს მეტაფიზიკური მოწყობის შესახებ. ამ სიბრძნით არის გაჯერებული ვეფხის-ტყაოსანი მთლიანად. ამ ცოდნას გადმოგვცემს ვეფხის-ტყაოსნის მთლიანი შინაარსი და, განსაკუთრებით, აფორიზმები, რომელიც ცალკე შესწავლის საკითხი უნდა გახდეს.

ვეფხის-ტყაოსნის შინაარსი მკითხველს ერთი შეხედვით ძალიან მარტივ ყოფითი ამბის გადმოცემად მოეჩვენება. მაგრამ ეს ასე არ არის. ამ წიგნში შეძლებისდაგვარად წარმოვაჩინე თუ როგორ აისახება ვეფხის-ტყაოსანში ქართული მითოლოგია, რომელშიც გადმოცემულია პირველ ადამიანთა მეტაფიზიკური კოსმოგონიური ცოდნა სამყაროში ცოცხალი, თვალით უხილავი, გენეტიკური კოდის დონეზე მიმდინარე კოსმიური პროცესების შესახებ.

შოთა რუსთაველი იყო ადამიანი, რომელიც კარგად იცნობდა ცოდნას სამყაროს ხვთაებრივი კანონების შესახებ და ეს ცოდნა ვეფხის-ტყაოსნის სახით დაუტოვა როგორც ქართველ ხალხს, ისე მთელ კაცობრიობას. მომავალში თაობები იმუშავებენ ამ პოემაზე, რათა შეისწავლონ, შეიმეცნონ და წარმოაჩინონ ხილული და უხილავი სამყაროს ერთიანი კოსმიური პროცესის ხვთაებრივი კანონზომიერება.

განვიხილოთ ვეფხის-ტყაოსანი ქართულ მითოლოგიასთან მიმართებაში. ამ კუთხით ყველაზე მნიშვნელოვანია ტარიელის მიერ მისი ორი ძმადნაფიცის ავთანდილის და ფრიდონის დახმარებით ქაჯეთის ციხიდან ნესტან-დარეჯანის განთავისუფლება. ეს სიუჟეტი ძალიან ჰგავს ამირანის მიერ ყამარის განთავისუფლებას ცაზე ჯაჭვით ჩამოკიდებული კოშკიდან, რომელიც ქაჯთა ხელმწიფის შვილია და მამამ გამოამწყვდია ბროლის კოშკში. ამირანს ყამარის განთავისუფლებაში ძმადნაფიცები ბადრი და უსუპი ეხმარებიან.

როგორ ახასიათებს ქართული მითოლოგია ქაჯებს?!

ქაჯები გამოქვაბულში ცხოვრობდნენ. ისინი გონიერი, დიდტანიანი და ღონიერი არსებები იყვნენ, კლდეების და მდინარეების ზედაპირზე თავისუფლად დაქროდნენ, თუ მოინდომებდნენ დღეს ღამედ გადააქცევდნენ. ისინი ისე ამოეწყვიტათ ხვთისშვილებს, რომ ცოცხლები მოთვინიერდნენ. თავიანთ ძალ-ღონეს შრომაში ხარჯავდნენ და კმაყოფილებიც იყვნენ. უძველეს ხალხთა რწმენა-წარმოდგენებით **ქაჯების მოთვინიერება შეუძლებელია**.

რუსთაველის ვეფხის-ტყაოსანში ქაჯები შემდეგნაირადაა დახასიათებული: ისინი ერთად შეკრებილი გრძნეულების მცოდნეები არიან, ამაში არიან დახელოვნებული. ყველა ადამიანს ავნებენ, მათ კი ვერავინ ავნებს. მათთან მებრძოლები წამოვლენ დაბრმავებულები და გაწბილებულები. საშინელ საქმეებს აკეთებენ: – ქარიშხლებს იწვევენ, ზღვაზე მტრის ნავებს დაამხობენ; წყალზე, როგორც ხმელეთზე, ისე გაირბენენ; წყალს დააშრობენ,

დღეს დააბნელებენ. ყველაფერ ამისთვის მათ ქაჯებს ეძახიან. ისე ჩვენსავით ხორციელნი არიან. ისინი არიან მძარცველები და მეკობრეები. ქაჯებს უთვალავი ლაშქარი ჰყავთ. რუსთაველს ეს „ადამიანები“ შავი მონების სახით ჰყავს წარმოდგენილი.

ფატმანის მიერ ქაჯეთს ნესტან-დარეჯანის ამბის გასაგებად გაგზავნილი ორი შავი გრძნეული მონა უკან დაბრუნდა და ქაჯების შესახებ ჰკითხეს: **„ქაჯი ყველა უხორცოა, რამან შექმნა ხორციელად“**-ო?! ფატმანმა უპასუხა: **„რა ქაჯნია, კაცნიაო, მინდობიან კლდესა სალსა“**; რაც გადმოგვცემს რუსთაველის ეპოქის ხალხის რწმენა-წარმოდგენებს ქაჯების შესახებ – ქაჯები ადრე „უხორცო“, ანუ მატერიალური სხეულის გარეშე თვალისთვის უხილავნი ყოფილან და სვამენ კითხვას – „რამან შექმნა ხორციელად“-ო? მნიშვნელოვანია ფატმანის პასუხი – „რა ქაჯნია, კაცნიაო“. ამ მსჯელობით ცხადია **ყოფილა დრო, როცა ქაჯები „უხორცონი“, ანუ თვალით უხილავნი იყვნენ, მაგრამ რუსთაველის ეპოქაში ისინი უკვე ხორციელნი არიან და ადამიანების სახე აქვთ მიღებული**. ამას გვეუბნება ქართული მითოლოგიაც – **„ისე ამოუწყვეტიათ ხვთისშვილებს, რომ ცოცხლები მოთვინიერდნენ, თავიანთ ძალ-ღონეს შრომაში ხარჯავდნენ და კმაყოფილებიც იყვნენ“**-ო. მაგრამ ხალხთა რწმენა-წარმოდგენებით **„ქაჯების მოთვინიერება არ შეიძლება“**, ანუ ყველაფრის მიუხედავად, ქაჯები სამუდამოდ ბოროტ ავსულებად რჩებიან. რაც შეეხება საკითხს – „რამან შექმნა (ისინი) ხორციელად?“, რა თქმა უნდა, ღმერთმა, ვის გარეშეც არავინ და არაფერი იქმნება. ყველაფერი ღმერთის ნებაა, ღმერთის მიერ წინასწარ დასახული გეგმის ნაწილია. დროის ამ პერიოდისთვის ალბათ ასეა საჭირო. ავსულები – ქაჯები ამ პერიოდის კოსმიურ პროცესში თავის საქმეს აკეთებენ, ღმერთისგან დავალებულ თავის კოსმიურ მისიას ასრულებენ. ყველაფერს თავისი დრო აქვს. მაგრამ **მათი არსებობა ამქვეყნად დროებითია**.

ამის შესახებ რუსთაველი ამბობს: **„განგებასა ვერვინ შეცვ-**

ლის, არ საქმნელი არ იქმნების“-ო და ასევე სვამს კითხვას: **„ბოროტიცა რად შეექმნა კეთილისა შემოქმედსა“**-ო? ამ სიტყვებით რუსთაველს იმის თქმა სურს, რომ ბოროტიც და კეთილიც – ორივე სამყაროს შემოქმედი ღმერთის შექმნილია.

ქართველთა ხვთისშვილები, რომლებიც არიან ნახევარღმერთები, ნახევარმზეები, ბერები, ბედის ბედაურის მფლობელები, მუდმივად არიან დევებთან და ქაჯებთან მებრძოლები და ყოველთვის იმარჯვებენ მათზე. ხვთისშვილმა კოპალამ ქაჯებთან ბრძოლაში ლომი მოიპოვა, რომელიც ქაჯთა ძაღლი ეგონა, ბუქნა ბაადურმა – ხარი, თერგვაულმა – თეთრი მთის ქორი, ხოლო ქართველთა მითებით ბოლო **64**-ე ხვთისშვილმა იახსარმა თავისი დობილი – სამძივარი მოიპოვა. აქაც, ხვთისშვილი იახსარი, რომელიც არის მამაღმერთის ერთ-ერთი სახე, ქაჯებისგან ათავისუფლებს თავის დობილს – ქალს და ამ ორი ნახევარმზის შეერთება ქმნის გამთლიანებულ მზეს, ანუ ოქროს საწმისის – ცეცხლის სტიქიის ენერგიას. ქართულ მითოლოგიაში მზე ქალია – ქალღმერთია. ეს კოსმიური პროცესი გენეტიკურ დონეზე აისახება ყოველ მიკრო და მაკრო სამყაროზე.

შუმერი (ძვ. წ. 3400 წ.)

ზემოთ განხილული კოსმიური პროცესი კარგად არის წარმოდგენილი შუმერთა ქვის ბეჭედზე (ძვ. წ. 3400 წ.), სადაც პირველი ღმერთკაცი ქართველთა ხვთისშვილი კოპალაა ლომთან

ერთად გამოსახული, დროში შეესაბამება ძვ. წ. **1000** წელი. მეორე ღმერთკაცი ხვთისშვილი ბუქნა ბაადურია, გამოსახულია თევზის ზოდიაქოს დროის მდინარის დასაწყისში, ნათლობის ემბაზში, გულზე დიდი ჯვარით, თავზე სულიწმინდის ანგელოზი ადგას, აქვეა ჩვილი ხბო. ზუსტად ასეთი ხბო ასახულია ბაგრატის ტაძრის შესასვლელ კართან სვეტის თავზე. იგი წყლის სტიქიის გაცხადებაა. თევზის ზოდიაქოს დასაწყისს დროში შეესაბამება ახ. წელთაღრიცხვის დასაწყისი, ანუ ნული წელი. მესამე ღმერთკაცი ხვთისშვილი თერგვაულია, გამოსახულია თევზის ზოდიაქოს დროის მდინარის შუაში, ხელში თეთრი მთის ქორით, მხრებზე მზის სხივთა ბადე აქვს მოსხმული, დროში შეესაბამება ახ. წ. **1000**წ. მეოთხე ხვთისშვილი არის დობილიანი იახსარი, გამოსახულია ორსახა ღმერთის სახით. თევზის ზოდიაქოს მდინარის ბოლოში, ერთი სახე კაცია, ხოლო მეორე – ქალი, დროში შეესაბამება ახ. წ. **2000** წელი, ის ცეცხლის სტიქიის გაცხადებაა.

შუმერთა ქვის ბეჭედზე ქართული მითის ასახვა არ გაგვიკვირდება, ვინაიდან ქართველები არიან შუმერთა წინაპრები და მათ ეს მითები ერთ დროს საქართველოდან შუმერში წაიღეს, თუმცა ზეპირსიტყვიერად გადმოცემული მითები დღეს შუმერულ მითოლოგიაში ამ სახით აღარ არის შემორჩენილი, მაგრამ ქართული მითების კვალი კარგადაა შენარჩუნებული არქეოლოგიურ მასალაზე (ნახეთ: ნ. ხ. – „ქართველები შუმერთა წინაპრები“, 2013 წ.).

ამირანის და კოპალა–იახსარის მითების მიხედვით წარმოჩინდება სამყაროში მიმდინარე კოსმიური პროცესის უმნიშვნელოვანესი საკითხი – კეთილისა და ბოროტის ბრძოლა, სადაც ხდება ბოროტი ავსულებისგან ქალის – ქალღმერთის განთავისუფლება, რისთვისაც იბრძვის ამირანი ძმადნაფიცებთან – ბადრისთან და უსუპისთან ერთად, ხოლო კოპალა – ბუქნა ბაადურთან და თერგვაულთან ერთად. შუმერთა ქვის ბეჭედზე ეს კოსმიური პროცესი დროშია ასახული – ქაჯებისგან ქალის – ქალღმერთის გან-

თავისფულება ხდება თევზის ზოდიაქოს ბოლოს, ანუ ახ. წ. **2000** წლისათვის, რაც ასახულია ქართულ მითოლოგიაში. ეს კოსმიური პროცესი ვეფხის-ტყაოსანშიც კარგადაა წარმოდგენილი.

კოპალა

ბაადური

ვეფხის-ტყაოსნის მიხედვით ტარიელი თავის ძმადნაფიცებთან – ავთანდილთან და ფრიდონთან ერთად ებრძვის ქაჯებს საყვარელი ქალის გამოსახსნელად. ისინი ამოწყვეტენ ქაჯებს და ქაჯთა ქალაქ-სახელმწიფოს ზღვათა მეფეს ჩუქნიან, რის შემდეგაც ტარიელი და ნესტან-დარეჯანი ქორწინდებიან, ანუ შეუღლდებიან.

თუ შუმერთა ქვის ბეჭედზე **5400** წლის წინ ასახულ წინასწარმეტყველებას გავითვალისწინებთ, ეს კოსმიური მომენტი, ანუ **ბოროტი ძალების დამარცხება მოხდა ახ. წ. 2000 წელს და, ასე ვთქვათ, ქაჯთა ქალაქ-სახელმწიფომ არსებობა შეწყვიტა**.

ახლა იგივე საკითხს სხვა კუთხით შევხედოთ: ამირანი არის დევების „მჟლეტელი“; ტარიელმა ამოხოცა დევები და მათი საცხოვრებელი გამოქვაბულები დაიკავა; ქართველთა ხვთისშვილებიც ებრძვიან დევებს და ამარცხებენ მათ; ამირანის მითშიც,

როცა მან შეიტყო დევების მოსვლა, შვიდივე კარი დალეწა და დევები ამოხოცა; ქართველთა ხვთისშვილები დევების შემდეგ კიდევ ერთი დღე ქაჯებს ებრძვიან. ეს მიგვანიშნებს, რომ ამირანი **7** დღე დევებს ებრძოდა, ისევე როგორც იახსარი, ხოლო ერთი დღე – ქაჯებს ე.ი. სულ **8** დღე ებრძოდა ავსულებს, რაც „ათასი ვითარცა ერთი“-ს (იოვანე-ზოსიმეს „ქებაჲ“, X ს.) მიხედვით **8000** წელია. ეს თარიღი კაბალას ბიბლიური გენეტიკური კოდით, რომელიც მხოლოდ ქართულ ანბანში აისახება, არის „ქართ ადამს აქათ“ **8000** წელი, რომელიც ახ. წ. **2000** წელს შეესაბამება, ხოლო ქართულ ანბანში შეესაბამება **ჯ-8000** ასო-ნიშნის კოსმიურ პერიოდს.

ერთ-ერთი მითოლოგიური გადმოცემით, ღმერთმა შექმნა ადამი. მას თიხისგან ცოლი შეუქმნა და დაარქვა ლილითი. მას სურდა ადამის თანაბარი უფლებები ჰქონოდა და ედავებოდა, რომ ისინი ორივენი თიხისგან არიან შექმნილები. ვერ დაარწმუნა ამაში ადამი, გაფრინდა მისგან და ავსულად გადაიქცა. წინასწარმეტყველებაა, რომ მომავალში იგი ისევ სიკეთის, სიყვარულის და ადამიანთა მფარველ ქალღმერთად გარდაისახება. ეს საკითხი კაბალას III არკანშია წარმოჩენილი. სხვადასხვა ხალხთა მითებით ის ცხოველების სახით ბრუნდება. ვფიქრობ, ამას უკავშირდება ცხოველთა თაყვანისცემა როგორც წარმართულ, ისე თანამედროვე რელიგიებში. შუმერში „ლილ“ იყო მესამე ელემენტი, რომელიც ცასა და მიწას შორის იყო განთავსებული. იგი **„შუ“**, მზე **„რა“** – სამყაროს ცენტრი – გულია, ამას უკავშირდება შუმერთა უზენაესი ღმერთის ენლილის სახელიც. სვანურ მითოლოგიაში ჰიმნის სახით შემორჩენილია „თეთრი მზის“ ხვთაება – „ლილე“-ს სახელით.

ვეფხის-ტყაოსანში ტარიელი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, იგივე ქართველთა ხვთისშვილი კოპალა და ამირანია. სამივე დევებთან და ქაჯებთან იბრძვის. ტარიელი და „მგლის მუხლა“ ამირანი ქაჯებისგან და დევებისგან ათავისუფლებენ ავსულთა ციხე-კოშკში გამოკეტილ ქალს, ხოლო კოპალამ ქაჯებთან ბრძოლაში ლომი

მოიპოვა, რომელიც „ქაჯთა ძაღლი ეგონა“. შუმერთა ქვის ბეჭედზე კოპალა მიწის სტიქიის გაცხადებაა და ლომთან ერთადაა გამოსახული. თვით ტარიელიც პოემაში ლომის და მზის ეპითეტებითაა მოხსენიებული. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, გაბოროტებული ქალღმერთი ცხოველების სახით ბრუნდება და ბოლოს ემსგავსება ქალღმერთს – ეს შუმერთა ქვის ბეჭედზე კარგადაა ასახული. კაბალას ცოდნის III არკანში ნათქვამია, რომ ამ დროს ის აღარ არის ბოროტი სული და ბრუნდება, როგორც სიკეთის ქალღმერთი. მიწის სტიქიის სიმბოლური ასახვაა: მგელი, ძაღლი, ლომი, ვეფხვი, ამას უკავშირდება ტარიელის ცხენის შავი ფერიც.

ამ საკითხთან დაკავშირებით გავიხსენოთ ტარიელის შესახებ შემდეგი სტრიქონები:

„შავი ცხენი სადავითა ჰყვა ლომსა და ვითა გმირსა“
„მას ტანსა კაბა ემოსა, გარე თმა ვეფხის ტყავისა,
„ვეფხის ტყავისა ქუდივე იყო სარქმელი თავისა“.

ტარიელი ამბობს, ვეფხის ტყავი იმიტომ მაცვია:

„რომე ვეფხი მშვენიერი სახედ მისად დამისახავს
ამად მიყვარს ტყავი მისი კაბად ჩემად მომინახავს“-ო.

ე.ი. ტარიელი ვეფხვის სახეში თავის მიჯნურს ნესტან-დარეჯანს ხედავს. ამ აზრის გამომხატველია ის მომენტიც, როცა ტარიელი ვეფხვს ხელით შეიპყრობს, ამბობს – ნესტან-დარეჯანის სიყვარულით მისი კოცნა მომინდაო:

„მის გამო კოცნა მომინდა, ვინ მწვავს ცეცხლითა ცხელითა“-ო.

აშკარაა, რომ ტარიელი ვეფხვში თავის სატრფოს ნესტან-დარეჯანს ხედავს, ანუ ქალღმერთი ვეფხვის სახეს ღებულობს და ბოლოს ქალის სახით ბრუნდება.

დაგონების (ეგვიპტე – სუდანი) მითოლოგია განიხილავს სამყაროს პირველსაწყის მდგომარეობას, როცა დრო ჯერ კიდევ გაჩერებული იყო. ვეფხის-ტყაოსანი სამყაროს ამ კოსმიურ მომენტს ასე აღწერს:

„...ჰე, მზეო, ვინ ხატად გთქვის მზიანისა ღამისად,
ერთ-არსებისა ერთისა, მის უჟამოსა ჟამისად...“

ეს სიტყვები ამტკიცებს, რომ XII საუკუნეში ჯერ კიდევ იცოდნენ ქართველებმა **„უჟამო ჟამის“,** ანუ იმ კოსმიური პერიოდის შესახებ, როცა დრო „გაჩერებული“ იყო და ეს ხდებოდა მაშინ, როცა სამება ერთარსი და განუყოფელი იყო. ე.ი. დრო ყოველთვის არსებობდა, ხოლო „უჟამო ჟამი“ სამყაროს გაჩერებულ დროში მოიაზრებდა. ეს იყო სამყაროს პირველსაწყისი მდგომარეობა. იმ დროს „სივრცე“, ანუ მატერია ჯერ კიდევ არ არსებობდა, ვინაიდან სივრცე დროის გარეშე არ არსებობს. ყველას და ყველაფერს სამყაროში უფლისგან დასახული პირადი გენეტიკური გეგმა – თავისი დრო აქვს. რუსთაველი გვეუბნება, სწორედ **„უჟამო ჟამის“ „მზე“** არის ჩვენი ხატიო. ე.ი. ღმერთი **„უჟამო ჟამის“ „მზე“** ყოფილა (ნახეთ აქვე: „სული მარადიული, დროსა და სივრცეში გარდასახვადი ხვთაებრივი პირველსაწყისია“).

თერგვაული

იახსარი

ერთარსმა სამებამ როცა დაიწყო **„უჟამო ჟამიდან“** სამყაროს განსხეულება დროსა და სივრცეში, ერთარსიდან წარმოიქმნა **4** მდედრი და **4** მამრი საწყისი – სულ **8**, რაც უკავშირდება **4** საწ-

ყისს – მიწა, წყალი, ჰაერი, ცეცხლი, რისგანაც შედგება სამყაროში ყველაფერი.

ადამის ცივილიზაცია **4** მიკროციკლისგან შედგება. თითოეული ქართული ანბანის კაბალას გენეტიკური კოდით გრძელდება **10000** წელი. თითოეული მიკროციკლის დასასრულს ერთიანდება ერთი წყვილი მდედრი და მამრი პირველსაწყისი. როგორც ქართული მითოლოგია გადმოგვცემს, რაც შუმერის ქვის ბეჭედზე კარგადაა ასახული, ხვთისშვილები ცხოველებს და ფრინველებს მოიპოვებენ ქაჯებთან და დევებთან ბრძოლაში, ანუ **კოპალას** მიერ მოპოვებული ლომი არის ქალღმერთის ერთ-ერთი სახე. ამ შემთხვევაში **კოპალა** მიწის სტიქიის გაცხადებაა. **ბუქნა ბაადურის** შემთხვევაში, რომელიც წყლის სტიქიის გაცხადებაა, ქალღმერთმა მიიღო ჩვილი ხბოს ან ხარის სახე. **თერგვაულის** შემთხვევაში, რომელიც არის ჰაერის სტიქიის გაცხადება. ქალღმერთმა მიიღო თეთრი მთის ქორის (არწივის) სახე. ხოლო დობილიანი **იახსარის** შემთხვევაში, რომელიც არის ცეცხლის სტიქიის გაცხადება, მიიღო ორსახა ღმერთის სახე, რომლის ერთი სახე ქალია, მეორე – კაცი. ახ. წ. 2000 წლისთვის ქალღმერთმა უკვე მიიღო ქალის სახე. ოთხივე სტიქიის სიმბოლურ გამოსახულებებს ერთ კომპოზიციაში სფინქსის სახით გამოსახავდნენ, რომელსაც თათები აქვს ლომის, მხრები – ხარის, ფრთები – არწივის და სახე – ქალის.

ქართული მითოლოგიით მხოლოდ **64**-ე ხვთისშვილი **დობილიანი იახსარი მოიპოვებს ქალს**. შუმერთა ქვის ბეჭედზე დობილიანი იახსარი – ორსახა ღმერთი გამოსახულია თევზის ზოდიაქოს ბოლოს, ანუ ახ. წ. **2000** წელს, რაც კაბალას კოდით არის „ქართ ადამს აქათ“ **8000** წელი, რომელსაც ქართულ ანბანში შეესაბამება **ჯ**–**8000** ასო-ნიშნის კოსმიური პერიოდი. ახ. წ. **2000** წელს დაიწყო ცეცხლის სტიქიის კოსმიური პერიოდი, გაგრძელდება და მოიცავს მერწყულის ზოდიაქოს მთელ პერიოდს – **2000** წელს. ახლა ვართ ადამის ცივილიზაციის **IV** ციკლში.

ახ. წ. 2000 წელი არის ბოროტი სულების – ქაჯების და დევების უარყოფითი ენერგიის დასასრულის დასაწყისი, გაგრძელდება ახ. წ. **4000** წლამდე, ანუ „ქართ ადამს აქათ“ **10000** წლამდე, რის შემდეგაც უარყოფითი ენერგიისგან განწმენდილი სამყარო გადავა ცივილიზაციის ახალ ციკლში.

შოთა რუსთაველი ცხოვრობდა და მოღვაწეობდა ადამის ცივილიზაციის **IV** მიკროციკლის მერვე ათასწლეულში – **XII** საუკუნეში, რომელიც არის **„ქართ ადამს აქათ“ 7200** წელი (ქრისტე მოვიდა ამ ქვეყანაზე „ქართ ადამს აქათ“ **6000** წელს). ე.ი. ვეფხისტყაოსანი დაიწერა ადამის ცივილიზაციის მერვე ათასწლეულში. სწორედ ამ საკითხის მინიშნებად მიმაჩნია „ვეფხის-ტყაოსანში“ შემდეგი სიტყვები: **„სიახლითა შევრთე ჭირი შვიდსა მერვ**ა“-ო, სხვა ადგილას ნახსენებია სიტყვა **„მერვე“**, რაც მიგვანიშნებს, რომ სამოთხე – **4** მდედრი და **3** მამრი, იპოვის **IV** მამრ საწყისს, ხდება **8,** ანუ სრულქმნილი პირველსაწყისი (ნახეთ: ნ. ხ. – „ქართული გენი იბერიის ცივილიზაციათა სათავეებთან“, 2012 წ., გვ. 218 – „სამოთხე – სამყაროს დედის უძველესი გამოსახულებები „გული“ და „გულისგული“). ქართული მითოლოგიით ხდება ორი ნახევარმზის – მდედრის და მამრი საწყისების შერწყმა, შეუღლება, ქორწინება, რომლებიც ქმნიან გამთლიანებულ მზეს, ოქროს საწმისს, ცეცხლის სტიქიის კოსმიურ პერიოდს, რასაც უკავშირდება დედამიწაზე ე.წ. **„გლობალური დათბობა“**, და აისახება ყოველ უჯრედში დნმ-ის დონეზე.

სწორედ ამ საკითხს უკავშირდება მითოლოგიური სიმბოლიკით გადმოცემული კოსმიური პროცესი, რომელიც აისახება პოემაში „ვეფხის-ტყაოსანი“. ქართველთა „სამძივარი“ ვეფხისტყაოსანში ქაჯეთის ციხიდან გამოხსნილი ნესტან-დარეჯანია. სიტყვა „დარეჯანი“ განვიხილოთ ორ ნაწილად: სიტყვა „დარე“ – „დარი“ მზეს ნიშნავს, ხოლო **„ჯან“** – **„ჯანუ“ 33** წლის მარადქალწულს და „სამოთხეს“. **„ჯან“** არის ასევე ქართული ანბანის **ჯ**–**ჯან**–**8000** ასო-ნიშანი. მაშასადამე, ნესტან-დარეჯანის ქაჯე-

ბისგან გამოხსნის თარიღის მიმანიშნებელია თვით მისი სახელი „დარეჯანი“, რომელიც მითოლოგიურად ცეცხლის სტიქიის ქალ-ღმერთია. ამის მიმანიშნებელია ხატაელებთან და ქაჯებთან მებრ-ძოლი ტარიელის მიერ ნესტან-დარეჯანის განთავისუფლება და მათი ქორწინება. ენერგეტიკულად მიმდინარეობს ორი კოსმიური პირველსაწყისი **„ინ“** და **„იან“**-ის ენერგიათა შერწყმა-შეერთება, სამყარო უბრუნდება პირველსაწყისს.

ვეფხის-ტყაოსნის მთავარი გმირებია ავთანდილი, ტარიელი და ფრიდონი. დავახასიათოთ თითოეული ვეფხის-ტყაოსნის ტექს-ტის მიხედვით ქართულ მითოლოგიასთან მიმართებაში:

1. **ტარიელი** – **Ინ**დოეთის მეფის შვილობილი და აღზრდილია, აცვია ვეფხვის ტყავის სამოსი, ვინაიდან მასში თავის დაკარ-გულ სატრფოს ხედავს. ის ებრძვის ხატაელებს, ანუ ხატის ხალხს, ამავე დროს ებრძვის დევებს და ქაჯებს; ზის შავ ცხ-ენზე; ცხოვრობს გამოქვაბულში, რომელიც დევებს წაართვა და მათი განძი-ქონება მიითვისა; ქაჯებთან ბრძოლისას დე-ვების განძში მოძიებულ სპეციალურ საბრძოლო სამოსს იც-ვამს, რათა გაიმარჯვოს მათზე. შუმერთა ქვის ბეჭედზე ასახ-ული კოსმიური პროცესის და ქართული მითების მიხედვით, ტარიელი მიწის სტიქიის გაცხადებაა, გამოსახულია ლომთან ერთად. ტარიელი იგივე ხვთისშვილი კოპალაა, რომელიც **4** დღე დევებს ებრძოდა და ერთი დღე ქაჯებს, ანუ ქაჯებთან და დევებთან სულ **5** დღე იბრძოდა და ლომი მოიპოვა, რაც მი-წის სტიქიის სიმბოლური ასახვაა. მიწის სტიქიას სხვადასხვა ხალხები გამოსახავდნენ ძაღლის, მგლის, ლომის, ვეფხვის სახით. ვეფხის-ტყაოსნის შემთხვევაში ვეფხვი ნესტან-დარე-ჯანთან ასოცირდება, რომლის სამოსი მწვანე ფერისაა. ფერ-ების სიმბოლიკიდან გამომდინარე შავი და მწვანე – ზურ-მუხტის ფერები მიწის სტიქიისთვისაა დამახასიათებელი. ტარიელი იგივე ქართველთა ამირანია, რომელიც ებრძვის დევებს, ანთავისუფლებს თავის შეყვარებულ ქალს – ყამარს,

რომელიც მამას ზეცაში ჩამოკიდებულ ბროლის კოშკში ჰყავს გამოკეტილი. ტარიელიც ანთავისუფლებს თავის შეყვარე-ბულ ნესტან-დარეჯანს, რომელიც ქაჯეთის მეფეს ქაჯეთის ქალაქის ციხე-კოშკში ჰყავს გამოკეტილი.

2. **ავთანდილი** – არაბეთის მეფის შვილობილი და აღზრდილია. ქართული მითებით ის ხვთისშვილი ბუქნა ბაადურია – წყლის ბერი. შუმერთა ქვის ბეჭედზე ის ასახულია თევზის ზოდიაქოს დროის მდინარის დასაწყისში, ნათლობის ემბაზში, გულზე ჰკიდია დიდი ჯვარი. ის წყლის სტიქიის გაცხადებაა. ქვის ბეჭედზე ასახული მეორე ღმერთკაცი შუმერთა მითოლოგიით მთვარის ღმერთი **„სინ“**-ია, რომლის თანმხლები ცხოველია ხარი – ჩვილი ხბო. ავთანდილი იგივე ქართველთა ბაადურია. სიტყვა „ბადრი“ ქართულ ენაში მთვარეს და „თეთრს“ ნიშ-ნავს. ბაადურს ბეჭზე მთვარე აქვს გამოსახული. სახელები „ბაადური“ და „ბადრი“ ერთი სიტყვისგანაა წარმომდგარი. ავთანდილი, ბაადური და ბადრი, სამივე ბოროტ სულებთან – დევებთან და ქაჯებთან – მებრძოლები არიან. ავთანდილს დევთა გამოქვაბულში ნაპოვნი სპეციალური საბრძოლო სა-მოსი აცვია და ისე ებრძვის ქაჯებს. ავთანდილი თეთრ ცხენზე ზის.

3. **ფრიდონი** – ავთანდილის და ტარიელის ძმადნაფიცია, რომელ-იც მათთან ერთად ებრძვის ქაჯებს. მისი სახელი „ფრიდონი“ ასოცირდება ფრენასთან, ანუ ჰაერის სტიქიასთან, რომელიც შუმერთა ქვის ბეჭედზე თევზის ზოდიაქოს დროის მდინარის შუაში დგას, მხრებზე მზის სხივთა ბადე აქვს მოსხმული, ხელში უკავია თეთრი მთის ქორი, რაც ჰაერის სტიქიის სიმ-ბოლური გამოსახულებაა. ფრიდონი ქართულ მითოლოგიაში ხვთისშვილი თერგვაული და უსუპია, რომელსაც ბეჭზე მზე აქვს გამოსახული. შუმერთა ქვის ბეჭედზე ფრიდონი მესა-მე ღმერთკაცია, რომელსაც ასევე სპეციალური საბრძოლო ტანსაცმელი აცვია და ისე ებრძვის ქაჯებს.

ზემოთ აღწერილის მიხედვით, ტარიელი – ავთანდილი – ფრიდონი, კოპალა – ბაადური – თეგვაული, ამირანი – ბადრი – უსუპი, სამივე სამეული არიან ძმადნაფიცები, ანუ ძმები, რომლებიც ბოროტებასთან და ბოროტ სულებთან იბრძვიან.

უაღრესად მნიშვნელოვანია, რომ **ვეფხის-ტყაოსანში მხოლოდ ტარიელი ებრძვის როგორც დევებს და ქაჯებს, ასევე ებრძვის ხატაელებს,** ანუ ხატის – ღმერთის ხალხს. ტარიელს ხატაველებთან საბრძოლველად თვით მისი საცოლე და შეყვარებული ნესტან-დარეჯანი აგზავნის. თვით ნესტან-დარეჯანს ზრდის მამიდა, რომელიც ქაჯეთს გათხოვილი ქვრივია და ძმის დავალებით, ანუ ნესტან-დარეჯანის მამის დავალებით თავის ძმისშვილს ქაჯების სიბრძნეს ასწავლის. ქაჯეთის ციხეში ნესტან-დარეჯანსაც უპირებენ ქაჯეთის მეფის შვილზე გათხოვებას, რომელიც ქაჯეთის მეფის ამ განზრახვას თითქოს შეეგუა კიდეც. ნესტან-დარეჯანი ქართულ მითოლოგიაში ასევე ასოცირდება სამძივართან, რომელიც არის ბოლო **64**-ე ხვთისშვილის დობილი. მითის ერთ ფრაზაში იახსარი მიმართავს სამძივარს – „დამეხსენ ქაჯის ქალო“-ო. თვით ტარიელი და ნესტან-დარეჯანი ინდოეთის სახელმწიფოს შვილები არიან. ეს ყველაფერი ძალიან მნიშვნელოვანია და შემთხვევით არა აქვს მოყვანილი რუსთაველს „ვეფხის-ტყაოსანში“.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ტარიელი იგივე ამირანი და კოპალაა, მაგრამ მათ შორის სხვაობა ისაა, რომ ამირანი და კოპალა მხოლოდ ბოროტებას – დევებს და ქაჯებს ებრძვიან, ხოლო ტარიელი ებრძვის როგორც დევებსა და ქაჯებს, ასევე ხატაველებს – ხატის, ანუ ღმერთის ხალხს. ვინაიდან სამყაროში ღმერთის გარეშე არაფერი ხდება, გავარკვიოთ რასთანაა ყველაფერი ეს დაკავშირებული. მიმაჩნია, რომ ამირანი და კოპალა პირველსაწყისი მითოლოგიური ხვთაებრივი გმირები არიან, ხოლო ტარიელი – XII საუკუნის, ანუ ბოლო ჟამის. ტარიელი ადამის ცივილიზაციის IV ციკლის ამირანის და კოპალას პროტოტიპი ხვთაებრივი გმირია. ალბათ ამითაა განპირობებული ტარიელის ბრძოლა

ერთდროულად ქაჯებთან და დევებთან, და ასევე, ხატაველებთან. შევეცადოთ უფრო ნათლად წარმოვაჩინოთ ეს საკითხი.

ადამის ცივილიზაციაში უფლის შესაქმის გვირგვინი თვით ადამიანია, რომელიც შედგება „ინ“ და „იან“-ისგან. რა კოსმიური პროცესებიც მიმდინარეობს ადამიანში, მსგავსი კოსმიური პროცესები მიმდინარეობს სამყაროში. თვით სამყაროც ერთიანი დიდი მრავალგანზომილებიანი მეტაფიზიკური ორგანიზმია. განვიხილოთ ტარიელის მოქმედება, რომელიც გენეტიკურად **Ინ**დოელია: ის ებრძვის **„ინ“**-ს – ქაჯებს და დევებს, ებრძვის ასევე ხატაველებს, ანუ **„ან“**-ის – ღმერთის ხალხს. მაშასადამე, ტარიელი ინდოელია, ანუ **„ინ“**-ია, რომელიც ებრძვის ქაჯებს და დევებს, ის ამავდროულად ხატაველებთანაა დაპირისპირებული. **„ინ“** უარყოფითი საწყისი **„ინ“** და **„იან“** საწყისებთან ხომ ორივე შემთხვევაში ფიგურირებს, ვინაიდან თვით **„იან“**-ი თავის მხრივ შედგება ორი მდგენელისგან – „**ი-ან**“, ანუ **„ინ“**-ისგან და **„ან“**-ისგან. ეს საკითხი ვეფხის-ტყაოსანში შემთხვევით არ არის წარმოდგენილი. თვით ტარიელის მოქმედება არის გამოვლინება ადამიანში და სამყაროში გენეტიკურ დონეზე მიმდინარე ურთიერთსაპირისპირო „ინ“ და „იან“ ძალთა კოსმიური პროცესისა. იგივე კოსმიური პროცესი სამყაროში ქრომოსომების დონეზეც აისახება – „ინ“ მდედრი საწყისი „**X**“ ქრომოსომაა, „იან“ მამრი საწყისი „**XY**“ ქრომოსომა (ნახეთ წიგნი: ნ. ხ. – „ქართული გენი იბერიის ცივილიზაციათა სათავეებთან“, 2012 წ., გვ. 355 – „გენეტიკური კოდის სამი სპირალი“).

ეს ყველაფერი მიმანიშნებელია იმისა, რომ ადამიანების სხეულში მოსული ბოროტი ძალები დღეს იბრძვიან როგორც გენეტიკურად ღმერთის ხალხის წინააღმდეგ, ასევე თვით ბოროტი ძალების წარმოგზავნილი ხალხიც ებრძვის ერთმანეთს. ე.ი. სრული ქაოსია – დაიწყო ცეცხლის სტიქიის – ბოლო ჟამის კოსმიური პროცესის ორიათასწლეული.

ხვთაებრივი ქორწინება, ანუ ქალის და მამაკაცის – მდედრის

და მამრის შეუღლება ორი პირველსაწყისის „ინ“ და „იან“-ის შეერთებაა და სამყაროში IV საწყისის – ცეცხლის სტიქიის, ორი ნახევარმზის მთლიან მზედ წარმოქმნით ხასიათდება. ეს კოსმიური პროცესი შუმერთა ქვის ბეჭედზე ორსახა ღმერთის სახითაა ასახული, რომლის ერთი სახე ქალია, ხოლო მეორე – წვეროსანი კაცი, მათ სხეული ერთი აქვთ. ისინი ერთი მთლიანის ორი ნახევარია – ერთად ერთ მთლიანს ქმნიან. ქართული მითებით წვეროსანი კაცი დობილიანი იახსარია, იგივე გიორგი ნაღვარმშვენიერი, მამა ღმერთის ერთ-ერთი სახე-გამოვლინება. ასე დიდია ხვთაებრივი ქორწინების არსი, რომელსაც ვეფხის-ტყაოსნის მთავარი გმირი ტარიელი თავის შეყვარებულთან უდიდესი ბრძოლის და ტანჯვის შემდეგ აღწევს.

ადამიანთა ყოფით წეს-ჩვეულებებში აისახებოდა მათი რწმენა-წარმოდგენები სამყაროში მიმდინარე ორ ურთიერთდაპირისპირებულ საწყისთა კოსმიურ პროცესში. ამ საკითხთან მიმართებაში უხსოვარი დროიდან დღემდე ადამიანთა ორი მოდგმა განიხილება – ღმერთის მორწმუნე და ღმერთთან დაპირისპირებული. ისტორიაში ეს ხალხი ნათლადაა წარმოდგენილი. ღმერთთან დაპირისპირებული, **სემიტურ-არამეული** წარმომავლობის ხალხია, რომელსაც თვით ღმერთმა უწოდა ღმერთთან დაპირისპირებული – მებრძოლი (გაიხსენეთ იაკობის სიზმარი ბიბლიიდან). მათ მიეკუთვნებიან **ებრაელები, ქურთები, ქალდეველები, კულხა–კალ-ჰუ**-ს ხალხები, რომლებმაც ამოჟლიტეს და გადააშენეს ღმერთის მორწმუნე ხალხი – **შუმერები, ხეთები** და სხვა. ამას აგრძელებენ დღესაც ყოველგვარი ხერხით სიყალბისა და სიცრუის ჩათვლით (ნახეთ: „აკ. გელოვანი – მითოლოგიური ლექსიკონი, 1983 წ., „ასური“, „ქალდეველები“, „ქალი-კალი“).

ძვ. წ. XIII-XI სს. ძველი აღმოსავლეთის ასურულ წყაროებში დაფიქსირებული კულხა, სინამდვილეში სირიის ტერიტორიაზე მდ. ტიგროსის ზემოწელის მარჯვენა მხარეს, იმ დროისათვის განთავსებული ქალაქ-სახელმწიფო **„კალჰუ“**-ა (**კალ-ჰუ**). ეს სიტყვა

ორი სიტყვისგან შედგება: **„კალი“** სანსკრიტის ენაზე – **„შავი“, დევი, გამანადგურებელი, მრისხანე ენერგიის მფლობელი ინდური წარმომავლობის ქალღმერთია“. აქედან მოდის მისი სახელი ქალდევი**. ხოლო **„ჰუ“** – **„ჰური“** – ამ სიტყვას მაჰმადიანნი ქაჯებსა და ჭინკებს უწოდებდნენ (ნახეთ: სულხან-საბა ორბელიანის „ლექსიკონი ქართული“, ტ. 2, გვ. 466). ხოლო ქართული წყაროებით სიტყვა **„ჰური“ ნიშნავს „ურიას“** (საქ. მეცნ. აკად. მოამბე, ტ. IX, №9-10, გვ. 621). **„ქაჯი“ არის მაცდური, ყალბი, ქალდეურ-ებრაული სატანა, ბოროტი საწყისი, რომელიც უპირისპირდება ღმერთს**.

სემიტურ-არამეული წარმომავლობის ხალხია ასური – აშური, ქალდეველები, კალჰუ-კულხა, რომელთა საწყისი სამშობლო ინდოეთია. მათი საწყისი ენა არის სანსკრიტი, შეიქმნა დაახლოებით ძვ. წ. **X** ს-ში, ხოლო ყველა მათი დამწერლობა სანსკრიტული დამწერლობიდან მოდის, რომელიც შეიქმნა ძვ. წ. II საუკუნეში (ქ.ს.ე. ტ. 8. გვ. 85, – „სანსკრიტი“).

ღმერთის მორწმუნე ხალხი – შუმერები, რომელთა წინაპრები იყვნენ კავკასიის ქართველები, თავის თავს გენეტიკურად **„მე“**-ს „ხვთაებრივი კანონების“ (შუმერული კაბალა, რომელიც მხოლოდ ქართულ ანბანში აისახება) გენის ხალხს უწოდებს, ხოლო გენეტიკურად თავის საპირისპიროს, ანუ ღმერთთან მებრძოლ და დაპირისპირებულ ხალხს უწოდებს **„არამე“**-ს, ანუ არამეელებს (ნახეთ: ნ. ხ. – „ქართველები შუმერთა წინაპრები“, 2013 წ. და „ქართველი ერის გენეტიკური წარმომავლობა“, 2014 წ.).

მაშასადამე, დედამიწაზე ორი გენეტიკური წარმომავლობის ხალხი ცხოვრობს: **1**. ხვთაებრივი წარმომავლობის გენის ხალხი, რომელიც მარადიული და უკვდავია. ამ გენს მიეკუთვნება ის ხალხი, რომელიც ბაბელონის გოდოლის დანგრევამდე სამოთხეში ცხოვრობდა. ქართველთა ხვთისშვილები ყოველთვის დევებთან და ქაჯებთან დაპირისპირებულები და მებრძოლები არიან. **2**. ღმერთთან დაპირისპირებული და ღმერთთან მებრძოლი ხალხი,

რომლებიც ღმერთმა ბაბელონის გოდოლის დანგრევის შემდეგ შექმნა.

დღეისათვის მეცნიერებისთვის გენეტიკის სფეროში დაახლოებით 5%-ია ცნობილი. მომავალში ეს კვლევები უფრო მეტად იქნება შესწავლილი და აუცილებლად გენეტიკურად იქნება აღმოჩენილი ხვთაებრივი წარმომავლობის და მათი საპირისპირო გენის ხალხი.

ვეფხის-ტყაოსანში ნათლადაა წარმოჩენილი, რომ დევები და ქაჯები ადრე უხორცონი იყვნენ. ვეფხის-ტყაოსნის და ქართველთა მითოლოგიურმა გმირებმა ისე ამოხოცეს ისინი, რომ ძალიან ცოტანიღა დარჩნენ, ადამიანთა სხეულებში ჩასახლდნენ და ადამიანური ცხოვრება დაიწყეს. მაგრამ **ისინი ისევ ბოროტ სულებად დარჩნენ**. ადამიანთა ყოფა ჯოჯოხეთს დაემსგავსა. ახლა **ავსულები ადამიანების სახით არიან მოსულები და ჯოჯოხეთიც თვითონ ჩვენი ცხოვრებაა დედამიწაზე**.

გენეტიკურად ავსულების არსებობა დედამიწაზე დროებითი მოვლენაა, ვინაიდან ქართული მითების მიხედვით, ხვთისშვილებთან ბრძოლაში ქაჯები და დევები ყოველთვის მარცხდებიან. სწორედ ახლა, **III** ათასწლეულის დასაწყისში, **დაიწყო ავსულთა დასასრული, ანუ ბოლო ჟამი,** ეს გაგრძელდება ახ. წ. **4000** წლამდე, რის შემდეგაც ავსულთა უარყოფითი ენერგიისგან განწმენდილი ადამის ცივილიზაცია გადავა ცივილიზაციის ახალ ციკლში.

ქალდეევი ისტორიაში პირველად ძვ. წ. **878** წელს გამოჩნდა შუამდინარეთში. მაშინ, როცა ქართველთა შთამომავლები – შუმერები ებრაულ-სემიტური ხალხის შუამდინარეთში დასახლებამდე დიდი ხნით ადრე ცხოვრობდნენ. შუამდინარეთი არაბეთის ნახევარკუნძულზე მდებარეობს. შემთხვევითი არ არის, რომ რუსთაველმა მეფე როსტევანი არაბეთის მეფედ წარმოაჩინა, ხოლო მისი აღზრდილი ავთანდილის საუბარი ვეფხის-ტყაოსანში ასეა დახასიათებული:

„ყმა-ტკბილი... და ტკბილ-ქართულით, სიკეთისა ხელის მხდელი“.

ამ სიტყვებით რუსთაველი ქართველებს ახასიათებს როგორც სიკეთის ენერგიის მატარებელ ხალხს, რომელიც თავისი ხელით მხოლოდ სიკეთეს აკეთებს. ქართველები ჯერ კიდევ **8000** წლის წინ ვიყავით მაღალცივილიზებული ერი და დავიწყეთ წელთაღრიცხვა „ქართ ადამს აქათ“, საიდანაც მოდის სიტყვები „ქართველი“ და „საქართველო“, ხოლო **7600** წლის წინ დავიწყეთ მეორე წელთაღრიცხვა „დასაბამითგან“, ანუ „წარღვნიდან“, რაც პირდაპირ ქართულ ანბანში აისახება. ქართული ანბანი სამყაროს გენეტიკური კოდია. უფალი რომ ამბობს მე ვარ ანბანიო, ეს იმ ანბანზეა ნათქვამი, რომელშიც პირველ ადამიანთა ბიბლიური ცოდნა – კაბალა აისახება. ასეთი მხოლოდ ქართული ანბანია. კაბალას სამშობლო კავკასია და აღმოსავლეთი საქართველოა, რომელსაც ოდითგანვე **„კაბალა“** ერქვა.

ქართველთა მეფე ფარნავაზმა ქართული ენა განავრცო ძვ. წ. **2288** წელს. ე.ი. ჯერ კიდევ **4300** წლის წინ. მაშინ საქართველოში ფარნავაზიანთა გვარი მეფობდა. ვინაიდან ქართველები ვართ ადამის ცივილიზაციის საწყისი – თეთრი რასის ხალხი. სავარაუდოდ, ეგვიპტის **„ფარა-ონი“**-ს სახელიც სიტყვა **„ფარნა-ვაზი“,** ანუ **„ფარნ**-ა-ო-ს“-იდან მოდის. **„ᲤᲐᲠᲜ“ არის პირველსაწყისი „უჟამო ჟამის“ „ᲛᲖᲘᲡ“ სიკაშკაშე – ხვთაებრივი ცეცხლის მატერიაში გამოვლინება**. ხოლო „**ᲝᲜ**“ არის ქართული ანბანის 16-ე – „**Ო**“ ასო-ნიშნის მეორადი სახელი. უძველეს ქართულ ხელნაწერებში სიტყვა უფალს არ წერდნენ. ამ სიტყვას „Ო“ ასო-ნიშნით გამოსახავდნენ. ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, სრულიად დასაშვებია, ეგვიპტის ფარაონთა სახელი ქართული წარმომავლობის იყოს. ძველ ხალხთა რწმენა-წარმოდგენებით მეფე ღმერთის ნაცვალია დედამიწაზე, ხელშეუხებელია, მისი სიტყვა და ნება ადამიანებისთვის ღმერთის სიტყვის ტოლფასია. ასე ღრმად ხვთაებრივია ქართველთა მეფე ფარნავაზის სახელის მნიშვნელობა.

იბერიის და ადამის ცივილიზაციებს სახელები ქართული სიტყვებიდან **„ბერი“** და **„ადამიანი“**-დან ქართველებმა დაარქვეს.

ქართული ანბანი მხოლოდ ქართველთა კუთვნილებაა, ყველა უძველესი ქართული ხელნაწერი და ისტორიულ ძეგლებზე ასახული წარწერები ქართული ანბანით მხოლოდ ქართულ ენაზეა შესრულებული. ქართული ასომთავრული ანბანი მამაღმერთს თავზე ადგას, ხოლო მხედრული – კოსმიურ მხედარს შუბლზე აწერია. მაშასადამე, ქართული ანბანი უშუალოდ მამაღმერთის კუთვნილებაა. ამიტომ ქართულ ანბანს ღმერთის გენის ხალხს მისცემდა და არა ღმერთთან დაპირისპირებულ ქალდეველებს, ეს ყოვლად დაუშვებელია. ქართველები გენეტიკურად არიან ქართული ანბანის მფლობელები (ნახეთ წიგნი: ნ. ხ. – „ქართული ანბანი სომხების შექმნილი არ შეიძლება იყოს“, 2013 წ.).

საქართველოში აღმოჩენილია დავათის სტელა (ძვ. წ. **680** წ.) ქართული ანბანით, შარაგასის სტელა – ბილინგვა (ძვ. წ. **800** წ.), რომელზედაც ქართული ასომთავრული **„Ⴑ“** და **„ს“** ასო-ნიშნებია ასახული. **„Ⴑ“** ასო-ნიშანს თავზე ვერტიკალური ქარაგმის ნიშანი – ხაზი ადგას, რაც სტელას შექმნის თარიღის მიმანიშნებელია; დავით გარეჯზე ერთ-ერთი კლდის ფერდობზე საგანგებოდ გამოკვეთილ თევზზე ასახულია ქართული **„Ⴓ“** და **„Ⴕ“** ასომთავრული ორი გიგანტური ასო-ნიშანი.

ქართული ენა არის ენა ქვეცნობიერისა, ენა აზროვნებისა, ენა გალაქტიკასთან საუბრისა, ქართულია ენა ყოველი არსისა. სამყარო ქართულ ენაზე ლაპარაკობს. ქართული ენა უფლის ენაა. ბოლო ჟამს უფალმა ქვეყანა ქართულ ენაზე უნდა განიკითხოს. რაც არ უნდა ამტკიცონ, რომ ქართველთა წინაპრები ქალდეველები არიან, ეს შეუძლებელია, ვინაიდან ქართული ენის, გენის და ანბანის მფლობელი თვით ღმერთია, ხოლო შემოქმედ ღმერთზე ადრე ვერავინ იქნებოდა. ამიტომ ქალდეველები ვერ იქნებიან შემოქმედ ღმერთზე წინარე ხალხი, ანუ ღმერთზე ადრე შექმნილები, ვინაიდან თვით ღმერთია სამყაროში ყველას და ყველაფრის შემოქმედი.

ესაია და იერემია წინასწარმეტყველები ჰყვებიან თავიანთ ხილვებში **„ქალდეველთა სიამაყის“ მომავალი დანგრევის საშინელ სურათებზე: „ვითარ სახედ დააქცივნა უფალმა სოდომა და გომორრა...“**-ო.

ქართველები ყოველთვის აქ – კავკასიაში ცხოვრობდნენ და არსაიდან მოსულები არ ვართ. ამას ადასტურებს საქართველოს ტერიტორიაზე მოპოვებული **8-10** ათას წელზე გაცილებით ადრეული არქეოლოგიური მასალა და კლდეში ნაკვეთი ისტორიული ძეგლები.

ცივილიზაცია კავკასიაში ქართველმა ხალხმა დაიწყო. შუმერები კავკასიას და ქართველებს სამოთხის ხალხს უწოდებდნენ, რომლებიც ბაბელონის გოდოლამდე არსებობდა და ერთ ენაზე, ქართულ ენაზე ლაპარაკობდა. სიტყვა **გურჯი 33** წლის მარადქალწულს და სამოთხეს ნიშნავს. შუმერთა **„სამოთხის“** ქვეყანა – **არათა** ქართველების **რანთა-არანთა** ქვეყანაა და იგივე საქართველოა.

ჩვენ, ქართველები ღმერთის გენის ხალხი ვართ და თვით ღმერთმა დაგვასახლა ხვთისმშობლის – სამყაროს დედის წილხვედრ საქართველოს მიწაზე.

ზემოთ განხილული საკითხები ნათლად წარმოაჩენს იმას, რომ სწორედ საქართველოში – პირველსაწყისი თეთრი რასის ხალხში უნდა დაწერილიყო ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობის ისეთი ძეგლი, როგორიც შოთა რუსთაველის პოემა „ვეფხის-ტყაოსანია“, სადაც გადმოცემულია არა უბრალოდ რაღაც ყოფითი მიწიერი ამბები, არამედ ადამის ცივლიზაციის ხილულ და უხილავ, სულიერ და მატერიალურ მრავალგანზომილებიან სამყაროში ერთიანი მეტაფიზიკური კოსმიური პროცესების მიმდინარეობა, ქართულ მითოლოგიაში გადმოცემული **„ინ“** და **„იან“** ორი დაპირისპირებული პირველსაწყისის „ბრძოლა“. ყველაფერი ეს აისახება თვით ადამიანის სხეულში და ნებისმიერ მიკრო და მაკრო სამყაროში.

ადამი სიკეთესთან ასოცირდება, ევა – ბოროტებასთან. ღმერთმა ევაზე ადრე ადამი შექმნა. ე.ი. ღმერთმა სიკეთე ბოროტებაზე ადრე შექმნა. ვინაიდან სამყაროში ყველაფერი პირველსაწყისს უბრუნდება, ადამის ცივილიზაციის დასრულებამდე ბოროტება გაქრება. ხოლო სიკეთე დაასრულებს ადამის ცივილიზაციას და დაიწყებს ცივილიზაციის ახალ ციკლს. სამყარო უბრუნდება პირველსაწყისს. სიყვარული გადაარჩენს სამყაროს. ღმერთი კი სიყვარულია, ღმერთი უკვდავი და მარადიულია. მაშასადამე, სიკეთის არსებობა მარადიულია, ხოლო ბოროტება ხანმოკლეა. ეს სამყაროში მოქმედი უცვლელი ხვთაებრივი კანონია სიკეთისა და ბოროტების შესახებ. ამას წარმოაჩენს რუსთაველის „ვეფხის-ტყაოსნის“ შემდეგი სიტყვები:

„ბოროტსა სძლია კეთილმან, არსება მისი გრძელია“.

მეტაფიზიკა ვეფხის-ტყაოსანში

ეოთა რუსთაველი „ვეფხის-ტყაოსნის“ სტროფებით წარმოაჩენს XII საუკუნის ქართველთა რწმენა-წარმოდგენებს მრავალგანზომილებიან სამყაროში მიმდინარე მეტაფიზიკურ კოსმიურ პროცესებზე. ფიზიკის კანონები შეისწავლის მხოლოდ ხილულ სამყაროს, ხოლო მეტაფიზიკა ზემეცნიერებაა, რომელიც მოიცავს ხილული და უხილავი სამყაროს მეცნიერების ყველა დარგს. მეტაფიზიკა არის ჩვენში და ჩვენს ირგვლივ არსებული ყოფიერების ის სფერო, სადაც ფიზიკის კანონები არ ვრცელდება.

„ვეფხის-ტყაოსანში“ პოეზიის ენით გადმოცემულია რუსთაველის გულის, თვალის და გონის მეტაფიზიკური ხედვით აღქმული ერთარსი „ერთი“ ღმერთის მიერ შექმნილი ხილული და უხილავი სამყაროს ხვთაებრივი კანონები და მასში მიმდინარე მეტაფიზიკური კოსმიური პროცესები. პოემაში ასახული და გააზრებული ხვთიური დაფარული ცოდნა სამყაროს მოწყობის შესახებ, წარმოაჩენს მეცნიერებისთვის ჯერ კიდევ უცნობ დიდად ღირებულ ზოგადსაკაცობრიო საკითხებს.

თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში რამდენიმე წლის წინ ჩატარებულ საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაზე ერთ-ერთმა ქართველმა მეცნიერმა წაიკითხა მოხსენება შოთა რუსთაველის „ვეფხის-ტყაოსნის“ შესახებ. გაიმართა კამათი. უცხოელი მეცნიერები გამოთქვამდნენ აზრს, რომ მსგავსი შინაარსის ნაწარმოებები აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებსაც აქვთ. მეც მომეცა საშუალება გამომეთქვა ჩემი აზრი და აღვნიშნე, რომ „ვეფხის-ტყაოსნის“ მეტაფიზიკური სიღრმეების შეცნობა ჯერ არ დაწყებულა და ამისი დროც მალე დადგება; პოემაში ქართულ მითოლოგიაში მიმდინარე კოსმიური

პროცესებია წარმოჩენილი და ვინაიდან მსოფლიოს ყველა ხალხის მითოლოგია სამყაროში მიმდინარე ერთსა და იმავე კოსმიურ პროცესებს ასახავს, გასაკვირი არაა, რომ „ვეფხის-ტყაოსანში“ ცოცხლად გადმოცემული მითოლოგიური სიუჟეტები მსოფლიოს სხვა ხალხებთანაც აღმოვაჩინოთ.

ისეთი გენიალური და ყოველთა აღმატებული შედევრის შექმნა, როგორიც „ვეფხის-ტყაოსანია“, არცერთ მოკვდავს არ ძალუძს. პოემის ტექსტი ღმერთთან პირდაპირი კონტაქტით – „სახელითა ღმრთისაჲთაა“ დაწერილი ყველა დროის ქართველი გენიოსის, შოთა რუსთაველის მიერ, სადაც გადმოცემულია კაბალას ბიბლიური კოდის მითოლოგიური კოსმიური პროცესი. მასში „ჩატვირთული“ კოსმიურ კანონზომიერებათა სიბრძნის გადმოცემა, მხოლოდ ქართულ ენაზე – ღმერთების და სამყაროს ქვეცნობიერი აზროვნების ენაზეა შესაძლებელი. ქართული გენის კოსმოგონიური ცნობიერების ეს შედევრი ამ წიგნში ახალი მეტაფიზიკური გააზრებითაა წარმოჩენილი. ადამიანებმა მხოლოდ ქართულ ენაზე დაწერილი „ვეფხის-ტყაოსანი“ უნდა წაიკითხონ, ვინაიდან თარგმანში ეს კოსმოგონიური ცოდნა უკვე დაკარგულია.

„ვეფხის-ტყაოსანი“ ჩვენი მრავალგანზომილებიანი სამყაროს მეტაფიზიკური ცოდნის უშრეტი წყარო და ულევი განძია.

ვეფხის-ტყაოსნის ქვემოთ მოყვანილი სტრიქონები მცირე ნაწილია იმ სტროფებისა, სადაც გადმოცემულია ქართველი ხალხის დამოკიდებულება უზენაეს ზეციურ ღმერთთან. მათი რწმენა-წარმოდგენებით ადამიანი რაც არ უნდა ძლიერი იყოს, ვერაფერს გააკეთებს ღმერთის შეწევნის გარეშე, ლხინიც და ჭირიც მისგან არის. ადამიანს არაფრის უნდა ეშინოდეს თუ ცის ძალთა დასი იცავს. განგების გარეშე არავინ კვდება; რაც ღმერთის ნებით ხდება, არა საქმე არ აგცდება.

ქართველთა წარმოდგენით ღმერთია ხილული და უხილავი სამყაროს შემოქმედი. ის განაგებს როგორც ზეციურ, ისე მიწიერ ძალებს. ცხოვრებაში გაიმარჯვებ თუ დამარცხდები, ყველაფერი ღმერთის ნებით ხდება. დედამიწაზე ვერ იპოვი ისეთ საქმეს, რაც ღმერთის გარეშე ხდება. მისგან დაკოდილი გულის განკურნება, მხოლოდ მას შეუძლია. მიაჩნდათ, რომ ის არის ყოველი მიწიერის შემწე უხილავი ძალა. ღმერთი მიაჩნდათ ამქვეყანაზე ყოველი დანერგულის და დათესილის გამზრდელად. იგი უცნაური და უთქმელია, რომელიც ყველაფერს განაგებს ცაშიც და ხმელეთზეც. მან თავისი ხვთაებრივი ძალით შექმნა სამყარო.

ქართველები ღმერთს ყოველთვის ერთარსსა და განუყოფელ „ერთს“ უწოდებდნენ, რომელმაც შექმნა **„სახე ყოვლისა ტანისა“,** ანუ ნებისმიერი მიკრო და მაკრო მრავალგანზომილებიანი მეტაფიზიკური სამყარო.

ქართველთა რწმენით, კურთხეულ არს ღმერთის ღვთაება. მხოლოდ მას შეუძლია შემნდობი და მოწყალე იყოს. რა გზაზეც არ უნდა დადგეს ადამიანი, შეწევნას ღმერთს სთხოვს. მიაჩნდათ, რომ **„რაცა ღმერთსა არა სწადდეს, არა საქმე არ იქნების“**.

ქართველს ყოველთვის მიაჩნდა, რომ სამყაროს შემოქმედი ღმერთი მარადიული და უკვდავია. ეს ცნობიერება დღემდეა

შემორჩენილი ქართულ მითოლოგიაში – ქართველთა **64** ხვთისშვილი, რომლებიც არიან მამაღმერთის **64** სახე–გამოვლინება, არიან მარადიულნი და უკვდავნი.

ქართველი ღმერთს ასე მიმართავდა: **„გაქო, ვით გაქო, რა გაქო, არ საქებელო ენითა“**-ო. ეს სიტყვები იმის მანიშნებელია, რომ ადამიანი ვერასდროს ჩასწვდება ერთარსი ღმერთის მიერ ამ ქვეყანაზე განხორციელებული უხილავი და ხილული ხვთაბერივი საქმეების მეტაფიზიკურ სიღრმეებს.

ასეთი იყო XII საუკუნეში ქართველთა რწმენა-წარმოდგენები უზენაეს შემოქმედ ღმერთზე იმ დროს, როცა შოთა რუსთაველის „ვეფხის-ტყაოსანი“ იწერებოდა. ყოველივე ეს ნათლად წარმოაჩენს ქართველი ხალხის სამყაროს შემოქმედ ღმერთთან დამოკიდებულების მაღალზნეობრივ სულიერ კულტურას.

„რომელმან შექმნა სამყარო ძალითა მით ძლიერითა.
ზეგარდმო არსნი სულითა ჰყვნა, ზეცით მონაბერითა.
ჩვენ კაცთა მოგვცა ქვეყანა, გვაქვს უთვალავი ფერითა.
მისგან არს ყოვლი ხელმწიფე, სახითა მის მიერითა.“
„ვისგან ძალნი ზეციერნი განაგებენ აქა ქმნადსა.
ვის საზღვარსა დაუსაზღვრავს, ჰზის უკვდავი ღმერთი ღმერთად,
იგი გაჰხდის წამის-ყოფით ერთსა ასად, ასსა ერთად.“
„რაცა ღმერთსა არა სწადდეს არა საქმე არ იქნების.“
„არ გარდავა გარდუვალად მომავალი საქმე ზენა.“
„არვის ძალ-უძს ხორციელსა განგებისა გარდავლენა.“
„იგია მზრდელი ყოვლისა დანერგულ-დათესულისა.“
„ . . .მაღალო ღმერთო ხმელთა და ცათაო,
ზოგჯერ მომცემო პატიჟთა, ზოგჯერ კეთილთა მზათაო,
უცნაურო და უთქმელო, უფალო უფლებათაო.“
„ღმერთო, ღმერთო გეაჯები რომელი ჰფლობ ქვენათ ზესა,.....
შენ დაჰბადი მიჯნურობა, შენ აწესებ მისსა წესსა.“
„ღმერთო, ღმერთო მოწყალეო, არვინ მივის შენგან კიდე,
შენგან ვითხოვ შეწევნასა, რაზომსაცა გზასა ვვლიდე.“

„. . .ღმერთო რომელი არ ითქმი კაცთა ენითა,
შენ ხარ სავსება ყოველთა, აგვავსებ მზეებრ ფენითა,
გაქო, ვით გაქო, რა გაქო არ საქებელო სმენითა!“
„ჰე ღმერთო, ერთო, შენ შეჰქმენ სახე ყოვლისა ტანისა!
შენ დამიფარე, ძლევა მეც დათრგუნვად მე სატანისა.“
„მისცა მადლი და დიდება ღმერთსა, მართლისა მბჭობელსა.“
„არას გარგებს ძლიერება, თუ არ შეგწევს ღმრითა ძალი.“
„არ თუ იცი, უგანგებოდ არათ კაცი არ მოკვდების.“
„თუ ლხინი გვინდა ღმრთისაგან, ჭირიცა შევიწყნაროთა.“
„მარტოობა ვერას მიზამს, მცავს თუ ცისა ძალთა დასი.“
„მაგრამ ღმერთი არ გასწირავს კაცსა, შენგან განაწირსა.“
„ვინ მდაბალსა გაამაღლებ, მეფობასა მისცემ სვესა.“
„უგანგებოდ ვერას გვიზმენ.“
„როცა მოვა საქმე ზენა, მომავალი არ აგვცდების.“
„მადლი ღმერთსა, შემოქმედსა არსთა მხადსა,
ვისგან ძალნი ზეციერნი განაგებენ აქა ქმნადსა,
იგი იქმნას ყველაკასა, იდუმალსა, ზოგსა ცხადსა.“
„ღმერთმან ჰქმნას ქაჯთა სამეფო მოგესმას ჩვენგან ძლეული.“
„კაცმანცა სოფელს ვით ჰპოვა რაც არა საქმე ზენია.“
„ბოლოდ ღმერთი გაუმარჯვებს ყოვლსა, პირველ შენაზარსა.“
„რომენ ღმერთმან გაგვახარნა, კურთხეულ არს მისი ღვთება,
წყლულსა მისგან დაკოდილსა, მასვე ძალ უძს განკურნება.“
„შემინდევ და წამატანე მოწყალება ხვთაებრივად.“
„ვინ დაჰბადა, შეძლებაცა მანვე მომცა ძლევად მტერთად.
ვინ არს ძალი უხილავი, შემწე ყოვლთა მიწიერად.“

„ჰე, მზეო, ვინ ხატად გთქვის მზიანისა ღამისად,
ერთ-არსებისა ერთისა, მის უჟამოსა ჟამისად.“
„მან განანათლნეს ყოველნი, ვით მზემან მანათობელმან!“
„სახე ხარ მზისა ერთისა, ზეცით მნათისა ზენისა.“
„აჰა, მზეო, გეაჯები შენ, უმძლესა მძლეთა მძლესა,
ვინ მდაბალსა გაამაღლებ, მეფობასა მისცემ სვესა.“

ვეფხის-ტყაოსნის ზემოთ მოყვანილი სტრიქონები წარმოაჩენს ქართველთა რწმენა-წარმოდგენებს **„უჟამო ჟამის“** შესახებ, რომელსაც **„მზიან ღამეს“** უწოდებდნენ და იმ პერიოდის მანათობელ მზეს ქართველები თავის ხატად, ანუ ერთარსება „ერთ“ ღმერთად თვლიდნენ. მათი რწმენით, ის იყო სამყაროს და ყველაფერის შემოქმედი და რაც კი რამ ხდებოდა ქვეყანაზე, ყველაფერი მას მიეწერებოდა. მაშასადამე, **ქართველები ერთარსება „ერთ“ ღმერთად და ხატად თვლიდნენ „უჟამო ჟამის“ და „მზიანი ღამის“ „მზეს“**.

ეს სიტყვები ამტკიცებს, რომ XII საუკუნეში ქართველებმა ჯერ კიდევ იცოდნენ „უჟამო ჟამის“ შესახებ, ანუ იმ კოსმიური პერიოდის შესახებ, როცა დრო გაჩერებული იყო, ანუ დრო „არ არსებობდა“ და ეს ხდებოდა მაშინ, როცა სამება ერთარსი და განუყოფელი იყო. იმ დროს „სივრცე“ ანუ მატერია ჯერ კიდევ არ არსებობდა, ვინაიდან სივრცე დროის გარეშე არ არსებობს. ყველას და ყველაფერს სამყაროში უფლისგან წინასწარ დასახული გეგმა – თავისი დრო აქვს. ეს საკითხი კარგადაა წარმოჩენილი დაგონების (ეგვიპტე – სუდანი) მითოლოგიაში, რომელიც განიხილავს სამყაროს პირველსაწყის მდგომარეობას, როცა **დრო ჯერ კიდევ გაჩერებული იყო. „გაჩერებული დრო“ ერთდროულად მოიცავს წარსულს, აწყმოს და მომავალს.** (ნახეთ: ნ. ხ. – „შავი

ხვრელი – პარალელურ სამყაროში გასასვლელი სარკმელი“, 2015 წ., გვ. 3).

მთის ხალხთა ანდრეზული ცოდნის მკვლევარი ჟურნალისტი კობა არაბული განიხილავს ქართველთა ცოდნას **„უჟამო ჟამის“** და **„მზიანი ღამის“** შესახებ: როდესაც კაცთა მოდგმა უფლის სიყვარულის გარეშე რჩება, „უჟამო ჟამი“ ეცემა სამყაროს და „მზიანი ღამის“ დრო დგება, ე.ი. რჩება მხოლოდ უფალი: – **ბნელში ნათელი! „მზიანი ღამე“** ურთულესი მოვლენაა კაცთა მოდგმისათვის და სახიფათო. ამ დროს იწურება სინერგია – წყდება კავშირი ცასთან და მთლიანად იცვლება ცივილიზაცია! ანუ აპოკალიფსის ჟამი ჩამოდგება (ის იგივე „მეორე მოსვლაა“, ანდრეზთა ენით). ანდრეზი დროში შენახული ცოდნაა სამყაროსა და მასში მიმდინარე კოსმიური პროცესების შესახებ.

ამერიკელმა ექიმმა და ფილოსოფოსმა რაიმონდ მოუდიმ შეისწავლა **150** კლინიკური სიკვდილის შემთხვევა, რომლის დროსაც პაციენტები ჰყვებიან, რომ მათზე ყველაზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა შეხვედრამ **არამიწიერ სინათლესთან. მათი აზრით, ეს მანათობელი მოკაშკაშე არსებაა და ამბობენ, რომ ეს იყო ღმერთი**.

ზემოთ განხილულის მიხედვით, **„უჟამო ჟამი“** პირველსაწყისში დაბრუნებაა, ანუ ადამიანის სიკვდილი სიბნელედ და **„მზიან ღამედ“** მოიაზრება. ხოლო ადამიანთა მიერ კლინიკური სიკვდილის დროს ნანახი მოკაშკაშე სინათლე არის **„მზიანი ღამის“ „მზე“**, რომელსაც გარდაცვლილები ღმერთად აღიქვამენ და რომელიც მათ აზრებით ელაპარაკება.

ჩემი მეტაფიზიკური თვალთახედვით, **„უჟამო ჟამის“** და **„მზიანი ღამის“ „მზის“** საკითხის არსი გაცილებით უფრო ღრმა მეტაფიზიკური ფენომენია.

ქართული კაბალას ცოდნის მიხედვით ერთარსება „ერთი“ არის სამყაროს პირველი კოსმიური საიდუმლო, რომელსაც ქართულ ანბანში შეესაბამება **„ა-ან-1“** ასო-ნიშნის კოსმიური პერიოდი და კაბალას ცოდნით მისი სახელია – **„ადამიანი“**, საიდან-

აც ქართველებმა **8000** წლის წინ დაიწყეს ადამის ცივილიზაციის **IV** ციკლის ათვლა – **„ქართ ადამს აქათ“**. ადამის ცივილიზაციის სახელი სიტყვა „ადამიანს“ უკავშირდება. შეგახსენებთ **X** ს-ის ქართველი მწერლის გიორგი მერჩულეს სიტყვებს: „...ქართულითა ენითა ჟამი შეიწირვის და ლოცვაჲ ყოველი აღესრულების“. კაბალას ცოდნის მიხედვით, ციფრი **„1“** განუყოფელი ერთარსი ღმერთის შესატყვისია. შუმერები, რომლებიც იყვნენ საქართველოდან შუამდინარეთში წასული ქართველები, თვლიდნენ, რომ სამყარო შექმნა „ან“ ცის ღმერთმა. მაშასადამე, „ან“ ცის ღმერთი ერთარსი „ერთი“ ღმერთის შესატყვისია.

რუსთაველი ვეფხის-ტყაოსანში ზემოთ მოყვანილი სტროფებით გადმოგვცემს იმ პერიოდის ქართველთა რწმენა-წარმოდგენებს ღმერთის შესახებ და გვეუბნება, რომ სწორედ „უჟამო ჟამის“ „მზე“ არის ჩვენი ხატიო, ე.წ. „უჟამო ჟამის“ „მზე“ ყოფილა ერთარსი „ერთი“ ღმერთი, თვით **„ღმ-ერთი“**-ს სახელიც ხომ ამაზე მიანიშნებს. აქ საუბარია არა ჩვენი მზის სისტემის მზეზე, არამედ ჩვენი თვალისთვის უხილავ – მიღმა სამყაროს მეტაფიზიკურ მზეზე (ნახეთ აქვე: „მანათობელი სფერო ჩემი ინფორმაციის წყაროა“).

„რასაცა გასცემ შენია, რაც არა – დაკარგულია.“

ერთარსმა ღმერთმა ეს მრავალგანზომილებიანი სამყარო შექმნა და ააშენა წინასწარდასახული გეგმის მიხედვით სამყაროში მოქმედ და დაფუძნებულ აქსიომა-კანონებზე. ერთ-ერთი ასეთია მექანიკის ძირითადი კანონი: **„ყოველი ქმედება იწვევს ტოლ და საწინააღმდეგო მიმართულების უკუქმედებას“**.

ვეფხის-ტყაოსნის ზემოთ მოყვანილი აფორიზმი წარმოაჩენს ამქვეყნიურ ბუნების დაფარულ – მეტაფიზიკურ კანონს: **„რასაცა გასცემ შენია, რაც არა – დაკარგულია“**. შენ არ იცი როდის და ვისი ხელით დაგიბრუნდება გაცემული სიკეთე, ეს მხოლოდ ღმერთმა იცის, მაგრამ გახსოვდეს, ის აუცილებლად დაგიბრუნდება და შეიძლება ერთიათადაც.

ქართველებს ერთი ასეთი ბრძნული გამონათქვამი გვაქვს: **„რასაც დასთეს, იმას მოიმკი“**-ო.

„არ თუ იცი უგანგებოდ არა კაცი არ მოკვდების?“
„სცდების და სცდების, სიკვდილსა ვინ არ მოელის წამისად.“
„ჩემი ლხინია სიკვდილი, გაყრა ხორცთა და სულისა.“
„ვერ დაიჭირავს სიკვდილსა გზა ვიწრო, ვერცა კლდოვანი.“
„შიში ვერ გიხსნის სიკვდილსა, ცუდნია დაღრეჯანია.“

ვეფხის-ტყაოსნის ზემოთ მოყვანილი სტრიქონები ნათლად წარმოაჩენს XII საუკუნის ქართველთა რწმენა–წარმოდგენებს სიკვდილის ფენომენის შესახებ. ქართველ წინაპართა აზრით, ადამიანის სიკვდილი განგების ნებაა. სიკვდილს ადამიანი ნებისმიერ წუთს უნდა ელოდეს. როცა სიკვდილის დრო მოვა, მას ვერ „დაიჭერს“ ვერც შიში, ვერც ვიწრო და კლდოვანი გზა. თითოეული ჩვენთაგანი დგას სიკვდილის რეალობის და გარდუვალობის წინაშე. არ არსებობს ადამიანი, რომელსაც ამ საკითხზე არ უფიქრია. სიკვდილი არის რაღაც ისეთი, რაც ჩვენი გაგების მიღმა რჩება.

მითოლოგიური გადმოცემებით ადამიანი დაბადებას, მისი სულის ერთგვარ „ჭურჭელში“, ანუ სხეულში „გამოკეტვას“ სიკვდილს უწოდებს. მას არ ახსოვს ვინ არის და საიდან მოვიდა, არაფერი იცის წარსულის შესახებ. ამას იმით ხსნიან, რომ დაბადებისას ბავშვი აუცილებლად ტირის. ხოლო ამქვეყნიდან წასვლისას ადამიანს სახეზე სიმშვიდე და ბედნიერი ღიმილი აქვს. მიაჩნდათ, რომ ადამიანის სიკვდილი ერთგვარი განთავისუფლებაა ტყვეობიდან და აუცილებლად „ზეიმით“, ანუ ყვავილებით, მუსიკით ან გალობით და პურ-მარილით უნდა გაეცილებინათ იმ ქვეყანაზე.

იყო დრო, როცა ადამიანები ხედავდნენ ამქვეყნიდან წასულებს ჩრდილის სახით; გარდაცვალების შემდეგ ოჯახის წევრებს

არქმევდნენ გარდაცვლილთა სახელებს; სჯეროდათ, რომ გარდაცვლილის სულის ჩასახლება ხდებოდა ცოცხალ ადამიანში, რომელიც იძენდა გარდაცვლილის ნიშან-თვისებებს.

ფიზიკურ სხეულში ადამიანის სახე არის მისი „მე“, ხოლო გარდაცვალების მომენტში სული, ანუ მეორე „მე“, რომელსაც ჩრდილის სახე აქვს და თანამედროვე აპარატებით გადაღებულ ფოტოსურათებზე ჩრდილის სახით ფიქსირდება, ტოვებს ფიზიკურ სხეულს და თვალისთვის უჩინარი ხდება. უძველეს ხალხთა რწმენა-წარმოდგენებით, გარდაცვლილის მეორე „მე“ ჩრდილის სახით აგრძელებს მიღმა – თვალისთვის უხილავ სამყაროში არსებობას და მოგზაურობას.

ზ. აბზიანიძის „სიმბოლოთა ილუსტრირებული ენციკლოპედია“ (ტ. 2. გვ. 116) „ჩრდილი“-ს შესახებ გვაწვდის საკმაოდ დამაფიქრებელ ინფორმაციას: **ადამიანის ჩრდილი, იმავდროულად მისი თანმდევი აჩრდილია, რომელიც არანაკლებ კრძალვას მოითხოვს. ჩრდილი არ გააჩნიათ უკვდავებს, მკვდრეთით აღმდგართ და სატანას**.

ქართველთა წინაპრებს ადამიანის მოკვლა თუ უნდოდათ, მას ჩრდილს უკლავდნენ, მაგრამ როგორ ახერხებდნენ ამას, ამ ინფორმაციას ჩვენამდე არ მოუღწევია.

თითქმის **30** წელია ალტერნატიული მედიცინის მეთოდების გამოყენებით ავადმყოფებს დიაგნოზს ვუსვამ და ვმუკრნალობ. იყო შემთხვევები, ჩემთან სამკურნალოდ მოდიოდნენ პაციენტები, რომელთაც მოკვეთილი ჰქონდათ ფეხი, ხელი, თითები, ამოკვეთილი ჰქონდათ ნაღვლის ბუშტი, თირკმელი, საშვილოსნო, ყველას მათ ოპერაციამდელი ტკივილები ისევ აწუხებდათ. მე მათ უკვე არარსებულ ორგანოებზე ვმკურნალობდი. რაც საკმაოდ წარმატებული იყო – ტკივილები ეხსნებოდათ. მოკვეთილი ფეხის ადგილას – ფეხის დარჩენილი ნაწილის გაგრძელებაზე, ვხედავდი მოკვეთილი ნაწილის ერთგვარ სილუეტს და მკურნალობის სეანსს სწორედ იმას ვუტარებდი. ჩემი კვლევებით, როცა იკვეთება

ადამიანის სხეულის რაიმე ორგანო, იკვეთება ფიზიკური სხეულის ნაწილი, ხოლო სულიერი შეგრძნებადი სხეული, ანუ ადამიანის კოსმიური ჩრდილი – მეორე „მე“, ისევ მთლიანი რჩება. სწორედ ამიტომაა, რომ ზოგიერთი ცხოველი ისევ აღიდგენს სხეულის დაკარგულ ნაწილს, ანუ ხდება სულიერი სხეულის კვლავ გამატერიალიზება – სხეულის დაკარგული ნაწილის აღდგენა. მოვა დრო, ადამიანიც აღიდგენს დიდი ხნის წინ დაკარგულ ამ თვისებას, ეს რეალურია და სრულიად შესაძლებელი.

მეცნიერებმა ბოლო პერიოდში შექმნეს კირლიანის ფოტოეფექტი. მრავალმხრივი კვლევები ჩაატარეს. მოვიყვან ერთ მაგალითს: ხის ფოთოლს ერთი ნაწილი ჩამოაჭრეს და სურათი გადაუღეს. ფოტოზე დაფიქსირდა ისევ მთლიანი ფოთოლი, მხოლოდ მოკვეთილი ნაწილი ფერში განსხვავდება რეალურად დარჩენილი ნაწილისგან. ეს ყველაფერი ადასტურებს იმას, რომ ჯერ კიდევ პირველმა ადამიანებმა იცოდნენ ფიზიკური სხეულის მეორე „მე“-ს არსებობა და მას ჩრდილის სახით ხედავდნენ, რომელიც იბადება ადამიანთან ერთად, ფიზიკურად და სულიერად მისგან განუყოფელია. როგორც სიცოცხლეში, ისე გარდაცვალების შემდეგ განსაზღვრავს ადამიანის ბედისწერას, ადამიანისთვის სიცოცხლის მომნიჭებელი ძალაა, რომელიც ასრულებს ყველა სასიცოცხლო ფუნქციას: ჭამს, სვამს და ა.შ. **ადამიანის ფიზიკური სხეული არის მისი მეორე „მე“-ს, ანუ სულიერი სხეულის გამატერიალიზებული სხეული.** სულიერ და მატერიალურ სხეულს, ორივეს ერთად, მითოლოგია „კოსმიური ტყუპის“ სახით წარმოაჩენს.

სხვადასხვა ხალხთა უძველესი რწმენა-წარმოდგენებით მეორე „მე“, ანუ კოსმიური ჩრდილი აქვთ სამყაროში არსებულ როგორც სულიერ არსებებს, ისე უსულო სხეულებს.

კოსმოსი მთლიანად არის გიგანტური ერთიანი ფიზიკური სხეული, მას ასევე აქვს თავისი სულიერი სხეული – მეორე „მე“, ანუ „კოსმიური ჩრდილი“. სწორედ ეს არის კოსმოსის „შავი“, ანუ „ბნელი“, თვალისათვის უხილავი მატერია, რომელიც ავსებს

სამყაროს მთლიან მოცულობას და რომელიც მსოფლიოს სამეცნიერო საზოგადოებისთვის ჯერ კიდევ უცნობი და შეუსწავლელი ფენომენია. ამ საკითხის შესწავლა, ზემოთ განხილულის მიხედვით აქ, ედედამიწაზეც სრულიად შესაძლებელია.

ამერიკელმა ექიმმა და ფილოსოფოსმა რაიმონდ მოუდიმ შეისწავლა **150** კლინიკური სიკვდილის შემთხვევა და ამის შესახებ **1975** წელს გამოაქვეყნა წიგნი – „სიცოცხლე სიკვდილის შემდეგ“, სადაც პაციენტები ჰყვებიან კლინიკური სიკვდილის დროს გადატანილ განცდებზე. არაერთი პაციენტის მონაყოლის მიხედვით, სიკვდილის მომენტში, როცა მათი ტანჯვა აღწევს ზღვარს, პაციენტს ესმის, როგორ აღიარებენ მას გარდაცვლილად; ამავე დროს გრძნობს, როგორ მოძრაობს დიდი სისწრაფით გვირაბში; უცებ აღიქვამს თავს სხეულის გარეთ; ხედავს, მასთან შესახვედრად მოვიდნენ გარდაცვლილი ნათესავები და ნაცნობები. ქრება ყოველგვარი ტანჯვა და ეუფლება სიმშვიდის შეგრძნება. მას გადაეშალა მთელი ახალი, მისთვის უცნობი სამყარო. უცებ ჩაესმის ხმა, რომ ის უკან უნდა დაბრუნდეს. დაბრუნების შემდეგ მთელი კვირა ტიროდნენ, რადგან ისევ ამქვეყნად უნდა ეცხოვრათ მას შემდეგ, რაც ნახეს ის ქვეყანა. მაშინ, როცა ზოგიერთი პაციენტის ფიზიკური სხეული სუსტი, დამახინჯებული და საზიზღარი შესახედია, მისი სულიერი სხეული მშვენიერი და ძლიერია. იყო ასეთი შემთხვევები, რომ სულიერ სხეულს ასაკი არ გააჩნდა, ანუ არ ემორჩილებოდა დროის გავლენას.

მაქვს ინფორმაციული კონტაქტი მიცვალებულებთან. ხანდახან მათ ჩრდილის სახით ვხედავ, ხან ცხადად. ისინი თვითონ მოდიან ჩემთან, როცა მათ ან მათ ახლობლებს რაიმე დახმარება სჭირდებათ და ეს მხოლოდ უფლის ნებით ხდება.

ზემოთ წარმოჩენილი მოსაზრებების გამოძახილია ვეფხისტყაოსნის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სტრიქონი – **„ჩემი ლხინია სიკვდილი, გაყრა ხორცთა და სულისა“**.

„გული, ცნობა და გონება ერთმანეთზედა ჰკიდიან:
რა გული წავა, იგიცა წავლენ და მისკენ მიდიან.“
„ჰკითხე ასთა, ჰქმენ გულისა.“

რუსთაველი ვეფხის-ტყაოსნის ამ სტრიქონებით გვაცნობს გულის უფრო ღრმა მეტაფიზიკურ ფუნქციას და დანიშნულებას ადამიანის სხეულის მრავალგანზომილებიან სამყაროში. საოცარია, მაგრამ ცხადია, რომ სამყაროს პირველმა ადამიანებმა – ქართველებმა იცოდნენ, რომ ადამიანის გონება დამოკიდებულია ცნობიერებაზე და გულზე, ხოლო ცნობიერება დამოკიდებულია გულზე. ზემოთ მოყვანილი სტრიქონებით რუსთაველი გვეუბნება, რომ ადამიანის ცნობიერება და გონიერება სხვადასხვა არსის მატარებელია და ორივე დამოკიდებულია გულზე. მაგრამ თუ გული წავა, შემდეგ წავა ადამიანის ცნობიერება, ხოლო შემდეგ გონიერება. ვფიქრობ, ეს საკითხი დღემდე უცნობია სამედიცინო, ფილოსოფიური და ფსიქოლოგიური სფეროს მეცნიერთათვის.

ქართველების რწმენა-წარმოდგენებით ადამიანი გულით აზროვნებს – ინფორმაცია ადამიანის ტვინს გულიდან ეწოდება. ტვინი ადამიანის ორგანიზმის ერთგვარი კომპიუტერია. ქართულ ენაში **300**-ზე მეტი სიტყვაა, რომელიც გულს უკავშირდება. მაგალითად: გულქართლი – გულმართალი, გულმავიწყი, გულწრფელი, გულზვიადი, გულკეთილი, გულბოროტი, გულღრძო, გულქვა, უგულო, გულადი, გულგრილი, გულითადი, გულიანი და ა.შ.

ქართველ წინაპართა კოსმოგონიური აზროვნებით, „გული“ დამოუკიდებელი ცოცხალი არსებაა, რომელიც ადამიანის ორგანიზმში ცოცხლობს და ყველაფერი, რასაც ადამიანი განიცდის, გულს მიეწერება. გულს ადამიანის ბატონად თვლიდნენ. მიაჩნდათ,

რომ ყველაზე მნიშვნელოვანი გულია, თვით ადამიანის პიროვნება კი არაფერია. ყველას და ყველაფერს აქვს გული და გულისგული. თავის მითებში „გულისგულს“ შუმერიც მოიხსენიებს. კომის სამყაროს დედის უძველეს გამოსახულებებზე ნათლადაა „გული“ და „გულისგული“ ასახული. გული და გულისგული აქვს დედამიწასაც. (ნახეთ აქვე: „სამოთხე“ – სამყაროს დედის უძველესი გამოსახულებები. „გული“ და „გულისგული“).

მეცნიერებმა გამოიკვლიეს, თუ რა ზეგავლენას ახდენს ადამიანის პიროვნულ თვისებებზე სხვისი სხეულის გადანერგილი ორგანოები. აღმოჩნდა, რომ გულის გადანერგვის შემთხვევაში ადამიანი კარგავს თავის პიროვნულ თვისებებს და იძენს იმ ადამიანის ხასიათს, თვისებებსა და უნარ-ჩვევებს, რაც ჰქონდა დონორს.

რუსთაველის ვეფხის-ტყაოსანი გულის შესახებ ზემოთ მოყვანილი ფრაზებით წარმოაჩენს მეცნიერებისთვის ჯერ კიდევ უცნობ დიდად ღირებულ ზოგადსაკაცობრიო საკითხებს.

„ქაჯი ყველა უხორცოა, რამან შექმნა ხორციელად?“
„რა ქაჯნია, კაცნიაო მინდობიან კლდესა სალსა.“
„ქაჯებს უჩინოთ შეეძლოთ ყველგან შესვლა და გამოსვლა.“
„ყოველთა კაცთა მავნენი, იგი ვერვისგან ვნებულნი.“
„ქაჯთა ქალაქი აქამდინ მტრისაგან უძლეველია.“
„ციხისა კარი დახშულნი შევლნა, მათ ვითა ღიანი.“
„შენ დამიფარე, ძლევა მეც დათრგუნვად მე სატანისა.“
„ღმერთმან ჰქნას ქაჯთა სამეფო მოგესმას ჩვენგან ძლეული.“
„ბოროტიცა რად შეექმნა კეთილისა შემოქმედსა?“
„თუ ლხინი გვინდა ღმრთისაგან, ჭირიცა შევიწყნაროთა.“
„კარგი რამ მჭირდეს გიკვირდეს, ავი რა საკვირველია!“
„ღმერთმა ერთი ვით აცხონოს თუ მეორე არ წაწყმიდოს.“
„ჭირთა ჟამი ერთხელია.“

ვეფხის-ტყაოსნის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი თემაა ტარიელის, ავთანდილის და ფრიდონის ბრძოლა ბოროტ სულებთან – ქაჯებთან და დევებთან. რუსთაველის ვეფხის-ტყაოსანში ქაჯები მეტად საინტერესოდაა დახასიათებული. ისინი ერთად შეკრებილი გრძნეულების მცოდნეები არიან, ამაში არიან დახელოვნებული. ყველა ადამიანს ავნებენ და „აბრმავებენ“. ისინი კი ყოველთვის უვნებელნი რჩებიან. საშინელ საქმეებს აკეთებენ: იწვევენ ქარიშხლებს, ზღვაზე მტრის ნავებს დაამხობენ; წყალზე, როგორც ხმელეთზე, ისე გაირბენენ, წყალს დააშრობენ, დღეს დააბნელებენ. უჩინოდ შეუძლიათ ყველგან გასვლა და გამოსვლა. ისინი მძარცველები და მეკობრეები არიან. ადრე „უხორცო“, ანუ თვალით უხილავი – მატერიალური სხეულის გარეშე ყოფილან, მაგრამ რუსთაველის ეპოქაში უკვე ადამიანის სახე აქვთ მიღებული.

ქართული მითოლოგიით ხვთისშვილებმა ისე ამოწყვიტეს

დევები და ქაჯები, რომ ცოცხლები მოთვინიერდნენ, თავიანთ ძალ-ღონეს შრომაში ხარჯავდნენ და კმაყოფილებიც იყვნენ. მაგრამ ხალხთა რწმენა-წარმოდგენებით **„ქაჯების მოთვინიერება არ შეიძლება“,** ანუ ყველაფრის მიუხედავად, ქაჯები სამუდამოდ ბოროტ ავსულებად რჩებიან – **„კოკასა შიგან რაცა დგას, იგივე გადმოდინდების“**-ო, გვეუბნება ვეფხის-ტყაოსნის ერთ-ერთი აფორიზმი.

ვეფხის-ტყაოსანში დასმულია კითხვა: **„რამან შექმნა (ქაჯები) ხორციელად?“**-ო. რა თქმა უნდა ღმერთმა, ვის გარეშეც ამქვეყანაზე არავინ და არაფერი იქმნება. ყველაფერი ერთარსი ღმერთის წინასწარდასახული გეგმის ნაწილია. ავსულები – ქაჯები და დევები, რომლებიც დღეს ამ კოსმიურ პროცესში ადამიანების სხეულით არიან ნათელგამოვლენილნი, ღმრთისგან დავალებულ თავის მისიას ასრულებენ. ავსულებს თავისი უთვალავი ლაშქარი ჰყავთ, რომლებიც დღესაც ჩვენს გვერდით არიან. აქ განხილულ საკითხს წარმოაჩენს ვეფხის-ტყაოსნის ზემოთ მოყვანილი სტრიქონები.

მითოლოგიასა და ადამიანთა რწმენა-წარმოდგენებში აისახებოდა სამყაროში მიმდინარე ორ ურთიერთდაპირისპირებულ ძალთა კოსმიური პროცესი. უხსოვარი დროიდან ადამიანთა ორი მოდგმა განიხილება: ღმერთის მორწმუნე და ღმერთთან დაპირისპირებული. ისტორიაში და მითოლოგიურ ენციკლოპედიებში ეს ხალხი ნათლადაა წარმოდგენილი. ქართველები ყოველთვის სამყაროს შემოქმედ ერთარს მამა ღმერთს სცემდნენ თაყვანს, რომლის **64** სახე–გამოვლინებაა დევებთან და ქაჯებთან მებრძოლი **64** ხვთისშვილი, რომლებიც **მარადიულნი და უკვდავნი არიან**.

გენეტიკურად ავსულების არსებობა დედამიწაზე დროებითი მოვლენაა, ვინაიდან ქართველთა ხვთისშვილებთან ბრძოლაში დევები და ქაჯები ყოველთვის მარცხდებიან (ნახეთ აქვე: – „კეთილისა და ბოროტის არსი ადამის ცივილიზაციაში“).

სწორედ ახლა, III ათასწლეულის დასაწყისში დაიწყო ავსულთა დასასრული, ანუ ბოლო ჟამი. ეს გაგრძელდება ახ. წ.

4000 წლამდე, რის შემდეგაც ავსულთა ენერგიისგან განწმენდილი ადამის ცივილიზაცია გადავა ცივილიზაციის ახალ ციკლში.

კეთილი ბოროტებაზე ყოველთვის იმარჯვებს – **„ვცან სიმოკლე ბოროტისა, კეთილია შენი გრძელი“**-ო, ამბობს შოთა რუსთაველი. სწორედ ეს ცნობიერებაა ასახული ვეფხის-ტყაოსნის ქვემოთ მოყვანილ სტრიქონებში. აქვე ნათქვამია – **„ჯირთა შამი ერთხელია“**-ო, **ქართველები და საქართველო კი „მრავალ-შამი“** ერია.

„ბოროტსა სძლია კეთილმან, არსება მისი გრძელია.“
„ვცან სიმოკლე ბოროტისა, კეთილია შენი გრძელი.“
„ღმერთი კარგსა მოავლინებს, მათ ბოროტსა არ დაჰბადებს.
ავსა წამ ერთ შეამოკლებს, კარგსა ხან – გრძლად გააკვლადებს.“

ადამიანთა ცნობიერებაში უხსოვარი დროიდანაა შემორჩენილი ცოდნა ბედისწერის, ბედის ბორბალის – ზეციური ეტლის შესახებ. ამ საკითხებს იხილავს ჩვენამდე მოსული პირველ ადამიანთა ცოდნა – კაბალა, რომელიც მსოფლიოში არსებული ანბანებიდან მხოლოდ ქართულ ანბანში აისახება. ეს არის ღმერთის მიერ წინასწარ შედგენილი ხვთიური გეგმა, რომლის მიხედვითაც მიმდინარეობს კოსმიური პროცესი ნებისმიერ მიკრო და მაკრო სამყაროში. კაბალას ცოდნა ქართული ფენომენია – აღმოსავლეთ საქართველოს ოდითგანვე კაბალა ერქვა, რაც ადასტურებს იმას, რომ ქართველები გენეტიკურად არიან ცივილიზაციათა საწყისთა საწყისი ხალხი. ქართულ ცნობიერებაში დღემდე ღრმადაა შემორჩენილი ინფორმაცია ბედისწერისა და ბედის ბორბალის შესახებ. ამას წარმოაჩენს რუსთაველის ვეფხის-ტყაოსნის შემდეგი სტრიქონები:

„რისხვით მობრუნდა ბორბალი ჩვენზედა ცისა შვიდისა.“
„ბედმან გვიყო ყველაკაი, ჩემო რაცა დაგვემართა.“
„განგებასა ვერვინ შეცვლის არ საქნელი არ იქნების.“
„როცა მოვა საქმე ზენა, მომავალი არ იქნების.“
„ვერ-ვინ ვერას იქმს, თუ ეტლი არ მოსთმინდების.“
„არ გარდავა გარდუვალად მომავალი საქმე ზენა,
არვის ძალუძს ხორციელსა განგებისა გარდავლენა.“
„...თავია სიცრუე ყოვლისა უბედობისა.“
„განგებით ქმნილსა რისხვასა ვერავინ დარიდებია.“

ბედისწერის ბორბალი, ანუ ეტლი არსებობის, ხვთიური ჭეშმარიტების და კანონის, სიცოცხლის შექმნის და განადგურების კოსმიური პროცესია – არსთა დაბადებათა და ცვალებადობათა მარადიული წრებრუნვის ბედისწერის ბორბალი. ქართულ მითო-

ლოგიაში ცნობილია ბედის ბედური – ცხენი, რომელსაც „სულის ცხენსაც“ უწოდებდნენ. ქართველთა **64** ხვთისშვილი, რომლებიც მარადიულნი და უკვდავნი არიან, მორიგეობით, ანუ მონაცვლეობით არიან ბედის ბედურის მფლობელები. ბედის ბორბალს – ბედის „ჩარხს“ ყოფიერების ბორბალსაც უწოდებენ, რომელიც გამოისახებოდა ბორბალზე გაკრული ქალის სახით. კაბალას ცოდნაში 10-ე არკანი, რომლის სახელია „ბედის ბორბალი“, გამოისახება ბორბალზე გაკრული ქალის სახით. ადამიანის „ზეობა“ ან „დაცემა“ ბორბლის მდგომარეობაზე იყო დამოკიდებული. ადამიანის ბედისწერის „ეტლი“ მის გულშია.

თუ კაბალას ცოდნით ვიმსჯელებთ, ერთარსმა „ერთმა“ შექმნა „ორი“, „ერთმა“ და „ორმა“ შექმნა „სამი“, ხოლო „სამმა“ შექმნა სამყაროში ყველაფერი. ეს არის ადამიანის სამყაროს შექმნის პირველი სამი დღე. მეოთხე დღიდან ცხრა დღის ჩათვლით, ანუ ექვს დღეში, იქმნება ადამიანის ღეროვანი – ძირითადი სასიცოცხლო უჯრედები. ამაში აისახება ბიბლიური ცოდნა სამყაროს ექვს დღეში შექმნისა. ხოლო მეშვიდე დღეს, ანუ საწყისიდან მეათე დღეს ექვს დღეში შექმნილი იწყებს ბრუნვით მეტაფიზიკურ მოძრაობას და ცხრა დღეში შექმნილ „მასას“ ეძლევა ერთგვარი პულსაცია – ეს არის ადამიანის ერთგვარი „გული“, საიდანაც ვითარდება ადამიანი, როგორც სამყარო. ამ კოსმიურ პროცესს კაბალა ბედის ბორბალს უწოდებს და ქართულ ანბანში მას **„ი-ინ-10“** ასო-ნიშანი შეესაბამება.

მედიკოსთა მიერ დამტკიცებულია, რომ ადამიანის გული ჩასახვიდან მეათე დღეს იწყებს ფეთქვას, ანუ პულსაციას. ადამიანის სხეულში სიცოცხლეს გული იწყებს და გული ამთავრებს – ადამიანი გარდაცვლილად ითვლება თუ მას გული უჩერდება.

როგორც ცნობილია, ებრაულ ანბანში არ არის ხმოვანი ასო-ნიშნები, მაგრამ არის მხოლოდ **„ი-იუდ-10“** ასო-ნიშანი, რომლის მეორადი სახელი არის **„იუდ“**, საიდანაც წარმოსდგება ებრაელთა რელიგიური სახელი **„იუდეველები“**. კაბალა ამ კოსმიურ პროცესს უწოდებს „**ქალბატონის ხელისუფლება“**-ს.

„მით ვისწავლებით, მოგვეცეს შერთვა ზესთ მწყობრთა წყობისა.“

სამყაროში ყველაფერი ერთარსი „ერთი“ ღმერთისგანაა შექმნილი. ამასვე გვიდასტურებს კაბალას ბიბლიური კოსმოგონიური ცოდნა, რაც მსოფლიოში არსებული 14 ანბანიდან მხოლოდ ქართულ ანბანში აისახება. სწორედ ეს არის სამყაროს ყველაზე დიდი საიდუმლო ცოდნა ასახული ქართულ ანბანში, რის შესახებაც წინასწარმეტყველებს X საუკუნის უდიდესი მწიგნობარი იოვანე-ზოსიმე. ქართული ანბანი სამყაროს გენეტიკური კოდია (ნახეთ: ნ. ხ. – ქართული გენი იბერიის ცივილიზაციათა სათავეებთან, 2012 წ. გვ. 8 – „ქართული ანბანი სამყაროს გენეტიკური კოდია...“).

მრწამსის ლოცვაში წმინდა მამები აღნიშნავენ, რომ ყველაფერი, რაც სამყაროში ხდება შემოქმედ მამაღმერთს უკავშირდება, მხოლოდ ის არის ერთარსი „ღმ-ერთი“ და ყველაფერი „მისგან გამოვალს“.

სამყაროში მოქმედი აქსიომა–კანონებიდან ერთ-ერთია: **„ყველა და ყველაფერი სამყაროში პირველსაწყისს უბრუნდება“**, ანუ ადამიანთა ყოფიერების მთავარი მიზანია პირველსაწყისში, ანუ ისევ მამაღმერთთან დაბრუნება. ამისთვის ეცადეთ შეიცნოთ თქვენს ირგვლივ და თქვენში არსებული მრავალგანზომილებიანი მეტაფიზიკური ხილული და უხილავი სამყარო. თქვენ აუცილებლად შეიცნობთ მას და მიხვალთ ღმერთთან – **„შეიცანი თავი შენი და შეიცნობ სამყაროს“**.

ვეფხის-ტყაოსნის ზემოთ მოყვანილი აფორიზმის არსი ამ ცნობიერების ხვთაებრივ გააზრებაშია.

„მე სიტყვასა ერთსა გკადრებ პლატონისგან სწავლა-თქმულსა
სიცრუე და ორპირობა ავნებს ხორცსა, მერმე სულსა.“
„ესე არაკი მართალი ჩინს ქვასა ზედა სწერია:
„ვინც მოყვარესა არ ეძებს იგი თავისა მტერია.“

შოთა რუსთაველი ზემოთ მოყვანილი სტრიქონებით წარმოაჩენს, რომ ქართველები გარდა ადგილობრივი საკრალური ცოდნისა, ინტერესდებოდნენ ჩინელების და სხვა ხალხების ბრძნული გამონათქვამებით. ამას ხელს უწყობდა საქართველოზე გამავალი სავაჭრო საქარავნო გზა. გარდა ამისა, საქართველოში სამოგზაუროდ და ადგილობრივი კულტურული მემკვიდრეობის გასაცნობად ადამიანები სხვადასხვა ქვეყნებიდან ჩამოდიოდნენ. თვითონ ქართველებიც ბევრს მოგზაურობდნენ სხვადასხვა ქვეყნებში.

გამონათქვამი – **„ვინც მოყვარესა არ ეძებს იგი თავისა მტერია“,** წარმოაჩენს ჩინელთა ხვთაებრივ ცნობიერებას და არსის უდიდეს კანონს – ადამიანს თუ მშვიდი და ნაყოფიერი ცხოვრება უნდა, მან თავის ირგვლივ უნდა მოიძიოს და დაუკავშირდეს მოყვარეს – მისთვის სიკეთით განწყობილ ადამიანებს და არა მტერს. ეს მეტად ბრძნული რჩევაა.

უაღრესად მნიშვნელოვანი და ღრმად ფილოსოფიური აზრია წარმოჩენილი ძვ. წ. V საუკუნის გამოჩენილი ფილოსოფოსის პლატონის ზემოთ მოყვანილ გამონათქვამში – **„სიცრუე და ორპირობა ავნებს ხორცსა, მერმე სულსა“**. შეგახსენებთ საიქიოს 20 საზვერეს, რომლის მიხედვითაც სიცრუის საზვერე მეორეა, ეს კი ნიშნავს, რომ **სიცრუეს ღმერთის სამართალში უმნიშვნელოვანესი და მთავარი ადგილი უკავია**. **„სიცურე და ორპირობა ავნებს ხორცსა, მერმე სულსა“** – ამ გამონათქვამის არსი საკმაოდ ღრმა არის.

თითქმის 30 წელზე მეტია ალტერნატიული მედიცინით ვარ დაინტერესებული – ავადმყოფებს დიაგნოზს ვუტარებ და ვმკურნალობ. ავადმყოფთან საკონტაქტო მანძილს მნიშვნელობა არა აქვს. ეს ყველაფერი ეფუძნება უჯრედებიდან ინფორმაციის მიღებას. ყველა უჯრედს შეუძლია ინფორმაციის მიღება, შენახვა, გაცემა.

ავადმყოფობის შესახებ ჩემი აზრი და დასკვნები მაქვს. **ავადმყოფობა არის ადამიანის არასწორი საქციელის და აზროვნების შედეგი** – ისჯებიან ის უჯრედები, რომლებიც ადამიანის ცნობიერებას აწვდიან ისეთ ინფორმაციას და უბიძგებენ ისეთი საქციელისკენ, რომელიც მას ცოდვად ეთვლება. ამის გამო ეს უჯრედები ისჯებიან და ადამიანის ავადმყოფობაც აქედან მოდის, სიტყვა **„ავად-მყოფი“** ხომ სიავესთან და ბოროტებასთანდაა დაკავშირებული. სწორედ ამ საკითხს უკავშირდება პლატონის სიტყვები – **„სიცრუე და ორპირობა ავნებს ხორცსა, მერმე სულსა“,** ანუ სიცრუე და ორპირობა ავნებს ჯერ ხორცს, ანუ ფიზიკურ სხეულს, შემდეგ კი – სულს.

მაშასადამე, **სიცრუე და ორპირობა არა მხოლოდ სხეულის ავადმყოფობას იწვევს, არამედ სულის ავადმყოფობასაც.**

ვეფხის-ტყაოსნის ქვემოთ მოყვანილი სტრიქონებით რუსთაველმა წარმოაჩინა ქართული ცნობიერება ზემოთ მოყვანილ საკითხთან მიმართებაში. ადამიანი, რომელიც ცრუობს, ღმერთს ღალატობს. სიცრუეს ადამიანისთვის უბედურება მოაქვს. ადამიანი, რომელიც ცრუობს საზოგადოებისგან დასაგმობია და ა.შ. ქვემოთ მოყვანილი ფრაზებით ნათელია XII საუკუნის ქართველთა დამოკიდებულება სიცრუის ფენომენთან:

„ყოვლი ცრუ და მოღალატე ღმერთსა ჰგმობს და აგრე ცრუობს.“
„...თავია სიცრუე ყოვლისა უბედობისა.“
„ცრუ და მუხთალი სოფელი, მიწყივ ავისა მქმნელია.“
„კაცი ცრუ და მოღალატე ხამს ლახვრითა დასაჭრელად.“
„ვგმობ კაცსა აუგიანსა, ცრუსა და ღალატიანსა.“

„ბოლოდ ყოვლი დამალული საქმე ცხადად გამოცხადდეს.“
„ქმნა მართლისა, სამართლისა ხესა შეიქმს ხმელსა ნედლად.“
„მისცა მადლი და დიდება ღმერთსა, მართლისა მბჭობელსა.“
„ღმერთი გვფარავს, სწორად გაჰკვეთს, შეშა ვის ჰკრა, თუნდა ხმალი.“
„რაცა იქმნების, იქმნების ყოვლი თათბირი სწორია.“

ჯერ კიდევ **8000** წლის წინ ქართველებმა პირველ ადამიანს „ქართ ადამი“, ანუ მართალი ადამი უწოდეს და აქედან დაიწყეს წელთაღრიცხვის ათვლა „ქართ ადამს აქათ“. ეს კოსმიური პროცესი ბიბლიური კაბალას მიხედვით **„ა-ან-1“** ქართული ასო-ნიშნის შესაბამისია და ერთარს „ერთ“ ღმერთს უკავშირდება, რომლის სახელი კაბალას მიხედვით არის – „ადამიანი“. სიტყვა „ქართ“ დაკავშირებულია გულქართლთან და გულმართალთან.

მოციქულ იოანეს გამოცხადებიდან შეგახსენებთ რამდენიმე ადგილს: „შევხედე და აი, თეთრი ცხენი და ზედ მჯდომარე, რომელსაც ჰქონდა მშვილდი და მიცემული ჰქონდა გვირგვინი; და გამოვიდა გამარჯვებით და რათა გაიმარჯვა“. „ვიხილე ცა გახსნილი, და აი, თეთრი ცხენი და ზედ მჯდომარე იწოდება ერთგულად და ჭეშმარიტად და სიმართლით ასამართლებს და იბრძვის. მის სამოსელზე და მის თეძოზე აქვს დაწერილი: მეფეთ მეფე და უფალთ-უფალი“. თეთრ ცხენზე მჯდომი ღმერთი ქართველთა თეთრი გიორგია. იგი მრავალსახაა – **64** ხვთისშვილი თეთრი გიორგის **64** სახე-გამოვლინებაა.

სიტყვა „მართალი“-ს არსის გამომხატველია ქართული სიტყვები: მართლმსაჯულება, სიმართლე, სასამართლო, მართლმადიდებლობა. ამასთანაა დაკავშირებული სიტყვები: „ქართველი“ და „საქართველო“.

მართლმადიდებლობის არსი მართალი სიტყვის დიდებასთანაა

დაკავშირებული. მაშასადამე, მართლმადიდებლობა ქართველებს ჯერ კიდევ **8000** წლის წინ ჰქონდათ, საიდანაც დაიწყეს წელთაღრიცხვის ათვლა „ქართ ადამს აქათ“.

გონიო – მართი კუთხის სიმბოლური გამოსახულება, როგორც ერთარსი „ერთი“ ღმერთის მართალი სიტყვის და მართლმადიდებლობის სიმბოლო, ქართველებს უხსოვარი დროიდან ჰქონდათ. გონიო ჰქონდათ ასევე ძველ ჩინელებს, შუმერებს, როგორც ღმერთის სამართლიანობის სიმბოლო.

აქ მოყვანილ საკითხს არაერთი სტატია – ნაშრომი მივუძღვენი (ნახეთ: ნ. ხ. – ქართული გენი იბერიის ცივილიზაციათა სათავეებთან, 2012 წ., გვ. 361 – „ქრისტიანობა – მართლმადიდებლობა კაცობრიობის მარადიული და საყოველთაო რელიგიაა“).

ზემოთ განვიხილეთ სიცრუის საკითხი, რაც უფლის სამართალში ყველაზე დიდ და მომაკვდინებელ ცოდვად ითვლება. „სიცრუის“ საპირისპირო სიტყვად ითვლება „სიმართლე“. ვეფხისტყაოსნის ზემოთ მოყვანილი სტროფების მიხედვით, ადამიანები ღმერთს მადლობას სწირავდნენ, რომ ისინი ქვეყანას, ოჯახს, თავის პირად ცხოვრებას სიმართლით მართავდნენ; მართალი სიტყვის ენერგია ისეთი ძლიერი სასიცოცხლო ხვთაებრივი მეტაფიზიკური დაფარული ენერგიაა, რომ **„ხესა შეიქმს ხმელსა ნედლად“**. ამქვეყანაზე ყველა ადამიანს თავისი სამართალი აქვს – ხშირად თავის საქციელში თავი მართალი ჰგონია, მაგრამ რამდენადაა ეს შეთავსებადი ღმერთის სამართალთან, ამას თვით ღმერთი შეაფასებს.

ხვთის ნება სამართლიანობის კანონია. ამ სიტყვების არსის გამომხატველია ვეფხის-ტყაოსნის შემდეგი სტრიქონი: **„რაცა იქმნების, იქმნების, ყოვლი თათბირი სწორია“**. ეს სიტყვები კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ ქვეყანაზე ყველაფერში ღმერთის სამართლიანობის კოსმიური პროცესი აისახება.

ქართველები ამქვეყნიურ ცხოვრებას **„წუთისოფელი“**-ს სახელით მოიხსენიებენ. სამყაროს და ჩვენი ყოფის მიმართ ეს ცნობიერება ვეფხის-ტყაოსანში არაერთხელაა წარმოჩენილი. ამას ადასტურებს ქვემოთ მოყვანილი სტრიქონები, სადაც ნათლადაა ასახული XII საუკუნის ქართველი ხალხის რწმენა-წარმოდგენები **„საწუთროსა“** და **„წამიერ“** ქვეყნიერებაზე, სადაც ყველაფერი ღმერთის ნებით ხდება, რომ ჩვენი ცხოვრება ამქვეყანაზე **„ერთ წუთად“** აღიქმება და ეს ცნობიერება უხსოვარი დროიდან მოდის. სინამდვილეში, ადამიანმა **100** წელიც რომ იცოცხლოს, დედამიწის არსებობის მილიარდობით წლებთან შედარებით ეს მართლაც ერთი წუთია. ასეთი მსჯელობა დედამიწაზე მოქმედ მხოლოდ ფიზიკური დროის კანონს ეხება.

„წუთისოფლის“ საკითხი სინამდვილეში ძირითადად მეტაფიზიკასთანაა დაკავშირებული. აი, რას გვეუბნება ამის შესახებ ამერიკელი ექიმი და ფილოსოფოსი რაიმონდ მოუდი, რომელმაც **150** ადამიანის კლინიკური სიკვდილის შემთხვევა გამოიკვლია და ამის შესახებ **1975** წელს გამოაქვეყნა წიგნი „სიცოცხლე სიკვდილის შემდეგ“, სადაც ადამიანები ჰყვებიან კლინიკური სიკვდილის დროს გადატანილ განცდებზე. კლინიკური სიკვდილის დროს ადამიანებზე ყველაზე დიდ შთაბეჭდილებას ახდენდა შეხვედრა არამიწიერ სინათლესთან, რომელიც პაციენტებთან უსიტყვო-აზროვნებით ინფორმაციულ კავშირს ამყარებდა. მანათობელი არსება მათ ეკითხებოდა: „რა გააკეთე შენს ცხოვრებაში?“ შეკითხვის პარალელურად მანათობელი არსება ადამიანებს მისი წარსული ცხოვრების ამსახველ კადრებს აჩვენებდა და წარსულის ეს მიმოხილვა დედამიწის დროით გრძელდებოდა **30** წამიდან **5** წუთამდე. ეს ადასტურებს, რომ ადამიანის ცხოვრება

„ღმერთის დროით“ რამდენიმე წუთია, ანუ ამქვეყანაზე „ღმერთის დრო“ შენელებულია. სწორედ ამიტომ ვუწოდებთ ქართველები ამქვეყნიურ ცხოვრებას **„წუთისოფელს“** და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, **ქართველთა წინაპრებმა ეს ყველაფერი უხსოვარი დროიდან იცოდნენ, წინააღმდეგ შემთხვევაში ქართულ ენაში არ გვექნებოდა სიტყვა „წუთისოფელი“.**

ჩემი აზრით, სიტყვა „წუთისოფელი“ მხოლოდ ქართულ ენაშია, რაც უდიდესი მინიშნებაა იმისა, რომ ქართული ენა და ქართველი ხალხი კაცობრიობის საწყისთა საწყისია და ეს ყველაფერი, ამავე დროს, ამტკიცებს იოანე-ზოსიმეს სიტყვებს – **„ყოველი საიდუმლოჲ ამას ენასა შინა დამარხულ არს“.** ასე ღმაა ქართველთა ჯერ კიდევ დაფარული მეტაფიზიკური ცოდნა სამყაროს შესახებ. ეს საკითხი კარგადაა წარმოჩენილი ვეფხის-ტყაოსნის შემდეგ სტრიქონებში:

„იგი გაჰხდის წამის ყოფით ერთსა ასად, ასსა ერთად.“
„ვის გმორჩილობენ ციურნი ერთის იოტის წამისად.“
„ესე ასეთი სოფელი, არვისგან მისანდობელი,
წამია კაცთა თვალისა და წამწამისა მსწრობელი.“
„საწუთრო ნაცვლად გვატირებს რაც ოდენ გაგვიცინია.“
„ღმერთი კარგსა მოავლინებს, მით ბოროტსა არ დაჰბადებს.
ავსა წამ ერთ შეამოკლებს, კარგსა ხან – გრძლად გააკვლადებს.“

„არ იცი ვარდი უეკლოდ არავის მოუკრებიან?“
„წესი არის მამაცისა მოჭირვება, ჭირთა თმენა.“
„ტკბილსა მწარე ჰპოვებს.“

ყველა დიდი და წარმატებული საქმის მისაღწევად განვლილი გზა აუცილებლად წინააღმდეგობებითაა სავსე. ამ ქვეყანაზე ყველა და ყველაფერი სამყაროს ორ – **„ინ“** და **„იან“** დაპირისპირებულ პირველსაწყისთა ბრძოლით მიიღება. თუმცა აღმოსავლეთი მათ ჰარმონიულ მრავალგანზომილებიან მეტაფიზიკურ კოსმიურ პროცესს განიხილავს, სადაც ყოველთვის სიკეთე და სიმართლე იმარჯვებს. სწორედ ამაზე მიგვანიშნებს ვეფხის-ტყაოსნის ზემოთ მოყვანილი სტრიქონები.

„აწღა ვცან საქმე სოფლისა, ზღაპარია და ჩმახია“.

ვეფხის-ტყაოსნის ამ სტრიქონში წარმოდგენილი მოსაზრება ამქვეყნად ადამიანთა ყოფიერების შესახებ, რომ ეს ყველაფერი **„ზღაპარია და ჩმახია“**, სერიოზულად დამაფიქრებელია.

XVI საუკუნის საფრანგეთში მოღვაწე მიშელ ნოსტრადამუსი თვლიდა, რომ **ადამიანი ბედისწერის ხელში სათამაშოა**. კაბალას ცოდნის მიხედვით, რომელიც არის პირველ ადამიანთა გენეტიკური ცოდნა ადამიანის, როგორც უფლის შესაქმის გვირგვინის სამყაროში მიმდინარე კოსმიური პროცესების დროში ცვალებადობის შესახებ, **XXII არკანი ადამიანს „მასხარას“ უწოდებს**. ვფიქრობ, აქ მოყვანილი ფრაზები ვეფხის-ტყაოსნის ზემოთ მოყვანილ სტროფში წარმოჩენილ მოსაზრებასთან ერთგვარად კავშირშია.

მრწამსის ლოცვაში ნათქვამია: **„უფალი იესო ქრისტე... შობილი და არა ქმნილი, ერთარსი მამისა, რომლისგანაც ყოველი შეიქმნა“**. ამ სიტყვებიდან ჩანს, რომ მხოლოდ იესო ქრისტეა მამისაგან **შობილი**, დანარჩენი ყველა და ყველაფერი ამქვეყანაზე მამისაგან **შექმნილები** არიან.

შუმერების მითოლოგიით უფალმა სამყარო შექმნა წინასწარდასახული გეგმის – „მე“-ს ხვთაებრივი კანონების მიხედვით, რომლებიც შექმნის დღიდან განაგებენ და აწესრიგებენ სამყაროს მუდმივ მიმოქცევას. „მე“-ს ხვთაებრივი კანონები არის შუმერთა კაბალა, რომელიც მსოფლიოში არსებული 14 ანბანიდან მხოლოდ ქართულ ანბანში აისახება. ქართული ანბანი არის სამყაროს ის გენეტიკური კოდი – წინასწარდასახული გეგმა, რომლის მიხედვითაც შექმნა უფალმა სამყარო, რომელსაც ადამიანები ბედისწერას უწოდებენ.

ვინაიდან უფალმა ადამიანები მის ხატად და მსგავსად შეგვქმნა, ამქვეყანაზე ჩვენც შემოქმედებით საქმიანობას ვეწევით. ბოლო პერიოდში ადამიანებმაც თავის მსგავსად და „ხატად“ შექმნეს რობოტები, რომლებსაც აქვთ აზროვნება, ესმით, შეუძლიათ ინფორმაციის მიღება, შენახვა, გაცემა – შეუძლიათ ლაპარაკი, ასრულებენ თითქმის ყველა იმ ფუნქციას, რასაც ადამიანი ასრულებს. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, მათ გამრავლებაც შეუძლიათ. რობოტებიც, ადამიანების მსგავსად, წინასწარშედგენილი გეგმის მიხედვით იქმნებიან.

რას ვაკეთებთ?! უფალი ჩვენივე ხელით ქმნის ახალი ტიპის ადამიანს – ახალ ცივილიზაციას?! ალბათ ასეა და ეს უაღრესად მნიშვნელოვანი და საინტერესოა.

მოვა დრო, ადამიანი გამრავლებაზე უარს იტყვის და შვილს აღარ გააჩენს, ამქვეყნიური ცხოვრება ხომ ჯოჯოხეთურია და უდიდესი ტვირთია თითოეული ადამიანისთვის. დღეს ადამიანის სიცოცხლეს ჩალის ფასი აქვს. ადამიანთა ჯოჯოხეთურ ცხოვრებას ადასტურებს ისიც, რომ დევები და ქაჯები დღეს დედამიწაზე ადამიანების სხეულში არიან მოსული.

ბევრი რამის თქმა შეიძლება, რაც განაპირობებს იმას, რომ ადამიანი თვითონ იტყვის უარს თავის არსებობაზე. ადამიანი აღარ იშრომებს – სახლში ექნება ისეთი აპარატურა, რომელიც ნებისმიერ დროს დაუმზადებს საჭირო ნივთებს და საკვებს. მათ მეგობრად, მძღოლად, შვილად, მეუღლედ, დედად, მამად და სხვა ნებისმიერი მომსახურებისთვის ადამიანების და ცხოველების მსგავსი უკვე ახალი ნანოტექნოლოგიებით დამზადებული რობოტები ეყოლებათ. მაშასადამე, **ადამიანთა მოდგმა გადაშენების გზას ადგას**. ტექნოლოგიური პროცესების განვითარებას ვერ შევაჩერებთ. ადამიანები თავის „მსგავსად“ და „ხატად“ კვლავაც შექმნიან ახალ, თანამედროვე ტექნოლოგიებზე დამზადებულ რობოტებს.

როგორც ზემოთ მოყვანილი მსჯელობიდან დავრწმუნდით,

ადამიანებიც, რობოტების მსგავსად, მრავალგანზომილებიან მეტაფიზიკურ სამყაროში მოქმედი სხვადასხვა ტექნოლოგიებით უფლის მიერ წინასწარშედგენილი გეგმის მიხედვით არიან შექმნილები. დიდება უფალს, რომ სამყაროში ყველაფერი უფლის ნებით ხდება და ჩვენ, ადამიანები ვერ ვწვდებით მისი ჩანაფიქრის სიღრმეებს.

დღეს ადამიანები ფიზიკურიდან მეტაფიზიკურ ცნობიერებაზე გადადიან – მოვიდა ინდიგო ადამიანთა თაობა, ამიტომ, იმედია, ვეფხის-ტყაოსნის სიტყვებში – **„აწცა ვცან საქმე სოფლისა, ზღაპარია და ჩმახია“**, გააზრებული სამყაროს შეცნობის არსი, მომავალში უფრო მეტი სიღრმით იქნება გაგებული და წარმოჩენილი.

„ვერ დაიჭირავს სიკვდილსა გზა ვიწრო, ვერცა კლდოვანი,
მისგან გასწორდეს ყოველი, სუსტი და ძალგულოვანი.“
„ბოლოდ შეჰყარნეს მიწამან ერთგან მოყმე და მხცოვანი.“
„ვარდთა და ნეხვთა ვინათგან მზე სწორედ მოეფინების.“

ვეფხის-ტყაოსნის ზემოთ წარმოჩენილი სტრიქონები ცხადყოფს, რომ რუსთაველის ეპოქის ცნობიერებით, ორი ურთიერთდაპირისპირებული „ინ“ და **„იან“** საწყისების მატარებელ ადამიანებს – **სუსტს და ძალგულოვანს**, **მოყმეს** და **მხცოვანს,** მხოლოდ სიკვდილი გაათანაბრებს. მათი ეს აზროვნება ფიზიკის, ანუ ამქვეყნიურ კანონებს ასახავს.

ქართველთა და მსოფლიოს სხვა ხალხთა რწმენა-წარმოდგენები სულ სხვა რამეს გვეუბნება. მათ მიაჩნდათ, რომ ადამიანები გარდაცვალების შემდეგ აგრძელებდნენ ცხოვრებას. ამიტომ მიცვალებულს თან ატანდნენ მისთვის აქაური ცხოვრებისთვის საჭირო ნივთებს, სიმდიდრეს, ცხოველებს, მონებს, რათა ადამიანებს საიქიოშიც იგივე ცხოვრება ჰქონოდათ.

ბუნების კანონი, რომ სამყაროში ყველა და ყველაფერი პირველსაწყისს უბრუნდება, მიცვალებულთა დაკრძავლის წესზეც აისახებოდა – მარხავდნენ ემბრიონის პოზაში ქალს გადაბრუნებულს მარცხნივ, ხოლო კაცს – გადაბრუნებულს მარჯვნივ. მათთვის ჯერ კიდევ შორეულ წარსულში იყო ცნობილი, რომ ადამიანის მარცხენა მხარე მდედრია, ხოლო მარჯვენა – მამრი, რაც უკავშირდება ადამიანის ტვინის ნახევარსფეროებს. ხალხი დედამიწას დედად თვლიდა და დაკრძალვის ეს წესი დედაში დაბრუნებას და იმ ქვეყნად ხელახალ დაბადებას ნიშნავდა.

რუსთაველის მიერ სამყაროს შემეცნების უდიდესი მეტაფიზიკური კოსმოგონიური ცოდნაა გამოვლენილი ვეფხის-ტყაონის ზემოთ წარმოჩენილ სიტყვებში – **„ვარდთა და ნეხვთა ვინათგან მზე სწორედ მოეფინების“**. აქ „მზე“ არის ერთარსი „ერთი“ ღმერთი, რომელიც ვარდზეც და ნეხვზეც ერთნაირად მოქმედებს, ანუ ხვთაებრივი ენერგია ამ ქვეყანაზე ცუდსაც და კარგსაც – ბოროტსაც და კეთილსაც თანაბრად „მიეწოდება“. განვიხილოთ ეს საკითხი უფრო ფართოდ და მეტი კოსმოგონიური სიღრმით.

დასაბამიდან სამყაროს ორი პირველსაწყისი – **„ინ“** და **„იან“**-ი ერთიანი იყო, შემდეგ ისინი გაიყო და დაუპირისპირდა ერთმანეთს. ჩინური ფილოსოფიის თანახმად, **„იან“** – ცა, მზე, სითბო, სინათლე, აქტიური მამაკაცური საწყისია, ხოლო **„ინ“** – პასიური, ქალური საწყისი. ეს ორი პირველსაწყისი ერთმანეთის „მარცვალს“ შეიცავს. ითვლებოდა, რომ განვითარების ზენიტის მიღწევისას **„ინ“**-ი **„იან“**-ად გარდაისახება. ორ საწყისს შორის თანაფარდობის შენარჩუნება ჩინური რელიგიურ-ფილოსოფიური სკოლის ერთ-ერთ ძირითად ცნებას წარმოადგენს. ადამის ცივილიზაციის მიზანია, ისევ გააერთიანოს ეს ორი პირველსაწყისი და დააბრუნოს სამყარო მარადიულ სასუფეველში. სამყაროს ორი პირველსაწყისის გათიშვის, დაპირისპირების, დაახლოების და ისევ გაერთიანების გენეტიკური კოსმიური პროცესია აღწერილი ყველა ხალხის მითოლოგიაში.

მსოფლიოს ხალხთა მითოლოგია ორ პირველსაწყისს წარმოაჩენს გაყოფილს და ურთიერთდაპირისპირებულს, მაგრამ ამის მიუხედავად, ასევე აღნიშნავს, რომ სამყაროს კოსმიური პროცესისთვის ორივეს არსებობა აუცილებელია, ორივე თავის ფუნქციას ასრულებს. აღმოსავლეთი განიხილავს მათ ურთიერთდაპირისპირებულ და ჰარმონიულ თანაარსებობას, ხოლო დასავლეთი ორ ურთიერთსაპირისპირო პირველსაწყისთა თანაარსებობას გვიქადაგებს უკვე ქრისტიანობის პერიოდიდან.

აი, რას ამბობს ამის შესახებ მსოფლიოს ხალხთა მითოლოგია: შუმერული მითების მიხედვით, ანუნაკები დაბალი რანგის უარყოფითი ხვთაებებია. ბედისწერის შემქმნელი ღმერთები ანუ-

ნაკებთან ერთად ბედისწერას გადაწყვეტენ. **„ან“** – ცის ღმერთმა ანუნაკები შექმნა ცისა და მიწის მთაზე მაშინ, როცა ჯერ კიდევ არაფერი იყო ქვეყანაზე შექმნილი. ეს ნიშნავს, რომ ორი პირველსაწყისი **„ან“** ცის ღმერთმა სამყაროს შექმნამდე შექმნა. ისინი ერთმანეთს არ ემორჩილებიან, ანუ ერთმანეთისგან დამოუკიდებლად მოქმედებენ, მაგრამ თანაარსებობენ და ორივე მონაწილეობს სამყაროს მოწყობასა და მასში მიმდინარე კოსმიურ პროცესებში.

ეს სამყარო იქითა სამყაროსთან მიმართებაში ორმაგად გადაბრუნებული სარკის პრინციპითაა მოწყობილი და ორივე ერთად მოიცავს მთლიანად სამყაროს. ეს ნიშნავს იმას, რომ ორმაგად გადაბრუნების შემთხვევაში მათი ენერგიები არა დაპირისპირებული, არამედ ერთ მხარესაა მიმართული. ეს საკითხი გენეტიკური კოდის ორ სპირალში აისახება, სადაც ორივე სპირალი ერთი მიმართულებითაა დახვეული. მაშასადამე, ორივე საწყისი ერთი მიმართულებით მოძრაობს, ანუ „ერთ საქმეს ემსახურება“.

სამყაროს ორი საწყისის ურთიერთობა სამყაროს კოსმიურ პროცესში ყველაზე კარგად და თანმიმდევრულადაა წარმოჩენილი ქართულ მითებში, სადაც ორი პირველსაწყისი, მართალია ურთიერთდაპირისპირებულია, მაგრამ ორივე აქტიურად მონაწილეობს სამყაროში მიმდინარე კოსმიურ პროცესებში. ზოგჯერ მორიგე ღმერთი მათ იცავს კიდეც, ბოლოს უარყოფითი ენერგიის მატარებელი სულები კარგავენ თავის ძველ, უარყოფით სახეს და ხდებიან დადებითნი და ჰარმონიულნი. ორშაბათობით მორიგე ღმერთის წინაშე წარსდგებოდნენ ავი სულების უფროსები და ხვთისშვილები, სადაც მოახსენებდნენ მას ერთი კვირის განმავლობაში მათ მიერ ჩადენილ კარგ და ცუდ საქმეებს და მორიგე ღმერთისგან ახალ დავალებებს ღებულობდნენ.

შუმერული მითოლოგიის მკვლევარები აღნიშნავდნენ, რომ მთელი მითოლოგია ქალის ფენომენის – მატერიის შეცნობის საკითხს უკავშირდება.

„სამოთხის ხე“ მითოლოგიაში ცნობილია, როგორც კეთილი-

სა და ბოროტის შემეცნების ხე: **„აღმოაცენა ღმერთმა ხე ცხოვრებისა და იგი ცნობად კეთილისა და ბოროტისა“** (დაბ. 2-9).

უთხრა ღმერთმა ადამიანს: **„ჭამე ყველა ხის ნაყოფი ბაღში, გარდა შემეცნების ხის ნაყოფისა, რამეთუ იმწუთას მოკვდები“**. თუ გავითვალისწინებთ, რომ სიკვდილი არის სულის შემოსვლა სხეულში – მატერიაში – „ჭურჭელში“, აქ მოიაზრება ის, რომ ადამიანის სიკვდილი არის ამქვეყნად მოსვლა და მისი სხეული აუცილებლად განსხეულდება ორ ურთიერთსაპირისპირო ენერგიათა თანაარსებობით. ხეთების კოსმოგონიური აზროვნებით, სამყარო არის **„ინ“** და **„იან“** – მატერიისა და სულის, მდედრის და მამრის ერთიანობა, რომელსაც აკავშირებს გველი. სწორედ გველია შემოხვეული იმ სიცოცხლის და შემეცნების ხეზე, რომლითაც განსხეულებულია ნებისმიერი მიკრო და მაკრო სამყარო. ეს არის ორი პირველსაწყისის – კეთილის და ბოროტის – **ინ** და **იან**-ის განსხეულება და სწორედ ამ სხეულში არსებობის, ცხოვრების პერიოდში თუ შეიცნობს ადამიანი კეთილისა და ბოროტის არსს, ის ავა ღმერთების აზროვნების და შესაძლებლობების დონემდე. სწორედ ამ საკითხის შეცნობა აიყვანს და დააბრუნებს ადამიანს ხვთაებრივ ცათა სასუფეველში, სადაც მხოლოდ ღმერთები ცხოვრობენ. ეს არის მარადისობაში დაბრუნების გზა, სადაც ჰარმონიულადაა შერწყმული ორი ურთიერთსაპირისპირო პირველსაწყისი.

კეთილს და ბოროტს რომ ერთი საწყისი აქვთ, ამის ნათელი მაგალითია ბიბლიის ძველი აღთქმის მეორე წიგნი – „გამოსვლა“, რომლის მიხედვითაც უფალი მიდის მოსესთან, აგზავნის მას ფარაონთან და არიგებს, გადასცეს ფარაონს უფლის სიტყვები: „გაუშვი ჩემი ხალხი ეგვიპტიდან, რომ დღესასწაული გამიმართონ უდაბნოში“ (გამოს. 5-1). უფალმა მოსე რამდენჯერმე გაგზავნა ფარაონთან მსგავსი თხოვნით და მუქარით, რასაც უფალი მალევე ასრულებდა. საინტერესო ის არის, რომ უფალი ასევე მიდიოდა ფარაონთანაც, „გულს უსასტიკებდა“ და უარით ისტუმ-

რებდა მოსეს. მეტიც, თვით მოსეს ეუბნება უფალი: „გულს გავუსასტიკებ ფარაონს და უკან დაგედევნებათ“. აქედან ჩანს, რომ ორივე დაპირისპირებულ მხარესთან მიდის უფალი და ორივეს ერთმანეთის საწინააღმდეგოდ განაწყობს. ეს საკითხი ნათელი მაგალითია იმისა, რომ ორივე ურთიერთსაპირისპირო აზრის – კეთილის და ბოროტის უკან უფალი დგას და ეს კარგად იცის მოსემაც და ფარაონმაც, ამასთანავე, ორივე არის უფლის სიტყვის შემსრულებელი.

მხოლოდ მართალი, წმინდა და უანგარო სიყვარულის ცხოვრების წესი მიიყვანს ადამიანს კეთილის და ბოროტის სიცოცხლის ხის „ნაყოფის“ შეცნობამდე. როცა მიხვდები, რომ სამყაროში უფლის გარეშე არაფერი არ ხდება და ყველაფერი როგორც კეთილი, ისე ბოროტი, აუცილებელია, უფლის შექმნილია, ყველა და ყველაფერი თავის კოსმიურ მისიას ასრულებს, მაშინ ჩამოგიყალიბდება გამთლიანებული აზროვნება და შენს წინაშე მოსულ როგორც სიკეთეს, ისე ბოროტებას, მიიღებ როგორც აუცილებელს შენი სულიერი ჩამოყალიბებისთვის. რაც მეტად იცდები, სულიერების უფრო მაღალ საფეხურზე ადიხარ.

ადამის ცივილიზაციის კოსმიური ხვთიური ჩანაფიქრია სამყაროს პირველსაწყის მარადისობაში დაბრუნება, სადაც არის მარადიული დრო და სივრცე – ორი პირველსაწყისი, რომლისგანაც შეიქმნა სამყარო. ჩვენ მიერ „კეთილისა“ და „ბოროტის“ – ორი პირველსაწყისის შეცნობა აუცილებელი და გარდაუვალია, რათა სამყარო დაუბრუნდეს პირველსაწყის მარადისობას.

საქართველოში გერგეთის სალოცავის კარის თავზე გამოსახულია რგოლურად მოკეცილი გველი, რომელიც საკუთარ კუდს პირით ეტანება. რგოლში წარწერაა: „**ყველაფერი ერთიანია**“.

ზემოთ განხილულ საკითხს მივუძღვენი ნაშრომი – **„კეთილისა და ბოროტის არსი ადამის ცივილიზაციაში“**.

ვეფხის-ტყაოსნის პოემის ერთ თავში, სადაც აღწერილია ფრიდონის შესახვედრად მულღაზანზარს მიმავალი ავთანდილი, რომელიც თინათინზე ფიქრს და სევდას მისცემია, როგორ შესტირის და უზიარებს თავის ფიქრებს ცაზე შვიდ მნათობს. იგი აზრებით ესაუბრება მათ, დარწმუნებულია, რომ ესმით მისი გულისტკივილი და სჯერა მათი დახმარების. თითოეულ ციურ მნათობთან მის საუბარს პოემაში თითო სტროფი ეძღვნება. ვინაიდან ვეფხის-ტყაოსნის ჩემი კვლევის მიზანია ეს პოემა წარმოვაჩინო მეტაფიზიკის კუთხით, სწორედ ამ თვალთახედვით განვიხილოთ თითოეულ ციურ მნათობთან მიმართებაში ვეფხის-ტყაოსნის ტექსტი:

მზე – ავთანდილი ეუბნება:

„აჰა, მზეო, გეაჯები შენ უმძლესთა მძლეთა მძლესა,...“
„...მე ნუ გამყრი საყვარელსა“-ო.“

აქ მოყვანილ სტრიქონებში რუსთაველს მზე გამოყვანილი ჰყავს როგორც ყველა მნათობთა შორის უძლიერესი და შეყვარებულთა თანამდგომი.

ზუალი – ავთანდილი ეუბნება:

„მო ზუალო, მომიმატე ცრემლი ცრემლსა, ჭირი ჭირსა.“
„გული შავად შემიღებე, სიბნელესა მიმეც ჭირსა.“
„შემომყარე კაეშანი, ტვირთი მძიმე, ვითა ვირსა.“
„მას უთხარ თუ: „ნუ გასწირავ შენია და შენთვის სტირსა“.

ავთანდილი სთხოვს ცის მნათობს: ცრემლი ადინოს, ჭირი შეჰყაროს, გული შავად შეუღებოს, სიბნელეში ჩააგდოს, მის თავზე კაეშანი დაატრიალოს, მძიმე ტვირთი შეჰყაროს და სთხოვს ამით ტანჯვა კიდევ უფრო მოუმატოს და დაუმძიმოს, ასევე სთხოვს შუამავლობას თინათინთან.

მუშთარი – ავთანდილი ეუბნება:

„ჰე, მუშთარო გეაჯები შენ მართალსა, ბჭესა სრულსა.“
„მო და უყავ სამართალი გაებრჭობის გული გულსა.“
„მართალი ვარ, გამიკითხე...“-ო.

ავთანდილი ცის მნათობს – მუშთარს მიმართავს როგორც სიმართლის „მბრჭობელს“ და სთხოვს, ჩაიხედოს მის გულში და დაინახოს, რომ ის მართალია.

ზემოთ ჩამოთვლილი მნათობების მსგავსად, ავთანდილი დახმარებას სთხოვს სხვა ციურ მნათობებსაც – **მარიხს, ასპიროზს, ოტარიდს, მთვარეს**, რათა თინათინს აცნობონ მისი ტანჯვისა და განცდების შესახებ:

„მას უამბენ სჯანი ჩემნი, რა მჭირს, ანუ როგორ ვდნები“
„მიდი უთხარ: „ნუ გასწირავ, მისი ვარ და მისთვის ვდნები“-ო.

ავთანდილს დიდი იმედი აქვს და სჯერა, რომ შვიდი ციური მნათობი შეისმენს მის ვედრებას და შეუსრულებს თხოვნას.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ავთანდილის საუბარი ცის მნათობ ოტარიდთან:

„მზე მაბრუნებს, არ გამიშვებს შემიყრის და მიმცემს წვასა“-ო.

ამ სტრიქონში მზედ თინათინი მოიაზრება. მაგრამ თუ გავითვალისწინებთ, რომ რუსთაველი სწორედ ვეფხის-ტყაოსნის სტროფებით ასახავს სამყაროში მიმდინარე მეტაფიზიკური კოსმიური პროცესების დაფარულ ცოდნას, ზემოთ მოყვანილ სტრიქონში წარმოჩინდება XII საუკუნის ქართველთა ცოდნა პლანეტების მოძრაობის შესახებ, სადაც ცენტრში მზე მოიაზრება. მაშასადამე, ქართველებმა ჯერ კიდევ XII საუკუნეში იცოდნენ, რომ ჩვენი მზის სისტემა ჰელიოცენტრულია.

ზემოთ განხილული საკითხი ნათლად წარმოაჩენს XII საუკუნის ქართველთა რწმენა–წარმოდგენებს მზის სისტემის პლანეტების – ციური მნათობების შესახებ. მათ იცოდნენ, რომ სამყარო ცოცხალი ორგანიზმია, მასში ყველა და ყველაფერი ცოცხალია, შეუძლიათ ინფორმაციის მიღება, გაცემა, შენახვა. რომ სამყაროში ყველაფერი ერთმანეთთან ინფორმაციულ კავშირშია და მათ შორის ადამიანებთანაც, რაც კოსმოსში პლანეტების მოწესრიგებული მოძრაობის საფუძველია.

ვეფხის-ტყაოსნის შესაბამის სტროფებში ასახული ავთანდილის შვიდ ციურ მნათობთან საუბარი ნათლად წარმოაჩენს იმ პერიოდის ქართველთა რწმენა–წარმოდგენებს და დამოკიდებულებას ციურ მნათობებთან, მათ მუდმივ დადებით და უარყოფით მეტაფიზიკურ ზემოქმედებას არა მხოლოდ ადამიანებზე, არამედ მათ ზემოქმედებას სამყაროში ყველაზე და ყველაფერზე.

ვეფხის-ტყაოსნის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ზოგადსაკაცობრიო ღირებულებად მიმაჩნია აფორიზმები და სხვა სახის ბრძნული გამონათქვამები – ეს არის რუსთაველის მეტაფიზიკური გონითი თვალით დანახული სამყარო. გთავაზობთ ვეფხის-ტყაოსანში ბრძნული გამონათქვამების მცირე ნაწილს, რომელიც წარმოაჩენს XII საუკუნის ქართველთა სულიერებას და მაღალზნეობრივი ცხოვრების წესებს:

„ავსა კარგად ვერვინ შეცვლის, თავსა ახლად ვერვინ იშობს.“
„კაცი ბრძენი ვერ გასწირავს მოყვარესა მოყვარულსა.“
„რაცა შენ ჩემთვის გიქნია, ღმერთი მზღველია ვალისა.“
„საწუთრო ნაცვლად გვატირებს, რაც ოდენ გაგვიცინია,
ძველი წესია სოფლისა, არ ახლად მოსასმენია.“
„არას გარგებს სწავლულობა, თუ არა იქმ ბრძენთა თქმულსა“
„ნახე თუ ოქრო რასა იქმს, კვერთხი ეშმაკთა ძირისა.“
„თუ ყვავი ვარდსა იშოვის, თავი ბულბული ჰგონია.“
„მოყვარე, მტერი ყოვლისა, მტრისაგან უფრო მტერია.“
„ზოგჯერ თქმა სჯობს არა თქმასა, ზოგჯერ თქმითაც დაშავდების.“
„მაგრამ ღმერთი არ გასწირავს კაცსა შენგან განაწირსა.“
„მზგავსი ყველაი მზგავსსა შობს ესე ბრძენთაგან თქმულია.“
„კოკასა შიგან რაცა დგას, იგივე გადმოდინდების!“
„თუ თავი შენი შენ გახლავს, ღარიბად არ იხსენები.“
„ოდეს მტერსა მოერიო, ნუღარ მოჰკლავ, დაიყოვნე.“

„სიყვარული აღგვამაღლებს!“
„მე რად გავწირო მოყვარე, ძმა უმტკიცესი ძმობისა.“
„ხამს გასრულება მოყვრისა სიყვარულისა მტკიცისა.“
„ხამს მოყვარე მოყვრისათვის თავი ჭირსა არ დამრიდად.
გული მისცეს გულისათვის სიყვარული გზად და ხიდად.“
„ბრძენთა უთქვამთ სიყვარული, ბოლოდ მისი არ-წახდომა.“
„ხამს მოყვრისათვის სიკვდილი.“

სიყვარული, მეგობრობა, ერთგულება და სიმამაცე რუსთაველის პოემის მთავარი თემაა. აქ მრავალმხრივი სიყვარული და ერთგულებაა წარმოჩენილი – ქალის, მეგობრის, მოყვასის, ძმადნაფიცის, გამზრდელის, სამშობლო ქვეყნის მიმართ სიყვარული. ადამიანი საყვარელ ადამიანს არ გასწირავს, უერთგულებს, მის გვერდით იქნება ყველა გაჭირვებაში, საყვარელი ადამიანის გულისთვის თავს დიდ გაჭირვებაშიც კი ჩაიგდებს. ვეფხის-ტყაოსნის პოემის გმირები ადამიანებისთვის სიყვარულის, მეგობრობის და ერთგულების ნათელი მაგალითები არიან.

„სიყვარული აღგვამაღლებს“, გვიბიძგებს საგმირო საქმეებისკენ, უღალატობისა და ერთგულებისკენ. ყველა ადამიანს არ შეუძლია სიყვარული. შეგეძლოს ნამდვილი და ძლიერი სიყვარული, ეს ღმერთისგან ბოძებული უდიდესი ნიჭია. სიყვარულის ენერგია იწვევს ადამიანში დადებით თვისებებს და ემოციებს. თუ შენს ირგვლივ გასცემ სიყვარულს, მეგობრობას და ერთგულებას, ის უკან ერთიათად გიბრუნდება.

სიყვარული გულიდან მოდის და გულთან არის დაკავშირებული. ქართულ ენაში არის სიტყვა – „მოსიყვარულე გული“. ადამიანი ამბობს „გულით მიყვარს“-ო და არა ტვინით, ხელით, თავით და სხეულის სხვა ნაწილებით. ადამიანის ყველა თვისება გულიდან მოდის, ვინაიდან ადამიანისთვის ინფორმაციის მომწოდებელი ცენტრი მხოლოდ გულია. ამიტომ გვეუბნება შოთა რუსთაველი

– **„ჰკითხე ასთა, ჰქმენ გულისა“**-ო.

სხვადასხვა ხალხთა რწმენა-წარმოდგენებით, გული არის ღმერთის სასუფეველი, ადამიანს მხოლოდ გულით შეუძლია სიყვარული. მაშასადამე, სიყვარული ხვთაებრივი მეტაფიზიკური ენერგიაა. ვინაიდან გული და გულისგული აქვს სამყაროში ყველას და ყველაფერს, ყველას და ყველაფერს **აქვს სიყვარულის და სიძულვილის უნარი**, რაც მეცნიერებისთვის დღეს თითქმის შეუსწავლელი სფეროა – ეს უკვე მეტაფიზიკაა.

ამ საკითხთან დაკავშირებით მოვიყვან ერთ მაგალითს: მეცნიერებმა შეისწავლეს შემთხვევა, როცა ადამიანმა ოთახის მცენარეს ფოთოლი მოწყვიტა. ამ ადამიანის ამ მცენარესთან ყოველი შემდეგი მიახლოებისას მცენარე კვებას აჩერებდა, ანუ მასში ნივთიერებათა გადაადგილება ჩერდებოდა.

ჩემში მრავალმხრივ ძლიერადაა გამოვლენილი ჩემი მეტაფიზიკური თვისებები – ვხედავ ადამიანების და საგნების ენერგიას, შემიძლია განვსაზღვრო ის დადებითია თუ უარყოფითი, შემიძლია დავადგინო მისი გამომწვევი მიზეზი. ზოგჯერ უარყოფითი ენერგია თვით ადამიანის სხეულშია. ხშირ შემთხვევაში ადამიანს უარყოფით ენერგიას უქმნის გარემო და მისივე პირადი ნივთები, რომელსაც თან ატარებს, რაც უარყოფითად მოქმედებს ადამიანის ჯანმრთელობაზე, ბედისწერაზე და სხვა.

ზემოთ აღნიშნულის მიხედვით, **საგნებს, მცენარეებს, ცხოველებს, ყველას და ყველაფერს სამყაროში, სულიერია ის თუ „უსულო“, შეუძლია სიყვარული და სიძულვილი**.

სიყვარულის ცეცხლი სწვავთ ვეფხის-ტყაოსნის გმირებს. სიყვარულის ცეცხლი კი უხილავი ღმერთის ხილული გამოვლინებაა.

სიყვარულის ენერგია ხვთაებრივი დადებითი მეტაფიზიკური საწყისია, სამყაროში ყველგან მყოფია და აქტიურად მონაწილეობს ჩვენი მრავალგანზომილებიანი სამყაროს ნებისმიერ კოსმიურ პროცესში.

სიყვარული აღგვამაღლებს! ღმერთი სიყვარულია!

იოვანე-ზოსიმეს „ქებაჲ“-ს ᲬᲘᲜᲐᲡᲬᲐᲠᲛᲔᲢᲧᲕᲔᲚᲔᲑᲐ

„ბოლოდ ყოვლი დამალული
საქმე ცხადად გამოცხადდეს“

შოთა რუსთაველი

ქართული სასულიერო მწერლობის უმნიშვნელოვანესი ძეგლის „ქებაჲ და დიდებაჲ ქართულისა ენისაჲ“-ს ოთხი ხელნაწერია დღემდე მოღწეული. ყველა ხელნაწერი გადაწერილია საბაწმინდის ლავრაში, იერუსალიმის მახლობლად და დაცულია სინას მთის წმ. ეკატერინეს მონასტერში, სადაც ქართველები ადრიდანვე მოღვაწეობდნენ.

მიჩნეულია, რომ „ქებაჲ“-ს ნუსხები X საუკუნის ცნობილი მწიგნობარისა და მოღვაწის იოვანე-ზოსიმეს ხელითაა გადაწერილი და ჩართულია ხელნაწერებში.

ამ ხელნაწერთა შორის ყველაზე ადრეული „ქებაჲ“-ს ტექსტი 1883 წ. ჩამოიტანა ა. ცაგარელმა, რომელიც გამოაქვეყნა 1888 წ. და დღემდე დაცულია პეტერბურგის საჯარო ბიბლიოთეკის ხელნაწერთა ფონდში. 1902 წელს შედგა სამეცნიერო ექსპედიცია სინაზე ნ. მარის და ივ. ჯავახიშვილის მონაწილეობით. მათ მოიძიეს იოვანე-ზოსიმეს ხელნაწერთა კრებული „სინური მრავალთავი“, რომელიც სხვადასხვა სიძველის, ხასიათისა და ლიტურგიული დანიშნულების ხელნაწერებისაგან შედგება და სწორედ აქ აღმოაჩინეს „ქებაჲ“-ს ოთხივე ხელნაწერი, რომელსაც ბოლოში ერთვის საძიებელი-ჩამონათვალი ამ კრებულში შესული ხელნაწერებისა. საძიებელი მიგვითითებს, რომ ᲮᲔᲚᲜᲐᲬᲔᲠᲗᲐ ᲙᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲗᲐᲕᲠᲓᲔᲑᲐ 21-23 ᲜᲝᲛᲠᲘᲗ – **„ᲨᲔᲡᲮᲛᲐᲲ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲗᲐᲲ ᲓᲐ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲗᲐ ᲔᲜᲘᲡᲐᲲ“**.

იოვანე-ზოსიმეს „ქებაჲ“-ს ოთხივე ხელნაწერის ფოტოასლი

დევს თბილისის ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდში. ისინი გამოქვეყნდა 1940 წ. ნ. მარის და ივ. ჯავახიშვილის მიერ. ხელნაწერთა ინსტიტუტში დაცული ოთხი ხელნაწერიდან პირველი სამი თითქმის ერთნაირია, დაწერილია ნუსხა-ხუცური ანბანით და მიწერილი აქვს, რომ ავტორი იოვანე-ზოსიმეა. ხოლო მეოთხე – განსხვავებული ტექსტია, ასომთავრულითაა შესრულებული და არა აქვს მიწერილი გადამწერის ვინაობა, ე.ი. ავტორი უცნობია. მეცნიერები თვლიან, რომ მეოთხე ხელნაწერი არაა იოვანე-ზოსიმესი.

ბევრმა ქართველმა მწერალმა იმუშავა „ქებაჲ“-ს ტექსტზე. მათ შორის იყო პავლე ინგოროყვა, რომელმაც ძირეულად შეცვალა „ქებაჲ“-ს ზოსიმესეული ტექსტი. სწორედ ამის შედეგად წაიშალა ძირითადი არსი „ქებაჲ“-ს წინასწარმეტყველებისა, თუ ვის, რატომ და როდის უნდა ველოდოთ და როდის უნდა მოხდეს ქართული ანბანის საიდუმლო კოდის გახსნა. შედეგად, ქართველ საზოგადოებას მოევლინა ახალი, XX საუკუნეში დაწერილი „ქებაჲ“, რომელსაც ნამდვილ „ქებაჲ“-სთან მცირეოდენი მსგავსებაღა შემორჩა (იხ. პ. ინგოროყვა „თხზულებათა კრებული“, ტ. III. 1965 წ.). პ. ინგოროყვას „ქებაჲ“-ს ტექსტია დაბეჭდილი „ქართული პროზა“-ს I ტომში და ნებისმიერ ქართულ პუბლიკაციაში, ხოლო ავტორად ცხადდება იოვანე-ზოსიმე ან საერთოდ არავინ. მეცნიერები შეისწავლიან და განიხილავენ არა იოვანე-ზოსიმეს, არამედ პავლე ინგოროყვას „ქებაჲ“-ს ტექსტს. ქართულ ტაძრებშიც და ლაზარობის სადღესასწაულო წირვაზეც იკითხება „ქებაჲ“-ს შეცვლილი ტექსტი. **„ქებაჲ“-ს ნამდვილ ხელნაწერებში საერთოდ არაა ნახსენები სიტყვები: „მესიისა“, „ას ოთხი ესე წელი და წილი ანბანისაჲ“ და სხვა.** ვის სჭირდება „ქებაჲ“-ს ტექსტის ასეთი შეცვლა?! ვიმედოვნებ, რომ ეს შეგნებულად არ ხდება.

იოვანე-ზოსიმეს „ქებაჲ“-ს ხელნაწერები შეიქმნა და გადაიწერა X საუკუნეში ისეთ წმინდა ადგილას, როგორიცაა იერუ-

სალიმის საბაწმინდის ლავრა და ამჟამად ინახება სინას მთის წმ. ეკატერინეს მონასტრის ხელნაწერთა საცავში. **„ქებაჲ“ არის წინასწარმეტყველება ქართული გენის, ანბანის და ენის უდიდესი კოსმიური და ღვთიური მისიის შესახებ.** „სინური მრავალთავი“, გადაწერილი იოვანე-ზოსიმეს მიერ, რომელშიც „ქებაჲ“-ს ხელნაწერებიც შედის, ქართველი ერისთვის და არა მარტო ჩვენთვის, ფასდაუდებელი სულიერი ღირებულებისაა.

ასეთ წმინდა ადგილზე დაწერილ და ერისთვის უდიდესი მნიშვნელობის ტექსტში, როგორიცაა იოვანე-ზოსიმეს „ქებაჲ და დიდებაჲ ქართულისა ენისაჲ“, რომელიც დაწერილია „სახელითა ღმრთისაჲთა“ („ქებაჲ“-ს მეორე და მესამე ხელნაწერებს აწერია ზემოთ), არ შეიძლება არამც თუ ტექსტის ძირეული შეცვლა, არამედ ყოვლად დაუშვებელია თუნდაც ერთი ასო-ნიშნის გამოკლება, დამატება ან გადანაცვლება. ძველი სიბრძნე გვეუბნება, რომ **„სახელითა ღმრთისაჲთა“ დაწერილ ტექსტებში ყოველი უმნიშვნელო ცვლილებაც კი „სამყაროს დასასრულს“ მოასწავებს.** იმედს ვიტოვებ, რომ აღნიშნული საკითხის გამოსასწორებლად აქტიურ მონაწილეობას მიიღებს როგორც საპატრიარქო, ასევე ქართული სამეცნიერო საზოგადოება. ქართველმა ერმა უნდა იხილოს იოვანე-ზოსიმეს „ქებაჲ“-ს ნამდვილი ტექსტი, რომელიც სულაც არ არის რთული მოსაპოვებელი – სამივე ხელნაწერის ფოტოასლი თბილისის ხელნაწერთა ინსტიტუტის საცავშია დაცული. გთავაზობთ იოვანე-ზოსიმეს (X-ს) სამივე ხელნაწერის შეჯერებულ ტექსტს.

იოვანე-ზოსიმეს „ქებაჲ“-ს ხელნაწერებთან დაკავშირებით, ჩემი გამოკვლევები გამოიცა წიგნად: „**შესხმაჲ ქართველთაჲ და ქართველთა ენისაჲ**“ (2004 წ., 2010 წ.). „ქებაჲ“-ს ხელნაწერებში გადმოცემულ დაშიფრულ ინფორმაციასთან დაკავშირებით, გთავაზობთ ჩემს მოსაზრებას.

სახელითა ღმრთისაჲთა

„ქებაჲ და დიდებაჲ ქართულისა ენისაჲ“

ᲓᲐᲛᲐᲠᲮᲣᲚ ᲐᲠᲡ ᲔᲜᲐᲲ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲓᲦᲔᲓᲛᲓᲔ ᲛᲔᲝᲠᲔᲓ ᲛᲝᲡᲚᲕᲘᲡᲐ ᲛᲘᲡᲘᲡᲐ ᲡᲐᲬᲐᲛᲔᲑᲔᲚᲐᲓ, ᲠᲐᲲᲗᲐ ᲧᲝᲕᲔᲚᲡᲐ ᲔᲜᲐᲡᲐ ᲦᲛᲔᲠᲗᲛᲐᲜ ᲐᲛᲮᲘᲚᲝᲡ ᲐᲛᲘᲗ ᲔᲜᲘᲗᲐ.

ᲓᲐ ᲔᲡᲔ ᲔᲜᲐᲲ ᲛᲫᲘᲜᲐᲠᲔ ᲐᲠᲡ ᲓᲦᲔᲡᲐᲛᲝᲛᲓᲔ ᲓᲐ ᲡᲐᲮᲐᲠᲔᲑᲐᲡᲐ ᲨᲘᲜᲐ ᲐᲛᲐᲡ ᲔᲜᲐᲡᲐ ᲚᲐᲖᲐᲠᲔ ᲰᲠᲥᲬᲐᲜ.

ᲓᲐ ᲐᲮᲐᲚᲛᲐᲜ ᲜᲘᲜᲝ ᲛᲝᲐᲥᲪᲘᲐ ᲓᲐ ᲰᲔᲚᲔᲜᲔ ᲓᲔᲓᲝᲤᲐᲚᲛᲐᲜ, ᲔᲡᲔ ᲐᲠᲘᲐᲜ ᲝᲠᲜᲘ ᲓᲐᲜᲘ, ᲕᲘᲗᲐᲠᲪᲐ ᲛᲐᲠᲘᲐᲛ ᲓᲐ ᲛᲐᲠᲗᲐᲲ.

ᲓᲐ ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲝᲑᲐᲲ ᲐᲛᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲗᲥᲣᲐ, ᲕᲘᲗᲐᲠᲛᲔᲓ ᲧᲝᲕᲔᲚᲘ ᲡᲐᲘᲓᲣᲛᲚᲝᲲ ᲐᲛᲐᲡ ᲔᲜᲐᲡᲐ ᲨᲘᲜᲐ ᲓᲐᲛᲐᲠᲮᲣᲚ ᲐᲠᲡ.

ᲓᲐ ᲝᲗᲮᲘᲡᲐ ᲓᲦᲘᲡᲐ ᲛᲙᲣᲓᲐᲠᲘ, ᲐᲛᲘᲡᲗᲕᲡ ᲗᲥᲣᲐ ᲓᲐᲕᲘᲗ ᲬᲘᲜᲐᲡᲬᲐᲠᲛᲔᲢᲧᲣᲔᲚᲛᲐᲜ, ᲠᲐᲛᲔᲗᲣ „ᲬᲔᲚᲘ ᲐᲗᲐᲡᲘ ᲕᲘᲗᲐᲠᲪᲐ ᲔᲠᲗᲘ ᲓᲦᲔ“.

ᲓᲐ ᲡᲐᲮᲐᲠᲔᲑᲐᲡᲐ ᲨᲘᲜᲐ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲡᲐ, ᲗᲐᲕᲡᲐ ᲮᲝᲚᲝ ᲛᲐᲗᲦᲘᲡᲐ, ᲬᲔᲠᲘᲚᲘ ᲖᲘᲡ, ᲠᲝᲛᲔᲚ ᲐᲡᲝᲲ ᲐᲠᲡ ᲓᲐ ᲘᲢᲧᲬᲡ ᲧᲝᲕᲚᲐᲓ ᲝᲗᲮ ᲐᲗᲐᲡᲘᲡᲐ ᲛᲐᲠᲐᲒᲘᲡ: ᲓᲐ ᲔᲡᲔ ᲐᲠᲡ ᲝᲗᲮᲘ ᲓᲦᲔ:

ᲓᲐ ᲝᲗᲮᲘᲡᲐ ᲓᲦᲘᲡᲐ ᲛᲙᲣᲓᲐᲠᲘ, ᲐᲛᲘᲡᲗᲕᲡ ᲛᲘᲡ ᲗᲐᲜᲐᲕᲔ ᲓᲐᲤᲚᲣᲚᲘ ᲡᲘᲙᲣᲓᲘᲚᲘᲗᲐ ᲜᲐᲗᲚᲘᲡᲦᲔᲑᲘᲡᲐ ᲛᲘᲡᲘᲡᲐᲲᲗᲐ.

ᲓᲐ ᲔᲡᲔ ᲔᲜᲐᲲ, ᲨᲔᲛᲙᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲙᲣᲠᲗᲮᲔᲣᲚᲘ ᲡᲐᲮᲔᲚᲘᲗᲐ Ო -ᲘᲡᲐᲲᲗᲐ (ᲣᲤᲚᲘᲡᲐᲲᲗᲐ), ᲛᲓᲐᲑᲐᲚᲘ ᲓᲐ ᲓᲐᲬᲣᲜᲔᲑᲣᲚᲘ, ᲛᲝᲔᲚᲘᲡ ᲓᲦᲔᲡᲐ ᲛᲐᲡ ᲛᲔᲝᲠᲔᲓ ᲛᲝᲡᲚᲕᲐᲡᲐ Ო -ᲘᲡᲐᲡᲐ (ᲣᲤᲚᲘᲡᲐᲡᲐ).

ᲓᲐ ᲡᲐᲡᲬᲐᲣᲚᲐᲓ ᲔᲡᲔ ᲐᲥᲣᲡ ᲝᲗᲮᲛᲔᲝᲪ ᲓᲐ ᲐᲗᲝᲗᲮᲛᲔᲢᲘ ᲬᲔᲚᲘ ᲣᲛᲔᲢᲦᲡ ᲡᲮᲣᲐᲗᲐ ᲔᲜᲐᲗᲐ ᲥᲠᲘᲡᲢᲦᲡ ᲛᲝᲡᲚᲕᲘᲗᲑᲐᲜ ᲕᲘᲓᲠᲔ ᲓᲦᲔᲡᲐᲛᲝᲛᲓᲔ.

ᲓᲐ ᲔᲡᲔ ᲧᲝᲕᲔᲚᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘ ᲬᲔᲠᲘᲚ ᲐᲠᲡ, ᲛᲝᲬᲐᲛᲔᲓ ᲬᲐᲠᲛᲝᲒᲘᲗᲮᲐᲠ ᲐᲡᲘ ᲔᲡᲔ ᲬᲔᲚᲘ ᲐᲜᲑᲐᲜᲘᲡᲐᲲ.

ᲘᲝᲕᲐᲜᲔ-ᲖᲝᲡᲘᲛᲔ (X ს.).

ჯერ კიდევ პირველ ადამიანებს მიაჩნდათ, რომ ღმერთმა სამყარო შექმნა ასო-ნიშანთა განსაკუთრებული წყობით. თითოეულ ასო-ნიშანს ღმერთის ფუნქციას ანიჭებდნენ და ციფრებით მოიხსენიებდნენ. მათი ცოდნა ღმერთზე. ადამიანზე და სამყაროზე, როგორც ერთიან კოსმიურ სინთეზზე, დაშიფრული სახით გადმოცემულია ქართულ ანბანში. ამავდროულად, ეს ცოდნა დაკავშირებულია სამყაროს გენეტიკური კოდის კოსმიურ პროცესთან და დღეს საზოგადოება მას ბიბლიური „კაბალას“ სახელით იცნობს. იგი მოიცავს ჩინეთის „იძინს“, ეგვიპტის „ტაროს არკანებს“, შუმერების „მე“-ს „ხვთაებრივ კანონებს“ და ევროპელთა „რუნებს“. ეს ცოდნა ათასწლეულების მანძილზე იყო ქურუმთა დიდი საიდუმლო. ჰეროდოტეს 341 ქურუმის ქანდაკება აჩვენეს ეგვიპტელმა ქურუმებმა, რომლებიც მონაცვლეობით იყვნენ ანბანის კოსმიური საკრალური საიდუმლო ცოდნის მფლობელები. მაგრამ მათ იცოდნენ, რომ მოვიდოდა დრო, როცა ბიბლიური კაბალას კოსმიური საიდუმლო ცოდნა ანბანის, როგორც სამყაროს გენეტიკური კოდის შესახებ, უნდა გაცხადებულიყო, რომელიც მსოფლიოში არსებული 14 ანბანიდან მხოლოდ ქართულ ანბანში აისახება.

სწორედ ამ საკითხს უკავშირდება იოვანე-ზოსიმეს „ქებაჲ“, სადაც მრავალი მინიშნებაა ენის, ანუ ანბანის საიდუმლოს გახსნის თარიღთან დაკავშირებით. ვინაიდან „კაბალას“ ცოდნა მსოფლიოში არსებულ ანბანთა შორის მხოლოდ ქართულ ანბანში აისახება. ამიტომაა მნიშვნელოვანი ქართული ანბანის საიდუმლოს გახსნა და ეს ხდება მაშინ, როდესაც სამყარო გენეტიკური კოდით ამთავრებს ადამ და ევას პერიოდში არსებობას და იწყებს გადასვლას ახალ ცივილიზაციაში.

თქვენს წინაშე წარმოვაჩენ ნაწყვეტებს წიგნიდან „შესხმაჲ ქართველთაჲ და ქართველთა ენისაჲ“, რომელიც ეხება იოვანე-ზოსიმეს „ქებაჲ“-ს ტექსტის განხილვას.

[2] **„ᲔᲡᲔ ᲔᲜᲐᲲ ᲛᲫᲘᲜᲐᲠᲔ ᲐᲠᲡ ᲓᲦᲔᲡᲐᲛᲝᲛᲓᲔ ᲓᲐ ᲡᲐᲮᲐᲠᲔᲑᲐᲡᲐ ᲨᲘᲜᲐ ᲐᲛᲐᲡ ᲔᲜᲐᲡᲐ ᲚᲐᲖᲐᲠᲔ ᲰᲠᲥᲬᲐᲜ“**

„ენა მძინარე არს“ ნიშნავს, რომ ამ ენამ უნდა „გაიღვიძოს“, როცა ამის დრო მოვა, რათა ქართული ენით ემცნოს ყველას ანბანის ჭეშმარიტი არსი, მისი უდიდესი კოსმიური მნიშვნელობა. ქართული ენა გაიგივებულია „ლაზარესთან“.

ვინ არის „ლაზარე“ წარმართობის პერიოდში და რატომ აიგივებს „ქებაჲ“-ს წინასწარმეტყველება ქართულ ენას, ქართულ ანბანს მაინცდამაინც „ლაზარესთან“?

ქართული მითოლოგიით ლაზარე არის დარისა და ავდრის წარმართობის პერიოდის ხვთაება, თუმცა ცა-ღრუბლის ბატონად ელია ითვლება. ელია ლაზარეს ორეულია, ნაყოფიერების ხვთაებაა.

კახეთში გვალვისას გოგონები აკეთებენ თიხის „ლაზარეს“, კარდაკარ დადიან შესაბამისი სიმღერით და რომელ სახლთანაც მივლენ, „ლაზარეს“ წყალს მიასხამენ.

სამხრეთ საქართველოში ლაზარეს კი არ აკეთებენ, არამედ **ქალს ამოირჩევენ** და კარდაკარ სიარულის დროს წყალს ასხამენ.

ხევსურებს ცა-ღრუბლის გამგედ **„პირიმზეც“ (მდედრია)** მიაჩნდათ. სვანურად „ელვაჲ“ ნიშნავს „მზეს“.

აფხაზეთში ამ დღესასწაულს „ლაზარობა“ ჰქვია. გვალვის დროს ქალიშვილები **„დედოფალს“** აკეთებდნენ. თეთრ მატერიაგადაფარებულ **ვირზე დასვამდნენ** და ისე დადიოდნენ კარდაკარ. შემდეგ „დედოფალს“ წყალში ჩააგდებდნენ და თვითონაც ჭყუმპალაობდნენ.

მითოლოგიასა და რელიგიურ წეს-ჩვეულებებზე დაყრდნობით, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ **„ლაზარე“ მდედრობითი სქესის ნაყოფიერების „ცა-ღრუბლის“ ხვთაებაა,** იგივე „დედოფალი“– „პირი-მზე“ (ზოგიერთი უძველესი ხალხი მზეს „პირის“ სახით გამოსახავდა). „ლაზარობის“ რიტუალში მხოლოდ გოგონები იღებდნენ მონაწილეობას. უძველესი წარმართობის დროს საქართველოში მზე მდედრობითი ხვთაება იყო, რაც ძალიან იშვიათია და ჩვენი ხალხის უძველესი ცივილიზაციის წარმომავლობაზე მიგვანიშნებს.

ქართულ ლექსიკონებში „ელია“ ნიშნავს „უფალო ღმერთო“-ს. „ელი“ – „ელია“ – „ელიაზარ“ – „ლაზარე“ მეოხი და „ხვთის შეწევნაა“.

მეტად საგულისხმოა, საქართველოს სამხრეთით, თურქეთის ტერიტორიაზე შემორჩენილი ელიას ხეობის ქართველთა სარიტუალო სიმღერა: **„ელია გოგო, ელია**, ...წითელ კაბას ჩაგაცვამ, თორმეტ ოქროს შაგაბამ...“ ოდნავი გაანალიზებაც საკმარისია შემდეგი დასკვნის გასაკეთებლად: ქართველები სიტყვებით – „ელია გოგო“, „წითელი კაბა“, „თორმეტი ოქრო“, ცეცხლის სტიქიის ქალღმერთს „ელია“ – „ელი“ – „ელვა“-ს უმღერიან.

ჭადრაკში დიდი კოსმიური საიდუმლო ინფორმაციაა ჩადებული. განსაკუთრებით საინტერესოა ის, რომ ჭადრაკში დედოფალს „ლაზიერი“ - „ლაზი-ერი“ ჰქვია და ორივე სიტყვა - „ლაზი“ და „ერი“ ქართული ენიდან მოდის. სიტყვა „**ერი**“ ქართულ, შუმერულ და ბასკურ ენებში ერს ნიშნავს და უკავშირდება „**ერთს**“ და „**ღმერთს**“. სიტყვა „ლაზი“-ს ნაცვლად უნდა იყოს „**ლას**“, რომელიც არის ქართული ანბანის **12-ლ-ლას-30** ასო-ნიშნის სახელი, რაც ქართული წარმართული პანთეონის **თევზის** ხვთაებაა. ამ კუთხით ქართული ანბანის **ლას** ასო-ნიშნის კოსმიური არსის განხილვა ბიბლიური კაბალას საკრალური ცოდნის მიხედვით, ძალიან მნიშვნელოვანია და ცალკე საუბრის თემაა. დავათის სტელაზე (ძვ. წ. 680 წ.) და დავით გარეჯის ერთ-ერთი კლდის ფერდობზე გამოსახულია თევზი თავით ქვემოთ, რომელშიც ჩაწერილია ქართული ანბანი. მსოფლიოს ხალხთა მითოლოგიაში ანბანის მფლობელი დამწერლობის ქალღმერთია.

მაშასადამე, **„ქებაჲ“-ს წინასწარმეტყველება ქართულ ენას და ქართული ანბანის „გაცოცხლება-გაღვიძებას“ აკავშირებს ლაზარესთან, რომელიც ქართველთათვის არის „ცა-ღრუბლის“ ხვთაება, „ნაყოფიერების ქალღმერთი“, დედოფალი, მზე, ვენერა, აფროდიტა, ცისკრის ვარსკვლავი, ქალღმერთი დალი, „ყველა მხარის ქალბატონი“, შუმერების ქალღმერთი ინანა, იზიდა, სამ-**

ყაროს დედა – იბერიის ხვთისმშობელი. მსოფლიოს სხვადასხვა ხალხი მას სხვადასხვა სახელით მოიხსენიებს.

„ქებაჲ“-ს წინასწარმეტყველების მიხედვით, ქართული ანბანის „გაღვიძება-გაცოცხლება“ უკავშირდება სამყაროს დედის – ნაყოფიერების ქალღმერთის „მეორედ“ მობრძანებას.

იოანეს სახარებაში მაცხოვარი ეუბნება თავის მოწაფეებს, რომ **„მომავალში სულიწმინდამ უნდა ამხილოს სოფელი ცოდვისათვის და მოჰმადლოს რჩეულებს ჭეშმარიტი საღვთო სიბრძნე“. ერთ-ერთ ძველ აპორკიფში ქრისტე სულიწმინდას დედას უწოდებს.** საქართველო არის წილხვდომილი ხვთისმშობლისა, ხოლო ხვთისმშობელი სულიწმინდის მიწიერი გამოცხადებაა. სულიწმინდის ნების განმცხადებელი, მისი „პირი“ გაბრიელ მთავარანგელოზია. ჯერ კიდევ წარმართულ პერიოდში ქალღმერთ იზიდას გაბრიელ მთავარანგელოზთან აიგივებდნენ.

„ქებაჲ“-ს ერთ-ერთ ხელნაწერში არის ერთი სიტყვა „**ᲓᲦᲔᲛᲛᲓᲔ**“, სადაც სამჯერ მეორდება ასო-ნიშანი „**Მ**“, რაც უაღრესად მნიშვნელოვანია და მიგვანიშნებს იმაზე, რომ „ქებაჲ“-ს სამივე ტექსტი უფლის და უფლის ანგელოზთა მიერ მოწოდებული კოსმიური ინფორმაციაა. ამაზე მიგვანიშნებს ასევე „ქებაჲ“-ს ტექსტის თავზე იოვანე-ზოსიმეს ხელით გაკეთებული წარწერა „**ᲡᲐᲮᲔᲚᲘᲗᲐ ᲦᲛᲠᲗᲘᲡᲐᲓᲗᲐ**“. ეს საკითხი საუბრის დიდი თემაა (ნახეთ: ნ. ხ. – ქართული გენი იბერიის ცივილიზაციათა სათავეებთან, 2012 წ., გვ. 242 – „ალვანეთი კავკასიის ალბანეთის ისტორიული სახელია...“).

ქართული ანბანის საიდუმლოს გახსნის თარიღთან დაკავშირებით „ქებაჲ“-ს ტექსტში ერთ-ერთი მინიშნება ასეთია: **„ოთხმეოც და ათოთხმეტი წელი უმეტᲔᲡ სხუათა ენათა“**. ვიდრე ამ სიტყვების განხილვას დავიწყებთ, მინდა აღვნიშნო, რომ **როგორც „ასომთავრული“, ისე „მხედრული“ ასო-ნიშნები გამოცხადებით მიღებული ინფორმაციაა, ორივე ანბანი ერთდროულადაა „შექმნილი“,** ვინაიდან ჩემს ხილვებში „ასომთავრული“ ასო-ნიშნები მამა ღმერთს თავზე ადგას, ხოლო „მხედრული“ - კოსმიურ მხედარს შუბლზე აწერია. აქედანაა მათი სახელები „ასომთავრული“ და „მხედრული“. ორივე ანბანი მონაწილეობს კოსმიურ პროცესში გენეტიკური კოდის სახით, ჩადებულია მიკრო და მაკრო სამყაროში, დრო ქართული ანბანის გვერდით მიწერილი ციფრების მიხედვით მიედინება, ანუ „ქართულითა ენითა ჟამი შეიწირვის“.

ქართული ანბანი

1	Ⴀ	ⴀ	ა	ან	1	20	Ⴓ	ⴓ	ს	სან	200
2	Ⴁ	ⴁ	ბ	ბან	2	21	Ⴔ	ⴔ	ტ	ტარ	300
3	Ⴂ	ⴂ	გ	გან	3		Ⴕ	ⴕ	ჳ	ვი-ე	
4	Ⴃ	ⴃ	დ	დონ	4	22	Ⴖ	ⴖ	უ	უნ	400
5	Ⴄ	ⴄ	ე	ენ	5	23	Ⴗ	ⴗ	ფ	ფარ	500
6	Ⴅ	ⴅ	ვ	ვინ	6	24	Ⴘ	ⴘ	ქ	ქან	600
7	Ⴆ	ⴆ	ზ	ზენ	7	25	Ⴙ	ⴙ	ღ	ღან	700
8	Ⴇ	ⴇ	Თ	ჰ-ე	8	26	Ⴚ	ⴚ	ყ	ყარ	800
9	Ⴈ	ⴈ	თ	თან	9	27	Ⴛ	ⴛ	შ	შინ	900
10	Ⴉ	ⴉ	ი	ინ	10	28	Ⴜ	ⴜ	ჩ	ჩინ	1000
11	Ⴊ	ⴊ	კ	კან	20	29	Ⴝ	ⴝ	ც	ცან	2000
12	Ⴋ	ⴋ	ლ	ლას	30	30	Ⴞ	ⴞ	ძ	ძილ	3000
13	Ⴌ	ⴌ	მ	მან	40	31	Ⴟ	ⴟ	წ	წილ	4000
14	Ⴍ	ⴍ	ნ	ნარ	50	32	Ⴠ	ⴠ	ჭ	ჭარ	5000
15	Ⴎ	ⴎ	Ო	Ო-ე	60	33	Ⴡ	ⴡ	ხ	ხან	6000
16	Ⴏ	ⴏ	ო	ონ	70	34	Ⴢ	ⴢ	ჴ	ჴარ	7000
17	Ⴐ	ⴐ	პ	პარ	80	35	Ⴣ	ⴣ	ჯ	ჯან	8000
18	Ⴑ	ⴑ	ჟ	ჟან	90	36	Ⴤ	ⴤ	ჰ	ჰა-ე	9000
19	Ⴒ	ⴒ	რ	რა-ე	100	37	Ⴥ	ⴥ	ᲪᲬ	ოხ(ოჰ)	10000

დავუბრუნდეთ „ქებაჲ“-ს ზემოთ მოყვანილ სიტყვებს. „უმ-ეტეს სხუათა ენათა“-ში მოიაზრება ქართული „ასომთავრული“ და „მხედრული“ ანბანები. როცა მათი სხვაობა გახდებოდა „94“, მაშინ დადგებოდა ქართული ენის და ანბანის საიდუმლოს გაცხადების ჟამი. ქართული საზოგადოებისთვის დღეს ცნობილი „ასომთავრული“-ს 37 და „მხედრული“-ს 33 ასო-ნიშანი ასეთი სახით XX ს. დასაწყისში ილია ჭავჭავაძემ „დაალაგა“, რაც მოგვიანებით 1984 წელს აღმოჩენილ დავათის სტელას (ძვ. წ. 680 წ.) ანბანს დაემთხვა. აღმოჩნდა, რომ „ასომთავრული“ ანბანი „მხედრულზე“ ოთხი ასო-ნიშნით მეტია, რომელთა ანბანთრიგის შეჯამებით, მივიღებთ: **ⲫ+ⲱ+ϫ+ϩ=8+15+34+37=94**

დავათის სტელა (ძ.ვ.წ. 680 წ.)

დღეისათვის „ასომთავრული“ ანბანი მართლაც 94-ით მეტია „მხედრულ“ ანბანზე, რაც მოიაზრება სიტყვებში – „უმ-ეტⲫⲥ სხუათა ენათა“. „ქებაჲ“-ს ამ მინიშნებით სწორედ **ახლა, III ათასწლეულის დასაწყისში დადგა ჟამი „ქებაჲ“-ს წინასწარმეტყველების ასრულებისა: უნდა წარმოჩინდეს ის დაფარული საიდუმლო კოსმიური ცოდნა, რომელიც ჩადებულია ქართულ ანბანში – ეს არის ბიბლიური კაბალას გენეტიკური კოდის საიდუმლო საკრალური ცოდნა.**

ქართული ანბანის **37** ასო-ნიშანი გამოსახავს ბიბლიურ **40** ასო-ნიშანს, რომელიც აღნიშნულია წმინდა წერილებში, რაც მიგ-

ვანიშნებს იმაზე, რომ სამყარო **10**-ის პრინციპით **4** ეტაპად ვითარდება.

ა – 1	ი – 10	რ – 100	ჩ – 1000
ბ – 2	კ – 20	ს – 200	ც – 2000
გ – 3	ლ – 30	ტ – 300	ძ – 3000
დ – 4	მ – 40	უ – 400	წ – 4000
ე – 5	ნ – 50	ფ – 500	ჭ – 5000
ვ – 6	ჲ – 60	ქ – 600	ხ – 6000
ზ – 7	ო – 70	ღ – 700	ც – 7000
ⲫ – 8	პ – 80	ყ – 800	ჯ – 8000
თ – 9	ჟ – 90	შ – 900	ჰ – 9000
ი – 10	რ – 100	ჩ – 1000	ϩ – 10000

გავიხსენოთ სიტყვები მოციქულ იოანეს გამოცხადებიდან: **„მე ვარ ანი და ოხი (ალფა და ომეგა), პირველი და უკანასკნელი, დასაბამი და დასასრული“** (გამოცხ. 1,8). ე.ი. ანბანი თვით უფალია, მაგრამ ეს სიტყვები ყველა ანბანს არ ეხება ანუ ეს სიტყვები ეხება მხოლოდ იმ ანბანს, რომელშიც კაბალას ცოდნა აისახება. ასეთი კი მსოფლიოში არსებული 14 ანბანიდან მხოლოდ ქართული ანბანია. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, „ქებაჲ“-ს საიდუმლოს გახსნა ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობისაა.

ახლა, ა.წ. III ათასწლეულის დასაწყისში, დადგა სამყაროს IV-ცა-ცეცხლის სტიქიის კოსმიური პერიოდი, რომელიც არის „ოქროს საწმისის“ – კოსმიური „და-ძმის“, ორი პირველსაწყისის – **ᲝᲜ** და **ᲘᲐᲜ**-ის შეერთების, გამთლიანებული აზროვნების ათასწლეული. ქართველთა მითოლოგიით, კოსმიური და-ძმა არიან ხვთიშვილი იახსარი და სამძივარი, რომლებიც ორი „ნახევარმზეებია“ და უნდა შექმნან მთლიანი „მზე“. „ქებაჲ“-ს ტექსტით, **ერთი არის „დღე“** (ქართულ უძველეს ხელნაწერებში სიტყვა „მზე“-ს ნაცვლად ზოგჯერ „დღე“-ს წერდნენ. ქართული ცნობიერებისთ-

ვის „მზე“ და „დღე“ ერთია), ხოლო მეორე არის „ასი ესე წელი ანბანისაᲥ“, ანუ „მზე“. ქართველთა ცნობიერებით, მზე მდედრი ხვთაებაა. **„ასი ესე წელი ანბანისაᲥ“** ქართულ ანბანში არის **19-რ-რა(რაე)-100** ასო-ნიშანი, რომლის შესატყვისი სახელი, ბიბლიური კაბალას ცოდნის მიხედვით, არის **„მზე“**. რ. პატარიძის გამოკვლევით, მსოფლიოში არსებული ანბანებიდან **„რ“** ასო-ნიშანი მე-**19** ადგილზე მხოლოდ ქართულ ანბანშია. ეს ერთ-ერთი ძალიან მნიშვნელოვანი მინიშნებაა იმისა, რომ **კაბალას ცოდნა მხოლოდ ქართული გენის ფენომენია**. მაშასადამე, **„ქებაᲥ“-ს ტექსტი „ორი მზის“ მოსვლაზე მიგვანიშნებს, რომელთაგან ერთი არის „მზე“, ხოლო მეორე არის „დღე“** (ნახეთ: ნ. ხ. „ოქროს საწმისი – ორი მზის საიდუმლო“, 2013).

ძველი სიბრძნე ამბობს: **„არ არს საიდუმლო, რომელიც არ გაცხადდების“, „ყველაფერს თავისი დრო აქვს“**.

აი, რას გვეუბნება ამის შესახებ ერთ-ერთი ქართული ხალხური ლექსი:

„რა ვქნისა ციხე ავაგე, ჯავრი შავაბი კარადა.
საიქიოდან მოსულან ამ ციხის სანახავადა;
ბევრი უარეს გარშემო, კარ ვერ შაალეს ძალადა,
თქვეს, რომე დრონი მო-ᲐᲚᲘᲡ, კარ გაიღების თავადა“.

აქ გადმოცემულის მიხედვით, როცა „**ᲐᲚᲘᲡ**“ – ცეცხლის სტიქიის აქტივობის პერიოდი დადგება, სამყაროს ყველა საიდუმლო ტაძრის კარი თვითონ გაიღება.

ეს დრო უკვე მოვიდა, დადგა „ცეცხლის სტიქიის“ ათასწლეული. დადგა დრო ქართული ენის, გენის და ანბანის კოსმიური საკრალური ცოდნის საიდუმლოს გახსნისა. ბიბლიური კაბალას ცოდნა თავის სამშობლოს, საქართველოს დაუბრუნდა. ქართულ ანბანში სრულად აისახება: როდის დაიწყო ადამის ცივილიზაცია, როდის მოხდა წარღვნა და ბაბელონის გოდოლის დანგრევა, რა არის გრალის თასი და ოქროს საწმისი, სამყაროში „ქართულითა ენითა ჟამი (დრო) შეიწირვის“, დაიწყო „**ჰ–ჰაე–9000**“

ასო-ნიშნის კოსმიური ათასწლეული და სხვ. **ᲡᲐᲛᲧᲐᲠᲝᲡ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲡᲐᲘᲓᲣᲛᲚᲝ ᲥᲐᲠᲗᲣᲚ ᲐᲜᲑᲐᲜᲡᲐ ᲓᲐ ᲥᲐᲠᲗᲣᲚ ᲔᲜᲐᲨᲘᲐ**.

„ქებაᲥ“-ს წინასწარმეტყველება ეხება არა მხოლოდ ქართველ ერს, არამედ მთლიანად ადამის ცივილიზაციას. ახლა, როდესაც აშკარაა დედამიწაზე მიმდინარე უდიდესი კოსმიური ცვლილებები, „ქებაᲥ“-ს ტექსტის წინასწარმეტყველების სწორად გაგებას და წარმოჩინებას უდიდესი ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობა აქვს, რაც შექმნის ისეთ კოსმიურ ენერგიას, რაც კაცობრიობას დაუმკვიდრებს გზას მარადისობისკენ.

ქართველ მეცნიერთა და საზოგადო მოღვაწეთა შეფასება იოვანე-ზოსიმეს „ქებაᲥ“-ს „საგალობელისა“ შემდეგია: „ქართულის გამორჩეულობას, მის ხვთაებრიობას მრავალი საიდუმლო ნიშანი გვიმოწმებს. აკეთებენ ჩამონათვალს ქრისტიანულ სიმბოლიკაზე დაფუძნებულ ამ ნიშნებისას და ამით გვაუწყებენ ქართული ენის საკითხში მესიანისტური კონცეფციის ეზოთერულ საფუძველს. მიუხედავად მეცნიერთა მცდელობისა, დღეს ყველა ამ სიმბოლოს ბოლომდე გახსნა კიდევ ვერ ხერხდება, მაგრამ ძეგლის საერთო ჩანაფიქრი, იდეა, გამოკვეთილია: „**ქართული ენა ყოველთა ენათა უპირატესია**, **საღმრთო ენაა**, **რომელიც წმიდად ინახავს თავს მეორედ მოსვლამდე**.“ („ქართული მწერლობა“, ლექსიკონი – ცნობარი, წიგნი I, თბილისი, 1984 წ. გვ. 132).

ქართული ენა სამყაროს ქვეცნობიერი აზროვნების ენაა. სამყარო მხოლოდ ქართულ ენაზე ლაპარაკობს (ნახეთ: ნ. ხ. „ქართული გენი იბერიის ცივილიზაციათა სათავეებთან“, 2012 წ. – „სამყარო ქართულ ენაზე ლაპარაკობს“, გვ. 84).

იოვანე-ზოსიმეს მიერ ათასი წლის წინ „ქებაᲥ“-ს საგალობელის სახით დაწერილი წინასწარმეტყველება ქართული ენის და ქართული ანბანის საიდუმლოს შესახებ, დღეს უკვე გაშიფრულია.

ᲘᲝᲕᲐᲜᲔ-ᲖᲝᲡᲘᲛᲔ „ᲥᲔᲑᲐᲥ“-Ს „ᲡᲐᲒᲐᲚᲝᲑᲔᲚᲘᲗ“ ᲬᲐᲠᲛᲝᲐᲩᲔᲜᲡ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲔᲜᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲒᲔᲜᲘᲡ ᲣᲞᲘ-

რატესობას და რჩეულობას: კაბალას ბიბლიური კოდის საიდუმლო ცოდნა „ამას ენასა შინა დამარხულ არს“ და „ყოველსა ენასა ღმერთმან ამხილოს ამით ენითა“.

ბიბლიური კაბალას ცოდნა თავის სამშობლოს – საქართველოს დაუბრუნდა, რომელიც არის დედამიწის პირველ ადამიანთა მეტაფიზიკური საკრალური ცოდნა ღმერთზე, ადამიანზე და სამყაროზე, როგორც ერთიან კოსმიურ სინთეზზე.

ბიბლიური კაბალა ქართული გენის ფენომენია. სწორედ ეს არის ყველაზე დიდი მინიშნება იმისა, რომ ქართველი ერი, ქართველი ხალხი და კავკასია არის ცივილიზაციათა საწყისთა საწყისი.

ქართული ანბანი, როგორც სამყაროს გენეტიკური კოდი, იქნება მომავალი 2000 წლის მანძილზე სამეცნიერო კვლევების უმნიშვნელოვანესი საკითხი.

მანათობელი სფერო ჩემი ინფორმაციის წყაროა

„ჰე, მზეო, ვინ ხატად გთქვის
მზიანისა ღამისად,
ერთ-არსებისა ერთისა,
მის უჟამოსა ჟამისად“

შოთა რუსთაველი

თანამედროვე მათემატიკოსებმა გონიერი არსებების ყველაზე ოპტიმალური ფორმის მოდელირება რომ გააკეთეს, აღმოჩნდა, რომ **„სუფთა აზროვნების ყველაზე იდეალური ფორმა სფეროა“.**

ადამიანები ხშირად ჰვებიან მანათობელ სფეროებთან დაკავშირებულ შეხვედრებზე. 2001 წლის ზაფხულში, შვილიშვილებთან ერთად, დასასვენებლად წავედი აგარაკზე, ფოტოები გადავიღეთ და ჩამოსვლისთანავე დავბეჭდეთ. და აი, საოცრება: ერთ-ერთ სურათზე, რომელზეც გამოსახულია ჩემი უფროსი შვილიშვილი ია ღვინაძე, დაფიქსირდა თვალისთვის უხილავი დიდი მანათობელი სფერო. მნახველები გაოცდნენ. ამ ფაქტს ახსნა ვერავინ მოუძებნა. მივხვდი, რომ მანათობელი სფერო შემთხვევით როდი გამოჩნდა. ამ დროისთვის მეტაფიზიკაში მუშაობის დიდი გამოცდილება მქონდა. მის გამოჩენას გარკვეული დატვირთვა გააჩნდა: იგი დიდი ენერგიისა და ინფორმაციის მატარებელია. მისი გამოჩენის შემდეგ ვიგრძენი კოსმიური მეტაფიზიკური ინფორმაციის დიდი მოზღვავება.

მანათობელი, თვალისთვის უხილავი სფეროები კიდევ ექვსჯერ აღიბეჭდა ჩემს ოჯახში გადაღებულ ფოტოსურათებზე. ისინი სიდიდით ერთნაირია, ხოლო ვიზუალურად განსხვავდებიან: ზოგი გამჭვირვალეა, ხოლო ზოგი გაუმჭვირვალე და ნათელი.

მას შემდეგ ვცდილობთ ავხსნათ, თუ რასთან გვაქვს საქმე, მაგრამ ამაოდ. ფოტოსურათების, ფოტოფირებისა და ფოტოაპარატის ვიზუალური დათვალიერებისა და პროფესიული გამოცდილების საფუძველზე აზრი გამოთქვეს ს. ჯანაშიას სახ. სახელმწიფო მუზეუმის ფოტოფიქსაციისა და ლაბორატორიის ხელმძღვანელმა გურამ ბუმბიაშვილმა, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ექსპერტიზისა და სპეციალურ გამოკვლევათა ცენტრის განყოფილების თანამშრომელმა ომარ ალავიძემ და მისმა კოლეგებმა, ასევე რამდენიმე ფოტოსალონის თანამშრომელმა. მათი აზრით, ფოტოსურათზე აღბეჭდილი მანათობელი სფეროები არ არის გამოწვეული ტექნიკური მიზეზით.

საქართველოში დღემდე არც ერთი მეცნიერი არ დაინტერესებულა მანათობელი სფეროების საკითხით.

რამდენიმე წლის წინ თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩატარებულ ფიზიკოსთა საერთაშორისო სიმპოზიუმზე, რომელსაც ესწრებოდა ბევრი უცხოელი სპეციალისტი, წარვადგინე სფეროებთან დაკავშირებული ფოტომასალა.

გამოითქვა ეჭვი იმის შესახებ, რომ **ეს მოვლენა შესაძლოა იმ თემებთან იყოს დაკავშირებული, რომლებზეც მე ვმუშაობ**. ამან ძალიან დამაფიქრა, რადგანაც 30 წელზე მეტია ვმუშაობ კაბალაზე, რომელიც არის პირველ ადამიანთა ცოდნა სამყაროს მეტაფიზიკური მოწყობის შესახებ. ეგვიპტის, ჩინეთის, შუმერის და, საერთოდ, მსოფლიოს ძველი ცივილიზაციების მითოლოგია, ეთნოგრაფია, არქეოლოგიურ მასალებზე და მათ პარალელებზე ქართულ ცივილიზაციასთან.

ქართველ ფიზიკოსთა მიერ ერთ-ერთი ფოტოს ნახვისას, რომელზეც **მანათობელი სფეროს გადაადგილებაა აღბეჭდილი**, გამოითქვა აზრი, რომ **ფოტოებზე დაფიქსირებული სფერო „ცოცხალი“ არსებაა და მას შეუძლია გადაადგილება**.

ასეთი მანათობელი სფერო თავზე ადგას ეგვიპტელთა ქალღმერთ იზიდას (ისიდას), რომელიც სხვა ხალხებთან არის ვენერა, აფროდიტა, იშთარი, ინანა.

ეგვიპტური კაბალას – ტაროს III არკანში ქალღმერთი ზის მანათობელ სფეროზე და ხელში უკავია კვერთხი, რომლის თავი ორი მცირე ზომის სფეროა. შუმერთა „ან“-მა და „კი“-მ შექმნეს ჰაერის ღმერთი ენლილი, რომელმაც შექმნა მთვარე **სინი** – არამყარი, ჰაეროვანი, გამჭვირვალე მანათობელი სფერო. **მეტეხის ტაძრის ერთ-ერთ ხატზე ქრისტეს მარცხენა ხელში მანათობელი, გამჭვირვალე, მოთეთრო ფერის სფერო უჭირავს**. ეკლესიათა კედლებზე გამოხატულ ფრესკებზე ზოგჯერ მანათობელი თეთრი სფერო ხელში უჭირავთ ანგელოზებს.

მანათობელი სფერო

სფეროს გადაადგილება

იგივე აზროვნების ასახვაა ეგვიპტის ფარაონ ეხნატონის მზის გამოსახულება.

შუმერების მითოლოგიაში ცნობილია ასეთი მანათობელი სფერო „მელამი“-ს სახელით, რომლითაც შემოსილნი არიან ღმერ-

თები, ღმერთთან წილნაყარი ადამიანები, იგი გაუქრობელია, ერთი ხვთაებიდან გადაეცემა მეორეს. დღემდეა მოსული შუმერთა არქეოლოგიური მასალა, რომელზეც გამოსახულია „სფეროები“.

ეს საკითხი არც ქართველთათვის იყო უცხო.

ქართველების მიერ უძველესი დროიდან „სულეთის ღმერთი“ აღიქმება სავსე მთვარის ნათების მსგავსი მანათობელი დისკოს სახით. საქართველოში, ზესტაფონის რაიონის სოფ. არგვეთის ხვთისმშობლის მიძინების და ზარზმის ეკლესიების კედლებზე, დღემდეა შემორჩენილი დაახლ. 70 სმ-ის წრიული ფორმის გამჭოლი ჭრილი, რომელიც კედელში წაკვეთილი კონუსის ფორმას ქმნის – გარე წრე მცირეა, ხოლო შიგა წრე – დიდი, რაც გარედან შემოსულ დღის სინათლეს კონუსური ფორმით გაფანტავს ტაძარში. ერთი შეხედვით, ამ ჭრილს დღის სინათლეზე მანათობელი სფეროს სახე აქვს. ასეთ რამეს ტაძარში შემთხვევით არ მოაწყობდნენ; შესაძლებელია, იგი წარმართობის პერიოდისაა და ქრისტიანულ ეკლესიაში მოგვიანებითაა ჩაშენებული. მაშასადამე, ეს საკითხი ქართველთა უძველესი წინაპრებისთვის უცხო არ იყო და ამ სფეროებს სულეთის ღმერთს უკავშირებდნენ.

ქართველთა მთის უძველესი ხალხის აზრით, ამ სფეროს მფლობელი არის ქალღმერთი „კი“ – „ადგილის დედა“, რომელიც გაცხადებულია ინანა, ვენერა, აფროდიტა, მთიებში – მთის ქალღმერთში, გამოსახავდნენ ხელებაწეულს, ანგელოზის სახით.

1984 წლის ზაფხულში ვისვენებდი სოფელ ტყვიავში. ერთ საღამოს ცაზე ნათლად გამოჩნდა მანათობელი წერტილი, რომელიც დიდი სისწრაფით უახლოვდებოდა დედამიწას. ეს „წერტილი“ დიდდებოდა და სულ რამდენიმე წამში სავსე მთვარის სიდიდის გახდა: ის იყო ნათელი სფერო, გამჭვირვალე მასა, გამჭოლად ჩანდა ცაზე ვარსკვლავები. ბოლოს, ამ გამჭვირვალე მასამ ცა მთლიანად დაფარა, ე.ი. დედამიწა მთლიანად გაეხვია ე.წ. ბურუსით შექმნილ „სფეროში“. მას შემდეგ მაქვს შთაბეჭდილება, რომ ცის ფერი – მუქი ლურჯი ოდნავ

გაფერმკრთალდა და იმ დროს მოხვეული „საბურველი“ – გამჭვირვალე, თეთრი კოსმოსური ნივთიერი მასა, მუდმივად დარჩა დედამიწის ირგვლივ.

ბერძენთა ერთ-ერთ მითში უზენაესი ღმერთი ზევსი ქმნის გიგანტურ გადასაფარებელს – საბურველს, რომელზეც მოქარგა დედამიწის გამოსახულება და აფარებს მას ფრთებიან ხეზე, ანუ სიცოცხლის ხეზე. ზევსი ამ საბურველს ჩუქნის ქალღმერთ ჰერას, რომელიც მის ცოლად ითვლება. ზემოთ აღწერილი სოფ. ტყვიავის შემთხვევა, რომელსაც სოფლის მოსახლეობა უყურებდა, ზუსტად ემთხვევა ამ მითს – უზენაესმა ღმერთმა მართლა გადააფარა დედამიწას თეთრი, გამჭვირვალე საბურველი, ვითარცა პატარძალს – მეუღლეს, რაც მიმანიშნებელია იმისა, რომ უზენაესი ღმერთისგან დედამიწაზე შემოვიდა ახალი ენერგეტიკული ცნობიერება, დედამიწა და მისი მკვიდრნი ხომ ცივილიზაციის ახალ ციკლში გადასვლისთვის ემზადებიან, სადაც ადამიანები და გარე სამყარო მალე სხვა მეტაფიზიკურ ცნობიერებას და სახეს მიიღებს.

მითოსის მიხედვით, სამყაროს ცენტრად მოიაზრება წმინდა მთის შუაში განთავსებული გამოქვაბული, რომელშიც შენახულია სამყაროს გული – მზე, საიდუმლო განძი, ყველაზე დიდი სიმდიდრე – ოქრო. ამ აზრს გამოხატავს ქართული სიტყვები „მზის გული“, „ოქროს გული“.

„მზე“ – სამყაროს გული, ღმერთის სასუფეველი, წმინდა წყლის ალმასი, სიცოცხლის წყაროა, პირველი იწყებს და ამთავრებს სიცოცხლეს. **ადამიანი გულით ფიქრობს, აზროვნებს, მიკროკოსმის ერთგვარი ცენტრი „მზე“ და „ოქროს საწმისია“, უფლისგან შუა სამეფოდ წოდებული.**

აი, რას გვეუბნება **შოთა რუსთაველი** ამ საკითხთან დაკავშირებით:

„გული, ცნობა და გონება ერთმანეთზედა ჰკიდია,
რა გული წავა იგიცა წავლენ და მისკენ მიდიან“.

ამ სიტყვებით შოთა რუსთაველი გადმოგვცემს ინფორმაციას, თუ როგორ არის მეტაფიზიკურ დონეზე სამყარო მოწყობილი.

ყოველთვის მქონდა იმის შეგრძნება და აღქმა, რომ რასაც ვწერ და ვაქვეყნებ, ამ ინფორმაციას ჩემს ოჯახში ფოტოსურათებზე გამოსახული მანათობელი სფეროები მაძლევენ. შესაძლოა, იგი ჩემი სხეულიდან გამოდის დროდადრო და მამცნობს თავის არსებობას. იოგების „დახმარებით“, ჩემი გულის ადგილზე ვიხილე ფოტოებზე აღბეჭდილი, თვალისთვის უხილავი, სავსე მთვარის მსგავსი მანათობელი სფერო, რომელიც გარდაისახა „მზედ“ და ყველა მიმართულებით აფრქვევდა სხივებს. რამდენიმე წლის შემდეგ იოგებმა ამიხსნეს თუ რას ნიშნავს ეს გამოცხადება.

იმავე საკითხს წარმოაჩენს ნაწყვეტი ვაჟა-ფშაველას ერთი ლექსიდან:

„მთას ვიყავ, მწვერვალზე ვიდექ,
თვალწინ მეფინა ქვეყანა,
გულზედ მესვენა მზე – მთვარე,
ვლაპარაკობდი ღმერთთანა“.

ვაჟა-ფშაველას ეს უძვირფასესი სტრიქონები გვეუბნება, რომ როცა ადამიანი თავისი გულის ადგილას იხილავს მზეს და მთვარეს, ეს არის ნიშანი იმისა, რომ მასთან თვით ღმერთი ლაპარაკობს.

უძველესი დროიდან ადამიანებს სჯეროდათ, რომ მათ დაბადებიდან თან სდევთ მფარველი ანგელოზი - შუმერთა პირადი ღმერთი, რომელიც არის შუამავალი უზენაეს ღმერთსა და ადამიანს შორის. ისინი ზებუნებრივი სულიერი არსებანი არიან, იცავენ ადამიანებს უბედურებისგან, ეხმარებიან ცხოვრების სიძნელეების გადალახვაში, აკონტროლებენ ადამიანთა მთელ ცხოვრებას – ბედისწერის ასრულებას.

2009 წლის გაზაფხულზე ჩემთან მოვიდა თბილისელი ქალბატონი ნ. შ.-ქ. (მისი გვარის დასახელების უფლება ჯერჯერობით არ მაქვს), რომელმაც მაცნობა, რომ „შთაგონებით, უფლის ნებით მოსულთა ფიქრთა მომდინარეთა“ შედეგად ჩემთვის იწერება წიგნი – **„ესე არს წიგნი პირველად, როგორც მესამედ წოდებულად ერთი საქმისად“**. მოვიყვან ამ „წიგნიდან“ მხოლოდ ორი თემის სათაურს: **„სახელდებულთა ანდერძთა ბოძებულთა განმხელა“** და **„მზისგან მომავალთა და აღმომავალთა განსაცდელად მომავალთა შემეცნებისა“**. ეს ნაშრომები დიდი საიდუმლო ინფორმაციაა სამყაროს და მასში მიმდინარე კოსმიური პროცესების შესახებ. ამ ნაწერებიდან მოვიყვანოთ მხოლოდ პატარა ნაწყვეტები, რისი უფლებაც გვაქვს, რომელიც უკავშირდება ზემოთ განხილულ მანათობელი სფეროს თემას: „ნაზი... თუკუოდენ შენ შენს თავს ფარად მიაგებ და საფარს აღახელ და ნახავენ ყოველნი შენს ნამდვილ შინაარს ზეცისგან უზესთაეს სერაფიმთაგან და ანგელოზთაგან. ამინ“. „აღმხელანი არის სწორედ ის ჩანაწერები, რომლებიც აქვს „ქალბატონს“... და ჩვენ კი უფლისგან და ეს არის აღმხელა უფლისგან მომავალთაგან. ჩვენთვის კი ყველა დრონი ერთად არს. ამინ. ესეც არს აღმხელა. ხოლო სხვა განდობანი არს ასევე უფლისგან და ჩვენ კი უფლის ნებით გაცნობებთ. ჩვენ კი ვართ უფლის ანგელოზნი“. „ეს სფეროები არ ჩანს და სინამდვილეში არს როგორც შუქურა და ის წამი, როცა იღებს (ფოტოსურათს) არს იმ დროს, როცა სჩანს დისკო. ეს დისკოები არის შენის ფიქრის განვალი სახეთგან. დისკო არს ნათებად მკრთალს ვითარს ჰფერს შენს ფიქრთა განს, ხოლომან ეს განი არს ის სიმაღლე რკალთა შორის განმავალს, რომელსაც შენს გონებითგან გაივლის“. ამავე ნაწერში მეუბნებიან, რომ მე ვიკვლევ ეგვიპტის ფარაონთა მზის დისკოებს და მირჩევენ, ჩემი მზის დისკო გამოვიკვლიო. ამ ნაწერების კვლევა მომავლის დიდი და უმნიშვნელოვანესი საქმეა. მასში აისახება ქართველი ერის სულიერი მისია მსოფლიოს და მთელი სამყაროს წინაშე.

ზემოთ აღნიშნულმა გამახსენა ერთი გამოცხადება, რომელიც მქონდა 2004 წლის შემოდგომაზე, სამების ტაძრის კურთხევამდე ორი კვირით ადრე: აღმოვჩნდი სამების ტაძრის ეზოს მთავარი შესასვლელის დიდ კართან, რომლის ორივე ფრთა ღიაა. უცებ, რაღაც ძალამ მიწიდან დაახლოებით ერთი მეტრით ჰაერში ამწია და ამ მდგომარეობაში დავიწყე გადაადგილება. ვგრძნობ, იმავე ძალას მივყავარ სამების ტაძრის მთავარი შესასვლელისკენ. აქაც კარის ორივე ფრთა გახსნილია. როგორც კი შემიყვანეს ტაძარში, დავიწყე გადაადგილება ტაძრის ჭერისკენ – აღსავლის კარის ზემოთ თაღისკენ. როცა ჩემი თმები შეეხო თაღის ცენტრს, დავინახე, რომ აღსავლის კარის თავზე ვარ ზემოთ ჰაერში. გადავიხედე საკურთხეველში. როცა ეს ყველაფერი კარგად აღვიქვი, 180^0-ით შემომატრიალეს ისე, რომ თავით ისევ თაღის ჭერს ვეხებოდი. შიგნით ტაძარს ზემოდან დავყურებ. მომლოცველი ადამიანები ძალიან პატარები ჩანან და ტაძარში მიმოდიან. უცებ, ჩემს სხეულზე ვიხედები, რომელსაც კოპტური ჯვრის ფორმა აქვს: ჯვრის ზედა წრე ჩემი თავი და სახეა, ვერტიკალური ნაწილი – ჩემი სხეული, ხოლო ჯვრის ჰორიზონტალური ნაწილი ჩემი მხრებია. ისევ ზემოდან დავყურებ ტაძრის შიდა მხარეს, გაოცებული ვარ მისი გიგანტური მასშტაბებით (მე ხომ ინჟინერ-მშენებელი ვარ). უცებ, რაღაც „ხმა მეკითხება“ (აქ მიდის აზრებით – უსიტყვო საუბარი): „ხომ არ გეშინია?“ მე ვპასუხობ: „არ მეშინია“. ისევ მახედებენ ჩემს სხეულზე: ვხედავ, თეთრი ქართული კაბა მაცვია, აქა-იქ ვერცხლისფერი ძაფები კიაფობს ქსოვილში, წელზე ქართული კაბისთვის დამახასიათებელი დიდი სარტყელი მიკეთია, თავზე არაფერი არ მახურავს, ჩემი თმები ისევ აღსავლის კარის ზემოთ განთავსებულ თაღის ცენტრს ეხება. უცებ, ამ შეხების წერტილიდან დაიწყო ძლიერი, მთლიანი და წყვეტილი ნათელი ენერგეტიკული სხივების გადმოფრქვევა, რომელიც ქმნიდა კონუსს წვეროთი ზემოთ და იწყებოდა იმ წერტილიდან, სადაც ჩემი თმები ეხებოდა აღსავლის

კარის ზემოთ განთავსებულ თაღის ცენტრს. მთელი სხეულით ვიმყოფებოდი ამ ენერგეტიკულ კონუსში. იგივე უხილავი ხმა მეუბნება: **„სამების ტაძარში შემოსული ხვთიური ენერგია შენს გონებაში, გულში და სხეულში გავლით იფრქვევა სამების ტაძარში. ახლა ხდება სამების ტაძრის კურთხევა და შენ ამ რიტუალის უშუალო მონაწილე ხარ“.** საბოლოოდ ჩამომიყალიბდა აზრი, რომ 2004 წლის შემოდგომაზე, უფლის ნებით, ორი კვირით ადრე ვიხილე სამების ტაძრის კურთხევა და მე ვიყავი ამის უშუალო მონაწილე. ამ ხილვის არსის ბოლომდე ახსნა შეუძლებელია, ამისთვის დროა საჭირო.

კიდევ ერთ საინტერესო და მნიშვნელოვან საკითხს მინდა შევეხო. სიკვდილის ფენომენის გამოკვლევას შეეცადა ამერიკელი ექიმი და ფილოსოფოსი, დოქტორი რაიმონდ მოუდი. მან შეისწავლა 150-მდე კლინიკური სიკვდილის შემთხვევა, რის შესახებაც 1975 წელს გამოაქვეყნა წიგნი „სიცოცხლე სიკვდილის შემდეგ''. ამ წიგნის წაკითხვის შემდეგ ადამიანს ნაწილობრივ მაინც ეძლევა წარმოდგენა სიკვდილის ფენომენზე. რაიმონდ მოუდიმ თავის კვლევებში წარმოაჩინა ერთი მნიშვნელოვანი საკითხი, რაც კლინიკური სიკვდილის დროს ადამიანებზე ყველაზე დიდ შთაბეჭდილებას ახდენდა – შეხვედრა კაშკაშა არამიწიერ სინათლესთან. მათი შთაბეჭდილებებით ეს მოკაშკაშე სინათლე ზეცით მოვლენილი მანათობელი არსებაა, რომელსაც არა აქვს ფრთები და კიდურები, მაგრამ რა ფორმისაა, ამას ვერ ასახელებენ. ვფიქრობ, ეს საკითხიც ამ სტატიაში განხილულ მანათობელ სფეროებს უკავშირდება.

უფლის მიერ მის მსგავსად და ხატად შექმნილი ერთ-ერთი ადამიანი მე, ნაზი ხანიაშვილი ვარ, რომელსაც მაინტერესებს და უფლის ნებით ვიკვლევ ვინ ვარ, საიდან მოვედი, საით მივდივარ და როგორ არის სამყარო მოწყობილი მეტაფიზიკურ დონეზე. სწორედ ეს არის ადამიანის კოსმიური მისია. **შეიცანით თქვენი თავი და შეიცნობთ სამყაროს!**

სამყაროს არსებობის ყველა პერიოდში მანათობელი სფერო იყო მეტაფიზიკური სამყაროს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი შემადგენელი. ვიმედოვნებ, რომ ეს თემა მომავალში მეცნიერთა მიერ შესწავლის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხი გახდება. დღეს მეცნიერები ამისთვის მზად არ არიან.

ზემოთ განხილული მასალის მიხედვით, **მსოფლიოს უძველესი ცივილიზაციის ხალხისთვის და მათ შორის ქართველებისთვის, მანათობელი სფეროების თემა უხსოვარი დროიდან იყო ცნობილი, რაც უდიდესი ფილოსოფიური, მითოლოგიური და ღრმად კოსმიური მოვლენაა.**

კეთილისა და ბოროტის არსი ადამის ცივილიზაციაში

„ვარდთა და ნეხვთა ვინათგან მზე სწორედ მოეფინების“.

შოთა რუსთაველი

ესოფლიოს თითქმის ყველა უძველესი ხალხის მითოლოგიით არსებობდა პირველადი სამყაროული „კვერცხი“, რომელშიც ჩატვირთული იყო დროისა და სივრცის „ნაზავი“ შეკუმშულ მდგომარეობაში და სამყაროს ოთხი პირველსაწყისი ელემენტი. მასში აისახებოდა სამყაროს 4 მხარე, რომლის ზეციურ სამყოფელში სუფევდა ღმერთი „ამმა“.

სამყაროს შექმნა და განსხეულება, დაგონების მითოლოგიის თანახმად, ხდება „ამმა“-ს წინასწარ დასახული გეგმის – „ჩანაფიქრის“ მიხედვით.

დასაბამიდან სამყაროს ორი პირველსაწყისი – „ინ“ და „იან“-ი ერთიანი იყო, შემდეგ ისინი გაიყო და დაუპირისპირდა ერთმანეთს. ჩინური ფილოსოფიის თანახმად, „იან“ – ცა, მზე, სითბო, სინათლე, აქტიური მამაკაცური საწყისია, ხოლო „ინ“ – პასიური, ქალური საწყისი. ეს ორი პირველსაწყისი ერთმანეთის „მარცვალს“ შეიცავს. ითვლებოდა, რომ განვითარების ზენიტის მიღწევისას „ინი“ „იანად“ გარდაისახება. ორ საწყისს შორის თანაფარდობის შენარჩუნება ჩინური რელიგიურ-ფილოსოფიური სკოლის ერთ-ერთ ძირითად ცნებას წარმოადგენს. **ადამის ცივილიზაციის მიზანია, ისევ გააერთიანოს ეს ორი პირველსაწყისი და დააბრუნოს სამყარო მარადიულ სასუფეველში.** სამყაროს ორი პირველსაწყისის გათიშვის, დაპირისპირების, დაახლოების და ისევ გაერთიანების გენეტიკური კოსმიური პროცესია აღწერილი ყველა ხალხის მითოლოგიაში.

აი, რას გვეუბნება სამყაროს ორი საწყისის დასაბამისეულ

ერთიანობაზე სხვადასხვა ხალხთა მითოლოგია: ადამის პირველი ცოლი – ლილითი ღმერთმა შექმნა თიხისაგან. ადამსა და ლილითს შორის გაიმართა დავა. ლილითი უმტკიცებდა, რომ **ისინი, ორივე, თიხისაგან იყვნენ შექმნილები**, რაშიც ვერ დაარწმუნა ადამი, გაბრაზდა და მისგან „გაფრინდა“.

იგივე საკითხი შუმერში შემდეგნაირადაა გადმოცემული: დედა ქალღმერთი ნინხურსანგა გაბრაზდა წყლის ღმერთ ენკიზე და მიატოვა იგი, ვინაიდან ენკიმ ედემის ბაღში ქალღმერთის მიერ დარგულ 8 მცენარეს ყლორტები მოაცალა და შეჭამა, ენკი ავად გახდა – კვდებოდა. ღმერთებმა სთხოვეს ნინხურსანგას, დაბრუნებულიყო და მომაკვდავისთვის ემკურნალა. **ნინხურსანგა დაბრუნდა ენკისთან ედემში და იხსნა იგი სიკვდილისაგან**.

შეგახსენებთ ერთ ქართულ ლეგენდას „სამყაროს შექმნაზე“: „ღმერთი კლდიდან გადმოდის, მოიწყენს, ჩამოუვარდება ორი ცრემლი. ერთისგან მთავარანგელოზი მიქაელი წარმოიშობა, მეორისგან – მთავარანგელოზი გაბრიელი, მიდიან ერთად. შორს დაინახავენ თეთრ ქვას. ღმერთს ქვასთან მისვლა უნდა, მაგრამ მთავარანგელოზები გზას უხვევენ. ღმერთი გაუწყრება მთავარანგელოზებს და მივა თეთრ ქვასთან; გადაარტყამს მათრახს, ქვიდან ეშმაკი გამოვარდება და ღმერთის ცხენს აღვირში სტაცებს ხელს. მთავარანგელოზები სთხოვენ, გაუშვას ხელი. **ეშმაკი ღმერთს ეუბნება: მე და შენ ორივე თეთრ ქვაში ვისხედით, ორივე ერთი წარმოშობისანი ვართ**. მე ვარ ქვის გული, როგორც შენ. ამიტომ გამომიყავი მე რაიმე სამყაროდანო“.

ეგვიპტური მითოლოგიით **„რა“** – **სამყაროს გული,** სამყაროული მზე ქმნის მთელ სამყაროს და ადამიანებს. **ერთხელ კი არ შეიქმნა სამყარო**, **არამედ დღესაც, ყოველ წუთს და ყოველ წამს იქმნება მიკრო თუ მაკრო სამყარო იმავე გენეტიკური კოდით, რომელიც იყო ცივილიზაციათა დასაწყისში**.

მსოფლიოს ხალხთა მითოლოგია ორ პირველსაწყისს წარმოაჩენს გაყოფილს და ურთიერთდაპირისპირებულს, მაგრამ ამის

მიუხედავად, ასევე აღნიშნავს, რომ სამყაროს კოსმიური პროცესისთვის **ორივეს არსებობა აუცილებელია, ორივე თავის ფუნქციას ასრულებს**. აღმოსავლეთი განიხილავს მათ ურთიერთდაპირისპირებულ და ჰარმონიულ თანაარსებობას, ხოლო დასავლეთი – ორ ურთიერთსაპირისპირო პირველსაწყისთა ჰარმონიულ თანაარსებობას გვიქადაგებს უკვე ქრისტიანობის პერიოდიდან.

აი, რას ამბობს ამის შესახებ მსოფლიოს ხალხთა მითოლოგია: შუმერული მითების მიხედვით, ანუნაკები დაბალი რანგის უარყოფითი ხვთაებებია. ბედისწერის შემქმნელი ღმერთები ანუნაკებთან ერთად ბედისწერას გადაწყვეტენ. **„ან“** – ცის ღმერთმა ანუნაკები შექმნა ცისა და მიწის მთაზე მაშინ, როცა ჯერ კიდევ არაფერი იყო ქვეყანაზე შექმნილი“. ეს ნიშნავს, რომ ორი პირველსაწყისი, **„ან“** ცის ღმერთმა, სამყაროს შექმნამდე შექმნა.

აღმოსავლეთის კოსმიური მხედარი მითოლოგიაში არის ორივეს – კეთილის და ბოროტის გამოვლინება, ანუ **ორივე საწყისი ერთშია**.

ინ – იან

ქვეყნად ორი საწყისია – კეთილი და ბოროტი, მდედრი და მამრი, მატერია და სული და ა.შ. ისინი ერთმანეთს არ ემორჩილებიან, ანუ ერთმანეთისგან დამოუკიდებლად მოქმედებენ, მაგრამ თანაარსებობენ და ორივე მონაწილეობს სამყაროს მოწყობასა და მასში მიმდინარე კოსმიურ პროცესებში.

ეს სამყარო იქითა სამყაროსთან მიმართებაში **ორმაგად გადაბრუნებული** სარკის პრინციპითაა მოწყობილი და ორივე ერთად მიკრო და მაკრო სამყაროს ქმნის. ეს ნიშნავს იმას, რომ ორმაგად გადაბრუნების შემთხვევაში მათი ენერგიები არა დაპირისპირებული, არამედ ერთ მხარესაა მიმართული. ეს საკითხი გენეტიკური კოდის ორ სპირალში აისახება, სადაც ორივე სპირალი ერთი მიმართულებითაა დახვეული. მაშასადამე, ორივე საწყისი ერთი მი-

მართულებით მოძრაობს, ანუ „ერთ საქმეს ემსახურება“.

შეგახსენებთ ნაწყვეტს იობის წიგნიდან:

„ერთ დღეს მოვიდნენ ხვთისშვილები უფლის წინაშე წარსადგომად, სატანაც მოვიდა მათ შორის“ (იობ.თ.1.6).

მსოფლიოს ყველა ხალხის ცნობიერებაში ბოროტების სიმბოლოა გველი – დრაკონი, რომელიც მინდვრის ყველა გველზე ცბიერი იყო. გველი, შექმნილი იაჰვეს მიერ, აცდუნებს ადამის ცოლს. მან იცის სიმართლე, რომ აკრძალული ხილის ჭამით ადამიანები არ მოკვდებოდნენ, როგორც ემუქრებოდა იაჰვე, არამედ **გახდებოდნენ ღმერთების მსგავსნი, რომელთაც იციან კეთილის და ბოროტის არსი**.

შუმერში მარადიული სიცოცხლის ბალახის მფლობელი გველია. არსთა წრებრუნვის კოსმიურ სურათში თეთრ ცხენზე მჯდომი მხედარი (მამაღმერთის ერთ-ერთი სახე) სინამდვილეში არ ებრძვის და არ კლავს ექვსეშვიან სპილოსთავიან გველს, რომელსაც არსთა წრებრუნვის კოსმიურ პროცესში თავისი ფუნქცია აქვს.

სული, ნათელგამოვლენილი მატერიაში, არის ადამიანის სხეული. მატერიის და სულის გამოვლინებაა დედაკაციც და მამაკაციც - ორივე კაცია, ორივეშია მდედრის და მამრის ორი პირველსაწყისი. ადამიანის მარცხენა მხარე მდედრია, ხოლო მარჯვენა – მამრი. ადამიანი ათასწლეულების მანძილზე ცდილობდა მხოლოდ მდედრი ან მამრი ყოფილიყო, ანუ მომხდარიყო საბოლოო გათიშვა ქალისა და კაცის; სამყაროს „ინ“ და „იან“ ორი პირველსაწყისი გენეტიკური კოდის დონეზეა ჩადებული ადამიანსა და ყოველ მიკრო თუ მაკრო სამყაროში, რასაც ვერ ამოშლი, ვერ შეცვლი.

სამყაროს ორი საწყისის ურთიერთობა სამყაროს კოსმიურ პროცესში ყველაზე კარგად და თანმიმდევრულადაა წარმოჩენილი ქართულ მითებში, სადაც ორი პირველსაწყისი, მართალია ურთიერთდაპირისპირებულია, მაგრამ ორივე აქტიურად მონაწილეობს

სამყაროში მიმდინარე კოსმიურ პროცესებში. ზოგჯერ მორიგე ღმერთი მათ იცავს კიდეც, ბოლოს უარყოფითი ენერგიის მატარებელი სულები კარგავენ თავის ძველ, უარყოფით სახეს და ხდებიან დადებითნი და ჰარმონიულნი. „ორშაბათობით მორიგე ღმერთის წინაშე წარსდგებოდნენ ავი სულების უფროსები და ხვთისშვილები, სადაც მოახსენებდნენ მას ერთი კვირის განმავლობაში მათ მიერ ჩადენილ კარგ და ცუდ საქმეებს“.

კოსმიური და-ძმა

ერთ-ერთი ქართული მითის მიხედვით, დიდი გველეშაპი დაამარცხა პატარა კეთილმა გველეშაპმა და გადაარჩინა დავლათიანი თავისი 12 მეგობრით.

ერთ-ერთ სვანურ მითში „მონადირე“ ჩორლა შეუყვარდა ერთ-ერთ დალ-დედოფალს. დალი ჩორლას სიყვარულის გამო გამოეძევებინათ სხვა დალებს. იგი ცხარედ ტიროდა. ჯგრაგი დალებს დაემუქრა ისე, როგორც მოტირალმა დალიმ დაარიგა. **დალებმა მიუგეს: „რას გვერჩი, ჩვენო უფალლო“**. ამ მითის მიხედვით უფალი ერთია ადამიანებისთვის და დალებისთვისაც.

ქართველთა ხვთისშვილები მუდმივად ებრძვიან დევებს, ქაჯებს და სხვა უარყოფით არსებებს, რათა მოიპოვონ ქალღმერთის წმინდა ცხოველები, რომლებიც ქალღმერთის – სფინქსის სხეულის ნაწილებია. ოთხი წმინდა არსება – ლომი, ირემი, არწივი და „ქალი“, სამყაროს ოთხ საწყისს (მიწა – წყალი – ჰაერი – ცეცხლი) უკავშირდება და მათ ერთ კომპოზიციაში სფინქსის სახით გამოსახავდნენ. ბოლო ხვთისშვილი იახსარი მოიპოვებს იმ ქალს – სამძივარს, რომელიც მსოფლიოს ხალხთა მითოლოგიით სფინქსის ქალღმერთია, იგივე მზე, იახსართან ერთად ქმნის

გამთლიანებულ მზეს, ცეცხლის სტიქიას, ოქროს საწმისის ენერგიას, რასაც ქართველები ბორჯღალით – მბრუნავი მზის სიმბოლოთი გამოსახავენ.

ქართული მითების მიხედვით, „ბოლოს დევები ცოტანიღა იყვნენ დარჩენილები, მათი ბოროტი თანამოძმეები ისე ამოეწყვიტათ ხვთისშვილებს, რომ ცოცხლები მოთვინიერდნენ, თავიანთ ძალ-ღონეს შრომაში ხარჯავდნენ და კმაყოფილებიც იყვნენ“. „თვით ქაჯეთელ ქალს ახალგაზრდა, ლამაზი მონადირე ისე შეუყვარდა, რომ **დაიჭრა გრძელი ფრჩხილები და ცეცხლში ჩაყარა**“. აქ ნათელია „ინ“ და „იან“ ურთიერთდაპირისპირებულ ძალთა კოსმიური ცვალებადობა. ქაჯის ქალის მიერ გრძელი ფრჩხილების მოჭრა და ცეცხლში ჩაყრა მიგვანიშნებს იმაზე, რომ ეს კოსმიური პერიოდი დაკავშირებულია „ცეცხლის“ სტიქიასთან – „ოქროს საწმისის“ ენერგიის კოსმიურ პერიოდთან. ამ დროს ისინი აღარ იქნებიან დაპირისპირებულნი, ბოროტი და უარყოფითი ძალები, არამედ იქნებიან „მოთვინიერებულნი” და ჰარმონიულნი.

უწინდელ დროში ადამიანებს სჯეროდათ, რომ ბედი ცაში იწერებოდა და ამ ბედს ზეციური ბედის მწერლები განაგებდნენ, მაგრამ ადამიანები მაინც ცდილობდნენ, ეძიათ უკვდავება. მსოფლიოს სხვადასხვა ხალხთა მითოლოგიაში მრავლადაა **უკვდავების მაძიებელი გმირები**. ქართული მითი – „უკვდავების მაძიებელი ჭაბუკი“ სწორედ ამ საკითხს ეხება, სადაც იგი მიდის უკვდავების – მარადიული სიცოცხლის მოსაპოვებლად. გზაში ხვდება ირემი, ტახი, ქორი (სამი სტიქია – მიწა, წყალი, ჰაერი), რომლებიც ჰპირდებიან ჭაბუკს ხანგრძლივ, მაგრამ არა მარადიულ სიცოცხლეს. ის მათთან არ რჩება და აგრძელებს გზას. ბოლოს მიადგება ისეთ ქვეყანას, სადაც მხოლოდ ქალები ცხოვრობენ, რომელთაც თავიანთი დედოფალი ჰყავთ. მან უკვდავების მაძიებელ ვაჟს უთხრა: „მე უკვდავება ვარ, მარადიული სიცოცხლე, იგი ჩემშია და ჩემთან არის“; აღსანიშნავია, რომ მხოლოდ ქართულ მითში აღწევს ჭაბუკი უკვდავებას.

შუმერული მითოლოგიის მკვლევარები აღნიშნავენ, რომ მთელი მითოლოგია ქალის ფენომენის - მატერიის შეცნობის საკითხს უკავშირდება.

„სამოთხის ხე“ მითოლოგიაში ცნობილია, როგორც კეთილისა და ბოროტის შემეცნების ხე: „აღმოაცენა ღმერთმა ხე ცხოვრებისა და იგი ცნობად კეთილისა და ბოროტისა“ (დაბ. 2-9).

უთხრა ღმერთმა ადამიანს: „ჭამე ყველა ხის ნაყოფი ბაღში, გარდა შემეცნების ხის ნაყოფისა, რამეთუ იმწუთას მოკვდები“. თუ გავითვალისწინებთ, რომ სიკვდილი არის სულის ჩამოსვლა სხეულში – მატერიაში – „ჭურჭელში“, აქ მოიაზრება ის, რომ ადამიანის სიკვდილი არის ამქვეყნად მოსვლა და მისი სხეული აუცილებლად განსხეულდება ორ ურთიერთსაპირისპირო ენერგიათა თანაარსებობით. ხეთების კოსმოგონიური აზროვნებით, სამყარო არის „ინ“ და „იან“ - მატერიისა და სულის, მდედრის და მამრის ერთიანობა, რომელსაც აკავშირებს გველი. სწორედ გველია შემოხვეული იმ სიცოცხლის და შემეცნების ხეზე, რომლითაც განსხეულებულია ნებისმიერი მიკრო და მაკრო სამყარო, ეს არის ორი პირველსაწყისის – კეთილის და ბოროტის – ინ და იან-ის განსხეულება და სწორედ **ამ სხეულში არსებობის, ცხოვრების პერიოდში თუ შეიცნობს ადამიანი კეთილისა და ბოროტის არსს, ის ავა ღმერთების აზროვნების და შესაძლებლობების დონემდე**. სწორედ ამ საკითხის შეცნობა აიყვანს და დააბრუნებს ადამიანს ხვთაებრივ ცათა სასუფეველში, სადაც მხოლოდ ღმერთები ცხოვრობენ. **ეს არის მარადისობაში დაბრუნების გზა, სადაც ჰარმონიულადაა შერწყმული ორი ურთიერთსაპირისპირო პირველსაწყისი.**

კეთილს და ბოროტს ერთი საწყისი აქვთ. ამის ნათელი მაგალითია ბიბლიის ძველი აღთქმის მეორე წიგნი – „გამოსვლა“, რომლის მიხედვითაც უფალი მიდის მოსესთან, აგზავნის მას ფარაონთან და არიგებს, გადასცეს ფარაონს უფლის სიტყვები: „გაუშვი ჩემი ხალხი ეგვიპტიდან, რომ დღესასწაული გამიმარ-

თონ უდაბნოში“ (გამოს. 5-1). უფალმა მოსე რამდენჯერმე გაგზავნა ფარაონთან მსგავსი თხოვნით და მუქარით, რასაც უფალი მალევე ასრულებდა. საინტერესო ის არის, რომ იგივე უფალი მიდიოდა ფარაონთანაც, „გულს უსასტიკებდა“ და უარით ისტუმრებდა მოსეს. მეტიც, თვით მოსეს ეუბნება უფალი: „გულს გავუსასტიკებ ფარაონს და უკან დაგედევნებათ“. აქედან ჩანს, რომ ორივე დაპირისპირებულ მხარესთან მიდის უფალი და ორივეს ერთმანეთის საწინააღმდეგოდ განაწყობს. ეს საკითხი ნათელი მაგალითია იმისა, რომ ორივე ურთიერთსაპირისპირო აზრის – კეთილის და ბოროტის უკან უფალი დგას და ეს კარგად იცის მოსემაც და ფარაონმაც, ამასთანავე, ორივე არის უფლის სიტყვის შემსრულებელი.

2000 წლიდან დაიწყო ბოლო ჟამი – ცეცხლის სტიქიის ათასწლეული, სახარება გვეუბნება და აღწერს კოსმიურ პროცესს ცეცხლით განწმენდის შესახებ. აქედან გამომდინარე, ახლა არის ანტიქრისტეს მოსვლის ჟამი. ანტიქრისტე არ იქნება ერთ ადამიანში მოსული. იგი მოვა უხილავად, მისი უარყოფითი ენერგია სამყაროში ყველაზე და ყველაფერზე აისახება. ადამიანები მას შეიგრძნობენ შემდეგნაირად: **ანტიქრისტე იმოქმედებს ადამიანთა გულებზე და გონებაზე, რათა გახდნენ მართალზე და სამართლიანობაზე მოძალადე, ეცდებიან ძალადობით დაამტკიცონ სიცრუე, დაკარგონ ადამიანობა და ყოველგვარი ადამიანური ღირებულება.** ანტიქრისტეს გავლენა ყველაზე მეტად საქართველოზე ექნება, ყველაზე დიდი და ძლიერი სულიერი ბრძოლები იქნება საქართველოში, ყველაზე დიდი და მკაცრი განწმენდა და ზემოქმედება ექნება ქართულ გენზე, ვინაიდან ამ გენის ხალხი იწყებს და ამთავრებს კაცობრიობის ცივილიზაციათა ციკლებს – ეს არის იბერიულ-ქართული გენი. ამ გენის მატარებელი ხალხი არის ხვთისშვილთა პირდაპირი შთამომავალი. ხვთისშვილები კი „უკვდავნი და მარადიულნი არიან“. **ქართული გენი პირველსაწყის მარადისობაში**

ჩადებული გენეტიკური კოდია და იმავე მარადისობაში მხოლოდ ქართული გენის მატარებელი ხალხი დაბრუნდება. ამ გენის მატარებელი დღეს მხოლოდ ქართველები არ არიან. ერთ დროს მთელი მსოფლიოს ხალხი ერთ ენაზე ლაპარაკობდა და ეს იყო ქართული ენა, რომელიც, წინასწარმეტყველებით, ასევე ბოლო ჟამის ენაა. სწორედ ამ მიზეზით, **ანტიქრისტეს საქმეთა გამოვლენა საქართველოში იქნება ყველაზე ძლიერი და თვალსაჩინო, უკიდურესად მაქსიმალურად და ძლიერად თავს იჩენს უსამართლობა, ძალადობა, სიცრუე, ადამიანური ღირებულებების მიწასთან გასწორება, ბრძოლა და ძალადობა ყოველგვარი ქართულის, ქართული ენის და ქართველი ხალხის წინააღმდეგ. ეს იქნება მცდელობა მარადიული საწყისი გენის განადგურებისა, რათა ამ გენმა არ მიაღწიოს ცივილიზაციის ბოლომდე - ახ. წ. 4000 წლამდე, რათა არ გადავიდეს ცივილიზაციის ახალ ციკლში.**

ამავე პერიოდში ხდება მეორე მნიშვნელოვანი რამ - **დედამიწაზე უფალიც მოვიდა**. როგორც თომას სახარება გვამცნობს, შეიცვალა დამოკიდებულება ბოროტებასთან – მოციქულები და წმინდა მამები გვიქადაგებენ უკვე მანამდე არსებულის საპირისპირო დამოკიდებულებას, პატიების და სიყვარულის გზას, რაც ბოროტებას ძალას უკარგავს. ხვთაებრივი სიყვარულის ენერგია დაიფარავს პირველსაწყის იბერიულ-ქართულ გენს და ეს პროცესიც პარალელურად მიმდინარეობს. ქართველ ერს დავიწყებული ჰქონდა, ვინ იყო, ვინ არის და რა მისია აკისრია კაცობრიობის წინაშე. ეს ცნობიერება საქართველოში უკვე დაბრუნდა – **კაბალას ბიბლიური პირველსაწყისი კოსმიური ცოდნა თავის სამშობლოს – საქართველოს დაუბრუნდა**, გაიხსნა სამყაროს ბევრი კოსმიური საიდუმლო, რაც განაპირობებს ქართული გენის მარადისობაში დაბრუნების საკითხს. ეს უკვე მოხდა – **იბერიულ-ქართულმა გენმა დაიმკვიდრა გზა მარადისობისკენ**.

ქართული ანბანი ყოველთვის ქართველთა კუთვნილება იყო – ქართული ანბანით უძველესი დროიდან მხოლოდ ქართული ხელნაწერები იქმნებოდა. სამყაროს ყველა საიდუმლო ქართულ ენასა და ქართულ ანბანშია. ქართული ენა უფლის ენაა.

ქართული საზოგადოების ნაწილს, სამწუხაროდ, მიაჩნია, რომ ქართველთა წინაპრები არიან ებრაელები, ქალდეველი არაბები, ქურთები და ბერძნები. ეს ასე არ არის! ვინაიდან ისინი სულ დიდი 4000 წლის წინ წარმოშობილი ხალხია (ნახეთ: ნ. ხ. – „ქართველები შუმერთა წინაპრები“. 2013 წ. და „ქართველი ერის გენეტიკური წარმომავლობა“, 2014 წ.). მაშინ, როცა ქართველებმა ჯერ კიდევ 8000 წლის წინ დავიწყეთ წელთაღრიცხვა „ქართ ადამს აქათ“, ხოლო მეორე – „დასაბამითგან“-ის წელთაღრიცხვა დავიწყეთ 7600 წლის წინ. ეს იმის დასტურია, რომ ქართველები ჯერ კიდევ 8000 წლის წინ ვიყავით უკვე მაღალცივილიზებული ხალხი. სხვაგვარად წელთაღრიცხვას ვერ დავიწყებდით. იმ დროისათვის ქართველებს უკვე გვქონდა ჩვენი ანბანი და სიტყვები „ქართველი“ და საქართველო“. ეგვიპტელი ქურუმები ბერძენ პოეტსა და მხედართმთავარს (ძვ. წ. VII-VI სს.) ეუბნებოდნენ: „ო, სოლონ! სოლონ! თქვენ ბერძნები ხართ ბავშვები. თქვენ არაფერი იცით ძველ დროზე, თქვენთვის არაფერია ცნობილი წარსულის უძველეს ცოდნაზე...“

მათეს სახარება გვეუბნება: „თქვენ გსმენიათ, რომ თქმულა: თვალი თვალისა წილ და კბილი კბილისა წილ. ხოლო მე გეუბნებით თქვენ: ნუ აღუდგებით წინ ბოროტს; არამედ ვინც შემოგკრავს მარჯვენა ყვრიმალში, მიუშვირე მას მეორეც“ (მათე 5-38, 39). „თქვენ გსმენიათ, რომ თქმულა: გიყვარდეს მოყვასი შენი და გძულდეს მტერი შენი. ხოლო მე გეუბნებით თქვენ: გიყვარდეთ თქვენი მტერნი; დალოცეთ თქვენი მაწყევარნი; კეთილი უყავით თქვენს მოძულეთ და ილოცეთ თქვენსავ მდევნელთა და შეურაცხმყოფელთათვის. რათა იყოთ თქვენ შვილნი მამის თქვენის ზეციერისა, ვისაც თავისი **მზე ამოჰყავს კეთილთა და**

ბოროტთათვის და წვიმას უგზავნის მართალთაც და უსამართლოთაც“. „იყავით თქვენ სრულყოფილნი, როგორც სრულქმნილია მამა თქვენი ზეციერი“ (მათე 5-43, 44, 45, 48). „როგორც თქვენ გსურთ მოგექცნენ კაცნი, თქვენც ასევე მოექეცით მათ; ვინაიდან ესაა სჯული და წინასწარმეტყველნი“ (მათე 7-12).

ამ ცნობიერებაში ახლებურად შესვლა არის სწორედაც სამყაროს ღვთიური კოსმიური პროცესების **„ახალი აღქმა”**. როგორი ცხოვრებისა და ურთიერთობების წესებიც იყო ადრე, ქრისტეს და მის მოციქულთა მიერ უარყოფილია. აღარ უნდა იყოს დაპირისპირება, არამედ საჭიროა მტერთან (უარყოფით და დაპირისპირებულ ადამიანებთან) ჰარმონიული თანაარსებობა, მათ გადასარჩენად ლოცვა. ეს გზა, ამავე დროს, არის ყველა ადამიანის ხსნის გზა – უფლისკენ მარადისობაში მიმავალი გზა. მარადისობა კი პირველსაწყისია, სადაც ეს **ურთიერთსაპირისპირო ენერგია ერთარსში იყო პირველსაწყისშივე ჩადებული**. ყველა და ყველაფერი სამყაროში პირველსაწყისს უბრუნდება. ამაზე მიგვანიშნებს კეთილის და ბოროტის ჰარმონიული თანაარსებობისკენ განვითარებული დინამიკა, გადმოცემული, თუნდაც, ქართული მითოლოგიით. აღმოსავლეთის მითოლოგია ორ პირველსაწყისს განიხილავს არა როგორც ურთიერთდაპირისპირებულს, არამედ, აუცილებელს, რომლებიც ჰარმონიულად, ერთდროულად თანაარსებობენ. **სამყარო ორი პირველსაწყისისგანაა შექმნილი და ორივე ერთად განაპირობებენ მის განვითარებას ადამის ცივილიზაციაში**. ამ ორ პირველსაწყის ურთიერთსაპირისპირო ველშია მთელი სამყარო, დედამიწა და ყველაფერი, რაც მასშია.

კადუკეუსი

თვით სამყარო არის ორ ურთიერთსაპირისპირო, ერთიან და

განუყოფელ, ერთმანეთის მიმართ ორმაგად გადაბრუნებულ სამყაროთა ერთიანობა, რაც კაბალას ბიბლიურ კოდში სრულადაა წარმოჩენილი.

მსოფლიოს ყველა ხალხის მითოლოგია აღიარებს, რომ სამყაროს საწყისი დედაქალღმერთია, მასშია სამყაროს ორივე პირველსაწყისი. ამის კიდევ ერთი დასტურია ეგვიპტის ქალაქ ნაქამადიში ძვ. წ. IV-III ს.ს. აღმოჩენილი ქალღმერთ იზიდას ჰიმნი: „რამეთუ მე ვარ პირველი და მევე უკანასკნელი; მე ვარ პატივცემული და მოძულებული; მე ვარ მრუში და წმინდანი; მე ვარ ცოლი და ქალწული; ... მე ბერწი ვარ, მაგრამ უთვალავი შვილი მყავს; მე ბედნიერი ვარ ქორწინებაში და არ ვარ გათხოვილი. მე ის ვარ, ვინც შვილებს აჩენს და ის, ვინც ვერასოდეს მოგცემს შთამომავლობას. ... რამეთუ მე ავზნიანი ვარ და დიდსულოვანი“.

დადგება დრო როცა ადამიანი ავა ისეთ სულიერ დონეზე, რომ გაეხსნება მესამე – გონითი თვალი, ჩაწვდება ქალღმერთ იზიდასადმი მიძღვნილი ჰიმნის სიტყვების არსს, **ავა ღმერთების ცნობიერების და შესაძლებლობების დონეზე - იქნება უკვდავი და დამკვიდრებული ცათა სასუფეველის მარადისობაში**.

ზემოთ განხილული მასალა წარმოჩინებაა იმისა, რომ **ORIGE - კეთილიც და ბოროტიც უფლისგანაა დაშვებული ჩვენს გამოსაცდელად და ჩვენს სულიერად „გასაზრდელად“. არ არსებობს „კეთილი“ და „ბოროტი“. ეს პირობითი ცნებებია, რომელიც თვითონ ადამიანმა განაცალკევა და განასხვავა. „კეთილის“ და „ბოროტის“ ნამდვილი არსის შეცნობა არის უფლისკენ მიმავალ გზაზე სიარული. ეს არის უფლის ჩანაფიქრი – დიდი გეგმის ნაწილი. უფლის გარეშე არაფერი არ ხდება ქვეყანაზე, არც დიდი და არც პატარა საქმეები**.

ყველა ხალხის რელიგიაში ანდროგენი ხვთაება მოიაზრება როგორც სრული და სრულყოფილი – სიმბოლო ერთიანი, დაუნაწევრებელი „ორი მზის“ ერთიანობისა. პირველსაწყისში ისინი იყვნენ ერთიანნი, შემდეგ მოხდა მათი გაყოფა. ადამის ცივილიზაციის დასასრულს, ახლა ახ.წ. 2000 წელს ორი პირველსაწყისი ისევ გამთლიანდა – შეერთდა, ანუ მოხდა კეთილისა და ბოროტის შეცნობა – გამთლიანება, რასაც **მსოფლიოს ყველა ხალხის მითოლოგია კოსმიური „და-ძმის“ სახით წარმოაჩენს და გამოსახავს ცეცხლის სტიქიის – ოქროს საწმისის – გამთლიანებული მზის – ბორჯღალის სახით**. (ნახეთ: ნ. ხ. – ოქროს საწმისი-ორი მზის საიდუმლო, 2013 წ.).

ადამიანი თვითონ არის სამყარო სამყაროში და არის ორი პირველსაწყისის ერთიანობა. ყოველი ადამიანის მარცხენა მხარე მდედრია, ხოლო მარჯვენა – მამრი. იმისთვის, რომ ადამიანი, როგორც სამყარო, დაბრუნდეს პირველსაწყისში, მან თავის თავში უნდა შეიმეცნოს სიცოცხლის ხე – „ხე კეთილისა და ბოროტისა“ და დღევანდელი რელიგიური ცხოვრების გზით თავის თავში გააერთიანოს, გაამთლიანოს ორი ურთიერთსაპირისპირო საწყისი – კეთილი და ბოროტი არა ბოროტებით, არამედ სიყვარულით.

მხოლოდ მართალი, წმინდა და უანგარო სიყვარულის ცხოვრების წესი მიიყვანს ადამიანს კეთილის და ბოროტის სიცოცხლის ხის „ნაყოფის“ შეცნობამდე. როცა მიხვდები, რომ სამყაროში უფლის გარეშე არაფერი არ ხდება და ყველაფერი როგორც კეთილი, ისე ბოროტი, აუცილებელია, უფლის შექმნილია, ყველა და ყველაფერი თავის კოსმიურ მისიას ასრულებს, მაშინ ჩამოგიყალიბდება გამთლიანებული აზროვნება და შენს წინაშე მოსულ როგორც სიკეთეს, ისე ბოროტებას მიიღებ როგორც აუცილებელს შენი სულიერი ჩამოყალიბებისთვის. რაც მეტად იცდები, სულიერების უფრო მაღალ საფეხურზე ადიხარ.

მომავალში ადამიანები თავიანთი ცნობიერებით ავლენ ღმერთების დონემდე და ერთ ენაზე, ღმერთების ენაზე – ქართულ ენაზე ალაპარაკდებიან. ადამიანს გაეხსნება უნარი, ესმოდეს ყველას და ყველაფრის საუბარი – სამყაროში ყველა და ყველაფერი ერთმანეთს აზროვნების ენით უკავშირდება და ეს არის ქართული ენა. ქართულ ენას არა აქვს სიტყვათა დაბოლოებებში მდედრის და

მამრის განსხვავება; მაშასადამე, მასში ორი პირველსაწყისი ენერგეტიკულად გამთლიანებული, ერთიანი და ჰარმონიულია. სრულ თანხმობაში მყოფ სამყაროში ყველა და ყველაფერი „თანხმობის და ჰარმონიის“ ერთ ენაზე – ქართულ ენაზე ისაუბრებს.

ადამის ცივილიზაციის კოსმიური ხვთიური ჩანაფიქრია, სამყაროს პირველსაწყის მარადისობაში დაბრუნება, სადაც არის მარადიული დრო და სივრცე – ორი პირველსაწყისი, რომლისგანაც შეიქმნა სამყარო. ჩვენს მიერ „კეთილისა“ და „ბოროტის“ – ორი პირველსაწყისის შეცნობა აუცილებელი და გარდაუვალია, რათა სამყარო დაუბრნდეს პირველსაწყის მარადისობას.

საქართველოში გერგეთის სალოცავის კარის თავზე გამოსახულია რგოლურად მოკეცილი გველი, რომელიც საკუთარ კუდს პირით ეტანება. რგოლში წარწერაა: **„ყველაფერი ერთიანია“**.

სული მარადიული, დროსა და სივრცეში გარდასახვადი ხვთაებრივი პირველსაწყისია

„ჩემი ლხინია სიკვდილი,
გაყრა ხორცთა და სულისა“
შოთა რუსთაველი

ედამიწის პირველ ადამიანებს გახსნილი ჰქონდათ ე.წ. მესამე – გონითი „თვალი“, მოგზაურობდნენ და ცხოვრობდნენ სხვადასხვა მეტაფიზიკურ განზომილებებში, უჯრედის დნმ-ის დონეზე იცოდნენ თუ როგორ იყო სამყარო მოწყობილი. დიდი იყო მათი ფიზიკური და სულიერი შესაძლებლობები. მათთვის ცნობილი იყო ფიზიკური სხეულის მეორე „მე“, ანუ კოსმიური „ჩრდილი“, დღემდეა მოტანილი ეს ცოდნა და მითოლოგიაში **„ბა“, „კა“, „ახ“** და „**კოსმიური ტყუპი**“-ს სახითაა წარმოჩენილი.

დღეს საზოგადოებისთვის ცნობილია მზის ან სხვა რაიმე გამოსხივების შედეგად წარმოქმნილი ამა თუ იმ ფიზიკური სხეულის ჩრდილი. მაგრამ საზოგადოებამ არ იცის, რომ „მითოლოგიაში განიხილება „ჩრდილი“, რომელიც ადამიანთა თანაცხოვრების აქტიური მონაწილეა, ზოგჯერ საბედისწეროც. არაერთ უძველეს ცივილიზაციაში ჩრდილი, ანუ ანარეკლი, ადამიანის სულის განსხეულებად, მის მეორე „მე“-დ მიიჩნეოდა. ჩრდილი არ გააჩნიათ არც უკვდავებს, არც მკვდრეთით აღმდგართ, არც სატანას. კანონიკა კრძალავს ჩრდილის გამოსახვას ხატწერაში. ადამიანის კოსმიური ჩრდილი, ანუ მეორე „მე“, მისი თანმდევი აჩრდილია, რომელიც არანაკლებ კრძალვას მოითხოვს. ავსტრიელ აბორიგენებთან საკმარისი იყო კაცს შემთხვევით ფეხი დაედგა სიდედრის ჩრდილზე, რომ ქორწინება ბათილად ჩაითვლებოდა. შამანს შეეძლო ჩრდილის განგმირვით დაეძაბუნებინა ადამიანი“ (ზ. აბზიანიძე, „სიმბოლოთა ილუსტრირებული ენციკლოპედია“, 2007 წ.

II ტ. – „ჩრდილი“, გვ. 116).

საქართველოს მთის ხალხთა ეთნოგრაფიული მასალა მოგვითხრობს, რომ როცა ქართველებს ვინმეს მოკვლა უნდოდათ, მას ჩრდილს უკლავდნენ. თუ როგორ ახერხებდნენ ამას, ან რას ნიშნავდა ყოველივე ეს, ამ ინფორმაციას ჩვენამდე არ მოუღწევია. თუმცა ჟურნალისტი კობა არაბული ერთ-ერთ თავის სტატიაში აღნიშნავს – „რჯულის კაცნი (და ერთი ქალი) სიკვდილით დასჯას ცვლიან განსასჯელის „ჩრდილის მოკვლით“! დაჰკრავდნენ ისარს მზეზე დაყუდებული კაცის ჩრდილს, „მკვდარი ხარო!“ - ეტყოდნენ და გაუშვებდნენ! ეს დასჯის უცნაურად მკაცრი, მორალური კატეგორია ფხოვის თემის ანდრეზული სამართლის ნაწილია, როდესაც განსასჯელი ერთდროულად ცოცხალიც რჩება და მკვდარიც“. ვფიქრობ ასეთი წესით „ჩრდილის“ მოკვლა ფხოველთა გვიანი ცნობიერების შედეგია და „ჩრდილის“ მოკვლის რიტუალის უძველესი ცნობიერება უკვე დაკარგულია, ვინაიდან მზის სინათლით გამოწვეული ადამიანის ჩრდილი არ არის ადამიანის მეორე „მე“, ანუ კოსმიური „ჩრდილი“. მაგრამ ის, რომ ფხოვში განსასჯელის სიკვდილით დასჯას ცვლიდნენ რჯულის კაცნი და ერთი ქალი, ეს თავისთავად საინტერესო და მეტაფიზიკური თემაა. ჩემი აზრით, მართალია ადამიანს ფიზიკურად არ კლავდნენ, მაგრამ მათი რწმენით ამ ადამიანს სიკვდილის შემდეგ იქეთა სამყაროში აღარ შეეძლო შემდგომი სიცოცხლე, ვინაიდან მას საამისო სხეული აღარ გააჩნდა. თვლიდნენ, რომ ეს იყო ადამიანის სამუდამო სიკვდილი. ხოლო თუ ადამიანს ფიზიკურად მოკლავდნენ, მაშინ მისი მეორე „მე“ – კოსმიური „ჩრდილი“, ანუ მარადიული სასიცოცხლო სხეული, გააგრძელებდა იმ ქვეყნად არსებობას.

ჩემი პარაფსიქოლოგიური მოღვაწეობის პერიოდში არაერთხელ შევხვდი კოსმიური ჩრდილის საკითხს.

ნოოსფეროს აკადემიაში, რომელსაც ხელმძღვანელობდა ქ-ნი ირინა კალანდაძე, მოიწვიეს ვიღაც ფსიქოლოგი, რომელმაც დამსწრე საზოგადოებას ჩაუტარა ერთგვარი ფსიქოლოგიური სეანსი

– ყველას დაახუჭვინა თვალები და რაღაც ბრძანებებს აძლევდა. მე არ ჩავერთე ამ შოუში და თვალები არ დავხუჭე. ბოლოს ყველას გაახელინა თვალები და სთხოვა მოეყოლათ თუ ვინ რა ნახა. ყველამ ერთმანეთს გადახედა პირველი ვინ დაიწყებდა მოყოლას. უცებ ერთმანეთისგან საკმაოდ შორსმჯდომმა ორმა პიროვნებამ გაოცებულმა ჩემკენ გამოიშვირა ხელი – პირველმა ამ ქალბატონმა თქვას რა ნახაო და განაცხადეს, რომ ამ წუთებში ჩემს უკან ვიღაც დგას და მას ჩრდილის სახით ხედავენ.

ამ დროისათვის ეს საკითხი ჩემთვის უკვე ცნობილი იყო და ამ ქალბატონების მიერ გამოთქმული აზრი ჩემს მიმართ არ გამკვირვებია. ისინი ხედავდნენ ჩემს კოსმიურ ჩრდილს, ჩემს მეორე „მე“-ს – რამდენჯერმე ჩემი კოსმიური ჩრდილი ფოტოსურათებზე დაფიქსირდა. ბოლო პერიოდში თანამედროვე ფოტოაპარატები აფიქსირებენ ადამიანების და სხვადასხვა საგნების კოსმიურ ჩრდილს. სხვადასხვა დროს სხვადასხვა ადამიანების მიერ გადაღებულ ფოტოსურათებზე ადამიანებისა და საგნების კოსმიური ჩრდილებია დაფიქსირებული. მათი გაანალიზებით შევნიშნე, რომ კოსმიური ჩრდილი ძირითადად ადამიანების მარცხენა მხარეს ფიქსირდება, მიუხედავად იმისა, რომ სათავსოების ფანჯრები, ანუ დღის სინათლე ხშირ შემთხვევაში განთასებულია ადამიანთა კოსმიური ჩრდილის მხარეს, რაც ეწინააღმდეგება ბუნებაში არსებულ ფიზიკის კანონს. ე.ი. კოსმიურ ჩრდილზე, რომელიც ხშირ შემთხვევაში თვალისთვის უხილავია და ფოტოსურათზე ფიქსირდება, არავითარ გავლენას არ ახდენს ბუნებრივი და ხელოვნური განათება. ამჟამად ადამიანის ჩრდილი ფოტოს გადაღების მომენტში დედამიწის ჩრდილოეთის მხარეს ფიქსირდება, თუმცა მალე ჩრდილო და სამხრეთ პოლუსების მდებარეობა შეიცვლება და სათანადოდ შეიცვლება კოსმიური ჩრდილის მდებარეობაც.

რაც შეეხება იმას, რომ ადამიანის კოსმიური ჩრდილი ძირითადად მარცხენა მხარეს ფიქსირდება, შეიძლება ეს უკავშირდება იმასაც, რომ ადამიანის მარცხენა მხარე მდედრია, ხოლო მარჯვე-

ნა – მამრი. ასევე ადამიანის კოსმიური „ჩრდილი“ მისი ერთგვარი სულიერი სხეულია – „იან“-ია, ანუ მამრია, ხოლო ფიზიკური სხეული – „ინ“-ია, ანუ მდედრია.

თუმცა არის ცალკეული შემთხვევები, როცა კოსმიური ჩრდილი მარჯვენა მხარეს ფიქსირდება ან საერთოდ არ ფიქსირდება. შეიძლება ეს დამოკიდებულია ადამიანის ფსიქოლოგიურ განწყობაზეც ან ჯერ კიდევ უცნობ გარემოებებზე; **საინტერესოა რა მეტაფიზიკური მატერიისგანაა შედგენილი კოსმიური ჩრდილი, სხვაგვარად ჩრდილის სახით ვერ დაფიქსირდებოდა.** ამის დასადგენად სპეციალური სამეცნიერო კვლევებია ჩასატარებელი.

ჩემი ფოტოსურათი გადაღებულია ჩვენს ოჯახში დღის საათებში სრულიად შემთხვევით ჩემი სიძის მიერ. ოთახის ფანჯრები ამ შემთხვევაშიც განთავსებულია ჩემგან მარცხენა მხარეს, საითაც დაფიქსირებულია კოსმიური ჩრდილი.

ფოტოსურათი გადაღებულია თანამედროვე ფოტოაპარატით. ხელთ მაქვს სხვა ადამიანთა ფოტოებიც, სადაც მათი კოსმიური ჩრდილებია დაფიქსირებული, აქვე აშკარად ჩანს სხვადასხვა საგნების კოსმიური ჩრდილები.

ადამიანის კოსმიური ჩრდილი მეტაფიზიკური მოვლენაა. კოსმიური მეორე „მე“, რომელიც არის ძირითადი სასიცოცხლო შეგრძნებადი სხეული, ფიზიკურ სხეულზე უფრო დიდია და ჩრდილის სახით ახლა უკვე ფიქსირდება ფოტოსურათებზე.

უძველეს რწმენა–წარმოდგენებში ადამიანები განსაკუთრებულ თაყვანისცემას გამოხატავდნენ როგორც მიწიერი, ისე კოსმიური **ჩრდილოეთის** მიმართ. რას უკავშირდება ეს?!

ამის შესახებ ცოდნა დაგვიტოვეს ჯერ კიდევ პირველმა ადამიანებმა. ისინი ერთდროულად ხედავდნენ და აღიქვამდნენ იქეთა და აქეთა სამყაროს. დიდი იყო მათი სიბრძნე. მათი აზრით, **იქეთა სამყარო აქეთა სამყაროსთან მიმართებაში ორმაგად გადაბრუნებული სარკის პრინციპითაა მოწყობილი.** ეს ცოდნა ასახეს ბიბლიური კაბალას ცოდნაში, რომელიც მხოლოდ ქართულ ანბანში აისახება და უჯრედის გენეტიკური კოდის დონეზე წარმოაჩენს სამყაროს მოწყობის მოდელს. მათ იცოდნენ, რომ უჯრედში გენეტიკური კოდის არა ორი, არამედ სამი სპირალია, რაც თანამედროვე მეცნიერებს ჯერ კიდევ არ აღმოუჩენიათ (ნახეთ: ნ. ხ. – ქართული გენი იბერიის ცივილიზაციათა სათავეებთან, 2012 წ. – „გენეტიკური კოდის სამი სპირალი“, გვ. 355).

ნებისმიერი მიკრო და მაკრო სამყარო ჯვრის პრნციპითაა განსხეულებული. ამას უკავშირდება ის, რომ დედამიწაზე ზემოთ ჩრდილოეთია, ქვემოთ – სამხრეთი, მარჯვნივ – აღმოსავლეთი, მარცხნივ – დასავლეთი. ეს სქემა აქეთა – ჩვენთვის ხილულ სამყაროზეა მორგებული. მაგრამ დღემდეა შემორჩენილი უძველეს ადამიანთა წარმოდგენა იქეთა – უხილავი სამყაროს მოწყობის შესახებ. ჩინეთის ტრიგრამებით წარმოდგენილი იქეთა სამყაროს ჯვრის ფორმით განსხეულების სქემაზე ზემოთ სამხრეთია, ქვემოთ – ჩრდილოეთი, მარცხნივ – აღმოსავლეთი და მარჯვნივ – დასავლეთი, ე.ი. ორმაგად გადაბრუნებულია.

უფლის ნებით რამდენჯერმე მქონდა არსთა წრებრუნვის კოსმიური სურათის გამოცხადება, სადაც ზემოთ – სამხრეთში ღმერთთა სამყოფელია; ქვემოთ – **ჩრდილოეთში** გარდაცვლილ ადამიანთა სულების – **ჩრდილების** მიერ იქეთა სამყაროში შემქნილი სიცოცხლის ხეა განთავსებული; მარცხნივ – აღმოსავლეთში ფეხზე მდგომი – მომავალი ხვთისმშობელია ბავშვით ხელში,

სახით ღმერთთა სამყოფელისკენ, თავზე მზის დისკო ადგას; მარჯვნივ დასავლეთია – მიწიერ არსებათა საცხოვრისი. ეს საკითხი ქართველთათვის ოდითგანვე ცნობილი იყო. ამას ადასტურებს ხევსურეთის ერთ-ერთ ქვაზე გამოსახული არსთა წრებრუნვის კოსმიური სურათის სქემატური გამოსახულება, რომელზედაც გაცილებით დიდი და ღრმა კოსმოგონიური ცოდნაა სიმბოლიკის ენით გადმოცემული, ვიდრე ჩინურ კოსმოგონიურ სქემაზე. როგორც ჩინეთის, ისე ხევსურეთის კოსმოგონიური სქემა იქეთა სამყაროს აქეთა სამყაროსთან მიმართებაში ორმაგად გადაბრუნებულ სარკის პრინციპზე მოწყობილს წარმოაჩენს. სწორედ აქედან მოდის უძველეს ხალხთა განსაკუთრებული თაყვანისცემა კოსმიური **ჩრდილოეთის** და სიცოცხლის ხის მიმართ. ეს უკავშირდება ადამიანის მეორე „მე“-ს, მის სულიერ კოსმიურ ჩრდილს, რომელიც სიკვდილის შემდეგ ტოვებს სხეულს და აგრძელებს საიქიო ცხოვრებას – იკავებს თავის ადგილს **საიქიოს ჩრდილოეთში** განთავსებულ სიცოცხლის ხეზე, რომელსაც არსთა მარადიული წრებრუნვის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია.

აქ მოყვანილი მსჯელობიდან გამომდინარე, სიტყვა **„ჩრდილოეთი“,** წარმოსდგება სიტყვა **„ჩრდილი“**-დან და უკავშირდება ადამიანის მეორე „მე“-ს, გარდაცვლილი ადამიანის სხეულიდან გამოსულ სულიერ სხეულს, რომელსაც ჩრდილის სახე აქვს. მაშასადამე, **კოსმიური ჩრდილოეთი გარდაცვლილთა ჩრდილების ადგილსამყოფელს ნიშნავს**.

ამიტომაა უძველესი დროიდან ადამიანთა განსაკუთრებული თაყვანისცემა ჩრდილოეთის მიმართ, რაც ოდითგანვე რელიგიურ რიტუალებში და ყოფით საქმიანობაში აისახებოდა. როგორც სალოცავებს, ისე საცხოვრებელ სახლებს აწყობდნენ სამყაროს კოსმოგონიური მოდელის მიხედვით. იმ ქვეყნად წასულ ადამიანებს მუდმივად ისევ ახლოს თავიანთ გვერდით აღიქვამდნენ. ჩემი კვლევებით, მათი რწმენა-წარმოდგენები ამ საკითხთან დაკავშირებით, სრულიად რეალურია. გარდაცვლილი ადამიანები ცოცხ-

ლებთან არ წყვეტენ კავშირს. **საიქიო და სააქაო აქვეა, ჩვენს გვერდით**. გარდაცვლილები მხოლოდ ფიზიკურ სხეულს ტოვებენ, ხოლო სულიერი სხეულით ისევ აგრძელებენ ცხოვრებას მხოლოდ ჩვენ მათ ვერ ვხედავთ – მათ ჩრდილის სახით ხედავდნენ. მე თვითონ მაქვს ინფორმაციული კონტაქტი მიცვალებულებთან. ხანდახან მათ ჩრდილის სახით ვხედავ. მათ არასოდეს ვიძახებ. ეს არ შეიძლება. ისინი თვითონ მოდიან ჩემთან, როცა მათ ან მათ ახლობლებს რაიმე დახმარება სჭირდებათ და ეს მხოლოდ უფლის ნებით ხდება (ნახეთ: ნ. ხ. – ქართული გენი იბერიის ცივილიზაციათა სათავეებთან, 2012 წ., – „კონტაქტი მიცვალებულებთან“, გვ. 269).

იყო შემთხვევები ჩემთან სამკურნალოდ მოდიოდნენ პაციენტები, რომელთაც მოკვეთილი ჰქონდათ ფეხი, ხელი, თითები, ამოკვეთილი ჰქონდათ ნაღვლისბუშტი, თირკმელი, საშვილოსნო. ყველას მათ ოპერაციამდელი ტკივილები ისევ აწუხებდათ. მე მათ უკვე არარსებულ ორგანოებზე ვმკურნალობდი, რაც საკმაოდ წარმატებული იყო – ტკივილები ეხსნებოდათ. მოკვეთილი ფეხის ადგილას – ფეხის დარჩენილი ნაწილის გაგრძელებაზე, ვხედავდი მოკვეთილი ნაწილის ერთგვარ სილუეტს და მკურნალობის სეანსს სწორედ მას ვუტარებდი. ჩემი კვლევებით, **როცა იკვეთება ადამიანის სხეულის რაიმე ორგანო, იკვეთება ფიზიკური სხეულის ნაწილი, ხოლო სულიერი შეგრძნებადი, ანუ ადამიანის კოსმიური ჩრდილი – მეორე „მე“ ისევ მთლიანი რჩება. სწორედ ამიტომაა, რომ ზოგიერთი ცხოველი ისევ აღიდგენს სხეულის დაკარგულ ნაწილს, ანუ ხდება სულიერი სხეულის კვლავ გამატერიალიზება – სხეულის დაკარგული ნაწილის აღდგენა**. მოვა დრო, ადამიანიც აღიდგენს დიდი ხნის წინ დაკარგულ ამ თვისებას, ეს რეალურია და სრულიად შესაძლებელი.

მეცნიერებმა ბოლო პერიოდში შექმნეს კირლიანის ფოტოეფექტი. მრავალმხრივი კვლევები ჩაატარეს. მოვიყვან ერთ მაგალითს: **ხის ფოთოლს ერთი ნაწილი ჩამოაჭრეს და სურათი**

გადაუღეს. ფოტოზე დაფიქსირდა ისევ მთლიანი ფოთოლი, მხოლოდ მოკვეთილი ნაწილი ფერში განსხვავდება რეალურად დარჩენილი ნაწილისგან. მაშასადამე, ადამიანის ფიზიკური სხეულის ნაწილის მოკვეთის ან დაზიანების შემთხვევაშიც მისი მეორე „მე“, ანუ ჩრდილის სახით არსებული სულიერი სხეული, რჩება მთლიანი. სწორედ ამას უკავშირდება „მარადქალწულობის“ საკითხიც.



კირლიანის ფოტოეფექტი

ზემოთ განხილული ადასტურებს, რომ ჯერ კიდევ პირველმა ადამიანებმა იცოდნენ ფიზიკური სხეულის მეორე „მე“-ს არსებობა და მას ჩრდილის სახით ხედავდნენ, რომელიც იბადება ადამიანთან ერთად, ფიზიკურად და სულიერად მისგან განუყოფელია, როგორც სიცოცხლეში, ისე გარდაცვალების შემდეგ განსაზღვრავს ადამიანის ბედისწერას, ადამიანის შემადგენელი ნაწილია – სიცოცხლის მომნიჭებელი ძალაა, რომელიც ასრულებს ყველა სასიცოცხლო ფუნქციას: ჭამს, სვამს და ა.შ. ადამიანის ფიზიკური სხეული არის მეორე „მე“-ს, ანუ სულიერი სხეულის გამატერიალიზებული სხეული. სულიერ და მატერიალურ სხეულს, ორივეს

ერთად, მითოლოგია **„კოსმიური ტყუპის“** სახით წარმოაჩენს.

სხვადასხვა ხალხთა უძველესი რწმენა-წარმოდგენებით მეორე „მე“, ანუ კოსმიური ჩრდილი აქვთ სამყაროში არსებულ როგორც სულიერ, ისე უსულო სხეულებს. ეს აზროვნება გადავიტანოთ ციურ სხეულებზე და მთლიანად სხვადასხვა ფიზიკურ მდგომარეობაში მყოფ სამყაროზე.

გარდა იმისა, რომ კოსმოსი მთლიანად არის გიგანტური ერთიანი ფიზიკური სხეული, მას ასევე აქვს თავისი მეორე „მე“, ანუ „კოსმიური ჩრდილი“. სწორედ ეს არის კოსმოსის „შავი“, ანუ „ბნელი“, თვალისათვის უხილავი მატერია, რომელიც ავსებს სამყაროს მთლიან მოცულობას და რომელიც მსოფლიოს სამეცნიერო საზოგადოებისთვის ჯერ კიდევ უცნობი და შეუსწავლელი ფენომენია.

ჩვენი ცხოვრება არსთა წრებრუნვის მარადიული პროცესის პატარა ნაწილია, თუმცა დახურული გონებისა და თვალთახედვის გამო, ამას სათანადოდ ვერ აღვიქვამთ. ჩვენ ამქვეყნად გამოცდას გავდივართ, რის შემდეგაც დამსახურებისამებრ დავიმკვიდრებთ ადგილს არსთა წრებრუნვის მარადიულ პროცესში, რაშიც ჩართულია მთელი კოსმოსი და ჩვენ მისი მცირედი ნაწილი ვართ.

მრავალი წელი მეტაფიზიკის კუთხით მუშაობამ ჩემში განავითარა სხვა ადამიანებისგან განსხვავებული თვისებები და შეგრძნებების უნარი.

ჩემ მოსაზრებას გაგიზიარებთ ერთ მათგანზე, კერძოდ, მიცვალებულებთან კონტაქტის დამყარებაზე. ამ საკითხში საკმაოდ დიდი გამოცდილება მაქვს.

სიკვდილის შემდეგ სიცოცხლე გრძელდება. მიცვალებულები მუდმივად ან პერიოდულად ჩვენთან არიან. მათ სურთ კონტაქტი დაამყარონ ცოცხალ ადამიანებთან სიზმარში თუ ცხადში, უწევენ მათ სხვადასხვა ხილულ თუ უხილავ დახმარებას, აფრთხილებენ მოსალოდნელი უსიამოვნების ან უბედურების შესახებ.

მე მიცვალებულებს არასდროს ვიხმობ. ეს დაუშვებელია! არ

შეიძლება მათი სიმშვიდის დარღვევა. მაგრამ, როცა თვითონ მოდიან და გთხოვენ დახმარებას, შეუძლებელია ზურგი აქციო და არ „გაესაუბრო“. ისინი შემთხვევით არ გეკონტაქტებიან. ასეთ შემთხვევაში შეძლებისდაგვარად უნდა შეასრულო მათი თხოვნა.

განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ მიცვალებულებთან კონტაქტი მხოლოდ ქართულ ენაზე მყარდება, მიუხედავად იმისა, სიცოცხლეში მათ იცოდნენ თუ არა ქართული. აი, რა ინფორმაცია მომაწოდა ამის შესახებ გარდაცვლილმა ვანგამ: **„მთელი კოსმოსი ქართულად ლაპარაკობს. მოხდება ქართულ ენაზე მოლაპარაკეთა გაწმენდა. ქართულ ენაზე უნდა ილაპარაკონ მხოლოდ იმათ, ვინც კოსმოსთან ჰარმონიაში მოვა. მაგრამ ამისთვის დრო არის საჭირო. ეს თანდათან მოხდება“.**

ქართველთა ეთნოგრაფიული მასალის მიხედვით, მიცვალებულის სული, რომელიც საიქიოში ცხოვრობდა, ადამიანის ორეულად, მის მატერიალურ გამოსახულებად ითვლებოდა. ქართველებს სწამდათ, რომ სიკვდილის შემდეგ ცხოვრება გრძელდებოდა. ადამიანთა სულები სქესისა და ასაკის მიხედვით განირჩეოდნენ, თითოეული იმ სახისა იყო, რომელიც ჰქონდა ადამიანს სიცოცხლეში. მიცვალებულებს საიქიოში ჰქონდათ ყველაფერი: პირუტყვი, საქონელი, საბრძოლო იარაღი და სხვა. მიცვალებულის სულს ისეთივე განცდები ჰქონდა, როგორც ცოცხალ ადამიანს: მწუხარება, უსიამოვნება, სიხარული, გულისტკენა, სიცივე, სითბო, დაღლილობა და სხვა. თითქოს იზრდებოდნენ კიდეც. დაჭრილ ადამიანს ჭრილობებიც კი მიჰყვებოდა საიქიოში, იმდენად „ხორცშესხმული“ იყო. სვანების რწმენით, მიცვალებულები მათდამი მიძღვნილ დღეობებზე, ჩრდილების სახით მოდიან ცოცხლების სანახავად. მიცვალებულის ნეტარება დამოკიდებულია სამზეოში (ამქვეყნად) მისი სახელის ხსენებაზე. ადამიანი თვლიდა, რომ ამქვეყნად ტანჯვისთვის არის მოვლენილი, ხოლო გარდაცვალების შემდეგ „მშვიდი და საამური“ ცხოვრება იწყება.

მიაჩნდათ, რომ ეს ქვეყანა „ქვესკნელის სამეფოა“, მატერიალური ჭურჭელია, რომელშიც განთავსდება ადამიანის სული. ეს ერთგვარი სიკვდილია, რომლის დროსაც ადამიანს ავიწყდება ვინ არის, საიდან მოვიდა და სად მიდის. გარდაცვალების შემდეგ მას პირველსაწყისი ცნობიერება უბრუნდება – ერთგვარად „ცოცხლდება“.

ადამიანებს გარდაცვალების მომენტში უბრუნდებათ ის თვალთა და გონითი ხედვა, რაც ჰქონდათ მათ ამქვეყნად მოსვლამდე და ხმამაღლა ეკონტაქტებიან თავიანთ გარდაცვლილ ახლობლებს, რომლებიც სიკვდილის მომენტში მათთან მოდიან, რათა გაუადვილონ სხვა განზომილებაში გასვლის პროცესი. დღეს ბევრი მკვლევარი იკვლევს კლინიკური სიკვდილის ფენომენს, რათა უკეთ შევიმეცნოთ სამყარო, რომელშიც ჩვენ ვცხოვრობთ, შევიმეცნოთ, ჩვენი თავი, თუ რა ხდება გარდაცვალების შემდეგ.

ამერიკელმა ექიმმა და ფილოსოფოსმა რაიმონდ მოუდიმ შეისწავლა **150** კლინიკური სიკვდილის შემთხვევა და ამის შესახებ **1975** წელს გამოაქვეყნა წიგნი – „სიცოცხლე სიკვდილის შემდეგ“, სადაც პაციენტები ჰყვებიან კლინიკური სიკვდილის დროს გადატანილ განცდებზე. არაერთი პაციენტის მონაყოლის მიხედვით, სიკვდილის მომენტში, როცა მათი ტანჯვა აღწევს ზღვარს, პაციენტს ესმის, როგორ აღიარებენ მას გარდაცვლილად; ამავე დროს გრძნობს, როგორ მოძრაობს დიდი სისწრაფით გვირაბში; უცებ აღიქვამს თავს სხეულის გარეთ; ხედავს, მასთან შესახვედრად მოვიდნენ გარდაცვლილი ნათესავები და ნაცნობები. ქრება ყოველგვარი ტანჯვა და ეუფლება სიმშვიდის შეგრძნება. მას გადაეშალა მთელი ახალი, მისთვის უცნობი სამყარო. უცებ ჩაესმის ხმა, რომ ის უკან უნდა დაბრუნდეს. **დაბრუნების შემდეგ მთელი კვირა ტიროდნენ, რადგან ისევ ამქვეყნად უნდა ეცხოვრათ მას შემდეგ, რაც ნახეს ის ქვეყანა. მაშინ, როცა ზოგიერთი პაციენტის ფიზიკური სხეული სუსტი, დამახინჯებული და საზიზღარი შესახედია, მისი სულიერი სხეული მშვენიერი და ძლიერია. იყო ასეთი შემთხვევები, რომ სულიერ სხეულს ასაკი არ გააჩნდა, ანუ**

არ ემორჩილებოდა დროის გავლენას.

დღეს საზოგადოებაში არსებობს ერთი მნიშვნელოვანი კითხვა: ადამიანი ერთხელ მოდის ამქვეყნად, თუ ეს პროცესი განმეორებადია?! ამ საკითხზე კვლევები მიმდინარეობს და ეს ინფორმაცია პერიოდულად ჩნდება პრესის ფურცლებზე. განსაკუთრებით საინტერესოა, ჰიპნოზის გამოყენებით, ადამიანთა დროში უკან მოგზაურობა. კვლევის შედეგი ასეთია: ადამიანი იხსენებს თავისი წინა ცხოვრების დეტალებს, სად და რომელ სახელმწიფოში თუ ქალაქში ცხოვრობდა; რა ენაზეც მაშინ ლაპარაკობდა, იმ ენაზე იწყებს ლაპარაკს და ეს ენა ზოგჯერ უკვე „მკვდარ“ ენად ითვლება; ამ საკითხის გასარკვევად იწვევენ „მკვდარი“ ენების სპეციალისტებს, ასმენინებენ ჰიპნოზში მყოფი ადამიანის საუბარს, ისმენენ პასუხებს მათ კითხვებზე. ზოგიერთმა თავისი შთამომავლებიც კი იპოვა, ნახა ის სასახლე თუ სახლი, რომელშიც წინა ცხოვრებაში ცხოვრობდა. იხილა თავისი წინა ცხოვრების სურათები. მათ მიერ ნათქვამი სიკვდილის მიზეზი, სახელი და გვარი - ყველაფერი ეს ზედმიწევნით ემთხვევა მათი შთამომავლების მიერ მონათხრობს გარდაცვლილის შესახებ; ზოგიერთმა თავისი წინა ცხოვრების ქალაქი, ქუჩა, ოჯახი და მშობლებიც კი იპოვა.

ყოველი ადამიანი ამქვეყანად თავისი მისიით მოდის და ამ მისიას, ნებით თუ უნებლიედ, მაინც ასრულებს. **სამყაროში ყველაფერი უფლის შექმნილია, ზედმეტი არაფერია, ყველა და ყველაფერი საჭირო და აუცილებელია. მაგრამ რისთვის? ამას ვერ ვაცნობიერებთ**. ალბათ, ასეა საჭირო! ასეთია უფლის ჩანაფიქრი!

ადამიანი შედგება ორი – მატერიალური და სულიერი სხეულისგან. გარდაცვალების შემთხვევაში იგი ტოვებს მატერიალურ სხეულს, ხოლო სულიერი სხეულით აგრძელებს იქითა – უხილავ სამყაროში მოგზაურობას.

სიკვდილი ისეთი მეტაფიზიკური ფენომენია, როცა ბედისწერით ამისი დრო მოვა, რა მდგომარეობაშიც არ უნდა იყოს ადამიანი - ავად თუ კარგად, აუცილებლად დატოვებს ამქვეყანას და იმ

ქვეყანაში გადაინაცვლებს - ამ დრო და სივრციდან სხვა დროსა და სივრცეში გადავა.

პირველ ადამიანთა რწმენა-წარმოდგენებით, უწინ სიკვდილი არ არსებობდა. შემდეგ ადამიანები კვდებოდნენ და ისევ ბრუნდებოდნენ, ბოლოს ეს თვისებაც დაკარგეს, რაც დაკავშირებულია იმასთან, რომ მათ ცოდვა ჩაიდინეს, ამიტომ დაკარგეს ღვთაებრივი უკვდავება. ღმერთები და ხვთისშვილები კი უკვდავები არიან. ქრისტემ თავისი მობრძანებით „გამოისყიდა“ ადამიანთა ცოდვები. მომავალში ადამიანები ისევ უკვდავნი და მარადიულნი იქნებიან.

დღეს ადამიანთა უმეტესი ნაწილი თვლის, რომ ამქვეყანად მათი ყოფნა დროებითია და აქ სიცოცხლის დამთავრებასთან ერთად ყველაფერი მთავრდება; ცდილობენ, მაქსიმალურად მოასწრონ იმ ცუდი თუ კარგი საქმეების კეთება, რაც მათ დაზშულ გონებას მოუვა აზრად. ეს კი მათ მთელი სამყაროს მიმართ დიდი გამოცდის წინაშე აყენებს.

ბუნებაში მოქმედებს კანონი: **ყველამ ყველაფერი იცის, ყველა ყველაფერს ხედავს, მაგრამ ინფორმაცია ცნობიერებაში ვერ გამოაქვთ.** სამყაროს ამ კანონის შეუცნობელობა ჩვენი საზოგადოების დიდი უბედურებაა, ამიტომ ყველამ უნდა იცოდეს, რომ **ქვეცნობიერის დონეზე აღქმული დაუსჯელი არ რჩება**.

თქვენგან განაწყენებული და გაბოროტებული ადამიანი, პირადად თუ ქვეცნობიერად, გიგზავნით უარყოფით აზრებს და ენერგიას, რომელიც ადამიანზე ძალიან ცუდად მოქმედებს. თუ მას მოკლავ, მიცვალებული ცოცხალზე უფრო საშიშია, ვინაიდან ცოცხალს ხედავ, უყურებ, აკონტროლებ, რეაგირებ, ხოლო მიცვალებულს ვერ ხედავ, ვერ აკონტროლებ და რას დაგიშავებს, არ იცი. ჩვენი წინაპრების აზროვნება ასეთი იყო: მიცვალებული არ უნდა გააბოროტო, შეძლებისდაგვარად უნდა შეუსრულო თხოვნა, პატივი უნდა მიაგო. ადამიანს რომ კლავ, უფლის გზაზე და უფალთან აყენებ, ვინაიდან ის შენი ხელით მოწამეობრივად კვდება, ხოლო ჩემი გონითი ხედვით, მის ცოდვებს შენს თავზე იღებ.

ხოლო ბუნებრივი სიკვდილის შემთხვევაში, ადამიანი უფლის წინაშე თვითონ წარსდგება და პასუხს აგებს თავის ცოდვებზე. **ადამიანმა რომ იცოდეს, სინამდვილეში რა ხდება და რას აკეთებს, არასდროს არავის არ მოკლავდა, არასდროს არც სიტყვით და არც საქმით ბოროტებას არ ჩაიდენდა. გაუკეთე სხვას ის, რასაც შენს თავს უსურვებ და არასდროს შეცდები.**

ჩვენს ირგვლივ სამყაროს ვხედავთ და ვაცნობიერებთ იმ „დოზით“, რაც აუცილებელია მხოლოდ ადამის ცივილიზაციისთვის. ადამიანმა სწორედ ამ თვალთა და „გონითი“ ხედვით უნდა გაიაროს ადამის ცივილიზაციის კოსმიური ციკლი.

2000 წლიდან შეიცვლება ადამიანთა თვალთა და „გონითი“ ხედვა, შეიცვლება მათი აღქმითი და შეგრძნებითი თვისებები. ეს პროცესი უკვე დაიწყო. ამის დასტურია ახალ ადამიანთა დაბადება, რომელთაც დღეს საზოგადოება „ინდიგო“ ადამიანთა თაობად მოიხსენიებს. მათი „გახსნა“ მოხდება იმ „დოზით“, იმ ზღვრამდე, რაც საჭიროა ცივილიზაციის ახალ ციკლში არსებობისთვის. შეიცვლება მათი და დედამიწაზე ყველაფრის გენეტიკური კოდი, ყველა და ყველაფერი მოერგება იმ მოთხოვნებს, ცხოვრების იმ პირობებს, რომელიც მომავალში, 2000 წლის შემდეგ იქნება დედამიწაზე. ეს უცებ არ მოხდება. დარჩენილი 2000 წელი ახალი „ტიპის” ადამიანის და დედამიწაზე ახალი გარემო პირობების ჩამოყალიბებას დასჭირდება. **სიკვდილი აღარ იქნება!**

სული მარადიულია, დროსა და სივრცეში გარდასახვადია, პირველსაწყისის ნაწილია და ისევ პირველსაწყის მარადისობას უბრუნდება.

„გული“ და „გულისგული“

„ჰკითხე ასთა, ჰქმენ გულისა“

შოთა რუსთაველი

ქართველთა დიდი მწიგნობარი იოვანე-ზოსიმე ქართული ენის შესახებ „ქებაᲘ“-დან შეგვახსენებს შემდეგ სიტყვებს: „ყოველი საიდუმლოᲘ ამას ენასა შინა დამარხულ არს“. მკვლევარი ნებისმიერი საკითხის ძიებას ამ ცნობიერებით უნდა იწყებდეს. ხშირად მიფიქრია, თუ რატომ ჰქვია სამოთხეს „სამოთხე“. ეს სიტყვა ჩემში ყოველთვის „სამი“-სა და „ოთხი“-ს ერთობის ასოციაციას იწვევდა. ჩემი კვლევაც სწორედ ამ საკითხს ეხება.

მსოფლიოს ხალხთა მითოლოგიით, სამოთხე სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარეობს. საქართველოს მთიანეთში ქვებზე გამოსახულია არსთა წრებრუნვის კოსმიური სურათის დაშიფრული სქემა, რომელზეც სამხრეთ-აღმოსავლეთში 1-ით აღნიშნულია სწორედაც სამოთხე. ეს დაშიფრული სქემა ემთხვევა ჩემს გამოცხადებაში ნანახ ქართული ანბანის „ჯ-8000“ ასო-ნიშნის შესაბამის არსთა წრებრუნვის კოსმოგონიურ სურათს, სადაც წმინდა მთის წვერო სამხრეთია, ხოლო სამოთხე განთავსებულია მის აღმოსავლეთით. ეს ინფორმაცია კარგად აქვს შემონახული ჩინეთის მითოლოგიას. მათ კოსმოგონიურ სქემაზე აისახება ის კოსმოგონიური ცნობიერება, რომელიც გვამცნობს, რომ ეს სამყარო იქითა სამყაროსთან მიმართებაში ორმაგად გადაბრუნებული სარკის პრინციპზეა მოწყობილი.

დაგონების (სუდანი) მითოლოგიით, ზეციურ სივრცეში სუფევს უზენაესი ხვთაება „ამმა“. ის იყო ჯერ კიდევ მაშინ, როცა სამყარო არ იყო განსხეულებული დროსა და სივრცეში, ანუ მატერიაში. ამ სივრცეს ჯვრისმაგვარად ჰქონდა ოთხი მხარე, რომელიც არ მოძრაობდა და იყო აბსოლუტური სიმშვიდის მდგომარეობაში. ამავე

დროს, ის თავის თავში მოიცავდა სივრცისა და დროის ყველა ელემენტს, ასევე სამყაროს ოთხ საწყისს. ამას ეწოდებოდა სამყაროს „თესლი“ - **„პა“ (პირველსაწყისი მამრი, საიდანაც მოდის ქართული სიტყვა „პაპა“ – მამრი წინაპარი),** რომლისგანაც „ამმა“-მ შექმნა, ანუ „ააშენა“ სამყარო. დაგონების წარმოდგენით, „ამმა“ არის სპირალური მოძრაობა საათის ისრის საწინააღმდეგოდ თვით „თესლის“ - კვერცხის შიგნით. შემდეგ მოხდა „ამმა“-ს „თვალის“ გახსნა და სამყარომ დაიწყო განსხეულება დროსა და სივრცეში, ამასთან, შეინარჩუნა სპირალური მოძრაობა (სქემაზე ვხედავთ საათის ისრის მიმართულების სპირალს) და სამყარომ დაიწყო განსხეულება, ანუ ვარსკვლავთა სისტემის წარმოქმნა, რომელიც შედგება სპირალზე მოძრავი უამრავი გალაქტიკებისაგან. განსხეულებულმა სამყარომ შექმნა ოთხი მიმართულების (აღმოსავლეთი, დასავლეთი, ჩრდილოეთი, სამხრეთი) ჯვრის ფორმის სივრცითი სამყარო; ამ დროს შეიქმნა სხვადასხვა მცენარეთა თესლიც. როცა სამყარო გაიხსნა, „ამმა“-მ შექმნა პირველი სულიერი არსება „ნომმო“ (ნოე) – ნახევრად ადამიანი, ნახევრად გველ-თევზი. ეს ნომმო გამრავლდა და წარმოიქმნა ოთხი ნომმო: **„დი“, „ტიტიან“, „ო“** და **„ოგო“**, რაც სამყაროს 4 საწყისს უკავშირდება. ერთი მათგანი – „ოგო“, არ დაელოდა სამყაროს სრულ განსხეულებას და დროზე ადრე გამოვიდა გარეთ, რათა დაეთვალიერებინა სამყარო, რითაც გამოიწვია უწესრიგობა და დაარღვია „ამმას“-ს გეგმები. გაბრაზებულმა „ამმა“-მ მოკრიბა თავისი შექმნილი ყველაფერი და ჩადო **„პა“**-ში – პირველსაწყისი მამრის თესლში.

სამყაროს „განსაწმენდად“ აუცილებელი გახდა ერთ-ერთი ნომმოს მსხვერპლად შეწირვა, ამისათვის არჩეული იქნა „**ო**“ ნომმო (სიტყვა „უფალი“-ს ნაცვლად ქართველები წერდნენ **„Ო – ᲚᲘ“** ასო-ნიშანს). მისი „აღდგომის“ შემდეგ სამყარომ მიიღო დროითი და სივრცითი ბუნება-სახე და ციურმა მნათობებმა დაიწყეს მოძრაობა. ეს მოხდა ისევე, როგორც „ამმა“-ს მიერ სამ-

ყაროს პირველი შექმნის დროს. აქ აუცილებლად გაგვახსენდება ქრისტეს აღდგომა. **„აღდგომის დღესასწაული“** არ უკავშირდება ქრისტეს ხორციელად მოსვლას, არამედ, ის იყო უძველესი წარმართობის პერიოდშიც. ამ მითიდან ირკვევა, რომ **აღდგომის დღესასწაული დაიწყო სამყაროს შექმნიდან, იყო საყოველთაო და დაკავშირებული იყო პირველსაწყის „ო“ ნომმოსთან (ნოესთან) - ქრისტესთან,** რომელსაც ქართველები **„ო“** ასო-ნიშნით გამოსახავდნენ. გავიხსენოთ სიტყვები მრწამსის ლოცვიდან: ქრისტე იყო **„უწინარეს ყოველთა საუკუნეთა“**, ეს კი ნიშნავს, რომ ქრისტე იყო ჯერ კიდევ მაშინ, ვიდრე სამყარო დროსა და სივრცეში განსხეულდებოდა – სამყაროს შემოქმედია ერთარსი სამება.

სამყაროს მეორედ შექმნის დროს (ჩვენ ახლა ვცხოვრობთ მეორედ შექმნილ სამყაროში) თესლის ნაწილი მოხვდა „აღმდგარი“ ნომმოს კიდობანში – იგივე ზეციურ ნავში, რომელიც მან ააგო. აქ წარმოჩენილი **„ო“** ნომმო იგივე ბიბლიური ნოეა, რომელმაც ააგო სამსართულიანი კიდობანი, მასში მოათავსა ოთხი წყვილი მდედრი და მამრი – თვითონ, თავისი ცოლი, სამი ვაჟიშვილი ცოლებით, „წმინდა პირუტყვი და უწმინდური პირუტყვი, ფრინველი და ყოველი ქვეწარმავალი წყვილ-წყვილად და ყველა თესლი მცენარეთა“. კიდობნის სამი სართული არის სამყაროს ქვესკნელ-ზესკნელ-შუასკნელი, **კიდობანი თვით ადამიანია**, მიკრო და მაკრო სამყაროა. კიდობანს დაგონები, ზოგადად, თევზის სახით გამოსახავდნენ (ქრისტიანული მრწამსითაც, თევზი ქრისტეს სიმბოლოა). დედამიწის ყველა დროის ადამიანები ქრისტეს თაყვანისცემას სხვადასხვა ფორმით გამოხატავდნენ. ქრისტიანობა – მართლმადიდებლობა კაცობრიობის მარადიული და საყოველთაო რელიგიაა. (ნახეთ: ნ. ხ. – მითოლოგია და არქეოლოგია გლობალური დათბობის შესახებ, 2014 წ. გვ. 26 – „ქრისტიანობა – მართლმადიდებლობა, კაცობრიობის მარადიული და საყოველთაო რელიგიაა“).

ჯერ კიდევ ძვ. წ. 3400 წელს შუმერები **სინ**-ს – ქრისტეს გამოსახავდნენ თევზის ზოდიაქოს დასაწყისში, ნათლობის ემბა-

ზში გულზე დიდი ჯვარით.

დაგონების მითოლოგიით, ნომმო წყლის ღმერთია და თევზის სახით გამოსახავდნენ. ქართველთა მითოლოგიით, ხვთისშვილთა შორის ღმერთმა პირველად ბერი ბაადური შექმნა, რომელსაც „წყლის ბერს“ უწოდებდნენ. ჩემი გამოკვლევით, ბერი ბაადური იგივე ქრისტეა. სიმბოლიკის თვალსაზრისით, „თევზი“ წყალთანაა დაკავშირებული, წყლის სიმბოლოა. დავათის სტელაზე გამოსახულია თევზი, თავით ქვემოთ, რომელზეც დაწერილია ქართული ანბანი – შუმერთა „ბედისწერის დაფები“ – გენეტიკური კოდი. ქალღმერთი ინანა ჩამოდის ქვესკნელის სამეფოში და ზეციურ ნავში – ადამიანში „ჩატვირთავს“ „მე“-ს „ხვთაებრივ კანონებს“, გენეტიკურ კოდს და მათთან ერთად ჯდება ზეციურ ნავში (ამ კოდით უნდა განსხეულდეს ქვეყანაზე), რომლისგანაც შეიქმნა ზემოხსენებული ოთხი ნომმო – მეორედ მოსვლის კოსმიური ტყუპები, რაც სამყაროს ოთხ საწყისს უკავშირდება და ყველა ისინი ერთიანად, **ერთ სახედ მოიაზრება, ანუ ოთხივე საწყისი ერთშია**. დაგონები მას განიხილავენ როგორც არსებას, რომელსაც **8** ხელი და **8** ფეხი აქვს. მას არ შეეძლო მეტყველება, მაგრამ ამ რვა მცენარისაგან (შუმერთა მითოლოგიით) სპირალის სახით დაგრიხა ბოლოკაბა თავისი დედისთვის, რომელიც შეიცავდა „სიტყვას“, ანუ გენეტიკურ ინფორმაციას – „უფლის ჩანაფიქრს”. ამ ცნობიერებისაა სიტყვები – **„პირველად იყო სიტყვა“**. ამ არსებას მსოფლიოს უძველესი ხალხი სამყაროს დედის სახით გამოსახავდა, რომელსაც ოთხი გრძელი ნაწნავი ჰქონდა. თითოეული ნაწნავი იწვნება სამი წყება თმისაგან, ანუ სწორედ გენეტიკურ კოდში ოთხი საწყისი ქმნის **64** სამეულთა კომბინაციას - ტრიპლეტს (სამწნულს) - გენეტიკური კოდის **64** ნუკლეინის მჟავას. ამასთანაა დაკავშირებული ქართველთა **64** ხვთისშვილი – სამყაროს ძირითადი შემოქმედი ღმერთები და ჩინური კაბალას **64** ჰექსაგრამა.

თითოეული ოთხი პირველსაწყისი შედგება ოთხი წყვილი მდ-

ედრი და მამრი პირველსაწყისისგან. ადამის ცივილიზაციის დასაწყისში მდედრი და მამრი განცალკევდა. შუმერთა მითოლოგიით, დედა ქალღმერთმა მიატოვა მიწა-წყლის ღმერთი ენკი, როცა მან ქალღმერთის ბაღის 8 მცენარის ფოთლები შეჭამა, ბიბლიაში კი, პირიქით – ევა იქნა განდევნილი სამოთხიდან.

ადამის ცივილიზაცია ოთხი ძირითადი ციკლისგან – დროის კოსმიური პერიოდისგან შედგება. თითოეულ კოსმიურ პერიოდში ხდება თითოეული წყვილის შეერთება. შუმერთა მითოლოგიით, ქალღმერთი ინანა არის დედოფალი ცისა და სურს გახდეს დედოფალი მიწისაც. ამისთვის ის ჩამოდის ქვესკნელის სამეფოში და თან მიაქვს „მე“-ს ხვთაებრივი კანონები; ეს მითი შუმერებთან 4-ჯერ მეორდება, რაც ნიშნავს, რომ ის 4-ჯერ ჩამოდის ქვესკნელის სამეფოში, რათა შეუერთდეს თავის კოსმიურ მეუღლეს. ყოველ ჩამოსვლაზე ეს კოსმიური აქტი სრულდება. თითოეული ციკლი, ქართული ანბანის კოდით, 10000 წელი გრძელდება. ახლა ჩვენ ადამის ცივილიზაციის მეოთხე მიკრო ციკლში ვართ, სადაც **დაგონების მითოლოგიით, 4 მდედრი და 3 მამრი საწყისი - სულ შვიდი, ანუ „სამ-ოთხე“, ჩამოდის „ქვესკნელის სამეფოში“, რათა შეუერთდეს თავის კოსმიურ მეოთხე მამრს და გახდეს სრულქმნილი, ანუ ხდება პირველსაწყისი ოთხი მდედრის და ოთხი მამრის შეერთება.**

მსოფლიოში არ მეგულება ისეთი ენა გარდა ქართულისა, რომელიც სიტყვა „სამოთხე“-ს გამოხატავდეს შვიდის - სამისა და ოთხის ჯამით. ქართული სიტყვა „სამოთხე“ ზუსტად ასახავს ამ კოსმიური პროცესის არსს. ჩვენ, ამ კოსმიური პერიოდის ადამიანები ვართ. ახ.წ. III ათასწლეულის არსთა წრებრუნვის კოსმიურ სურათში სამყაროს დედა–სამოთხე დაბრუნდა ედემში კოსმიურ „წმინდა მთაზე“ და დაიკავა ადგილი მამაღმერთის მარჯვნივ, ხოლო მამის მარჯვნივ მყოფი ქრისტე აღმოჩნდა დედის გულის ადგილას.

სულიერად ამაღლებული ადამიანები არსთა წრებრუნვის კო-

სმიურ სურათებში – „ღმერთის ბეჭედში“ ზეციურ სამოთხეს კოსმიურ აღმოსავლეთში ხედავდნენ, რასაც სიმბოლოებით გამოსახავდნენ.



ხევსურეთი

ხევსურეთის სამყაროს კოსმოგონიურ სქემაზე 1-ით აღნიშნულია სამყაროს დედის – სამოთხის სიმბოლური გამოსახულება.

ქრისტიანულ ტაძარში საკურთხეველი განასახიერებს ზეცას და აღმოსავლეთით მდებარეობს, რადგან აღმოსავლეთის მხარეს „დანერგულ სამოთხეს“ წარმოადგენს. სამოთხე კი თვით ხვთისმშობელია. საქართველოში ხვთისმშობლის სალოცავს ქალაქის ან სოფლის სამხრეთ-აღმოსავლეთით აშენებდნენ.

სამოთხის პრინციპით, სამოთხის ენერგიითაა განსხეულებული ჩვენი პერიოდის ყველა ადამიანი, ნებისმიერი მიკრო თუ მაკრო სამყარო; დღევანდელი გარემო, ბუნება, ფლორა და ფაუნა მხოლოდ ამ კოსმიური პერიოდისთვისაა დამახასიათებელი. „ადამის“ ცივილიზაცია მხოლოდ ადამიანს არ ნიშნავს და ამ სიტყვაში მოიაზრება ყველაფერი, რაც ადამის ცივილიზაციისთვისაა დამახასიათებელი. „ადამის” ცივილიზაციას ეს სახელი ქართული სიტყვა „ადამიანი”-დან ეწოდა.

თქვენს წინაშეა სამყაროს დედის – სამოთხის უძველესი გამოსახულებები კომი (VII-VIII ს.ს.) და შუმერი (ძვ.წ. III ათასწლეული), რომლებზეც ერთი შეხედვისთანავე ჩანს შვიდი არსება ერთ კომპოზიციაში: შუა სამი ფიგურა თვით ადამიანის გამოსახულებაა, რომლის გული ანგელოზის სახითაა წარმოდგენილი ყელსა და ფეხებზე მძივებით (ქართველთა მითოლოგიაში ხვთისშვილ იახსარის დობილი ყელმძივიანი „სამძივარია“), რომლის გულს

ადამიანის თავის სახე აქვს. მათი მრგვალი თვალები მიგვანიშნებს, რომ ისინი მდედრ არსებას წარმოადგენენ. მაიას ტომებთანაც ქვის გამოსახულებებზე ადამიანის გულს ადამიანის სახე აქვს. რჩება შთაბეჭდილება, რომ ერთმანეთში ჩასმული ეს სამი ფიგურა – ერთარსება განასახიერებს სამყაროს ზესკნელ-ქვესკნელ-შუასკნელს,

კომი (VII-VIII ს.ს.)

შუმერი (ძვ. წ. III ათ.)

რითაც უძველესი ცივილიზაციის ხალხი გამოსახავდა სამყაროს დედას – სამოთხეს, რომლის ფეხებთან ორი კუდიანი ადამიანის ფიგურაა. თაყვანს სცემენ ცენტრალურ ფიგურას, ხოლო მხრებზე ადგას ადამიანის სახიანი ორი ანგელოზი, რაც მთლიანობაში შვიდი „არსების“ ერთობაა. სწორედ ეს არის სამოთხე – უარყოფითი და დადებითი არსებების ჰარმონიული თანაარსებობა – ასეა აღწერილი სამოთხე შუმერის მითოლოგიაშიც. ირგვლივ შემოვლებული გარე კონტური მიგვანიშნებს იმაზე, რომ ეს ყველაფერი

ერთშია და ეს არის სახე თანამედროვე ადამანისა. ამ შვიდეულის – „სამოთხის“ ენერგიითაა გაცხადებული დღევანდელი ადამიანი. ასეა მოწყობილი მიკრო და მაკრო სამყარო შინაგანად, რომლის ყველა „უჯრედი“ ერთ ენაზე, ქართულ ენაზე აზროვნებს და ლაპარაკობს. ესაა ქვეცნობიერი აზროვნების ენა. ასეთი „სამოთხის“ სახითაა წარმოდგენილი ჩემს გამოცხადებებში სამყაროს დედა – ხვთისმშობელი ხელში ხვთაებრივი ბავშვით, არსთა წრებრუნვის კოსმოგონიურ სურათში, მამაღმერთის – „წმინდა მთის“ აღმოსავლეთით, მას თავზე ადგას მზის დისკო.

ზემოთქმული ცნობიერებაა ასახული საქართველოში მოძიებულ დავათის სტელაზეც, რომელიც აღმოჩენილია დუშეთის რაიონის სოფ. დავათის ხვთისმშობლის ეკლესიაში, რომელსაც ადრე დაოთი ერქვა. ეს ეკლესია მდებარეობს სოფლის სამხრეთ-აღმოსავლეთით, რაც ემთხვევა არსთა წრებრუნვის კოსმოგონიურ სურათს. სტელას ერთ გვერდზე ორ იარუსად ასახულია: ზემოთ ორი ანგელოზი, რომელთაც ხელში უკავიათ თევზი თავით ქვემოთ, იგივე „**ო**“ ნომმოს – ქრისტეს სიმბოლური გამოსახულება, რომელზეც ამოკვეთილია ქართული ანბანის 37 ასო-ნიშანი, ხოლო ქვედა იარუსზე გამოსახულია ორი მამაკაცი ქართულ ეროვნულ სამოსში, ხელში ყველას გრაგნილი – ბედისწერის ფურცელი უჭირავთ, რაც ნიშნავს იმას, რომ თითოეულ

დავათის სტელა (ძ.ვ.წ. 680 წ.)

მათგანს სამყაროში თავისი „ბედისწერის“ სხეული და ფუნქცია აქვს – გავიხსენოთ შუმერთა მითოლოგია, რომლის მიხედვითაც, რვავე არსებას ბედისწერა განუსაზღვრეს. სტელას საპირისპირო მხარეს გამოსახულია ხვთისმშობელი, გულთან ხვთაებრივი ბავშვით, რომელსაც ხელში წიგნი უჭირავს. აქვე შევნიშნავ, რომ ქართველები „გულისგულს“ დაშიფრულად წიგნის სახით გამოსახავდნენ. გავიხსენოთ ქართული გამოთქმა: „გული გადაშლილი წიგნია“. დავათის სტელაზე შარავანდედით სულ სამი არსებაა შემოსილი – ორი ანგელოზი და ხვთაებრივი ბავშვი. ეს ნიშნავს, რომ **ქართველები შარავანდედით მხოლოდ ანგელოზებს გამოსახავდნენ და ხვთაებრივ ბავშვს – ქრისტესაც ანგელოზად მოიაზრებდნენ. დავათის სტელაზე ერთიანობაში სამოთხეა ასახული.** სწორედ ეს აზროვნებაა ასახული კომის სამყაროს დედის – სამოთხის გამოსახულებაზეც, სადაც სამ ანგელოზთაგან, ერთერთი ცენტრალური ფიგურის გულია. მაშასადამე, **ქართველები „სამოთხეს“ აღიქვამდნენ და გამოსახავდნენ უფრო ღრმა კოსმიური აზროვნებით, ვიდრე მსოფლიოს სხვა უძველესი ხალხი.**

სამყაროს შექმნისა და „სამოთხის“ შესახებ იგივე აზროვნება აქვთ აღწერილი თავის მითოლოგიაში ძველი ცივილიზაციის ყველა ხალხს. ამ პრინციპით არის შექმნილი მიკრო და მაკრო სამყარო, **ყველას და ყველაფერს აქვს „გული“ და „გულისგული“**. თავის მითებში „გულისგულს“ შუმერიც მოიხსენიებს. კომის სამყაროს დედის უძველეს გამოსახულებაზე (VII-VIII სს.) ნათლადაა ასახული „გული“ და „გულისგული“.

ქართველ წინაპართა კოსმოგონიური აზროვნებით, „გული” დამოუკიდებელი ცოცხალი არსებაა, რომელიც ადამიანის ორგანიზმში ცხოვრობს და ყველაფერი, რასაც ადამიანი განიცდის, გულს მიეწერება. გულს ადამიანის ბატონად თვლიდნენ. მიაჩნდათ, რომ ყველაზე მნიშვნელოვანი გულია, თვით ადამიანის პიროვნება კი არაფერია.

ქართველების რწმენა – წარმოდგენებით, ადამიანი გულით აზ-

როვნებს. ამაზე მეტყველებს „გულთან“ დაკავშირებული არაერთი ქართული სიტყვა: გულქართლი, გულმავიწყი, გულწრფელი, გულზვიადი, გულკეთილი, გულბოროტი, გულღრძო, გულქვა, უგულო, გულადი, გულგრილი, გულითადი, გულიანი და ა.შ.

ქართულ ენაში 300-ზე მეტი სიტყვაა, რომელიც გულს უკავშირდება. ადამიანი რომ გულით აზროვნებს, მას „ყური“ აქვს და მოსმენაც შეუძლია, ამას გვამცნობს მსოფლიოს უძველესი ხალხი და, მათ შორის, ქართველთა ეთნოგრაფიული მასალაც.

ადამიანის ტვინი მხოლოდ კომპიუტერია – ინფორმაციის მიმღები და შემნახავი მოწყობილობა. არსებობენ ადამიანები, რომლებსაც ტვინის ერთი, ან არცერთი ნახევარსფერო არ აქვთ, მაგრამ ნორმალურად აზროვნებენ. „გულისგულს“ განსაკუთრებული დანიშნულება აქვს. **ყოველ მიკრო თუ მაკრო სამყაროს აქვს „გულისგული“. „გული“ და „გულისგული“ აქვს თვით დედამიწასაც.**

2015 წლის გაზაფხულზე „ობიექტივი“-ს ერთ-ერთ სატელევიზიო გადაცემაში მოწვეული ჰყავდათ ერთი პროფესორი მამაკაცი, ქირურგი-კარდიოლოგი, რომელსაც პირდაპირ ეთერში გავუზიარე გულთან დაკავშირებით ზემოთ მოყვანილი ჩემი მოსაზრებები და შევახსენე შოთა რუსთაველის აფორიზმები: „ჰკითხე ასთა, ჰქმენ გულისა“ და „გული, ცნობა და გონება ერთმანეთზედა ჰკიდიან, რა გული წავა, იგიცა წავლენ და მისკენ მიდიან“. მან პასუხად მეტად საინტერესო რამ თქვა: მსოფლიოს კარდიოქირურგებმა აღმოაჩინეს, რომ გულის გადანერგვის ოპერაციის შემდეგ პაციენტები კარგავენ მანამდე მათში არსებულ ხასიათს და უნარ-ჩვევებს და იძენენ დონორი ადამიანების თვისებებს და უნარ-ჩვევებს. ყოველივე ეს ადასტურებს უძველეს ადამიანთა მეტაფიზიკურ აზროვნებას და რწმენა-წარმოდგენებს ადამიანის გულის, როგორც სამყაროს ინფორმაციული აზროვნების ცენტრის შესახებ. ეს ყველაფერი ღრმად შესწავლას ითხოვს. მეცნიერება თითქმის არ იცნობს გულისგულს, მის დანიშნულებას და მოქმედების მნიშვნელობას სამყაროში. ეს მომავალი კვლევის უმნიშვნელოვანესი საკითხია.

აქ ჩამონათვალითაც საკმარისია დავასკვნათ, რომ ადამიანის ფიქრები, საქციელი, ცხოვრების წესი და სხვა გულიდან არის წამოსული, **ადამიანის აზროვნება გულიდან – ცენტრიდან იმართება**. ერთ-ერთ გამოცხადებაში ჩემი გულის ადგილას ვიხილე სავსე მთვარის ქათქათა თეთრი სფერო, რომელიც შემდეგ „მზედ“ გარდაისახა.

გული სიცოცხლის სიმბოლოდ არის მიჩნეული, ის პირველი იწყებს სიცოცხლეს ორგანიზმში და ბოლოს კვდება. ყველა რელიგიაში გული ჭეშმარიტების, სინდისის, ზნეობრივი სრულყოფის სიმბოლოა – „ღმერთის სასუფეველი“ (ზ. აბზიანიძე – სიმბოლოთა ილუსტრირებული ენციკლოპედია, ტ. 1, 2006 წ., გვ. 14-15 – „გული“).

ზემოთ აღწერილი და გამოკვლეული საკითხი ნათელი მაგალითია იმისა, რომ პირველადი ცოდნა, სამყაროში მიმდინარე კოსმიური პროცესების შესახებ, უკავშირდება ქართულ გენს, ქართულ ანბანს, როგორც სამყაროს გენეტიკურ კოდს. **სამყაროს ყოველი საიდუმლო ქართულ ენაში – ქართულ სიტყვებშია ჩადებული. მსოფლიოში არ მეგულება სხვა ენა გარდა ქართულისა, რომელზეც „სამოთხე“ გამოითქმება სიტყვით „სამოთხე“, რაც კოსმიური პირველსაწყისის „სამის“ და „ოთხის“ ერთობას ასახავს და „ღმერთის ბეჭედშიც“ სწორედ „სამოთხის“ სახითაა გამოსახული სამყაროს დედა–ხვთისმშობელი. ეს ყველაფერი მიგვანიშნებს იმაზე, რომ ИБЕРИУЛ-ქართული გენი, რომლის სახელიც ქართული სიტყვა „ბერი”-დან მოდის – მამაღმერთს არსთა წრებრუნვის კოსმიურ სურათში ბერის სახე აქვს და ბერის სამოსი აცვია, გულზე ჰკიდია დიდი ჯვარი, თავზე ასომთავრული ასო-ნიშნები ადგას, ხოლო შუბლზე მხედრული ასო-ნიშნები აწერია, ყოველთა საწყისთა საწყისია და სამყაროს ყველა საიდუმლოს გასაღები მის წარსულზე, აწმყოსა და მომავალზე კავკასიაში – საქართველოში და ქართულ ცნობიერებაშია.**

„ხვთაებრივი გონი“-ს კოსმიური მისია

„ჰე, ღმერთო ერთო, შენ შეჰქმენ
სახე ყოველსა ტანისა“

შოთა რუსთაველი

ეტაფიზიკური თვისებებით „გახსნილი“ ადამიანებისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს „გამოცხადებას“. თითოეული მათგანი უდიდეს კოსმოგონიურ ცოდნას და წინასწარმეტყველებას გადმოგვცემს როგორც ვიზუალურად, ისე ინფორმაციულად.

ამ მხრივ, მეტად საინტერესოა ინდოელთა ხვთაებრივი გმირი „**რამა**“ – ღმერთი „**ვიშნუს**“ მეშვიდე „გარდამოსვლა“ – სახე, გამოცხადება ინდურ რელიგიაში.

ინდური ეპოსით, **ვიშნუ** არის მზის ღმერთი, ქვეყნიერების მომწესრიგებელი, მებრძოლი ბოროტ ძალებთან. მას გამოხატავენ მსოფლიო ოკეანის შუაგულში მარადისობის სიმბოლურ გველზე წამოწოლილს, მძინარეს, სასთუმალთან თავაწეული კობრებით გარემოცულს. **ვიშნუ** სამყაროს წყობას მოიცავს და მის წესრიგს განაგებს (ქართველთა მორიგე ღმერთი). სხვა ვარიაციებით, **ვიშნუ** ინდრას სატახტო მთაზეა დაფუძნებული. იგი აწესრიგებს სიცოცხლის, სიკვდილისა და აღდგომის ერთიან კოსმიურ პროცესს. მას **ოთხი ხელი აქვს** და გამოსახავენ მეფური ლურჯი სამოსით (აქ გაგვახსენდება შუმერთა ოთხყურა და ოთხთვალა მარდუკი, ქართველთა დობილიანი იახსარის ოთხრქა და ოთხყურა ცხვარი), ანუ მასში გაერთიანებულია ორი პირველსაწყისი. როგორც კი ბოროტი ძალები ქვეყნიერების დაღუპვას მოიწადინებენ, **ვიშნუ** რომელიმე ცხოველის ან **ავატარას** სახეს იღებს, ღრუბლებიდან ეშვება და იხსნის ხოლმე სამყაროს.

ინდოელთა ხვთაებრივი გმირი **რამა** თავდაპირველად ადამიანი იყო. იგი მიისწრაფოდა სულიერი შემეცნებისკენ და ამ მიზნით მოგზაურობდა დედამიწაზე. შემდეგ **ვიშნუ** იღებს **რამას** სახეს და

ერევა მიწიერ საქმეებში. ის ითვლება სამყაროს ყოვლისმომცველი პირველსაწყისის განსხეულებად. **რამას** ნახევარღმერთად თვლიდნენ (ქართველთა ხვთისშვილებიც ნახევარღმერთები არიან). „ხვთაებრივი მაცნე“ ყოველი გამოცხადებისას **რამას** აძლევდა მნიშვნელოვან დავალებას, უხსნიდა მის მისიას დედამიწაზე. ერთ-ერთი გამოცხადების დროს იყო ღრუბლიანი დღე; მაღალ კლდეზე იდგა ქალი, ჩამოშვებული თმებით. მზად იყო სასიკვდილო დარტყმა მიეყენებინა მის ფეხებთან დაგდებული, ხელფეხშეკრული მეომრისთვის. **რამამ** დაუყვირა: „წინაპართა სახელით გთხოვ შეჩერდე“ და მივარდა ქალს. ამ დროს ტყის თავზე მოთარეშე ღრუბელმა დაიქუხა, გაიელვა და თვალისმომჭრელი გამოსახულება გამოჩნდა, მთელი ტყე განათდა. თმებჩამოშვებული ქალი ელვადარტყმული დავარდა, ხოლო შეკრულ ტყვეს ბორკილები დააწყდა. **რამამ თვალისმომჭრელ ნათებაში ხვთიური არსება შეიცნო – თეთრებში შემოსილი დიდი ადამიანი, ხელში კვერთხით**, მისგან სინათლე ასხივებდა. მაშინ **რამამ დაინახა, რომ ის იდგა გახსნილ ტაძარში, რომელიც რამდენიმე სვეტს ეყრდნობოდა**. მსხვერპლშეწირვის ადგილას აგებული იყო საკურთხეველი, რომლის გვერდითაც იდგა მეომარი, ძირს დავარდნილი მკვდარი ჩანდა, ხოლო თეთრი სამოსით წარმოგზავნილ **„ხვთაებრივ მაცნეს“ მარჯვენა ხელში ეკავა ჩირაღდანი, მარცხენაში – თასი**. მან უთხრა **რამას**: „მე მადლიერი ვარ შენი, ხედავ ამ ჩირაღდანს? ეს ხვთაებრივი სულის წმინდა ცეცხლია. ხედავ ამ საწმისს? ეს არის სიცოცხლისა და სიყვარულის საწმისი. მიეცი ჩირაღდანი კაცს, ხოლო საწმისი – ქალს“.

რამამ შეასრულა მაცნეს მითითება. როგორც კი ჩირაღდანს შეეხო მეომრის, ხოლო თასს – ქალის ხელი, წმინდა ხვთაებრივი ცეცხლი თვითონ აინთო საკურთხეველზე, ორივენი იდგნენ და გარდაისახნენ მისი ნათელისგან. ამავდროულად, ტაძრის კედლები გაიწ-გამოიწია, ხოლო სვეტები ცამდე აიზიდა, მისი თაღი გარდაისახა ვარსკვლავების ცად. ამ ხილვაში **რამამ** დაინახა თავისი

თავი – იგი იდგა მთის კლდის თავზე **თეთრებში ჩაცმულ ხვთიურ მაცნესთან ერთად**, რომელიც მას უხსნიდა თანავარსკვლავედთა არსს.

რამამ ჰკითხა: „ვინ ხარ შენ?“ მან უპასუხა: „**მე ვარ ხვთაებრივი გონი**. შენ გაავრცელებ ჩემს სხივებს დედამიწაზე. მე მოვალ ყოველთვის შენი დაძახებისთანავე, ახლა კი წადი შენთვის წინასწარდასახულ გზაზე“ და მან მიუთითა **აღმოსავლეთისკენ. რის შემდეგაც რამა წამოვიდა აღმოსავლეთში – „მისთვის წინასწარდასახულ გზაზე“, აზიის „გულში“, „ქალწულებრივ“ ქვეყანაში,** რომლის მცხოვრებთაც თავის ტაძრებში ჰყავდათ გიგანტური გველები და წარღვნამდელი იშვიათი სახეობის ცხოველები, რომლებსაც თაყვანს სცემდნენ, ჰქონდათ ციკლოპური ქალაქები. **რამა თავისი მისიის შესასრულებლად წამოვიდა კავკასიაში – ინდოეთში, იქ, სადაც თეთრი რასის ცივილიზაცია წარმოიშვა,** რათა შეესრულებინა თავისი მისია-დავალება, რომელიც მიიღო „ხვთაებრივი მაცნესგან“ – სამყაროს „ხვთაებრივი გონისგან“. ის კავკასიაში მოვიდა ხალხთან, რომელთა კოსმოგონიურ ცოდნას თუ გავყვებით, მიგვიყვანს უფრო შორეულ წარსულში, როცა ორი ურთიერთსაპირისპირო ენერგიები – პირველსაწყისი ხვთიური ძალები იყვნენ შეერთებულნი დიდი ჰარმონიით; ეს არის **პირველყოფილი თეთრი რასის ეპოქა**. **სწორედ იმ ხალხის აზროვნებაში იხატება რწმენის სისრულე, ძალა და სინათლე, რომლის დაბრუნება დღემდე ვერ შეძლო კაცობრიობამ**. ისინი განწყობილნი არიან სამყაროს ერთიანობის შეგრძნებით, რომელსაც მართავს ერთი „ხელი“ – სამყაროს „ხვთაებრივი გონი“, რომელიც აერთიანებს სამყაროს ერთ ჰარმონიულ ხვთაებრივ ორგანიზმად (Эдуардь Шюре – ВЕЛИКИЕ ПОСВЯЩЕННЫЕ – РИГА. стр. 23 – „Рама“).

რამა დაჯილდოებული იყო ხვთიური უნარით, რომლითაც ჯილდოვდებიან უფლისგან ხელდებული ადამიანები. **იგი ცდილობდა წარმოეჩინა ხვთაებრივი აზრი ადამიანთა ცხოვრებისა და**

არსებობისა, უარყოფდა ადამიანთა მონობას, ავრცელებდა თანასწორუფლებიანობას, წმინდა ხვთიური ცეცხლის კულტს, როგორც „ხილული სიმბოლო უხილავი ღმერთისა“.

ვინ არის ის ხალხი, ვისთანაც **რამა** მოვიდა კავკასიაში თავისი მისიის შესასრულებლად, ვისთანაც „ხვთაებრივი მაცნე“ – „ხვთაებრივი გონი“ აგზავნის წმინდა ხვთაებრივ ცეცხლს, რომელიც არის „ხილული სიმბოლო უხილავი ღმერთისა“ და ამავე დროს ეს მიწა-წყალი „ქალწულებრივ ქვეყანად“ და აზიის „გულად“ რომ მოიხსენიება?... **რამას** აღმოსავლეთში მოგზაურობის შესახებ ეპოსში აღწერილია მისი მოსვლა კავკასიაში, მაგრამ აღარ არის აღწერილი მისი მოგზაურობა დღევანდელ ინდოეთში.

ქართველი ხალხი ოდითგანვე დღევანდელი საქართველოს მკვიდრი მოსახლეობაა. ამას გვიდასტურებს **დავით გარეჯის კლდეებზე გამოკვეთილი გიგანტური გველები** და ქართული ასონიშნები, შექმნილი ციკლოპურ ადამიანთა მიერ. **რამა** წამოვიდა კავკასიის ინდოეთის „ქალწულებრივ ქვეყანაში“. საქართველოს მიწა-წყალი სამყაროს დედის – მარადქალწულის სამშობლოდ ითვლება ჯერ კიდევ შუმერთა მითოლოგიით, მოგვიანებით კი, მარად ქალწულის, ხვთისმშობელი მარიამის წილხვედრილად აღიარეს.

რამას მოგზაურობაში ნახსენები კავკასიის „ქალწულებრივი ქვეყანა“, ზემოაღნიშნულის მიხედვით, არის საქართველო.

შუმერი ამ ქვეყანას სამოთხედ წარმოაჩენს და წარღვნამდელ ხალხს უწოდებს, **რამას** ეპოსი მას აზიის „გულად“ მოიხსენიებს, შუმერები „დიდებულ წესთა ქვეყანა“-ს უწოდებენ, სადაც ბიბლიური კაბალას ცოდნის სამშობლო მოიაზრება. ბიბლიური კაბალა კი მსოფლიოში არსებული ანბანებიდან მხოლოდ ქართულ ანბანში აისახება.

სიტყვა „აზია“ მომდინარეობს ქალღმერთ იზიდას სახელიდან. აღმოსავლეთ საქართველოში გვაქვს მდინარე „ალ-აზ-ანი“, ამ სი-

ტყვაში „აზ“-აზია არის მიწის ქალღმერთი, „ანი“ ცის მამაღმერთი, ორივე ერთად კი ცისა და მიწის ერთობა, ხვთიური ცეცხლი – ალი, ოქროს საწმისი, კოსმიური მზე, რაც ორი პირველსაწყისის ერთობას წარმოაჩენს და სწორედ ამ ხვთიური ენერგიის გამომხატველია სიტყვა **„ალაზანი“**.

აღმოსავლეთი საქართველო ბიბლიური კაბალას სამშობლოა. აქ ძალიან ძლიერია ცეცხლთაყვანისმცემლობის კვალი. ეს ის ცეცხლია, რომელიც ქრისტიანულ რელიგიაში დღესაც უხილავი ღმერთის ხილულ გამოვლინებად ითვლება. აღმოსავლეთ საქართველოში მდ. ალაზნის „აუზში“ მდებარეობს ნეკრესი – შორეული წარმართობის ცეცხლთაყვანისმცემლობის კულტმსახურების უდიდესი კომპლექსი; ცნობილია, რომ აღმოსავლეთ საქართველოში მოგზაურობის დროს, ბერძენი მოგზაური სტრაბონი (ახ. წ. I ს.) დაესწრო ქიზიყში (ქ. სიღნაღში) მზის ქალღმერთის ცეცხლთაყვანისმცემლობის რელიგიურ დღესასწაულს.

მაშასადამე**, რამა** წამოვიდა „ხვთაებრივი მაცნეს“, თეთრი სამოსით შემოსილი თეთრწვერა მოხუცის, „ხვთიური გონის“ მიერ წინასწარდასახულ გზაზე აღმოსავლეთში, „ქალწულებრივ ქვეყანაში“, აზიის გულში, კავკასიის ინდოეთში. ამასთანავე, ამ ქვეყნის ხალხს აქვს პირველსაწყისი კოსმოგონიური ცოდნა, რომელშიც მოიაზრება ქართული ანბანი და რომელშიც „დამარხულია“ ცოდნა სამყაროს ბიბლიური კაბალას კოსმიური კოდისა. ზემოთ აღნიშნულის მიხედვით, ის თეთრი რასის ცივილიზაციის პირველსაწყისი ქვეყანაა, სადაც წამოვიდა **რამა** თავისი მისიის შესასრულებლად კავკასიაში. მაშასადამე, **საქართველო და ქართველი ხალხი სამყაროს პირველსაწყისიდანვე ითვლებოდა თეთრი რასის ხალხად, რომელმაც დაიწყო დედამიწაზე ცივილიზაცია, სადაც რამამ ჩამოიტანა ხვთაებრივი ცეცხლი –„ხილული სიმბოლო უხილავი ღმერთისა“.ერთ-ერთ თავის პუბლიკაციაში ჟურნალისტი კობა არაბული წარმოაჩენს ინფორმაციას ხევისბერის ტექსტიდან: საქართველოში, „ხადუს**

სალოცავში – ცროლის მწვერვალზე ცეცხლი და სანთლები თავისით ენთებოდნენ“.

მაიას ტომების შორეული წინაპრები თაყვანს სცემდნენ კეცალკოატლის, რომელიც მათთან **„ამომავალი მზის ქვეყნიდან“** მივიდა. **მას ეცვა გრძელი თეთრი სამოსი და თეთრ წვერს ატარებდა.** მან ამერიკის კონტინენტის ადამიანებს ასწავლა გონივრული წეს-ჩვეულები და კანონები, გადასცა ღრმა კოსმოგონიური ცოდნა, რომელიც აისახა იმ პერიოდის ქალაქებსა და პირამიდებზე, გადასცა ცოდნა სამყაროს შექმნისა და მოწყობის შესახებ, რომ სამყარო ერთიანი, ცოცხალი, უსასრულო ორგანიზმია, **ქადაგებდა სიკეთეს და სამართლიანობას**. ერთი ლეგენდის თანახმად, ბოლოს იგი გავიდა ზღვის პირას, იტირა და თავი დაიწვა. მისი გული დილის ვარსკვლავად გადაიქცა. ამ ლეგენდის მეორე ვერსიით, ბოლოს კეცალკოატლიმ ხალხთან მიტანილი ცოდნა ისევ შეკრიბა და იმავე ქვეყანაში დაბრუნდა, საიდანაც მოვიდა. მას დაბრუნების აღთქმა დაუდვია (Мифы народов мира, т. 1, 1980 г. стр. 646 – „Кецалькоатль“; ა. კერამი, – „ღმერთები, აკლდამები და მეცნიერები“, 1972 წ., გვ. 374).

სად არის **„ამომავალი მზის ქვეყანა“**, საიდანაც, ლეგენდის თანახმად, კეცალკოატლი მივიდა მაშინდელ ცენტრალური ამერიკის ხალხებთან?! თუ სამგანზომილებიანი თვალთახედვით ვიმსჯელებთ, მსოფლიოს ყველა ქვეყანაში არის მზის აღმოსავლეთი და დასავლეთი. აქ კი კონკრეტულად ერთ ქვეყანაზე მიგვანიშნებენ. კოსმიური აღმოსავლეთი თვით სამყაროს დიდი დედა – „სამოთხეა“, რომელშიც ერთდროულად ორივე საწყისი – მდედრი და მამრია გაერთიანებული. ქალღმერთი ინანა, იშთარი, კიბელა, დალი, დღისით მამრი და მეომარია, ხოლო ღამით – სიყვარულის ქალღმერთია. **„ამომავალი მზე“ – „სამოთხე“ თვით სამყაროს დედაქალღმერთია. მისი წილხვედრი ქვეყანა, მისი სამშობლო კი საქართველოს მიწა-წყალია**, ხოლო მისი ხალხი ბიბლიური კაბალას – ქართული ანბანის გენეტი-

კური კოდის მატარებელი ხალხია. აღმოსავლეთ საქართველოს – კავკასიის ცენტრალურ ტერიტორიას ოდითგანვე კაბალა ერქვა, რომლის დედაქალაქი ისტორიაში „კაბალა“-ს სახელით მოიხსენიება.

შუმერი „ამომავალი მზის ქვეყანას“ „დილმუნის“ სახელით მოიხსენიებს. ქართული ცნობიერებით, სიტყვაში „დილმუნი“ – „დილ-მ-უნი“, „დილ“ – დილას, დღეს, მზეს ნიშნავს, ხოლო „უნი“ ქართული ანბანის „22-უ-უნ“ ასო-ნიშანია, რომლის სახელი, შუმერული კაბალას მიხედვით, რომელიც მხოლოდ ქართულ ანბანში აისახება, არის „წარღვნა“.

აი, რას მოგვითხრობს ერთ-ერთი შუმერული მითი: ზიუსუდრა (შუმერთა „ნოე“) წარღვნის შემდეგ განერთხა მზე „უთუს“ წინაშე და თაყვანი სცა; ღმერთებმა მას მარადიული სიცოცხლე მიანიჭეს და აიყვანეს „დილმუნში“, საიდანაც მზე ამოდის. შუმერული მითები „დილმუნს“ „ამომავალი მზის“, ანუ „მარადიული სიცოცხლის“ ქვეყანას უწოდებენ.

მაშასადამე, მაიას ტომებთან მოხსენიებული „ამომავალი მზის ქვეყანა“, საიდანაც მათთან ჩავიდა უზენაესი ღმერთი კეცალკოატლი, იგივე შუმერთა „ამომავალი მზის ქვეყანა“ – „დილმუნია“, იგივე კოსმიური აღმოსავლეთი – „სამოთხე“ – „სამყაროთა დედოფლის“ წილხვედრი ქვეყანა „არათა“ – საქართველოა, რომელსაც შუმერი **„მარადიული სიცოცხლის ქვეყანად“** მოიხსენიებს. (ნახეთ: ნ. ხ. – საქართველო – შუმერთა „უფლის წმინდა გულით არჩეული“ „დიდებულ წესთა ქვეყანა“, 2013 წ.; ნუგზარ პაპუაშვილი – რანთა და კახთა სამეფო. 1982 წ.).

საქართველოს მიწა-წყალზე მცხოვრები ქართული გენის მატარებელი ხალხი იწყებს და ამთავრებს კაცობრიობის ყოველ ცივილიზაციას. ამიტომ, მაიას ტომების უზენაესი ღმერთის **კეცალკოატლის სამშობლო – „ამომავალი მზის ქვეყანა“, სწორედაც არის კავკასია – საქართველო**. დიდი და ღრმა პარალელებია ქართველ და მექსიკელ უძველეს ხალხთა კოსმოგონიურ ცნობიერებაში. მექსიკის ტერიტორიაზე აღმოვაჩინე ქართული ასო-ნიშნები მათი ღმერთების გამოსახულებებზე. ისინი ცეცხლის სტიქიას ქართული ასომთავრული **„Ჯ“** (ჯ) ასო-ნიშნით გამოსახავდნენ და **მზის ღმერთისადმი შეწირული ადამიანის თავს ორმაგად გადაბრუნებულ** (ეს სამყარო მიღმიურ სამყაროსთან მიმართებაში ორმაგად გადაბრუნებულია) **„Ჯ“ ასო-ნიშანს – ცეცხლის სტიქიის ენერგეტიკულ გაცხადებას სწირავდნენ** (ჩამოაცმევდნენ). აღმოსავლეთ საქართველოს სხვადასხვა კუთხეების ისტორიული სახელები ჰქვიათ დღესაც ცენტრალური ამერიკის სხვადასხვა ტერიტორიას.

თქვენს წინაშე მსურს წარმოვაჩინო ჩვენი ერისთვის მნიშვნელოვანი კიდევ ერთი საკითხი.

ქართველებს აღმოსავლეთის ხალხი **„გურჯებს“** გვიწოდებს. ამას უკავშირდება სიტყვები „გურია“ და „გურჯაანი“, რომელიც ორი ნაწილისგან შედგება – „გურ“ და „ჯან“, სადაც „გურ“ ნიშნავს „ქალწულს“, რომელიც მუდმივად **33** წლისაა, ე.ი. სიტყვა „გურ“ **33** წლის მარადქალწულს ნიშნავს, ხოლო „ჯან“ („ჯანუ“) – „სამოთხე“-ს („Мифы народов мира“, 1980 г., Т.1, ст. 341, „Гурии“). ქართული ანბანის **„ჯ-ჯან-8000“** ასო-ნიშნის კოსმიურობა ცეცხლის სტიქიის, ოქროს საწმისის, კოსმიური ორი პირველსაწყისის, გამთლიანებული მზის გამოვლინებაა. ეს ის კოსმიური პერიოდია (ახ. წ. 2000წ), როცა ხვთისმშობელი – „სამოთხე“ ბრუნდება ედემში და იკავებს ადგილს მამის მარჯვნივ. მაშასადამე, **სიტყვა „ბურჯი“ მარადქალწულის, სამყაროს დედის, ხვთისმშობელი მარიამის, „სამოთხის“ არსის გამოხატულებაა**. ამას უკავშირდება სიტყვა „გურუ“, რომელსაც აღმოსავლეთის ქვეყნების ხალხი სულიერ მასწავლებელს უწოდებს. ეს საკითხი უკავშირდება იმას, რომ თვით ქალღმერთი არის სიბრძნის და პირველსაწყისი კოსმოგონიური ცოდნის მატარებელი. ვინაიდან ქართველებს ოდითგან კავკასიაში – ჩვენს ძირძველ მიწაზე მაცხოვრებლებს გვიწოდებენ „გურჯებს“ და

„გურჯის-ტანს“ – მარადქალწულის – სამოთხის „სხეულს“, ეს ნიშნავს, რომ ჩვენ, **ქართველები, მსოფლიოს აღმოსავლეთის ხალხთა ცნობიერებით, ვართ მარადქალწულის, სამყაროს დედის, ხვთისმშობლის ბენის მატარებელი ხალხი.** ამას უკავშირდება სიტყვები: ჯანმრთელი, ჯანგატეხილი, ჯანიანი და სხვა, სადაც „ჯან“ – ხვთიური ცეცხლი და ადამიანის სასიცოცხლო ენერგიაა. ჩვენი ქართული მიწა-წყალი – „გურჯისტანი“, მარად ქალწულის – სამყაროს დედის წილხვედრი ქვეყანაა. მაშასადამე, სიტყვა **„გურჯი“ მარადქალწულს – სამოთხეს ნიშნავს**.

აი, რას გვეუბნება ქართველი პოეტის შოთა ნიშნიანიძის შინაგანი ხმა ერთ-ერთი ლექსით:

„უკან დავბრუნდი სამოთხიდან ორი დღის მკვდარი,
ასე ამბობდა ერთი კაცი, სიტყვით ქველობდა.
კაცო, არავინ გამიღოო სამოთხის კარი -
შენ თვითონ ხარო სამოთხიდან, საქართველოდან!“

განსაკუთრებულ და აუცილებელ შემთხვევაში, „სამყაროული გონი“, რჩეულ ადამიანებს თეთრი სამოსით შემოსილი თეთრწვერა მოხუცის სახით, ხელში კვერთხითა და ოქროს ნამგლით ეცხადება, აკისრებს განსაკუთრებულ მისიას და აძლევს დავალებებს,რის შემდეგაც, მისგან ხელდებული ადამიანი აქტიურად ერევა სამყაროს კოსმიურ პროცესებში. ეს კიდევ ერთი დასტურია იმისა, რომ **სამყაროში უფლისგან შექმნილი ზედმეტი არაფერია, ყველა და ყველაფერი, ცნობიერად თუ ქვეცნობიერად, ასრულებს თავის მისიას უსასრულო კოსმიურ პროცესში**.

თითქმის 30 წელია ვიკვლევ ქართულ ანბანს და მასში ჩადებულ მეტაფიზიკურ კოსმოგონიურ ცოდნას. ეს არ არის შემთხვევითი მოვლენა. ეს განაპირობა „გამოცხადებებმა“ და აქედან მიღებულმა კოსმიურმა ინფორმაციამ.

ყველაფერი ასე დაიწყო: ერთ დღეს, სრულიად შემთხვევით,

აღმოვაჩინე, რომ შემეძლო ავადმყოფი ადამიანებისთვის დიაგნოზის დასმა და მკურნალობა, რომელიც ეფუძნებოდა ადამიანის უჯრედებთან ინფორმაციული კონტაქტის დამყარებას უსიტყვო, აზროვნებითი საუბრის სახით. თითოეული პაციენტი ჩემთვის იყო ადამიანის, როგორც სამყაროს შემეცნების გზა.

მხატვარი: ლ. ვარდუმიანი

ერთ დილას, ნახევრად მძინარეს, მქონდა ხილვა: თითქოს ვიწექი იმ ოთახში და იმ საწოლში, რომელშიც სინამდვილეში ვიწექი. ოთახს ჭერის ნაცვლად ცა ჰქონდა. დავინახე ცის სიღრმიდან ჩემკენ დიდი სისწრაფით მოფრინავდა რაღაც გამოსახულება, რომელიც თავდაპირველად წერტილის სახით მოჩანდა, შემდეგ თანდათან გადიდდა და დავინახე, მიახლოვდებოდა ტახტზე მჯდომი მამაკაცის ხატი, შავი წვერით და სამეფო სამოსით; ტახტი, რომელზედაც ის იჯდა, ჰგავდა სვეტიცხოვლის და სამების ტაძრების საპატრიარქო ტახტს. ისე ახლოს მოვიდა ეს გამოსახულება, რომ **ხატის ჩარჩოს საზღვრები თანდათან ოთახის კედლებს გასცდა, მე აღმოვჩნდი ხატის შიგნით, ხოლო ტახტზე მჯდომი – ჩემს სასთუმალთან და უკვე ცოცხალი ადამიანის სახით მიყურებდა.** ბოლოს უსიტყვოდ – აზრებით მეკითხება: „როგორ იყენებ, რაც მოგანიჭეთ“?! მე ვპასუხობ, რომ „ადამიანებს ვმკურნალობ, ფულს არ ვიღებ მომსახურებაში.

მადლიერების ნიშნად მხოლოდ ყვავილებზე არ ვამბობ უარს. ეს დარიგებები მივიღე **ესტონეთის ქ. ტარტუს უნივერსიტეტის პროფესორ აილი პაიუსგან**, რომელიც იმ პერიოდისთვის სწავლობდა ჩემს „ფენომენს“ და მაძლევდა სათანადო რეკომენდაციებს“ (მეც ასევე უსიტყვოდ-აზრებით ვესაუბრები). ამ სიტუაციაში შეჩერდა ჩემი ხილვა – მე დავრჩი მის გვერდით.

ეს ხილვა ბევრის მთქმელი იყო ჩემთვის. დავრწმუნდი, რომ მკურნალობის თვისებები მათ მომანიჭეს და ამავდროულად, თვალყურს მადევნებდნენ, თუ როგორ ვიყენებდი ყველაფერ ამას.

საკმაოდ დიდი შედეგები მქონდა: პაციენტთა დიაგნოსტიკისა და მკურნალობისთვის მანძილს არ ჰქონდა მნიშვნელობა. ტელეფონზე დარეკვითა და სურათით ვსვამ ათასეულ კილომეტრებზე დიაგნოზს და ვმკურნალობ ადამიანებს. ინფორმაციას პაციენტის ორგანიზმიდან ვღებულობ მორზეს ანბანის მსგავსი იმპულსებით, რაც ყველას ესმის, ვინც ახლოს დგას. დამეწყო ინფორმაციის მიღება ვარსკვლავებიდან, პლანეტებიდან, წაიშალა ზღვარი იქეთა და აქეთა სამყაროს შორის. ჩემს ოჯახში გადაღებულ ფოტოსურათებზე ხშირად აღიბეჭდება თვალისთვის უხილავი დიდი მანათობელი სფერო. მოგვიანებით იგი ჩემი გულის ადგილას ვიხილე, რომელიც შემდეგ მზედ გარდაისახა. ზოგჯერ ადამიანის ორგანიზმში ორგანოებს ვხედავ. ვხედავ ადამიანთა და საგანთა ენერგიას და განვასხვავებ დადებითია ის თუ უარყოფითი – ვხედავ ამ ენერგიათა მოძრაობას. აღმოვაჩინე, რომ უარყოფითი ენერგიის მატარებელი კენტი რაოდენობის საგნები ან ადამიანები ერთად ქმნიან უარყოფით ენერგიას, ხოლო წყვილი უარყოფითი ენერგიის მატარებლები ერთად ქმნიან დადებით ენერგიას. სწორედ ამას ეფუძნება მათემატიკაში უარყოფით ნიშნიან სიდიდეთა გამრავლების და გაყოფის წესი – შედეგი ნიშნით უარყოფითია თუ დადებითი. ეს მოვლენა ბუნებაში მეტაფიზიკურ დონეზე არსებულ კანონებს ემორჩილება. პირადად შემიყვანეს და მაჩვენეს, თუ რა არის „შავი ხვრელი“

– „დროის ბორბალი“, როგორ არის ის მოწყობილი და რა კოსმიური პროცესი მიმდინარეობს მასში. ხილვებით გადმომცეს სამყაროს ორი პირველსაწყისის კოსმიური არსის და ქართული ანბანის საიდუმლო ცოდნა, კიდევ მრავალი სხვა საიდუმლო კოსმიური ხვთიური ცოდნა გამანდეს (ნახეთ: ნ. ხ. – „ქართული გენი იბერიის ცივილიზაციათა სათავეებთან“, 2012 წ.).

ერთი პერიოდი გადავწყვიტე, ჩემი საქმიანობით მთლიანად მედიცინაში გადართვა, მაგრამ ჩემმა სულიერმა მასწავლებელმა ტარტუს უნივერსიტეტის პროფესორმა **აილი პაიუმ** ერთ-ერთი შეხვედრის დროს ასეთი რჩევა მომცა: **„შენ ეს ყველაფერი იმისთვის არ გეძლევა, რომ ხალხს უმკურნალო, არამედ ეს შენთვის არის მოსამზადებელი პერიოდი. სულ მალე გაარკვევ თუ რისთვის მოგეცა ეს უნარი და ამის შემდეგ მთლიანად უნდა გადაერთო შენი ძირითადი მისიის შესრულებაზე“.**

დიდი ხანი არ იყო გასული ამ საუბრიდან, რომ დამეწყო არსთა წრებრუნვის კოსმიური სურათების – ღმერთის „ბეჭდების“ ხილვები, სადაც არის ღმერთთა სამყოფელი, სიცოცხლის ხე, საიქიო სასამართლო, სამოთხე – ხვთისმშობელი, მამაღმერთი, რომელიც, ერთი შეხედვით, არის კოსმიური მთა. იგი მრავალსახაა. ერთ-ერთი მისი სახე კოსმიური მხედარია. მამის მარჯვნივ ქრისტეა – კვირია კარავიანი. სულ სამი „ბეჭდის“ ხილვა მქონდა. ყოველი ხილვა დიდი ინფორმაციის გაცხადებისთვის მეძლეოდა. განსაკუთრებით გაამახვილეს ჩემი ყურადღება ქართულ ანბანზე. ქართული ასომთავრული ასო-ნიშნები მამაღმერთს თავზე ადგას, ხოლო მხედრული ასო-ნიშნები კოსმიურ მხედარს შუბლზე აწერია. ქართული ანბანი ბიბლიური კაბალა და სამყაროს გენეტიკური კოდია. თითოეული ასო-ნიშანი ღმერთის „ბეჭედია“ და თავისი კოსმიური პროცესი შეესაბამება, რომელსაც ექვემდებარება სამყაროში ყველა და ყველაფერი. აქედან დაიწყო ჩემი დაინტერესება ქართული ანბანით, მსოფლიოს მითოლოგია, ეთნოგრაფია, არქეოლოგიით. ისინი მე განსაკუთრებულ ინფორმაციას მაწვდიან. ამ

საკითხებზე მუშაობის პროცესი მეტად საინტერესო და ბოლომდე ამოუხსნელია. აქ მუშაობს მეტაფიზიკა, ერთდროულადაა ჩართული ხილული და უხილავი სამყარო. ამის აღწერა და გადმოცემა ჩვეულებრივი გასაგები ენით ძალიან რთულია.

„ოქროს საწმისის“ კოსმიური საიდუმლო ერთი მნიშვნელოვანი გამოცხადებით გამემხილა. სამსახურში ვიჯექი ჩემს კაბინეტში, მოვიდა ინფორმაცია, რომ ცაზე უნდა მეხილა რაღაც, რაც მნიშვნელოვან ინფორმაციას მომაწვდიდა. თავი არ უნდა მემოძრავებინა და უნდა აღმექვა ის, რასაც ფანჯრის ჩარჩოს არეში დავინახავდი. გამახსენდა ახალი აღთქმიდან იოანეს გამოცხადება, სადაც იქ მოყვანილი წინასწარმეტყველება ცაზე ღრუბლებით იხატება. მეც დამებადა აზრი, მიმექცია ყურადღება ამ საკითხისთვის. ვხედავ, ცა მოწმენდილია, მზიანია, მაგრამ ჩემი ხედვის არეში მზე არ ჩანს, ნიავიც არ მოძრაობს და ხის ფოთლებიც კი გაჩერებულია. უცებ, სხვადასხვა მხრიდან ცაზე გამოჩნდა პაწია თეთრი ღრუბლები, ჩემი ხედვის არეში შეგროვდა, ბრუნავდა, ბოლოს მიიღო რაღაც ფორმა და გაჩერდა. ამ გამოსახულებაში შევიცანი ჩემი თავი, სახით მარცხნივ, შემდეგ, თითქოს, შიგნიდან გამოვიდა პატარა მზე და საფეთქელთან შუბლზე მიებნია; ამ პატარა მზის სხივები ისეთი ძლიერი იყო, რომ ჩემამდე აღწევდა. შემდეგ ამ გამოსახულებამ დაიწყო მობრუნება 180^0-ით და როცა მარჯვნივ შემოტრიალდა, მას ჰქონდა თეთრწვერა მამაკაცის სახე, რომელთანაც მარჯვენა მხრიდან მივიდა თეთრი ცხენი. ბოლოს გავაკეთე ასეთი დასკვნა: მე ვიხილე ერთარსება წელს ზემოთ, ერთი თავით და ორსახა, რომლის მარცხენა მხარე ქალია და ჩემი სახე აქვს საფეთქელთან მიბნეული მზით, ხოლო მარჯვენა სახე არის თეთრწვერა მამაკაცის, რომელთანაც მივიდა თეთრი ცხენი. ინფორმაციულად მეუწყა, რომ ეს არის **„ოქროს საწმისი“ – ცეცხლის სტიქია. ეს სიმბოლური გამოსახულება არის ორი პირველსაწყისის – მდედრის და მამრის ერთიანობა – ერთარსება. ისინი დაცილდნენ ერთმანეთს ადამის ცივილიზაციის დასაწყისში და კვლავ უნდა გაერთიანდნენ. ამაშია ადამის ცივილიზაციის მთელი კოსმიური პროცესის არსი.**

ჩემი კვლევების კოსმოგონიური ცოდნის ძირითადი ამოსავალი ქართული ენა და ქართული ანბანია. რამას მსგავსად, მეც მქონდა თეთრწვერა მოხუცის გამოცხადება: უცებ აღმოვჩნდი დიდ ტაძარში, რომლის თეთრ ქათქათა კედლებზე დაწერილი იყო ქართული ანბანი ვერტიკალურად და ჰორიზონტალურად. ტაძარში ვარ მარტო, ვიხედები აქეთ-იქეთ, ავიხედე ზემოთ და ვხედავ ტაძარს ჭერი არა აქვს, ტაძრის კედლები ისე მაღალია, რომ კოსმოსის უსასრულობაში იკარგება. ტაძრის ღია კარებში, ჩემს ზურგს უკან, ვიგრძენი ვიღაცის შემოსვლა. მივიხედე და დავინახე **გრძელი თეთრი სამოსით, ხელში თეთრი კვერთხით, თეთრწვერა მოხუცი**. მომიახლოვდა, შემახედა კედლებზე გამოსახულ ანბანზე და მითხრა (საუბარი მიმდინარეობდა უსიტყვოდ – აზრებით): **„ანბანს შენ გაბარებთ, შენ უნდა უპატრონო“**. შემდეგ **მარჯვენა ხელში გადმომცა თეთრი კვერთხი**. ასე დამთავრდა ჩემი ხილვა. თეთრწვერა მოხუცი დარჩა ჩემს გვერდით და არსად წასულა. ერთ-ერთი დიდი სასწაული ჩემს ცხოვრებაში ის იყო, რომ ეს თეთრწვერა მოხუცი, რომელმაც ქართული ანბანი „ჩამაბარა“ და „კვერთხი“ გადმომცა, დაახლოებით **15 წლის შემდეგ აღმოვაჩინე შუმერთა ერთ-ერთ ქვის ბეჭედზე** (ძვ.წ.3400წ.) – ცეცხლის სტიქიის გამოსახულება – ერთარსი, რომელსაც ერთი თავი, ერთი ტანი და ორი სახე აქვს – ერთი ქალია, ხოლო მეორე სახე – თეთრწვერა მამაკაცია. ეს სახით ზუსტად ის თეთრწვერა მოხუცია, რომელმაც თეთრი კვერთხი გადმომცა და ქართული ანბანი „ჩამაბარა“.

ამის შემდეგ განსაკუთრებულად ღრმა კოსმოგონიური ცოდნა გამეხსნა ქართული ანბანის და ქართული ენის მიმართ, რომელიც 2004 წლის შემოდგომაზე სამების ტაძრის კურთხევას დაუკავშირდა და ხსნის იოვანე-ზოსიმეს (X ს.) „ქებაჲ და დიდებაჲ ქართულისა ენისაჲ“-ს კოსმიურ საიდუმლოს, რომელიც ძირითადად შეიცავს

წინასწარმეტყველებას ქართული ანბანის საიდუმლოს გახსნის თარიღს – ახ. წ. 2000 წლისთვის. ეს, თავის მხრივ, უკავშირდება ამ პერიოდისთვის ოქროს საწმისის, გამთლიანებული მზის, ხვთაებრივი ცეცხლის სტიქიის – სამყაროს IV საწყისის კოსმიური პერიოდის მობრძანებას, რომელიც არის „ხილული სიმბოლო უხილავი ღმერთისა“. სწორედ ამ დროს მოვიდა და გაიხსნა ქართული ანბანის კოსმოგონიური ცოდნა სამყაროს ბიბლიური გენეტიკური კოდის შესახებ, რომელიც აისახება და დღემდეა მოსული ბიბლიური კაბალას სახით. სწორედ ეს არის ის დიდი კოსმიური საიდუმლო, რაზეც მიგვანიშნებს იოვანე-ზოსიმე „ქებაჲ“-ს ტექსტში. ამ საკითხს მივუძღვენი ჩემი პირველი წიგნი **„შესხმაჲ ქართველთაჲ და ქართველთა ენისაჲ“** (ამ სათაურითაა შეტანილი „ქებაჲ“-ს ტექსტი სინური მრავალთავის ნუსხაში – საძიებელში თვით იოვანე-ზოსიმეს მიერ), რომელიც 2004 წელს გამოქვეყნდა. **ბიბლიური კაბალას ცოდნა თავის სამშობლოს – საქართველოს დაუბრუნდა.**

იბერიის ცივილიზაცია მიკრო ცივილიზაციათა უსასრულო ჯაჭვია, რომლის ერთ-ერთი შემადგენელი „რგოლია“ ადამის ცივილიზაცია. იგი, თავის მხრივ, ოთხი მიკრო ცივილიზაციის პერიოდისგან შედგება და კაცობრიობა მას შემდეგნაირად ახასიათებს: შავი, წითელი, ყვითელი და თეთრი კოსმიური პერიოდები (და არა რასები). თითოეული 10000 წლის პერიოდს მოიცავს. ადამის ცივილიზაცია უკვე 38000 წელია გრძელდება. მის დასრულებამდე დარჩა 2000 წელი. ახ.წ. 4000 წელს დამთავრდება ადამის ცივილიზაცია და დაიწყება იბერიის ცივილიზაციის ახალი ციკლი. **ქართული გენით დაიწყო ადამის ცივილიზაცია და ისევ ქართული გენით დამთავრდება. შემდეგი ცივილიზაციის ახალი ციკლი ისევ ქართული გენით დაიწყება.** სამყარო კვლავ ღმერთების ენაზე – ქართულ ენაზე ალაპარაკდება. ეს იქნება აზროვნების ენა. უსაზღვრო იქნება მათი მეტაფიზიკური ცნობიერება და ფიზიკური შესაძლებლობები.

„იბერიის“ ცივილიზაციას ეს სახელი პირველსაწყის ენაზე – ქართულ ენაზე მოლაპარაკე ხალხმა დაარქვა და მისი სახელი **„ბერს“, თეთრწვერა მოხუცს – „სამყაროულ გონს“ დაუკავშირა**, რომელიც „წესრიგს“ აძლევს სამყაროს, არის სტიქიათა (მიწა, წყალი, ჰაერი, ცეცხლი) მბრძანებელი, ანუ **„ხვთაებრივი ცეცხლი“ – „ხილული სიმბოლო უხილავი ღმერთისა“.**

ჩემს ნაშრომებში გადმოცემულია ქართული ანბანის კოსმიური არსის მეტაფიზიკური სიღრმეები და მოიცავს მთლიანად სამყაროს ყველა განზომილებათა ერთიან კოსმიურ პროცესს, წარმოაჩენს ერთიან უწყვეტ გენეტიკურ ჯაჭვს, საქართველოს და ქართული გენის მისიას კაცობრიობისა და სამყაროს ზინაშე. ეს ცნობიერება არის საფუძველი მომავლის ცივილიზაციისა, რომელიც კაცობრიობას დაუმკვიდრებს გზას მარადისობაში.

იოანეს გამოცხადება „ბოლო ჟამისთვის“ წინასწარმეტყველებს:

„...ვიხილე წმინდა ქალაქი, ახალი იერუსალიმი, ღმერთისაგან ზეცით ჩამომავალი, გამზადებული, როგორც სასძლო, და სასიძოსათვის შემკული“ (21-2). **„და მომესმა მგრგვინავი ხმა ზეცით, რომელმაც თქვა: აჰა, კარავი ღმრთისა კაცთა თანა, და დაემკვიდრება მათთან და ისინი იქნებიან მისი ხალხი, და თვით ღმერთი იქნება მათთან“** (21-3).

უფლის ანგელოზი გვამცნობს:

„...იბერიელთთას არსსნს ძლიერსს შტოთაბანს ვითარ ქართუელთთას წინაპართთას, უფლის ჩანაფიძრთათვსს მომავალსს მშვენიერსსა ედემისსას შეძნისსას. მეორედს იერუსალიმს ვითარ ქმნისს“.

პირველ ადამიანთა მეტაფიზიკური ცოდნა მრავალგანზომილებიანი სამყაროს მოწყობის შესახებ მითოლოგია, ეთნოგრაფია, არქეოლოგიურ სიმბოლიკაში

ნაზი ხანიაშვილი

გამოქვეყნებული წიგნები

1. შესხმაჲ ქართველთაჲ და ქართველთა ენისაჲ /იოვანე-ზოსიმე / 2004 წ. და 2010 წ.
2. შეიცანი თავი შენი და შეიცნობ სამყაროს. 2006 წ. (გეგმა-კონსპექტი)
3. ოქროს საწმისი – ორი მზის საიდუმლო. 2008 წ. და 2013წ. ქართულ, რუსულ (რეზიუმე), ინგლისურ (რეზიუმე) ენებზე.
4. სახელდებითისა წიგნთთას პირველთაითისადმნს: ჯუართა კუართთა, მცხეთადმნს სუეტისა ცხოველისსას იბერიელთა სდროითთისსსდგანს. ამინ, უფლის წყალობანი. 2010 წ.
5. ქართული გენი იბერიის ცივილიზაციათა სათავეებთან. 2012 წ. წიგნი ეძღვნება ქართველთა მეფე ფარნავაზის მეფობის 4300 წლისთავს.
6. საქართველო – შუმერთა უფლის წმინდა გულით არჩეული დიდებულ წესთა ქვეყანა. 2013 წ.
7. ქართული ანბანი სომხების შექმნილი არ შეიძლება იყოს. 2013 წ. ქართულ, რუსულ, ინგლისურ (რეზიუმე) ენებზე.
8. ქართველები შუმერთა წინაპრები. 2013 წ. ქართულ, რუსულ, ინგლისურ ენებზე.
9. ქართველი ერის გენეტიკური წარმომავლობა. 2014 წ. ქართულ, რუსულ (რეზიუმე), ინგლისურ (რეზიუმე) ენებზე.

10. მითოლოგია და არქეოლოგია გლობალური დათბობის შესახებ. 2014 წ. ქართულ, რუსულ (რეზიუმე), ინგლისურ (რეზიუმე) ენებზე.
11. „შავი ხვრელი“ – პარალელურ სამყაროში გასასვლელი სარკმელი. 2015 წ., ქართულ, რუსულ (რეზიუმე), ინგლისურ (რეზიუმე) ენებზე.
12. „ვეფხის-ტყაოსანი“ და მეტაფიზიკა – 2016 წ.

ნაზი ხანიაშვილი
ტელ.: 2 36 10 17
მობ.: 558 25 52 97

/წიგნებს შეგიძლიათ გაეცნოთ: თბილისის საჯარო ბიბლიოთეკა. ინტერნეტში აკრიფეთ: საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა. გახსენით საიტები: „ბეჭდვითი არქივი“, „ივერიელი“/

სარჩევი

1. რუსთაველი 3
2. გამოცხადება შოთა რუსთაველისა 5
3. „წინასიტყვაობისებური“ 9
4. ვ ე ფ ხ ი ს – ტ ყ ა ო ს ა ნ ი (მოკლე შინაარსი) 11
5. ამირანის მითი ვეფხის-ტყაოსანში 24
6. „ბოროტსა სძლია კეთილმან, არსება მისი გრძელია“ 27
7. მეტაფიზიკა ვეფხის-ტყაოსანში 49
8. იოვანე-ზოსიმეს „ქებაჲ“-ს წინასწარმეტყველება 91
9. მანათობელი სფერო ჩემი ინფორმაციის წყაროა 105
10. კეთილისა და ბოროტის არსი ადამის ცივილიზაციაში .. 115
11. სული მარადიული, დროსა და სივრცეში გარდასახვადი ხვთაებრივი პირველსაწყისია 129
12. „სამოთხე“ – სამყაროს დედის უძველესი გამოსახულებები. „გული“ და „გულისგული“ 143
13. „ხვთაებრივი გონი“-ს კოსმიური მისია 154
14. გამოქვეყნებული წიგნები 171

„ვეფხის-ტყაოსანი“ და მეტაფიზიკა

ნაზი ხანიაშვილი

ტელ: 236-10-17

მობ: 558-25-52-97

კომპიუტერული მომსახურება:

ნონა ცაბაძე

ალექსანდრე კუზანაშვილი

თბილისი

2016